34 (075.8)

ამირან მოსულიშვილი

მანანა მოსულიშვილი

შესავალი სამართალმცოდნეობაში

წიგნი I

(სახელმწიფოს თეორია)

თბილისი

2013 წელი

34(075.8)+342(075.8)
ქ-86

ამირან მოსულიშვილი
მანანა მოსულიშვილი

№ 27028

შესავალი სამართალმცოდნეობაში

წიგნი I

(სახელმწიფოს თეორია)

თბილისი

გამომცემლობა „გეორგიკა"

2013 წელი

UDK (უაკ) 34+342] (075.8)

მ- 872

წინამდებარე სახელმძღვანელო „შესავალი სამართალმცოდნეობაში", წიგნი I (სახელმწიფოს თეორია) განკუთვნილია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლებისა და სამართლის სკოლების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნებას თან ერთვის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შეხედულება, დისკუსია, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის კონცეფციები, მიდგომები სახელმწიფოსა და სამართლის სოციალური დანიშნულების ბუნების, არსის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია სხვადასხვა შეხედულება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ არსებულ პრობლემურ საკითხებზე, თუმცა, არ გავურბივართ არც ადრე არსებულ კონცეფციებს, რამდენადაც, მიგვაჩნია, რომ ადრეც ქმეყნდებოდა სერიოზული და მნიშვნელოვანი შრომები და მოთხოვნადი ღირებული მეცნიერული მასალა.

ISBN 978-9941-0-6061-8

ISBN 978-9941-0-6062-5

ავტორები:

ამირან მოსულიშვილი – სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მანანა მოსულიშვილი – სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

რედაქტორი:

გივი ლობჟანიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ვაჟა გაფრინდაშვილი – პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ცოდრია – სამართლის დოქტორი, პროფესორი

მანანა კოპალიანი – სამართლის დოქტორი ასოცირებული პროფესორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თეონა მოსულიშვილი

სარჩევი

ავტორებისგან 8

წიგნი I (სახელმწიფოს თეორია) 20

შესავალი 21

თავი I

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" საგანი და მეთოდოლოგია, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში, ფუნქციები 23

§ 1. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინის საგანი 27

§ 2. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" მეთოდოლოგია 36

§ 3. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" ადგილი მეცნიერებათა სისტემაში 48

§ 4. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" ფუნქციები 50

თავი II

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა 79

§ 1. საზოგადოების ცნება, მისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები 84

§ 2. პირველყოფილი თემური წყობილება და მისი რღვევა 94

§ 3. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის კანონზომიერებანი 108

§ 4. სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები..... 124

თავი III
თეორიები სახელმწიფოს წარმოშობისა და სამართლის არსის შესახებ..... 132

§ 1. თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 136
§ 2. თეორიები სამართლის არსის შესახებ..... 173

თავი IV
სახელმწიფოს ცნება და არსი..... 202

§ 1. სახელმწიფოს ცნება და მისი ევოლუცია. სახელმწიფოს არსი..... 208
§ 2. სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები.. 224
§ 3. სახელმწიფო ხელისუფლება..... 242
§ 4. სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება... 261
§ 5. სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა..... 265
§ 6. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა..... 273

თავი V
სახელმწიფოს ისტორიული ტიპები..... 280

§ 1. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება სა სახეები..... 284
§ 2. სახელმწიფოთა ტიპოლოგია ფორმაციული მიდგომით..... 295
§ 3. სახელმწიფოთა ტიპოლოგია ცივილიზაციური მიდგომით..... 300

თავი VI
სახელმწიფო ფორმები..... 308

§ 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება..... 312
§ 2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით..... 320
§ 3. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით..... 341
§ 4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება და სახეები..... 374

თავი VII
სახელმწიფოს მექანიზმი..... 386

§ 1. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და მისი ელემენტები..... 390
§ 2. სახელმწიფო ორგანოს ცნება, ნიშნები და კლასიფიკაცია..... 399

ა) წარმომადგენლობგითი (საკანონმდებლო) ორგანოები..... 410
ბ) აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგაბოები..... 415
გ) სასამართლო ორგანოები..... 423
დ) საზედამხედველო-მაკონტროლებელი ორგანოები 431
ე) ძალოვანი სტრუქტურები..... 435

 თავი VIII
სახელმწიფოს ფუნქციები 440

§ 1. სახელმწიფოს ფუნქციების ცნება 443
§ 2. სახე4ლმწიფოს ფუნქციათა კლასიფიკა
ცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით... 454

თავი IX
სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ
სისტემაში 466

§ 1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის
ცნება 470
§ 2. სახელმწიფოს ადგილი საზოგადოების
პოლიტიკურ სისტემაში 485
§ 3. ეროვნული სახელმწიფოს თანამედროვე
მოდელები 505

თავი X
სამართლებრივი სახელმწიფო 511
§ 1. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება 516

§ 2. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირ-
თადი დამახასიათებელი ნიშნები 527
§ 3. მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და
თავისუფლებანი 542

თავი XI
სოციალური სახელმწიფო 547

§ 1. სოციალური სახელმწიფოს ცნება 550
§ 2. სოციალური სახელმწიფოს ნიშნები 565

ლიტერატურა 574

შენიშვნებისათვის 585

ავტორთა შესახებ 595

ავტორებისგან

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“ დისციპლინის მიზანია მომავალ იურისტებს საფუძველი მისცეს იურისპრუდენციის ანბანის დასაუფლებლად; შეუქმნას მყარი საფუძველი ისეთი დარგობრივი იურიდიული მოდულების შესასწავლად, როგორებიცაა: საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, მუნიციპალური სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საერთაშორისო სამართალი და სხვა დარგობრივი იურიდიული მეცნიერებები, გამოუმუშაოს სტუდენტებს სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყისი ჩვევები და დამოუკიდებლად მსჯელობის შესაძლებლობანი.

სტუდენტები გაიხალისებენ სახელმწიფოსა და სამართალის საფუძვლების რაობას, მისი შესწავლის მეთოდიკას, განსაზღვრავენ თუ რა ადგილი უჭირავს ამ დისციპლინას საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საკუთრივ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში; შეისწავლიან სახელმწიფოსა და სამართლის ცნებებისადმი მრავალფეროვან მიდგომებს, ისტორიული ტიპებისადმი თანამედროვე კრიტერიუმებს, მათი ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის ძირითად კანონზომიერებებს; გაეცნობიან სახელმწიფოს ფორმებს, სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშნებს, განსაკუთრებით კი სუვერენიტეტის საკითხს, სახელმწიფოს ფუნქციებისა და მექანიზმის პრობლემებს; სამართლებრივ სახელმწიფოსა და მის დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შორის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხსა და სოციალური სახელმწიფოს რაობას; სამართლის არსს, სამართლის ნორმებს, მის სახეებს, ნორმის სტრუქტურას, ამ საკითხისადმი მეცნიერთა პლურალისტურ კონცეფციებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამართლის წყაროების არსის გაგებას, სამართლის წყაროების სახეებს: ჩვეულებრივ, პრეცედენტულ და პოზიტიურ სამართალს (ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს – კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ხელშეკრულებებს და ა.შ), სტუდენტები გაერკვევიან თუ როგორია ნორმატიული აქტების დროში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით მოქმედების თავისებურებანი; გაერკვევიან სამართლის ნორმის შეფარდების, ახსნა-განმარტების

პრობლემებში, ახსნა-განმარტების სახეებსა და ხერხებში, ანალოგიისა და კოლიზიის საკითხებში, ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის საკითხებში; სამართლებრივი ურთიერთობების თემაში, ურთიერთობის სუბიექტების სახეებში, შეისწავლიან სუბიექტების უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას, იურიდიული ფაქტების სახეებს; ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებაში სამართალდარღვევებისა და მათი სახეების საკითხს; იურიდიული პასუხისმგებლობის ცნების შესახებ პლურალისტურ შეხედულებებს, იურიდიული პასუხისმგებლობის დამახასიათებელ ნიშნებს და სახეებს, იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპებს.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინის შესწავლის შემდეგ სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ: სახელმწიფოთა კლასიფიკაციას, როგორც თანამედროვე მიდგომებით, ისე მმართველობისა და ადმინისტრაციულ – ტერიტორიული მოწყობის ნიშნებისა თუ პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, საგნის შესწავლის შედეგად სტუდენტებს შეეძლებათ გაერკვნენ სახელმწიფო ორგანოების სახეებში, ხელისუფ-

ლების დანაწილების პრინციპში და შესაბამისად, ეცოდინებათ ამ ორგანოების საქმიანობის თავისებურებანი; სტუდენტები კარგად გაერკვევიან სამართლებრივი სახელმწიფოს თავისებურებებში, ეცოდინებათ როგორია სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთპასუხისმგებლობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიები, ხელისუფლების ორგანოები ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით; თავისუფლად შეძლებენ სამართლის ნორმების დიფერენციაციას მოქმედების სფეროების მიხედვით, ეცოდინებათ რას ნიშნავს სამართლის ნორმა, როგორი შეიძლება იყოს მისი სტრუქტურა – ელემენტების შინაგანი აგებულება, ნორმის ელემენტების სახეები; არსებითად გაერკვევიან კანონის მიღების პროცედურაში, სამართლებრივი ურთიერთობების პრობლემებში, ეცოდინებათ იურიდიული ფაქტების თავისებურებანი, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შემთხვევაში (ანალოგია თუ კოლიზია), შეძლებენ დაეუფლონ მათი აღმოფხვრის წესს. ეცოდინებათ სამართალდარღვევების ცნება და სახეები, მათი ჩადენის გამო დამდგარი იურიდიული პასუხისმგებლობის შე-

დეგები, იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები, იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპები. ადვილად შეძლებენ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ საკითხებზე საჭირო ინფორმაციის მიღებას, შეგროვებას, ანალიზსა და მათ გამოყენებას.

მოცემული დისციპლინა ადრეულ წლებში შეისწავლებოდა, როგორც „სამართალმცოდნეობა", „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები", „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია", „სამართლის თეორია", ბუნებრივია, გარკვეული სახესხვაობებით, მაგრამ თითქმის ერთი და იმავე თემატიკითა და განსხვავებული მოცულობით. ამჟამად, განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ჩარჩოების შესაბამისად, სამართალმცოდნეობის მიმართულებით, შეისწავლება „შესავალი სამართალმცოდნეობაში " სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა სხვადასხვა სახწავლო რესურსი, მაგალითად, პროფესორ გიორგი ინწკირველის რედაქციით სხვადასხვა წელს გამოცემული, „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები" (ქართულ და რუსულ ენებზე), ასევე

პროფესორ გიორგი ინწკირველის მიერ სხვადასხვა წელს გამოცემული „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია" მისივე „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია", ალექსანდრე შუშანაშვილის „სამართალმცოდნეობა"), გივი ლობჟანიძის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მისივე „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები", მისივე „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია," ბიძინა სავანელის „სამართლის თეორია", გიორგი ხუბუას „სამართლის თეორია", შოთა ფაფიაშვილის „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თამარ ალფაიძის „შესავალი სამართალმცოდნეობაში", სოლომონ თეზელიშვილის „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია" (ენციკლოპედიური მასალა, ალექსანდრე ვაჩეიშვილის „სამართლის ზოგადი თეორია". გივი ლობჟანიძის, დავით ლობჟანიძისა და დავით ივანიშვილის „სამართალმცოდნეობის შესავალი". ვინაიდან სახელმწიფოცა და სამართალიც მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი საზოგადოებრივი მოვლენებია, მათი სწავლებაც მუდმივად ევოლუციას განიცდის და უკვე გამოცემული სახელმძღვანელოებიც ერთგვარად ძველებულია და საჭიროებს ახალ გამოცემებს.

სასწავლო რესურსი

- **ძირითადი სახელმძღვანელოები:**

1. თამარ ალფაიძე. შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2008
2. გივი ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი 2010 წ
3. რაინჰოლდ ციპელიუსი. იურიდიული მეთოდების მოძღვრება., ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006

- **დამხმარე სახელმძღვანელოები:**

1. გივი ლობჟანიძე, დავით ლობჟანიძე, დავით ივანიშვილი. „სამართალმცოდნეობის შესავალი", თბილისი, 2012 წ
2. მანანა მოსულიშვილი. იურიდიული პასუხისმგებლობა. (კონცეფციები და მოსაზრებანი), თბილისი, 2002 წ
3. მანანა მოსულიშვილი. სასამართლო ხელისუფლება. თბილისი 2012 წელი

4. მანანა მოსულიშვილი. საქართველოს სამართალდამცავი სისტემა. წიგნში „კრიმინოლოგია". ნაწილი V., თავი 21-24, გვ. 402-449
5. ბიძინა საკახელი. სამართლის თეორია. თბილისი, 2003 წ.
6. გიორგი ხუბუა. სამართლის თეორია. თბილისი, 2004 წელი

ავტორები მეტ-ნაკლები დოზით და, ეფიქრობთ, საინტერესოდ გვაწვდიან მასალას ყველა იმ საკითხზე, რომლის შესწავლაც დაგეგმილია, თუმცა ზოგიერთი თემა, ავტორების აზრით, შეიძლებოდა უფრო ვრცლადაც ყოფილიყო წარმოდგენილი, ამიტომ საჭიროა სტუდენტებმა გამოიყენონ დამატებითი ლიტერატურაც: ზოგიერთი პრობლემის მიმართ ავტორებს აქვთ საკუთარი მოსაზრება, რაც სხვა მიდგომებისაგან განსხვავებულია, ამიტომ სტუდენტები ყურადღებით უნდა გაეცნონ ხსენებული ავტორების საშრომებს და მათში გადმოცემულ მოსაზრებებს, გაანალიზონ ლექციასა და სხვა მეცადინეობებზე ავტორების მიერ შეთავაზებული თანამედროვე მოსაზრებანი და შეეცადონ გამოიმუშაონ საკუთარი პოზიცია.

მეცადინეობებზე სტუდენტებმა აუცილებლად უნდა იაქტიურონ - არა მხოლოდ სემინარებზე დისკუსიებისას, არამედ ლექციებზეც. ლექცია არ უნდა იყოს მხოლოდ მონოლოგი. ის სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციის (ანუ დისკუსიის, პოლემიკის, კამათის, ანალიზის, განხილვის) პირობებში წარიმართება. სტუდენტებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი აქტიურობის ხარისხი საბოლოო შეფასებაზე თავისებურ გავლენას იქონიებს.

კურსის გავლისას სტუდენტებს მიეცემათ ზეპირი ან წერითი დავალება სემინარისათვის მოსამზადებლად. სემინარზე შემოწმდება სტუდენტების ცოდნა წაკითხული ლექციის თემის გარშემო, წერითი დავალების შესრულება ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ, მასალის მყარად ათვისებას. სემესტრის ბოლოს სტუდენტებს შეიძლება მიეცეთ დავალებები რეფერატების მოსამზადებლად მათი შემდგომი პრეზენტაციისათვის.

ავტორებს მიაჩნიათ, რომ მეცადინეობის გაცდენა აისახება სტუდენტების შეფასებაზე, ყოველი გაცდენილი საათი სტუდენტის ცოდნის დონეს დაბლა დასწევს. ავტორებს სრულიად მიუღებლად მიაჩნიათ მეცადინეობებზე დაგვიანებები. ისინი თვლიან, რომ მეცადინეობებზე უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგალითად, ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ მეცადინეობის პროცესში მობილური ტელეფონები სტუდენტებმა იქონიონ გამორთულ მდგომარეობაში, თუმცა უარს არ ამბობენ ლექციის ტელეფონით ჩაწერის შესაძლებლობაზე.

-27028-

სტუდენტებმა არ უნდა მისცენ თავს უფლება წერითი სამუშაოების გადაწერის გზით შეასრულონ.

ზოგადად შეფასება ყველა უმაღლეს სასწავლებელში 100 ქულიანია, ეს 100 ქულა სხვადასხვაგვარად შეიძლება გადანაწილდეს, თუმცა, თითქმის ყველა უმაღლესში სწავლის პროცესს ეთმობა 60% (დასწრება, აქტივობა, რეფერატის პრეზენტაცია, ზოგან თავისუფალი დასწრებაა და პროცენტული მაჩვენებელი სხვაგვარად ნაწილდება), ხოლო საბოლოო გამოცდას 40%. ლექციის პროგრამის დასრულება ხდება გამოცდით, ოღონდაც სასურველია ჩატარდეს წერითი ფორმით, გამოცდის ზეპირი ფორმით ჩაბარების შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ _____

თხვევაში, სტუდენტებს მიეცემათ მოფიქრების საშუალება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს „შესავალი სამართალმცოდნეობაში", რომელიც ორ ნაწილადაა დაყოფილი. პირველ წიგნშია სახელმწიფოთმცოდნეობის საკითხები – სახელმწიფოს თეორია, ხოლო მეორეში - სამართალმცოდნეობის საკითხები – სამართლის თეორია.

ყოველი თემის დასაწყისში მოცემულია მისი სტრუქტურა, თემის მიზანი, რა საკითხებზე იქნება გამახვილებული ყურადღება და შესწავლის შედეგები; თემის ყოველი პარაგრაფის შემდეგ არის შესაბამისი სქემები, ხოლო თემის ბოლოს მოცემულია: საკითხები თვითმომზადებისათვის და საკითხები საშინაო დავალებებისათვის.

ავტორები სიამოვნებით მიიღებენ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, გაანალიზებენ მათ და საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინებენ სახელმძღვანელოს მომდევნო გამოცემისას.

ავტორების საკონტაქტო ტელეფონები და ელექტრონული ფოსტის მისამართები შემდეგია: 599 54 40 46, ელ.ფოსტა – manmos555@gmail.com და 598 60 81 28, ელ.ფოსტა – amiranmos555@mail.ru

მანანა მოსულიშვილი
სამართლის დოქტორი,
სრული პროფესორი
ამირან მოსულიშვილი
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

წიგნი I

(სახელმწიფოს თეორია)

შესავალი

„შესავალი სამართალმცოდნეობაში", როგორც სასწავლო დისციპლინა შეისწავლება იურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში (სამართლის სკოლებში) პირველივე სემესტრში, არსებითად, სწორედ ამ დისციპლინიდან იწყება იურიდიული განათლების მიღება. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ აუცილებელი ცოდნის საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც სტუდენტები შეძლებენ ცოდნის დასაუფლებლად შემდგომი გზების დაძლევას და ქვეყნა იურიდიული დისციპლინის აღქმასა და გაგებას.

წინამდებარე ნაშრომი შედგება ორი წიგნისაგან: პირველი წიგნი შეეხება სახელმწიფოთმცოდნეობის საკითხებს (სახელმწიფოს თეორია), მეორე – სამართალმცოდნეობის საკითხებს (სამართლის თეორია).

ნაშრომში გადმოცემულია საერთაშორისო და საქართველოს იურიდიული მეცნიერების მიღწევები სახელმწიფოსა და სამართალთან მიმართებაში. თეორიული დებულებები განმტკიცებულია პრაქტიკული მა-

გალითებით, საზღვარგარეთისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზით; გადმოცემულია თითოეული თემის მიზანი, რა ძირითადი საკითხები უნდა იქნას განხილული, ყოველი პარაგრაფის შემდეგ მოცემულია შესაბამისი სქემები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობას, პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთობას, პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენას სამართალშემოქმედებაზე.

სახელმწიფოსა და სამართლის შემეცნებას თან ერთვის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შეხედულება, დისკუსია, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის შეხედულებები, მიდგომები სახელმწიფოსა და სამართლის სოციალური დანიშნულების ბუნების, არსის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია სხვადასხვა შეხედულება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ არსებულ პრობლემურ საკითხებზე, თუმცა, არ გავურბივართ არც ადრე არსებულ კონცეფციებს, რამდენადაც, მიგვაჩნია, რომ ადრეც ქეყნდებოდა სერიოზული და მნიშვნელოვანი შრომები და მოთხოვნადი ღირებული მეცნიერული მასალა.

თავი I

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“ საგანი და მეთოდოლოგია, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

თავი I

შესავალი სამართალმცოდნეობაში საგანი და მეთოდოლოგია, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

თემის სტრუქტურა:

§1 „შესავალი სამართალმცოდნეობაში" საგანი

§2 „შესავალი სამართალმცოდნეობაში" მეთოდოლოგია

§3 „შესავალი სამართალმცოდნეობაში" კავშირი სხვა მეცნიერებებთან;

§4 „შესავალი სამართალმცოდნეობაში" ფუნქციები

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მეცნიერების საგანზე, მისი შესწავლის მეთოდებზე, მის მნიშვნელობასა და ადგილზე ზოგადად მეცნიერებათა სისტემაში.

- ✓ როგორია ზოგადიურიდიული მეთოდები
- ✓ როგორია კერძომეცნიერული და კვლევის სპეციალური მეთოდები
- ✓ რა ადგილი უჭირავს საგანს „შესავალი სამართალმცოდნეობაში"
- ✓ კონკრეტულად როგორი კავშირი აქვს ამ მეცნიერებას სხვა მეცნიერებებთან
- ✓

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

- ➢ რა სახის მეცნიერებები არსებობს, როგორ მეცნიერებათა სისტემას მიეკუთვნებიან იურიდიული მეცნიერებანი;
- ➢ რა სახის მეთოდები უწყობენ ხელს მოცემული დისციპლინის შესწავლას;
- ➢ რა ადგილი უჭირავს მოცემულ დისციპლინას საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სახელმწიფო იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში;
- ➢ როგორი კავშირი აქვს მოცემულ დისციპლინას ცალკეულ დისციპლინებთან;

- რა სახის მეცნიერებები არსებობს, როგორ მეცნიერებათა სისტემას მიეკუთვნებიან იურიდიული მეცნიერებანი;
- რა სახის მეთოდები უწყობენ ხელს მოცემული დისციპლინის შესწავლას;
- რა ადგილი უჭირავს მოცემულ დისციპლინას საზოგადოებრივ მეცნიერებათა და სახელდობრ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში;
- როგორი კავშირი აქვს მოცემულ დისციპლინას ცალკეულ დისციპლინებთან;
- როგორია „შესავალი სამართალმცოდნეობაში" სასწავლო დისციპლინის ფუნქციები

§ 1. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" საგანი.

მოცემულ პარაგრაფში შეისწავლება, თუ რას ნიშნავს მეცნიერების საგანი და რა საკითხებს შეისწავლის მეცნიერება „შესავალი სამართალმცოდნეობაში".

გავამახვილებთ ყურადღებას უკანასკნელ პერიოდში დისციპლინის ახალ მეცნიერულ კონცეფციებსა და დასკვნებზე, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო და ქართულ სამართალში მიღებულ რეალურ ცვლილებებს, რაც, ბუნებრივიცაა და ლოგიკურიც, ვინაიდან უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე გაფართოვდა შემეცნებითი ბაზა, შეიცვალა დირებულებანი ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა შეხედულებები კონსტიტუციაზე, საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, პარლამენტზე, საასამართლო ხელისუფლებაზე, დემოკრატიის სხვა ინსტიტუტებზე და ა.შ.

დისციპლინის „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ შესწავლის საგანია სახელმწიფო და სამართალი ზოგადად; დისციპლინა შეისწავლის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მრავალმხრივ და რთულ ურთიერთქმედებას, სახელმწიფოს როლსა და ადგილს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, აგრეთვე სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებს, ხალხის წარმოდგენას ამ მოვლენებზე. მოცემული დისციპლინა მოიცავს საზოგადოებრივ, ჯგუფურ, ინდივიდუალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ცნობიერებას. დისციპლინის მნიშვნელობა განპირობებულია სახელმწიფოსა და სამართლის პრაქტიკული და სამეცნიერო ცნებობრივი ერთიანობით.

ცნობილია, რომ სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის მრავალი სხვა მეცნიერებაც, მათ შორის იურიდიული მეცნიერებებიც. ყოველი მათგანის საგანი წარმოადგენს ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენების – სახელმწიფოსა და სამართლის გარკვეულ ნაწილს. „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ იკვლევს არა რომელიმე ცალკეულ სახელმწიფოს ან ცალკეული სამართლის სისტემას, ან ცალკეული სამართლის ნორმათა ჯგუფს, არამედ მათი წარმოშობის, განვითარების და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს. იგი გვიჩვენებს სახელმწიფოსა და სამართლის კავშირს ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, აგრეთვე, მათ ერთმანეთთან ურთიერთკავშირს. ორივე მოვლენას –სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის მთლიანობაში, რამდენადაც ეს მოვლენები ცალ-ცალკე, უერთმანეთოდ არ არსებობენ.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“ შეისწავლის სახელმწიფოს ცნებათა მრავალფეროვნებას, მის დამახასიათებელ ნიშნებს, ფუნქციებს, სახელმწიფოს ისტორიულ ფორმებსა და ტიპებს, იმ მიზეზებს, თუ რატომ იცვლება ერთი ისტორიული ტიპი მეორეთი. შეისწავლის მმართველობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმებსა და მათთან დაკავშირებულ პოლიტიკურ რეჟიმს, სახელმწიფოს მექანიზმს და საკითხს, თუ რით არის განპირობებული სახელმწიფოსა და სამართლის უწყვეტი კავშირი. მნიშვნელოვანი ყურა-

დღეებით შეისწავლის სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოსა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" განიხილავს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის კანონზომიერებებს, მათ წარმოშობას სხვადასხვა ფორმაციასა და ცივილიზაციაში. ამ კუთხით, მისი საგანია სახელმწიფოს არსი და წარმოშობის ხერხები, სამართლის არსი, ფორმები და ფუნქციები, როგორც სამართლის ფუნდამენტური კატეგორიები.

სამართლის ცნებას და არსს, მის დამახასიათებელ ნიშნებს, სამართლის ნორმასა და მის დამახასიათებელ ნიშნებს, სტრუქტურას და მისი შინაგანი აგებულების შემადგენელი ელემენტების –ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციის სახეებს, ამ საკითხისადმი მეცნიერთა სხვადასხვაგვარ შეხედულებებს; სამართლის წყაროებს, მის სახეებს, ნორმატიული აქტების მოქმედების ფარგლებს, ნორმატიული აქტების სისტემატიზაციას, მის სახეებს, ნორმის შეფარდებას, მისი გამოხატვის ფორმებს, სტადიებს, ახსნა-განმარტებას, ახსნა-განმარტების სახეებსა და ხერხებს; სამართლებრივ ურთიერთობებს, მის რთულ სტრუქტურას, სუბიექტების უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას, სამართალსუბიექტურობას, უფლებასა და მოვალეობას, იურიდიულ ფაქტებს; მართლწესრიგსა და კანონიერებას, სამართალდარღვევებსა და იურიდიულ პასუხისმგებლობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს (ხსენებული სამართლებრივი მოვლენები განიხილება სახელმძღვანელოს მეორე წიგნში..

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" არის იურიდიული მეცნიერება, ხშირად მას ზოგადიურიდიულ მეცნიერებასაც უწოდებენ, ასევე ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს მეცნიერება პოლიტიკურ-სამართლებრივია და შედის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში, რადგან შეისწავლის ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებს, როგორიცაა სახელმწიფო და სამართალი. სახელმწიფო და სამართალი უწყვეტ კავშირში არიან, ამიტომ შეისწავლება ერთად და ერთ-ერთის მოსპობა იწვევს მეორის მოსპობასაც. სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით ქმნის სამართლის ნორმებს და შემდეგ თვითონვე ფუნქციონირებს ამ ნორმების ფარგლებში. სახელმწიფო პოლიტიკური

სტრუქტურაა და განეკუთვნება ფაქტობრივის სფეროს და იგი არსის სფეროა, ხოლო სამართალი კი ჯერარსის სფეროს განეკუთვნება.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" შეისწავლის კავშირს ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებთან, როგორიცაა ზნეობა და მართლშეგნება. შეისწავლის სამართლის წარმოშობისა და არსებობის ფორმებს (კანონს, პრეცედენტს, სამართლებრივ ჩვეულებას), სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს, რეგულირების მეთოდებს, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე დემოკრატიასა და კანონიერებას.

ცნობილია, რომ არც ერთი საგანი არ არსებობს მუდმივად გამოკვეთილ ჩარჩოებში, ამიტომ უნდა განვსაზღვროთ და გავმიჯნოთ იგი მსგავსი დისციპლინების საგნებისაგან.[1] სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება ხდება არა თავისთავად, არამედ, ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან მჭიდრო კავშირში, ამიტომ „შესავალი სამართალმცოდნეობა-

[1] იხ. დაწვრილებით. Грушин Б.А. Очерки логики исторического исследования., М. Высш.шк.,1961., с.74

ში" დისციპლინის საგანს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს, სამართლის ურთიერთობების ელემენტები, ფორმები, გზები, შემეცნების მითითებულ ფენომენებთან არა მხოლოდ სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც, როცა ხდება სახელმწიფოსა და სამართლის შევსება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ახალი შინაარსით.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" საგანი არის არა თავისთავად მხოლოდ სახელმწიფო და სამართალი, არამედ სახელმწიფო და სამართალი მის გარეთ, საზოგადოებაში მათ მოქმედებაში და სოციუმის სხვა ელემენტებთან ურთიერთობებში. ვგულისხმობთ, რომ ამ დისციპლინის საგანში უნდა შედიოდეს არა ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელზედაც გავლენას ახდენენ სახელმწიფო და სამართალი, არამედ სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობების გზები, ფორმები და მეთოდები. საგანია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ელემენტები და არა ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური შინაარსი.

დისციპლინის საგნის განხილვისას ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რო-

გორიცაა სამართლებრივი საკითხების შესწავლა, აქცენტი კეთდება არა მხოლოდ რომანულ-გერმანულ სამართლებრივი სისტემის მაგალითებზე, არამედ იგი მასალის გამდიდრება ხდება ტრადიციული, მუსლიმური თუ სხვა სამართლებრივი სისტემების მაგალითებით.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება თანამედროვე პირობებში, საზოგადოებრივი პრაქტიკა, უდავოდ ამდიდრებს მის საგანს, მას უფრო შინაარსობრივს ხდის და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მომავალშიც. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ადამიანის უფლებების საკითხი, რაც ცალკე დამოუკიდებელ პრობლემად განიხილება მოცემული დისციპლინის საგანში.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“ დისციპლინის საგანი



§ 2. „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ მეთოდოლოგია.

ამ პარაგრაფში განიხილება ტერმინები: „მეთოდი“, „მეთოდოლოგია“, შეისწავლება ზოგადმეცნიერული, სპეციალური და კერძომეცნიერული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოსა და სამართლის მოვლენების შესწავლას.

ტერმინი „მეთოდი“ ნიშნავს „ძიებისა“ ან „ძიებისა“. მეცნიერების მეთოდი გულისხმობს: დისციპლინის საგნისადმი, კვლევის ობიექტების შესწავლისადმი განსაზღვრულ მიდგომას; შეცნობის გარკვეულ წესსა და ხერხებს; კვლევის შედეგების ახსნასა და გაგებას; იმ ამოსავალ პოზიციებსა და პრინციპებს, რაც დამახასიათებელია ამ დისციპლინისათვის.

ტერმინი „მეთოდოლოგია“ საბჭოთა სისტემის დროს მოიაზრებოდა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მიდგომით, რომელიც აღიარებული იყო ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიად და რომელიც იმ პერიოდის მეცნიერთა აზრით, სწორად ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს, ხოლო ყველა სხვა თეორია, მათი აზრით, ითვლებოდა ცრუდ და მეტ-ნაკლებად კრიტიკას ექვემდებარებოდა კიდეც. მარქსიზმში ბევრი რამ უტოპიური და მიუღწეველია, მაგრამ მასშიც, ვიდრე ადამიანი არსებობს, არის გარკვეული მნიშვნელობის მქონე დებულებები და დასკვნები, რომელთა მოხსნაც შეუძლებელია[2]. დღეისათვის, ჩვენს ქვეყანაში მეთოდების, ხერხების, მიდგომების არჩევის თავისუფლება და მოძღვრებათა და შეხედულებათა მრავალფეროვნებაა. მეთოდები გვიჩვენებენ, თუ რა ხერხებით ხდება პრობლემების გადაწყვეტა.

ცნობილია ზოგადმეცნიერული, კერძომეცნიერული და კვლევის სპეციალური მეთოდები.

ზოგადმეცნიერულ მეთოდებში იგულისხმება დიალექტიკური ან მეტაფიზიკური, შემეცნების სისტემური მეთოდი, იდეალისტური ან მატერიალისტური კვლევის მეთოდი, აგრეთვე აბსტრაგირების მეთოდი და ლოგიკური კვლევის ხერხები –ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია და ა.შ. ამ მეთოდების შორის

[2] იხ. გინწკირველი„სახელმწიფოსა და სამართლის 'ზოგადი თეორია„, თბილისი, 2003 წელი

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, მაგალითად, **დიალექტიკური მეთოდის** საფუძველზე „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის არა როგორც იზოლირებულ, საზოგადოებრივი მოვლენებისაგან მოწყვეტილ კატეგორიებს, არამედ სხვა მოვლენებთან და ფაქტებთან ურთიერთობაში, კერძოდ, მჭიდრო კავშირში ეკონომიკასთან, კულტურასთან, ხელოვნებასთან, მორალთან, ჩვეულებასთან და ა.შ..

დიალექტიკური მეთოდისაგან განსხვავებით, ცნობილია **მეტაფიზიკური მეთოდი**, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას შეისწავლის სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად ანუ იზოლირებულად, მათ შორის შეისწავლება სახელმწიფოსა და სამართლის კონკრეტული მხარეები. ამ მეთოდმა პროგრესული როლი შეასრულა ცალკეული სამეცნიერო დარგის განვითარებაში და მას ფართოდ იყენებენ დასავლეთის მეცნიერები.

მოცემული დისციპლინის შესწავლას ეხმარება აგრეთვე **აბსტრაბირების მეთოდი**, კერძოდ აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე დაყვანისა და კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე აყვანის მეთოდი. მაგალითად, სახელმწიფოს ფორმის შემეცნების პროცესი, რომელიც უფრო ღრმა და კონკრეტული ხდება. ხოლო „სახელმწიფოს ფორმა“ მდიდრდება კონკრეტული ნიშნებითა და თავისებურებებით.

შემეცნების სისტემური მეთოდი. ნებისმიერი სისტემა არის მთლიანობა, მრავალი ელემენტის მოწესრიგება, რომელთა ურთიერთობა წარმოქმნის ახალ, მისთვის უცნობ თვისებებს. სახელმწიფო და სამართალი რთული სისტემური მოვლენებია. სახელმწიფოს ძირითადი ელემენტებია სახელმწიფო ორგანოები, სამართლისა კი – სამართლის ნორმები. მთლიანობაში სახელმწიფო, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტი სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან ერთად შედის პოლიტიკურ სისტემაში, ხოლო სამართალი, თავისი ნორმებით შედის ნორმატიულ სისტემაში.

იდეალისტური კვლევის მეთოდი. თავის მხრივ, ეს მეთოდი იყოფა ორ – **ობიექტურ** და **სუბიექტურ** მიმართულებად, იმისდა მიხედვით, თუ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას რა უდევს საფუძვლად

(ობიექტური იდეალიზმით, მაგალითად, სახელმწიფოს წარმოშობა უკავშირდება ღვთის ნებას, ხოლო სუბიექტური იდეალიზმის მიხედვით სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა ადამიანის ცნობიერებითა და ხალხის შეთანხმების შედეგად).

რაც შეეხება **მატერიალისტურ მიდგომას**, ამ მიდგომით სახელმწიფოსა და სამართლის არსებითი მხარეები, საბოლოო ჯამში, განპირობებულია ეკონომიკით, საკუთრების არსებული ფორმებით. ასეთი მიდგომით თვალს მივადევნებთ სახელმწიფოსა და სამართლის კავშირს რეალურ პროცესებთან, შეგვიძლია გამოვაელინოთ და გამოვიკვლიოთ მატერიალური საფუძვლის განმტკიცების მიმდინარეობა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

ანალიზის[3], როგორც ლოგიკური აზროვნების ხერხის განხილვისას ვლინდება სახელმწიფოსა და სამართლის სტრუქტურა, ფიქსირდება მისი შემადგენელი ელემენტები, დგინდება მათ შორის კავშირები;

[3] ანალიზი -ბერძნული სიტყვიდან -„analysis"ნიშნავს - დაშლას

სინთეზი[4], როგორც ლოგიკური აზროვნების ხერხი ამ დისციპლინის მიერ გამოიყენება ანალიზის შედეგად მიღებული სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოკვლეული შედეგების მიმოხილვისათვის.

ინდუქციის[5], როგორც ლოგიკური ხერხის არსი მდგომარეობს სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეული მხარეების ან პირველსაწყისების გაგებაში, მაგალითად, ცალკეული სახელმწიფოებრივი ორგანოს ნიშნების გამოვლენისას, სტუდენტებს შეექმნებათ წარმოდგენა თუ რა არის სახელმწიფო ორგანო;

დედუქცია[6] გონებრივი დასკვნის შესაბამისად, ზოგადიდან კერძოს გამოყოფას ნიშნავს, (მაგალითად, სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა).

ზოგადმეცნიერული მეთოდების გარდა არსებობს სპეციალური და კერძომეცნიერული მეთოდები. იურიდიული მეცნიერებებისათვის ტრადიციულია **ფორმალურ-იურიდიული მეთოდი**, რომელიც თვით სახელმწიფოსა და სამართლის ბუნებიდან გამომდინარეობს,

[4] სინთეზი ბერძნული სიტყვიდან „synthesis" ნიშნავს შეერთებას
[5] ლათ. სიტყვიდან „inductio",ნიშნავს მინიშნებას
[6] ლათ. სიტყვიდან „deductio"ნიშნავს გამოყვანას

გამოიყენება სახელმწიფოსა და სამართლის ფენომენების აღწერისას, კლასიფიცირებისა და სისტემატიზაციისას, მათი გარეგანი და შიდა ფორმების კვლევისას.

ფორმალურ-დოგმატური მეთოდი, რომელსაც ლოგიკურ-ენობრივ მეთოდსაც უწოდებენ ემყარება ფორმალური ლოგიკის ენის წესების ცოდნას და იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება ნორმის ინტერპრეტაციისათვის. ნორმები გამოხატულია სიტყვებში და ამ სიტყვების საშუალებით ხდება საზოგადოების წევრთა ინფორმირება ნორმის შინაარსზე. სიტყვების ინტერპრეტაცია ხდება სუბიექტური და ობიექტური თეორიების მიხედვით. ნორმის ინტერპრეტაციის დროს გამოიყენება „გრამატიკული", „ლოგიკური", „ისტორიულ-პოლიტიკური" და „სისტემური" ხერხები (დაწვრილებით ეს საკითხი გაშუქდება სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების საკითხის განხილვისას.

თანამედროვე პირობებში, როცა ინტეგრაციული პროცესები კანონზომიერად ვითარდებიან, იზრდება **შედარებითი მეთოდის** როლი. ეს მეთოდი სამართლებრივ ბრუნვაში შემოიტანა შვეიცარიელმა მოაზ-

როვნემ ბახოფენმა (1815-1881). ლოგიკური თვალსაზრისით, ეს მეთოდი ეფუძნება დიდი რაოდენობის მსგავსი ობიექტების თანმიმდევრულ შესწავლასა და შედარებას.

მოდელირების მეთოდის არსი გულისხმობს, რომ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სხვადასხვაგვარ მოვლენებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, ამიტომ, როცა რომელიმე მათგანის ხასიათებისა და თვისებების (მოდელის) შესახებ ცოდნა გვაქვს, გარკვეულწილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ კიდეც ამ მოვლენებზე. მოდელირება გამოიყენება სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის საუკეთესო სქემების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უფრო რაციონალური სტრუქტურის ძიების, კანონმდებლობის სისტემის წამოყალიბების და სხვა პროცესებში.

კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდის დახმარებით შეიძლება გამოვლინდეს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოების ფუნქციონირების ეფექტურობის დონე, აგრეთვე სამართლებრივი რეგულირების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დონე. კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები, გვეხმარე-

ბიან „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ დისციპლინის საკვანძო საკითხების შემუშავებაში. კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეძცევა ისეთი ხერხების გამოყენებას, როგორებიცაა:

- მეთვალყურეობა (თვალყურის დევნა),
- ინტერვიურება (სეპირი გამოკითხვა),
- ანკეტირება (ანკეტის შევსება ანუ წერილობითი პასუხები),
- ექსპერიმენტი (ცდის ჩატარება, მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტი) და სხვ.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“

მეთოდები



ზოგადმეცნიერული მეთოდები

↓

- დიალექტიკური მეთოდი
- მეტაფიზიკური მეთოდი
- აბსტრაგირების მეთოდი
- შემეცნების სისტემური მეთოდი
- იდეალისტური კვლევის მეთოდი
- მატერიალისტური მიდგომა
- ანალიზის ხერხი
- სინთეზის ხერხი
- ინდუქციის ხერხი
- დედუქციის ხერხი

და სხვ.

კერძომეცნიერული და სპეციალური კვლევის მეთოდები

↓

- ფორმალურ-იურიდიული მეთოდი,
- ფორმალურ-დოგმატური მეთოდი (ანუ ლოგიკურ-ენობრივი მეთოდი),
- შედარებითი მეთოდი
- მოდელირების მეთოდი,
- კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი, რომელიც იყენებს შემდეგ ხერხებს:
  - ✓ მეთვალყურეობის ხერხი,
  - ✓ ინტერვიურების ხერხი,
  - ✓ ანკეტირების ხერხი,
  - ✓ ექსპერიმენტის ხერხი

და სხვ.

§ 3 „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

ამ საკითხში გათვალისწინებულია, თუ რა ადგილი უჭირავს დისციპლინას „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** სისტემაში და ცალკე იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში, რა კავშირი აქვს თითოეულ მეცნიერებასთან, მაგალითად ფილოსოფიასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან და ა.შ

„შესავალი სამართალმცოდნეობაში„ დისციპლინას მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, კერძოდ ეკონომიკურ და ისტორიულ მეცნიერებებთან, ფილოსოფიასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან, ლოგიკასთან და ა.შ. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული ამ დისციპლინის ადგილზე იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში, ცალ-ცალკე განვიხილავთ რა კავშირი აქვს ამ დისციპლინას:

- **ზოგადიურიდიულ მეცნიერებებთან** (სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიასთან, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიასთან, პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიასთან);
- **დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან** (კონსტიტუციურ სამართალთან, სისხლის სამართალთან, ადმინისტრაციულ სამართალთან, სამოქალაქო სამართალთან, შრომის სამართალთან, ეკოლოგიურ სამართალთან და სხვ),
- **გამოყენებით იურიდიულ მეცნიერებებთან** (კრიმინალისტიკასთან, სასამართლო მედიცინასთან, სასამართლო ფსიქიატრიასთან, სასამართლო ბუღალტერიასთან, სასამართლო სტატისტიკასთან და ა.შ);
- იურიდიული შემეცნების განვითარების მეტად მნიშვნელოვანი მიმართულების ისევ **იურიდიულ დისციპლინებთან** როგორებიცაა: სამართლის ფილოსოფია, სამართლის სოციოლოგია, იურიდიული პოლიტოლოგია, იურიდიული კიბერნეტიკა, იურიდიული ანთროპოლოგია, იურიდიული ლოგიკა, სამართლებრივი სტატისტიკა,

სამართლებრივი ინფორმატიკა და ზოგიერთი სხვა მეცნიერება, რომელთა ფორმირებაც იურისპრუდენციისა და მომიჯნავე დისციპლინების ერთმანეთთან შეხებისას ხდება.

- და ცალკე ჯგუფად გამოყოფილ **საერთაშორისო სამართალთან**, რომელიც სამართლის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და მოიცავს საერთაშორისო სამართლის დარგებს: საერთაშორისო სისხლის სამართალს, საერთაშორისო კერძო სამართალს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, საზღვაო სამართალს, საჰაერო სამართალს და ა.შ).

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" და ფილოსოფიის კავშირის დადგენისას აღინიშნება, რომ **ფილოსოფია** არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების საყოველთაო კანონზომიერების შესახებ, რომ იგი იძლევა ამოსავალ დებულებებს ამ მოვლენების და მათ შორის სახელმწიფოსა და სამართლის გასაგებად. „შესავალი სამართალმცოდნეობაში" სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის ფილოსოფიურ კანონებზე დაყრდნობით, თავის მხრივ, კი

ფილოსოფიას აწვდის მდიდარ მასალას, რომლითაც თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის განვითარების საერთო პრინციპი ფორმულირდება.

ეკონომიკური მეცნიერებანი შეისწავლიან მატერიალური დოვლათის წარმოების ხერხებს, საკუთრების ფორმებს, საზოგადოებაში ადამიანის სამეურნეო საქმიანობას და ა.შ, ხსნიან სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ეკონომიკური ბაზის ზემოქმედებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხებს, რომ განვითარების ნებისმიერი დონის ეკონომიკური ურთიერთობები ითხოვენ ადეკვატურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომ სახელმწიფო და სამართალი გაჩნდნენ ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და წარმოადგენენ საზოგადოებრივი ურთიერობების ფორ-მირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორსაც. ცნობილია და მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლიტიკურმა ხელისუფლებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკონომიკურ განვითარებას, ძირი გამოუთხაროს და გაანადგურის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები

საზოგადოების ბაზისია, რომელიც ზედნაშენურ მოვლენებს – სახელმწიფოსა და სამართალს განსაზღვრავს, რომელთა შესწავლასაც ეხმარება ეკონომიკური მეცნიერებანი და პირიქით, ეს მეცნიერებები იყენებენ „შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინის მონაცემებს თავისი დასკვნისა და დებულების დასადგენად.

სოციოლოგიის მეცნიერება იკვლევს სოციალური ცხოვრების მართვისა და სოციალური სისტემების ფუნქციონირების უზოგადეს კანონზომიერებებს. იგი შეისწავლის ხალხის ქცევის კანონზომიერებებს, მის მოტივაციას. სოციოლოგიურ მიღწევებსა და კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით „შესავალს სამართალმცოდნეობაში" შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს სამართლის ნორმების სოციალური ეფექტურობის ამაღლების პრობლემები, სახელმწიფო აპარატის სრულყოფის ხერხები და გარანტიები.

პოლიტოლოგიის მთავარი დანიშნულებაა პოლიტიკის, პოლიტიკური ინსტიტუტების, სისტემებისა და პოლიტიკური პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესწავლა. სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია პოლიტიკისა და საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისაგან, რომ სახელმწიფო და მისი მოღვაწეობა არ არის პოლიტიკის კერძო შემთხვევა და არც პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი რიგითი მონაწილეა და რომ იგი პირდაპირაა დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან, მის შინაარსსა და ფორმებთან, მოღვაწეობის მეთოდებთან, რადგანაც პოლიტიკა, ძველი ბერძნების აზრით, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკის გვირგვინია და იგი საზოგადოებაში წესრიგის დამყარების საფუძველია.

სოციალურ ფსიქოლოგიასთან „შესავალი სამართალმცოდნეობაში" კავშირის დადგენისას „შესავალი სამართალმცოდნეობაში" იკვლევს სპეციფიკური ფორმებისა და მეთოდების ზემოქმედებას ხალხის ქცევაზე, იგი ინტერესდება საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით. უფრო მეტიც, მართლშეგნების, სამართალშემოქმედების ყველა სახისა და დონის ჩამოყალიბების, სამართლის შინაარსის, ხალხის ცნობიერებაზე, ნებისყოფასა და

ქცევაზე მისი ზემოქმედების ეფექტურობის შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. სოციალური ფსიქოლოგია, თავის მხრივ, დისციპლინას „შესავალი სამართალმცოდნეობაში" ეხმარება დაადგინოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების მოღვაწეობის ყველაზე ტიპური შედეგები. სახელმწიფოსა და სამართლის თითქმის არც ერთი ძირითადი კატეგორია (ხელისუფლება, ავტორიტეტი, სუბიექტების უფლებები და მოვალეობანი, დამორჩილება, დისციპლინა, კანონიერება, ბიუროკრატიზმი, კორუფცია და სხვ) შეუძლებელია ღრმად იქნას ახსნილი მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის გამოვლენის გარეშე. მაგალითად, დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემთა გამოყენება ადამიანის ქცევის ისეთი თავისებურებების გათვალისწინებით,როგორიცაა: აპერცეფცია (აღქმა), რომელიც გამოხატავს ხალხის ცნობიერებისა და ქცევის დამოკიდებულებას, მათ გამოცდილებას ადრე აღიქმული ცოდნისა და შეხედულებების მიმართ. აპერცეფციის მექანიზმი უზრუნველყოფს მასების ქცევაში როგორც პროგრესული ტრადიციებისა და ჩვევების, ისე კონ-

სერვატიზმის, ჩამორჩენილობის, ინერტულობის გადალახვას. აქედან გამომდინარე, სამართალშემოქმედების ამოცანაა შეიმუშაოს ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროგრესულს და შექმნიან ამ კონკრეტული ფსიქოლოგიური მექანიზმის საშუალებით მათი დაძლევის შესაძლებლობებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოცემული დისციპლინის ადგილს იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

ავტორი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, იურიდიულ მეცნიერებებს პირობითად ყოფს ხუთ ჯგუფად:

- ზოგადიურიდიული,
- დარგობრივი და
- გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებები,
- მომიჯნავე დარგებთან შეხების მქონე იურიდიული მეცნიერებები და
- საერთაშორისო სამართალი, როგორც სპეციფიკური დარგი.

ზოგადიურიდიული დისციპლინები მთლიანობაში შეისწავლიან სახელმწიფოსა და სამართალს, პოლი-

ტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორიულ განვითარებას, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ფაქტობრივ მხარეს, კონცეფციებს, დოქტრინებს, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიულ კონკრეტულობას. მაგალითად, „შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინისა და სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კავშირისას აღინიშნება, რომ **სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია** შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ქვეყანაში, მთელ რიგ ქვეყნებში ან ყველა ქვეყანაში, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოსა და სამართლის არსის სწორად გაგება და მათი საერთო კანონზომიერებების ცოდნა, რასაც იძლევა „შესავალი სამართალმცოდნეობაში"; ხოლო ამ საერთო კანონზომიერებების დადგენისათვის „შესავალი სამართალმცოდნეობაში" სარგებლობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების მიერ ცალკეული ისტორიული პერიოდების, სამართლებრივი ძეგლებისა და სხვა ფაქტების შესწავლისა და შეფასების შედეგებით.

პოლიტიკურ-სამართლებრივ-ისტორიული მეცნიერებანი სწავლობენ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უმთავრესი იდეების, შეხედულებების, თეორიების განვითარებას უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. მათ რომ სწორი შეფასება მისცენ ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმდინარეობას, მოძღვრებას, პოლიტიკური მოაზროვნის შეხედულებებს, უნდა გამოიყენონ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ის სწორი გაგება, რასაც იძლევა „შესავალი სამართალმცოდნეობაში", მეორეს მხრივ, პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების განვითარების ცოდნა, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ-სამართლებრივ-ისტორიული დოგმების წარმოშობისა და განვითარების, რეაქციულ-პოლიტიკურ იდეოლოგიას, თან ეს ცოდნა ხელს უწყობს „შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინის განვითარებას და მის დრმად ათვისებას.

დისციპლინა „შესავალი სამართალმცოდნეობაში" მჭიდრო კავშირშია სპეციალურ დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან, რადგანაც იგი ზოგადად შეისწავლის ცნებებს, დებულებებს, დასკვნებს სახელმ-

წიფოსა და სამართლის შესახებ, ხოლო სპეციალური დარგობრივი მეცნიერებანი ამ ზოგადზე დაყრდნობით, კონკრეტულად შეისწავლიან გარკვეულ ურთიერთობებს. სამართლის ცალკეული დარგის მიღწევებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს „შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინისათვის მის მიერ თეორიული დებულებებისა და ზოგადი ცნებების უკეთ შესამუშავებლად.

იურიდიული შემეცნების განვითარების მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ისეთი იურიდიული დისციპლინების ფორმირება, როგორებიცაა, მაგალითად, **სამართლის ფილოსოფია, სამართლის სოციოლოგია, სამართლის პოლიტოლოგია, სამართლებრივი კიბერნეტიკა, სამართლებრივი სტატისტიკა, სამართლებრივი ინფორმატიკა** და ზოგიერთი სხვა **დისციპლინა**. ამ დისციპლინების ჩამოყალიბება ხდება იურისპრუდენციისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების შეხებისას. ამდაგვარი დისციპლინების ფორმირება ადასტურებს, რომ იურისპრუდენციის ადრინდელი დისციპლინათაშორისი კავშირები მომიჯნავე მეცნიერებებთან, მათი კვლევის მეთოდებისა

და ხერხების, თეორიული დებულებებისა და ა.შ ათვისება აღარ აკმაყოფილებენ იურიდიული მეცნიერებების თეორიულ-შემეცნებით მოთხოვნებს და საჭიროებენ გარკვეული პრობლემების სისტემატურად გადამუშავებას დამოუკიდებელი იურიდიული მეცნიერებების ჩარჩოებში.

ისეთი იურიდიული დისციპლინების არსებობა, როგორებიცაა, მაგალითად, „სამართლის ფილოსოფია", „სამართლის სოციოლოგია", „იურიდიული ანთროპოლოგია", „სამართლებრივი კიბერნეტიკა" და ა.შ. სულაც არ გამორიცხავს ასევეთვე სახელწოდების დარგობრივ მეცნიერებებს. მაგალითად, სამართლის ფილოსოფია ვითარდებოდა და დღესაც ვითარდება, როგორც განსაკუთრებული ფილოსოფიური მეცნიერება ისევ ფილოსოფიურ მეცნიერებებთან ერთად, როგორებიცაა: „ბუნების ფილოსოფია", „ისტორიის ფილოსოფია", „რელიგიის ფილოსოფია" და ა.შ. ზუსტად ასევეა შესაძლებელი (და სასურველიც) სამართლის სოციოლოგია, როგორც სოციოლოგიური დისციპლინა, იურიდიული ანთროპოლოგია, როგორც ანთროპოლოგიური მეცნიერება, აგრეთვე სამართლებ-რივი

კიბერნეტიკა, როგორც კიბერნეტიკის მეცნიერება და ა.შ. იურისპრუდენციის ჩარჩოებში ზემოხსენებული დისციპლინები თავისი პროფილითა და სტატუსით მიეკუთვნებიან ზოგადმეცნიერულ და არა დარგობრივი ხასიათის მეცნიერებებს.

სამართლის ფილოსოფია ანტიკური ხანის საბერძნეთში ჩამოყალიბებული. მის განვითარებაში ლომის წვლილი სოფისტებს მიუძღვით. მე-19 საუკუნემდე სამართლის ფილოსოფია, ფილოსოფიის კლასიკური დარგია და იგი ბუნებითი სამართლის ისტორიის შესაბამისია. სამართლის ფილოსოფიის ძირითადი საკითხი „სამართლიანი სამართალია". მისი დაინტერესების სფეროა არსიდან ჯერარსში გადასვლის პროცესი, სამართლის ადგილი სოციალურ ნორმათა სისტემაში და ა.შ., სამართლის ფილოსოფია არის პრაქტიკული ფილოსოფიის ნაწილი, იგი მისდევს ფილოსოფიის მეთოდურ მითითებებს.[7] სამართლის ფილოსოფიაში შეხების წერტილები აქვთ იურიდიულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას, როცა ფილო-

[7] Smid. St., Einfuhrung in die Philosophie des Rechis, Munchen,1991,S. 19

სოფიურ სპექტრში განიხილება მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემები.

სამართლის სოციოლოგიის დაინტერესების სფეროა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. სამართლის კავშირი სხვა სოციალურ ნორმებთან. კავშირი პოლიტიკასა და სამართალს შორის. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, სამართლის სოციოლოგია სწავლობს ისეთ სამართალს, რომელიც მოქმედია. მისთვის მეტად მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის ეფექტურობა და შეიმუშავებს წინადადებებს მის გასაუმჯობესებლად. იგი ადგენს მართლშეგნების დონეს და მის გავლენას საზოგადოების წევრებზე, ავლენს სამართალდარღვევების მიზეზებს და მათი ჩადენის შემთხვევაში, იურიდიული პასუხისმგებლობის ეფექტიანობას.

იურისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია **სამართლებრივი ინფორმატიკის** ცოდნა, რაც ხელს უწყობს მათ ნორმატიული მასალის მოძიებისა და ანალიზისათვის.

რაც შეეხება გამოყენებით-იურიდიულ მეცნიერებებს, როგორებიცაა, მაგალითად, „კრიმინალისტიკა“, „სასამართლო მედიცინა“, „სასამართლო ფსიქიატრია“, „სასამართლო ბულალტერია“ და ა.შ., მათთან „შესავალს სამართალმცოდნეობაში არა აქვს მჭიდრო კავშირი, ისინი გამოყენებით-იურიდიულ მეცნიერებებად მოიაზრებიან, რადგანაც იყენებენ სხვა მეცხიერებების მიღწევებს. მაგალითად, კრიმინალისტიკა სხვადასხვა ექსპერტიზების ჩატარებისას იყენებს ტექნიკურ მეცნიერებათა, მედიცინის მეცნიერებათა და სხვა მეცნიერებათა გარკვეულ მიღწევებს.

— რაც შეეხება მეხუთე ჯგუფს, ეს არის კავშირი საერთაშორისო სამართალთან, რომელსაც ადრე მიაკუთვნებდნენ დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა რიცხვს, მაგრამ დღეისათვის საერთაშორისო სამართალი თვითონ მოიცავს ისეთ ცალკეულ დარგებს, როგორებიცაა, მაგალითად: საერთაშორისო სისხლის სამართალი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; საერთაშორისო კერძო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საზღვაო სამართალი, საჰაერო სამართალი და ა.შ.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში“

↓

კავშირი აქვს:

ისეთ საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, როგორებიცაა:

- ფილოსოფია
- ეკონომიკური მეცნიერებანი
- სოციოლოგია
- პოლიტოლოგია
- სოციალური ფსიქოლოგია

„შესავალი სამართალმცოდნეობაში"

↓

კავშირი აქვს: ისეთ იურიდიულ მეცნიერებებთან, როგორებიცაა:

- ზოგადიურიდიული მეცნიერებანი
- დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი
- გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებანი
- საერთაშორისო სამართალი
- მომიჯნავე მეცნიერებანი

ზოგადიურიდიული მეცნიერებებია

↓

- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია
- სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია
- პოლიტიკურ-სამართლებრივ-ისტორიული მეცნიერებანი

დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი

- საკონსტიტუციო სამართალი
- სისხლის სამართალი
- ადმინისტრაციული სამართალი
- სამოქალაქო სამართალი
- შრომის სამართალი
- ეკოლოგიური სამართალი
- პროცესუალური დარგები
  და ა.შ.

გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებანი

- კრიმინალისტიკა
- სასამართლო მედიცინა
- სასამართლო ფსიქიატრია
- სასამართლო გუდალტერია
- და ა.შ

საერთაშორისო სამართალი

- თვითონ საერთაშორისო სამართალი
- საერაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
- საზღვაო სამართალი
- საჰაერო სამართალი

და ა.შ

მომიჯნავე მეცნიერებანი:

- სამართლის ფილოსოფია
- სამართლის სოციოლოგია
- სამართლებრივი ინფორმატიკა
- იურიდიული ანთროპოლოგია
- სამართლებრივი კიბერნეტიკა

და ა.შ

§ 4 „შესავალი სამართალმცოდნეობაში"

ფუნქციები

ამ პარაგრაფში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ დისციპლინის ფუნქციებს: კერძოდ ონთოლოგიურ, გნოსეოლოგიურ, ევრისტიკულ, მეთოდოლოგიურ, პოლიტიკურ-მმართველობით, იდეოლოგიურ, პრაქტიკულ-გამოყენებით, პროგნოზირებისა და სხვა ფუნქციებს

„შესავალი სამართალმცოდნეობაში", როგორც სასწავლო დისციპლინა, როგორც სამართლებრივი მეცნიერებების ანბანი, ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს. ეს ფუნქციებია: ონთოლოგიური, გნოსეოლოგიური, ევრისტიკული, მეთოდოლოგიური, პოლიტიკურ-მმართველობითი, იდეოლოგიური, პრაქტიკულ-გამოყენებითი, პროგნოზირებისა და სხვა ფუნქციები.

ONTOLOGIURI FUNQCIA. ონთოლოგია არის მოძღვრება ყოფიერების შესახებ, რომელშიც განი-

ხილება ყოფიერების საფუძვლები, პრინციპები, მისი სტრუქტურა და თავისებურებანი.

ონთოლოგიური ფუნქციის განხორციელებისას „შესავალი სამართალმცოდნეობაში" პასუხობს პრობლემურ კითხვებს: რა არის სახელმწიფო, რა არის სამართალი, როგორ და რატომ წარმოიშვნენ ისინი, რას წარმოადგენენ ისინი აწმყოში, როგორი იქნება მათი ბედი მომავალში? მოვლენები, რომლებსაც სახელმწიფოს, როგორც მთელის შიგნით ვხვდებით, პრინციპულად თავისი ონთოლოგიური ბუნების შინაგან სხვადასხვაობას გვიჩვენებს.

GNOSEOLOGIURI FUNQCIA. გნოსეოლოგია ანუ შემეცნების თეორია მიზნად ისახავს სამართლებრივი შემეცნების განვითარებას თეორიული კონსტრუქციებითა და ხერხებით, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ ცოდნას აძლევს, აგრეთვე მეცნიერული მეთოდოლოგიის და ამასთან დაკავშირებული შესაბამისი პრობლემების გულმოდგინე დამუშავება გვაძლევს გნოსეოლოგიურ ანალიზს.

ევრისტიკული ფუნქცია. ევრისტიკა არის ჭეშმარიტების კვლევის, ახალი აღმოჩენების ხელოვნება. „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ არ შემოიფარგლება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნებითა და განმარტებით, იგი ჩვენს დროში, კერძოდ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ხსნის მათი განვითარების ახალ კანონზომიერებებსა და პრობლემებს.

მეთოდოლოგიური ფუნქცია. „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ ასრულებს მეთოდოლოგიურ ფუნქციას ფუნდამენტურ და დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა მიმართ, თეორიულ და ლოგიკურ მთლიანობას ანიჭებს მოცემული დისციპლინის პრობლემებს, განაზოგადებს სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ პრაქტიკას, აყალიბებს იდეებსა და დასკვნებს, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მთელი იურისპრუდენციისათვის.

პოლიტიკურ-მმართველობითი ფუნქცია. სახელმწიფოცა და სამართალიც ყოველთვის იყო, არის და იქნება პოლიტიკური ბრძოლის, მწვავე პოლიტიკური დისკუსიების ყურადღების ცენტრში. ტერმინი „პოლიტიკა“ ბერძნულად სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს. პოლიტიკის დამაგვირგვინებელი – სახელმწიფო ხელისუფლებაა, ამიტომაც იბრძვიან ასე აქტიურად პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები პოლიტიკური ძალაუფლებისათვის. პოლიტიკურ-მმართველობითი ფუნქციის რეალიზაცია ხდება სახელმწიფო მმართველობის მეშვეობით.

იდეოლოგიური ფუნქცია. იდეოლოგია არის საბაზო (ფუძემდებლური) იდეების, მეცნიერებისა და შეხედულებების სისტემა, რომლის შესაბამისადაც ყალიბდება პიროვნების, სოციალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული პოზიცია. მოცემული დისციპლინა ახდენს კვლევის საგნის შესახებ იდეების აკუმულაციას და სისტემაში მოყვანას, მეცნიერულ საფუძველს უქმნის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.

პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია. შესავალი სამართალმცოდნეობაში, როგორც სახელმწიფოსა და სამართლის ფუნქციონირების მეცნიერული სა-

ფუძველი, შეიმუშაავებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მშენებლობის მრავალრიცხოვანი პრობლემის გადაწყვეტის რეკომენდაციებს, განსაკუთრებით, თანამედროვე, რთულ პერიოდში.

პროგნოზირების ფუნქცია. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების კანონზომიერებათა აღიარების საფუძველზე მოცემული დისციპლინა აყალიბებს მათი მომავლის ჰიპოთეზას, რომელთა ჭეშმარიტება შემდგომში პრაქტიკით მოწმდება. სამეცნიერო პროგნოზირებას აქვს დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს სამართლებრივი სფეროს განჭვრეტისათვის, რაც იძლევა სახელმწიფოებრიობის მომავლის ხედვის საშუალებას. მაშინაც კი, როდესაც მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზები არ ხორციელდება, პროგნოზირება მაინც აფხიზლებს აზროვნებას და მოქმედებას დამაჯერებლობას ანიჭებს.

„შესავალს სამართალმცოდნეობაში“ ახასიათებს აგრეთვე ემპირიული, ანალიტიკური და ნორმატიული ფუნქციები.

ემპირიული ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ სამართლის ნორმებთან ერთად შეისწავლება სამართლის სოციალური დანიშნულება, აგრეთვე თუ როგორ ზემოქმედებენ ნორმები ადამიანთა ქცევებზე, თუ ფაქტობრივად როგორ მოქმედებენ სამართლის ნორმები, თუ რამდენად ეფექტურია სამართალი და ა.შ.

ანალიტიკური ფუნქცია. გამოიხატება სამართლის ძირითადი ცნებების, სამართლის წყაროების, სამართლის ნორმის სტრუქტურის ანალიზში.

ნორმატიული ფუნქცია. ნორმატიული ფუნქცია ითვალისწინებს სამართლის მთელი რიგი პრობლემების შესწავლას, მაგალითად ისეთი პრობლემების, როგორიცაა სამართლის მოქმედების საფუძვლები, სამართლის შეფარდების მეთოდები, სამართლიანობა და „მართალი სამართალი“ და სხვ.[8]

[8] (იხ. Ruthers, B.,Rechtstheone. Begriff, Geltung und Anwendung des Rechts, Munchen, 1919, S.15 წიგნში გ.ხუბუა სამართლის თეორია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004 წ., გვ.13)

„შესავალი სამართალმცოდნეობაში"

ფუნქციები

- ონთოლოგიური ფუნქცია.
- გნოსეოლოგიური ფუნქცია.
- ეკრისტიკული ფუნქცია.
- მეთოდოლოგიური ფუნქცია.
- პოლიტიკურ-მმართველობითი ფუნქცია.
- იდეოლოგიური ფუნქცია.
- პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია.
- პროგნოზირების ფუნქცია.
- ემპირიული ფუნქცია
- ანალიტიკური ფუნქცია.
- ნორმატიული ფუნქცია.

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. განსაზღვრეთ „შესავალი სამართალმცოდნეობაში", როგორც სახწავლო დისციპლინა

2. ჩამოაყალიბეთ, რაში გამოიხატება ამ დისციპლინის თავისებურებანი;

3. განსაზღვრეთ როგორ ხდება იურიდიულ მეცნიერებათა კლასიფიკაცია?

4. გადმოეცით რა სახის მეთოდებია თქვენთვის ცნობილი?

5. ჩამოაყალიბეთ რა განსხვავებაა ზოგადმეცნიერულ და კერძომეცნიერულ მეთოდებს შორის?

6. რა იგულისხმება, მაგალითად, კონკრეტულ-სოციოლოგიურ მეთოდში, რა ხერხებით ხდება მისი განხორციელება?

7. როგორია „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ დისციპლინის კავშირი, მაგალითად, დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან?

8. დააკონკრეტეთ რა კავშირი აქვს მოცემულ დისციპლინას გამოყენებით იურიდიულ მეცნიერებებთან?

9. როგორ ფუნქციებს ასრულებს მოცემული დისციპლინა?

10. ჩამოაყალიბეთ რა იგულისხმება დისციპლინის ნორმატიულ ფუნქციაში.

საშინაო დავალება:

კონკრეტულად განსაზღვრეთ როგორი კავშირი აქვს დისციპლინას „შესავალი სამართალმცოდნეობაში“: სოციოლოგიასთან; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიასთან; კრიმინალისტიკასთან; საერთაშორისო სამართალთან.

თავი II

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა



თავი II

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა

თემის სტრუქტურა:

§1. საზოგადოების ცნება, მისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

§2. პირველყოფილი თემური წყობილება და მისი რღვევა;

§3. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ფაქტორები;

§4. სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები

თემის მიზანი:

თემის მიზანია ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტს თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო და სამართალი, როგორი იყო საზოგადოება მათ წარმოშობამდე, რა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები არსებობდა მასში, როგორ და რა სახით ხდებოდა ადამიანთა შორის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, როგორ ხასიათდება პირველყოფილი

თემური წყობილება, რა კანონზომიერებებმა განაპირობა მისი რღვევა და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა, აგრეთვე ძირითადად რა ფორმებით ხდებოდა სახელმწიფოს წარმოშობა.

იმისათვის, რომ ბასაბები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ თუ რა არის საზოგადოება
- ✓ როგორი სოციალური ინსტიტუტები იყო პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებაში;
- ✓ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მიმთვისებლური და მწარმოებლური პერიოდები;
- ✓ როგორ ხდებოდა ადამიანთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება;
- ✓ რა მოვლენებმა განაპირობეს გვაროვნული წყობილების რღვევა;
- ✓ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი სახელმწიფოს წარმოშობას
- ✓ რა ძირითადი ფორმებია ცნობილი სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ.

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

- თუ როგორი საზოგადოება არსებობდა სახელმწიფოს წარმოშობამდე,
- როგორი იყო სახელმწიფომდელი საზოგადოების სამეურნეო და სოციალური სისტემა;
- შეძლებენ დაახასიათონ პირველყოფილი გვაროვნული წყობილება, როგორ და რა მიზეზებით ხდება მისი რღვევა.
- შეძლებენ განასხვაონ ერთმანეთისაგან მიმთვისებლური და მწარმოებლური პერიოდები;
- კერძო საკუთრების გაჩენის კანონზომიერებების ჩამოყალიბება;
- თუ საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე როგორი იყო სოციალური ხელისუფლება;
- რა სახის იყო პირველი სამეურნეო წყობა, სოციალური სტრუქტურა, სოციალური ინსტიტუტები, პოლიტიკური ცხოვრება და საქმიანობა.

- რა სახის სოციალური ნორმები არსებობდა სახელმწიფომდელ საზოგადოებაში;
- თუ რა კანონზომიერებებმა განაპირობეს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა.
- შეძლებენ ჩამოაყალიბონ სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები ათენის, რომისა და ფრანკთა სახელმწიფოების წარმოშობის მაგალითზე და განასხვაონ ისინი ერთმანეთისაგან მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით;

§ 1. საზოგადოების ცნება, მისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები.

ამ პარაგრაფში შევეხებით საზოგადოების განვითარების ევოლუციას ანტიკური პერიოდიდან დღემდე. განვიხილავთ გვაროვნული საზოგადოების სოციალურ სისტემას და ურთიერთობების მოწესრიგების საფუძვლებს. გავეცნობით და დავახასიათებთ მიმთვისებლურ და მწარმოებლურ პერიოდებს და ამ პერიოდში გავრცელებულ სოციალური ნორმების სახეებსა და ტაბუს.

საზოგადოება, განვითარების საწყის ეტაპზე არის ადამიანთა თანაცხოვრებისა და კოლექტიური საქმიანობის აუცილებელი ფორმა. საზოგადოება, როგორც ადამიანთა ერთიანობა საერთო მიზნებითა და ინტერესებით ხასიათდება. ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად განიხილება საზოგადოებასთან ერთად გაჩენილი სოციალური ხელისუფლებაც. პირველი სოციალური ინსტიტუტი – გვარი, ტომი, ტომთა კავშირები, რელიგიური გაერთიანებები (ორდენები), საფაჭრო გილდიები.

ორ მილიონამდე წლის წინათ ადამიანი გამოეყო ცხოველთა სამყაროს და დაიწყო შრომის პრიმიტიული იარაღების გამოყენება. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მისი ორგანიზმი – ტვინი, იმის საფარველი, კიდურები, მეტყველების აპარატი – ფიზიოლოგიურ ცვლილებას განიცდიდა. ორმოცი ათასი წლის წინათ ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის ადამიანი homo sapiens ანუ გონიერი ადამიანი. რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ჩვენი წინაპრები, ის კი, ნამდვილად. ცნობილია, რომ პირველი ადამიანი დაიბადა როგორც სოციალური არსება, რომელსაც ჯოგისმაგმავი არსებობა ახასიათებდა. მაშასადამე, ადამიანი და საზოგადოება განუყოფელ კავშირშია, ისინი წარმოიშვებიან და ევოლუციას განიცდიან ერთდროულად. არსებობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში, როცა ადამიანი პლანეტაზე ჯერ კიდევ არ არის უპირატესი ბიოლო-

გიური სახეობა, ინდივიდუალურად მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

სახელმწიფოსა და სამართლის გამოვლინებას წინ უსწრებს ადამიანთა თანასაზოგადოების ფორმირება.

სამეურნეო წყობა. პირველყოფილი საზოგადოების სამეურნეო წყობა ხასიათდება ეკონომიკის მიმთვისებლური ტიპით, კვების პროდუქტები არ წარმოიქმნება, ისინი მოიპოვება ნადირობით, თევზჭერით, შემგროვებლობით. არსებობს შრომის დანაწილება ასაკობრივი და სქესობრივი ნიშნით. მთავარი ამოცანაა – ბუნებისაგან აიღო ის, რაც შეიძლება მისგან მიიღო. აქედანაა სწორედ პირველყოფილი საზოგადოების სრული დამოკიდებულება ბუნებაზე.

მიმთვისებლური ეკონომიკა პირველყოფილი საზოგადოების მოთარეშე ცხოვრებას განაპირობებს. საკვები რესურსების გამოლევა ერთ ადგილას მოსახლეობას ახალი ადგილების მოსაძებნად გადაადგილებას აიძულებს. ამიტომ პირველყოფილ თანასაზოგადოებაში არ არის საკუთარი ანუ მიმაგრებული ტერიტორია; არ არის სამშობლოს, როგორც კონკრეტული ადგილის ცნება, სადაც დაიბადე შენ და შენი მშობლები, სხვა წინაპრები. ტრანსპორტირების სირთულეები აიძულებენ ადამიანებს ემოქმედათ პრინციპით „ყველაფერი საკუთარი თან დამაქვს"; მინიმუმამდე იყო დაყვანილი შრომის იარაღების დამზადება, რაც სერიოზულად აფერხებდა მატერიალური კულტურის განვითარებას.

პირველყოფილი საზოგადოების ყოველი ახალი დღე იწყება საკვების ძიებით. ადამიანი მოიპოვებდა იმდენს, რამდენიც უშუალოდ შეეძლო მოეხმარა „ამიტომ გრძელვადიანი მარაგი არ იქმნებოდა. ზედმეტი პროდუქტი არ არსებობდა. მიმთვისებლური ეკონომიკა საშუალებას იძლევა კოლექტივის წევრთა მაქსიმალური ძალისხმევისა და დაძაბულობის შედეგად მოპოვებული საკვებით დაკმაყოფილდეს საზოგადოების მხოლოდ მინიმალური მოთხოვნები.

პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია შრომის წარმოების მეტად დაბალი დონე, იარაღის არასრულყოფილება, ზედმეტი პროდუქციის არ არსებობა.

სოციალური სტრუქტურა. პირველყოფილ საზოგადოებას ახასიათებს ადამიანთა მცირე, უმნიშვნელო რაოდენობა, დაახლოებით ოცდან ას ადამიანამდე.

პირველყოფილ მონადირეთა ლოკალური ჯგუფის შემადგენლობის რაოდენობა განისაზღვრებოდა საკვები პროდუქციის კონცენტრაციით. დღეისათვის არ არის დადასტურებული ისეთი ანთროპოლოგიური თეორიების უტყუარობა, როგორიცაა მატრიარქატი და პროისკუიტეტი (უწესრიგო სქესობრივი კავშირები ჯგუფში). არსებობდა პირველყოფილი ოჯახი, ხშირად ეს ოჯახები იყო პოლიგამიური.

მთავარი სოციალური დახასიათება პირველყოფილი საზოგადოებისა – გვაროვნულ-ტომობრივი (კლანური) ორგანიზაციაა. ადამიანთა შორის კავშირები აიგებოდა საცხოვრებელ ტერიტორიაზე და არა ნათესაობის მიხედვით. გვარი (კლანი) არის ადამიანთა მყარი კავშირი, რომლებიც ერთმანეთთან სისხლით ნათესაობითაა დაკავშირებული, ხასიათდება საერთო საკუთრებით, ერთიანი კულტურით (ტრადიციები, ენა, თანაცხოვრება) და ერთიანი სამეურნეო საქმიანობით.

გვაროვნული წყობა ხასიათდება სოციალურ-კლასობრივი ერთიანობით, ანუ კლასობრივი, ქონებრივი ან სოციალური ნიშნით უთანასწორობის არ არსებობით. ეკონომიკური პირობები, მონობა ჯერ არ იყო ფორმულირებული,

პოლიტიკური ცხოვრება ხასიათდება სამი ელემენტით: პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ცხოვრება და საქმიანობა, პოლიტიკური კულტურა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ საკითხზე, რომ განცალკევებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული ადამიანები ჯერ კიდევ არ ქმნიან საზოგადოებას. ის წარმოიქმნება მხოლოდ იქ, სადაც ცალკეულ პიროვნებებს შორის აღმოცენ-დება გარკვეული ურთიერთობები, რომელთა ერთობ-ლიობა აღინიშნება სოციალური ცხოვრების ცნებით.

საზოგადოება ადამიანთა ურთიერთმოქმედების შედეგია, მათი ცხოვრების გარკვეული ორგანიზაციაა, იგი შინაგანად წინააღმდეგობრივი ორგანიზმია, რომლის არსიც მის მრავალფეროვან (ეკონომიკურ, ზნეობრივ,

რელიგიურ და სხვ.) კავშირებში მდგომარეობს, ადამიანთა გაერთიანებებსა და ერთობებს შორის ეს არის კავშირების რთული თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც ეკონომიკური, ოჯახური, ჯგუფური, ეთნიკური, წოდებრივი კლასობრივი ურთიერთობებითა და ინტერესებით ერთიანდება. სტუდენტები განსაკუთრებით უნდა დავაინტერესოთ საკითხებით, რომ საზოგადოებაში, პირველ რიგში, მოქმედებენ არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური კანონები. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში **არისტოტელე** (384-322 წ. ძვ.წ.აღ-ამდე) ამბობდა, რომ ადამიანი მოაზროვნე საზოგადოებრივი არსებაა, ამიტომ საზოგადოების მთავარი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გონიერ არსებათა ურთიერთკავშირების სისტემას წარმოადგენს.

საზოგადოება ადამიანების მრავალფეროვან ურთიერთობათა ერთობლიობის აუცილებელი ფორმაა, რომელიც ყალიბდება კულტურის ფარგლებში, მისი არსებობისა და ცვალებადობის საკუთარი სპეციფიკური კანონებით.

საზოგადოება ადამიანების ისტორიული ერთიანობაა. ცხადია, რომ ინდივიდების ყოველგვარი შემთხვევითი და დროებითი გაერთიანება საზოგადოებას ვერ შექმნის. ამისათვის აუცილებელია საერთო მიზნებისა და ინტერესების არსებობა.

საზოგადოების ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა წესრიგი. ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, სტაბილურობა, შეთანხმება, გარკვეული ჰარმონია ხალხის ქცევაში, რაც ასახავს საზოგადოების კულტურული ცხოვრების მიღწეულ დონეს და ვლინდება ისეთ თვისებრივ მაჩვენებლებში, როგორიცაა გეგმაზომიერება, რიტმულობა, მატერიალური წარმოების სფეროში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაში სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესის მართვა და ა.შ. უწესრიგობა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს, იგი სტიქიურობასა და არაორგანიზებულობას ანუ ქაოსს ნიშნავს.

ამ საკითხის დასრულების შემდეგ პედაგოგმა სტუდენტებს აუცილებლად უნდა განემარტოს, რომ ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად გაჩნდა სოციალური ხელისუფლება, როგორც მისი განუყოფელი და

აუცილებელი ნაწილი. საზოგადოება, განვითარების საწყის ეტაპზე არის ადამიანთა თანაცხოვრებისა და კოლექტიური საქმიანობის აუცილებელი ფორმა. საზოგადოება, როგორც ადამიანთა ერთიანობა საერთო მიზნებითა და ინტერესებით ხასიათდება. ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად განიხილება საზოგადოებასთან ერთად გაჩენილი სოციალური ხელისუფლებაც. პირველი სოციალური ინსტიტუტი – გვარი, ტომი, ტომთა კავშირები, რელიგიური გაერთიანებები (ორდენები), სავაჭრო გილდიები.

საზოგადოება არის:

↓

- **საზოგადოება** ადამიანების მრავალფეროვან ურთიერთობათა ერთიობლიობის აუცილებელი ფორმა,
- **საზოგადოება** ადამიანების ისტორიული ერთიანობაა.
- **საზოგადოების** ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა წესრიგი.
- **საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა** სამი ელემენტისაგან შედგება: პოლიტიკური სისტემა; ადამიანთა პოლიტიკური ცხოვრება-საქმიანობა და პოლიტიკური კულტურა.

§ 2. პირველყოფილი თემური წყობილება და მისი რღვევა

ამ პარაგრაფში სტუდენტებს შევახსენებთ და განვუმარტავთ, რომ პირველყოფილი თემური წყობილება იყო ადამიანთა საზოგადოების პირველი ფორმა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობამდე, საკუთრების რა სახეები არსებობდა, ადამიანებს ჯერ რომ არ შეუძლიათ რთული იარაღების შექმნა და მეტად პრიმიტიული იარაღებით სარგებლობდნენ. მისდევდნენ საერთო შრომას, იყო საერთო საკუთრება იარაღებსა და მიწაზე.

პირველყოფილი გვაროვნული წყობილების პერიოდში ადამიანთა ცხოვრებისა და შეგნების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია კოლექტივიზმი. კოლექტივიზმი ამ პერიოდის ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის უნივერსალური პრინციპია ანუ ეს არის ადა-

მიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, მისი შემეცნებითი დამოკიდებულება და საქმიანობა.

კოლექტიური საზოგადოებრივი საკუთრება იყო ამ წყობილების ეკონომიკური საფუძველი. ადამიანები ცხოვრობდნენ ჯერ ჯოგებად, შემდეგ ჩამოყალიბდა უფრო მყარი და მრავალრიცხოვანი გაერთიანება – **გვარი**. მოუწესრიგებელი იყო სქესობრივი ურთიერთობა, ადგილი ჰქონდა სისხლის აღრევას (ინცესტს), რაც უარყოფითად მოქმედებდა ადამიანთა განვითარებაზე. გვარის წარმოშობის შემდეგ სქესობრივი კავშირი შეიძლებოდა მხოლოდ სხვა გვარის წევრებთან. პედაგოგმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს, რომ დასაწყისში იყო **მატრიარქატი** ანუ დედამთავრული გვარი (ე.წ. **მიმთვისებლური** პერიოდი (ნაყოფის, კენკრის მოგროვება და ა.შ.), შემდგომში, როცა ადამიანებმა დაიწყეს ლითონის გამოდნობა და იარაღის დამზადება, მიწათმოქმედება და მეჯოგეობა და საჭირო გახდა მამაკაცის შრომა (**მწარმოებლური** პერიოდი), მატრიარქატი შეიცვალა მამამთავრული გვარით ანუ **პატრიარქატით**. საგვარეული

თემის სათავეში დგება მამაკაცი და ნათესაობაც მამის ხაზით განისაზღვრებოდა.

გვარის წევრები თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ადამიანები იყვნენ. გვარის ყველა საქმე წყდებოდა მის სრულწლოვან წევრთა **საერთო კრებაზე**, სადაც თითოეულს შეეძლო თავისუფლად გამოეთქვა თავისი აზრი და წამოეყენებინა რაიმე წინადადება.

გვაროვნულ წყობილებაში არ არსებობდა რაიმე საჯარო ხელისუფლება, სპეციალური აპარატი ან ორგანო სისტემატური ძალადობის, იძულების გამოყენებისა და ადამიანების დასამორჩილებლად.

პედაგოგმა **სტუდენტების** ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ მართალია, გვარი თავის საერთო კრებაზე ირჩევდა უსუცესს, ბელადს, წინამძღოლს, მაგრამ მათ ხელისუფლებას არაფერი ჰქონ-და საერთო სახელმწიფო ხელისუფლებასთან. რამდენიმე გვარი შეადგენდა **ტომს**. თითოეულ ტომს ჰქონდა თავისი ტერიტორია, რომლის ფარგლებში ტომის წევრები ნადირობდნენ და თევზაობდნენ. ზოგჯერ

ცოლქეული ტომები ქმნიდნენ ტომთა კავშირებს, ამ კავშირებს შორის ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები საუკეთესო საცხოვრებელი ადგილების მოსაპოვებლად. ტყვედ ჩავარდნილებს ან ადგილზე ხოცავდნენ ან საკუთარი ტომის წევრებად აერთიანებდნენ. მთელი ტომის საერთო საქმეები წყდებოდა **ტომის საბჭოში**, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გვარის წინამძღოლები.

ამერიკელი მეცნიერის და მკვლევარი **ლუის მორგანმა (1818-1881)** დაგვიტოვა ჩანაწერები, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა – ირიკეზების ტომებში 40 წლის მანძილზე საკუთარი ცხოვრების შესახებ. იგი იკვლევდა მათ ცხოვრებას. მორგანმა დაასაბუთა, რომ საკუთრება ვითარდებოდა კოლექტიურიდან კერძომდე, რომ ოჯახისა და ქორწინების ევოლუცია ჯგუფურიდან ინდივიდუალურ ფორმებამდე ვითარდებოდა. მის ნაშრომში „ძველი საზოგადოება“ აღწერილია, რომ თითოეული გვარის მეთაურს ე.წ. **„საჰემს“** და სხვა ბელადებს თავისუფალი კენჭისყრის საფუძველზე ირჩევდა გვარის სრულწლოვანი წევრების საერთო კრება – **გვარის საბჭო**. ძველ ბერძნებში გვა-

რის მეთაურებს, ე.წ. „არქონტებს“ ირჩევდა და ცვლიდა გვარის წევრთა კრება, ხოლო ტომის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა სახალხო კრება – აგორა (რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ ტომის მამაკაცები), ყოველდღიურ საქმიანობას განაგებდა უხუცესთა საბჭო – ბულე, ხოლო სამხედრო წინამძღოლი იყო ტომის მიერ არჩეული – „ბასილევსი“. ძველ რომაელებში ბულადი იყო „რექსი“, რომელიც სამხედრო წინამძღოლისა და ქურუმის როლსაც ასრულებდა. აღმოსავლურ სლავურ ტომებში მათ მეთაურს მთავარი - „კნიაზი“ ეწოდებოდა, ხოლო სახალხო კრებას ერქვა „ვეჩე“.

შემდგომში პედაგოგი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ პირველყოფილ გვაროვნულ წყობაში საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება არ ხდებოდა რაიმე დაწერილი კანონებით ან სამართლებრივი ნორმებით, მაგრამ ამ დროისათვის არსებობდა სხვა სახეობის ნორმები – ქცევის წესები, რომლებიც დაუწერელი ჩვეულებების (ადათების) სახით მოქმედებდნენ. ადათ-ჩვეულებების შესრულება ხდებოდა არა სპეციალური იძულებითი აპა-

რატის მეშვეობით, არამედ დამკვიდრებული ტრადიციების, გამომუშავებული ჩვევების გამო, უხუცესების და ბელადების გავლენით. ჩვეულებების მიხედვით, გვარის წევრები ვალდებული იყვნენ ყოველმხრივ დახმარებოდნენ ერთმანეთს, დაეცვათ ერთმანეთი და ზიანის შემთხვევაში შური ეძიათ. დამკვიდრდა „ტალიონის პრინციპი“ („თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“)[9], როცა ჩადენილი ქმედების სამართლიანი მოქმედება ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც მას შეურაცხმყოფელმა მიაყენა. აღნიშნულის თაობაზე საუბარია ბიბლიაშიც. ძველ აღთქმაში ეკითხულობთ: „თუ კაცმა ცემით მოკლა კაცი, თავადაც უნდა მოკვდეს“;[10] შემდგომში ტალიონის პრინციპი შეიცვალა და ჩამოყალიბდა ე.წ. „კომპოზიციის პრინციპი“, როდესაც შესაძლებელი გახდა დაზარალებულის ან მისი ნათესავის სასარგებლოდ რაიმე ქონებრივი სასყიდლის გადაცემა.

ადამიანები მითებიდან ლოგოსამდე მიდიოდნენ ეტაპობრივად. საზოგადოებაში პირველყოფილი შემეცნების ძირითადი აზრისა და ფუნქციური როლის გა-

[9] იხ. ძველი აღთქმა. გამოსვლა. 21,24
[10] იხ. ძველი აღთქმა. გამოსვლა 21,12

მართლება, ისევე, როგორც მისი ისტორიული თავისებურებების არსი დაიყვანება ფუნდამენტურ ფაქტამდე, რომლის თანახმადაც ადამიანის ბუნებისადმი შემეცნებითი ურთიერთობის წარმოსახვით-ფანტასტიურ ხასიათს მივყავართ სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის შექმნისაკენ. პირველყოფილი ადამიანი ვერ განასხვავებს იდეალურსა დაა მატერიალურს, ყოველგვარ იდეალურს მიიჩნევს მატერიალურად. სინკრეტიზმის (არადანაწევრიანების, შერწყმულობის) მოვლენა გვაროვნული თემური წყობილებისადმი ამ საზოგადოების ყველა ასპექტში გვევლინება. აქედან გამომდინარეობს პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების სოციონორმატიული კულტურის მნიშვნელოვანი პრინციპი: ნორმა და ქცევის ღირებულებები ერთსაირია როგორც ადამიანებისათვის, ისე ზებუნებრივი ძალებისათვის, ცხოველებისათვის და ა.შ. უძველესი ადამიანის ცნობიერებაში ყველაფერს არსებულს ჰქონდა უფლება ეარსება სწორედ იმიტომ, რომ იგი დიდხანს არსებობდა. რეალური ყოფიერება ჯანონებს მას მომავალი შესაძლებელი ყოფიერების სახით. ყველაფერი საჭირო განისაზღვრება არსით, ხოლო ნორმა კი – ფაქტით.

ადამიანთა ქცევის წესები დგინდება ამ პერიოდის ჩვეულებებით და არ იყო მხოლოდ ბუნების კანონები, თუმცა, მასში ბუნებრივი ელემენტები ნათლადაა გამოხატული. ეს უკვე იყო სოციალური ჩვეულებები და სოციალური ნორმები და კითხვა სწორედ იმაში მდგომარეობს, როგორ უნდა დავახასიათოთ ეს სოციალურობა. საწყის სტადიებზე ნორმის ბუნებითი და სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური ელემენტები შერწყმული იყო, თუმცა უკვე მაშინ ნორმისადმი რაციონალური დამოკიდებულება შესამჩნევად ვლინდებოდა. უძველესი ადამიანი თავისი ქცევისადმი მოთხოვნილებას განიცდიდა, მას ესაჭიროებოდა თავისი ქცევის ახსნა, ესაჭიროებოდა არა მხოლოდ თავისი ქცევის განმსაზღვრელი ნორმის ფორმულირება, არამედ მისი განსაზღვრაც. ყოველივე კი იმის საფუძველს იძლევა, რომ გამოვყოთ და დავასაბუთოთ უძველესი სამყაროს, როგორც არქაული კულტურის ნორმატიული ფუნქცია. პირველყოფილ წყობილებაში ბატონობს არა ინსტიქტი და ჩვევა, არამედ ნორმა – შეგნების პროდუქტი, თუმცა, ქცევის თანამედროვე სოციალური ნორმის ტიპებისაგან და განსხვავებული

ნორმებისაგან. პირველყოფილ ნორმაში წარსული ბატონობს აწმყოზე და მას თავისებურად აყალიბებს.

კოლექტიურობის პრინციპმა სამართლიანობის წარმოდგენებში და პირველყოფილ საზოგადოებაში მოახდინა ევოლუცია ინდივიდის გარკვევებაზე, კოლექტივის შიგნით პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ინდივიდუალურის კერძო საწყისების გამოყოფაზე. ასევე ევოლუციას განიცდის გვაროვნული საზოგადოების სოციალური სამართლიანობის ნიშანი – მის წევრთა თანასწორობიდან სოციალურ უთანასწორობამდე, თუმცა შედარებით ინტენსიურად ეს ყალიბდებოდა პირველყოფილი საზოგადოების რღვევის სტადიაზე.

პირველყოფილი კოლექტივისადმი მიკუთვნება, ბუნებრივი მექანიზმების მეშვეობით მასში ჩაბმა ის ამოსავალი მდგომარეობაა, საიდანაც ადამიანი იწყებს თავისი ისტორიისა და კულტურის შექმნას. კოლექტივიზმის ბუნებითი ხასიათი, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა ინდივიდუალიზაციის შეღწევას ჯგუფის შიგნით, მაგრამ ნორმატიულ სფეროში მათ ხვდებოდათ სხვადასხვაგვარი ურთიერთობები: ერთნი ნამდვილად იდევნებოდნენ და იზღუდებოდნენ, მეორენი

კი, პირიქით, წახალისებას ექვემდებარებოდნენ. თემთა შორის ურთიერთობების მომწესრიგებელი ჩვეულებები აგზავნიან აგრესიას და ძალადობას გარკვეული ნარჩოების ფარგლებში, სწორედ ისინი წარმოადგენდნენ პირველ ინსტიტუციონალურ ფორმას. ამ სახის ნორმებში ადამიანები უარყოფდნენ უსაზღვრო ძალადობას, ასევე უარყოფდნენ ამ ძალადობით მიყენებულ ზარალს.

პირველყოფილი გვაროვნული

წყობილება

↓

მატრიარქატი
(ანუ დედამთავრული ხანა)
მიმთვისებლური პერიოდი

↓

პატრიარქატი
(ანუ მამამთავრული ხანა)
მწარმოებლური პერიოდი

პირველყოფილი გვაროვნული

წყობილება

↓

- **გვარი**
- **თემი**
- **ტომი**
- **ფრატრია**

ადამიანთა შორის ურთიერთობის

მოწესრიგება ხდებოდა:

- ადათებით
- ჩვეულებებით
- ტრადიციებით
- რელიგიური რიტუალებით

ადათები - სამართლის

წინაპირობა

„ტალიონის პრინციპი" -
როცა ჩადენილი ქმედების საპასუხო მოქმედება ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც შეურაცხმყოფელმა მიაყენა დაზარალებულს.

„კომპოზიციის პრინციპი", როდესაც შესაძლებელი გახდა დაზარალებულის ან მისი ნათესავის სასარგებლოდ რაიმე ქონებრივი სასყიდლის გადაცემა.

§ 3. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის კანონზომიერებანი

ამ პარაგრაფში ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი მეცნიერებაში ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, რომ ამ ურთულესი პრობლემის საფუძველში დევს სხვადასხვა იდეური, ფილოსოფიური შეხედულებები და მიმდინარეობები, რომ თანამედროვე მატერიალისტური მეცნიერება თვლის, რომ სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა მიმთვისებელური ეკონომიკიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლის გამო ან მათი წარმოშობა განაპირობა თვით ადამიანის განვითარებამაც.

სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია წარმოიქმნა არა უცებ და შემთხვევით, არამედ მისი წარმოშობა განაპირობა შემდეგმა ქვემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა:

- **ეკონომიკური ფაქტორი.** როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შრომის მწარმოებლურობას მივყავართ წარმოებული პროდუქციის ზრდისაკენ და შესაბამისად, ჩნდება კერძო საკუთრება, ხდება გვარის ცალკეული წევრების გამდიდრება, გვარის ცალკეულ ოჯახებად განცალკევება, ისინი ეკონომიკურად დამოუკიდებლები ხდებიან, საკუთრება გადაეცემათ მემკვიდრეობით. წარმოიშვება ეკონომიკური უთანასწორობა, ძლიერდება ეკონომიკური წინააღმდეგობანი, უთანხმოებანი, ინტერესები, იქმნება მონობის წარმოშობის წინაპირობები, ანუ წარმოიშვება სხვისი შრომის ექსპლუატაციის წინაპირობები. საკუთრების დასაცავად და ექსპლუატაციის შესანარჩუნებლად, ეკონომიკურად უფრო ძლიერთა ინტერესების დასაცავად (როგორც საშინაო, ისე საგარეო მუქარისა და თავდასხმისაგან) საჭირო ხდება ახალი ორგანიზაციის შექმნა და სწორედ ასეთ ორგანიზაციად გვევლინება სახელმწიფო.

- **ეკოლოგიური ფაქტორი.** სახელმწიფოს წარმოშობაზე არსებითი გავლენა იქონია ეკოლოგიურმა ფაქტორმა. ამინდმა, გეოგრაფიულმა პირობებმა შეიძლება განაწყონ ადამიანები გარკ-

ვეული ცხოვრების წესისადმი. ამ პირობებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ შრომის იარაღების გამოყენების ხასიათზე (მოახდინონ მათი გაუმჯობესება) ე.ი. ამ ფაქტორებს მივყავართ ცხოვრების უკეთესობისაკენ გარდაქმნასთან

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება **დემოგრაფიულ ფაქტორს.** ევროპიური მრავალი ხალხისათვის სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტორად ითვლება ჩ.წ.აღრ-მდე პირველ საუკუნეში ტომების გადასახლება. მიგრაცია და მასთან დაკავშირებული ტომთა განსახლება. მოსულები ქმნიან ტომთა საბჭოებს. ეს არ იყო ეთნიკური, ეს იყო საშხედრო-ტერიტორიული წარმონაქმნები. ხდება ტრადიციული გვაროვნული კავშირების მოსპობა და იქმნება წინაპირობები სახელმწიფოს წარმოშობისათვის.

- **საბარეო ფაქტორი.** საზოგადოების გაერთიანებასა და მის განმტკიცებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა საგარეო გარემოებანი: მუქარა

სხვა ტომებისაგან, ცხოვრება ისე, რომ სიკეთილს გადაურჩეს, დამოუკიდებლად იარსებოს. ყოველივე აიძულებს ზოგიერთ ტომს, რომ შექმნან ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები საკუთარი ინტერესების დასაცავად, მტრის იდეამ ხელი შეუწყო საშინაო თვითორგანიზაციას, რომელიც გადაიზარდა ეფექტურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად.

- **საშხედრო ფაქტორი.** საზოგადოებას –სახელმწიფოებრიობამდე გადასვლის სხვადასხვა ეტაპზე ხელს უწყობდა ომების მნიშვნელობა და საშხედრო ორგანიზაცია, იმის გარდა, რომ მუდმივად პირუტყვისა და მონების გატაცებებით მდიდრდებოდნენ, საშხედრო ორგანიზაციები საჭირო იყვნენ ტომთა ინტერესების დასაცავად. მნიშვნელოვანი იყო სხვა გარემოებაც – საშხედრო ყოფა კონსოლიდირებდა პირველყოფილ საზოგადოებას და ნათესაურ ტომებს ხელს უწყობდა ერთიან ხალხად გაერთიანებაში. ამას კი, თავის მხრივ, მივყავდით სხვა

ტომების ბელადების ხელისუფლების უზურპაციისაკენ.

- სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია **გეოგრაფიული ფაქტორიც**. პირველი მოხათმფლობელური სახელმწიფოების წარმოშობა ხდება სუბტროპიკული კლიმატის რაიონებში. ხალხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის ზომიერი კლიმატის მქონე უზარმაზარ სივრცეებში, პირველყოფილი გვაროვნული წყობის რღვევის შემდეგ წარმოიქმნებოდა არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური სახელმწიფოები.

- სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობაზე ზემოქმედებენ აგრეთვე **ფსიქოლოგიური** სახიათის **ფაქტორები**. მაგალითად, ბოშათა მომთაბარე ცხოვრება შერწყმულია მათთან, როგორც თავისუფლებისმოყვარე ეთნოსთან, სწორედ ამასთან ასოცირდება, რომ მათ არ აქვთ სახელმწიფო. თავისუფლებისმოყვარულ კავკასიელ

ხალხებშიც გართულდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება

- ძლიერ ზემოქმედებას სახელმწიფოს წარმოშობაზე ახორციელებს **რელიგიური ფაქტორი**. მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფაქტორია მონორელიგიები. რელიგია აკავშირებდა და განამტკიცებდა გაფანტულ საზოგადოებას ერთ სოციალურ-პოლიტიკურ საზოგადოებად – ხალხად, ხდება ხელისუფლების კურთხევა, მას ენიჭება უმაღლესი ღვთაებრივი ხასიათი. განსაკუთრების სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ხელი შეუწყო იმას, რომ ხელისუფლება ხელმწიფის სახით ღებულობს ღვთაებრივ ძალას და უპირობოდ უმორჩილებს ამ ხელისუფლებას ხალხის მასებს.

ეს ხანგრძლივი პროცესია, დასახელებული ფაქტორები სხვადასხვა თანწყობით მოქმედებდნენ. ამჟამად დომინირებს აზრი, რომ სახელმწიფოს წარმოშობის აღმოსავლური და ევროპული გზები არსებობენ.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐ ანუ წარმოების აზიური წესი (ჯერ უძველეს აღმოსავლეთში, შემდეგ აფრიკაში, ამერიკასა და ა.შ) ითვალისწინებდა, რომ გვარისა და ტომის დიდგვაროვანთა ტრანსფორმაცია ხდებოდა სახელმწიფო ორგანოებად, მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრება თანდათანობით სახელმწიფოს ხელში გადადიოდა, ხდება მსხვილმასშტაბიანი სახოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება. ასეთი სამუშაოებისათვის საჭირო იყო მნიშვნელოვანი ორგანიზაციული მომზადება და ეფექტური მმართველობა. ეკონომიკა ეფუძნებოდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საკუთრებას, იმ პერიოდში კერძო საკუთრება არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს, რამდენადაც შენარჩუნებული იყო თემობრივი ცხოვრების წესი. ამიტომ ყველაზე უძველესი სახელმწიფოები წარმოიშვა ნილოსის, ეფრატის, ინდის, განგის ველებზე. როგორც სამართლიანად აღინიშნება ლიტერატურაში, აღმოსავლეთში, წარმოიშვა პირველი მკაცრი რეჟიმები, აბსოლუტური მონარქიები, ტრადიციული კასტები. ამ რეგიონებში აქტიური როლი ითამაშა იდეოლოგიამ (რელიგია), რომელიც აღიარებდა ერთისადმი მორჩილებას, მაგრამ ხელისუფლების ეს

ფორმა შედარებით ნაკლებად პროგრესული გამოდგა, უფრო დესპოტური, სწორედ ამით განსხვავდება იგი ევროპულისაგან.

როგორც სპეციალისტები თვლიან, სახელმწიფოს წარმოშობის ევროპული გზა არის ყველაზე სწრაფი, წამყვანი და პროგრესული გზა, **ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ** სახელმწიფოს შექმნის მთავარი ფაქტორი იყო საზოგადოების კლასებად დაყოფა, რომელიც მიწაზე, საქონელსა და მონებზე კერძო საკუთრების ინტენსიური ფორმირებით იყო განპირობებული (ე.ი. სახეზეა ეკონომიკური უთანასწორობა) სახელმწიფო ხდება აუცილებელი ორგანიზაცია ბატონობის განმტკიცებისათვის, საკუთრების დასაცავად, ექსპლუატირებული მასის წინააღმდეგობის დასათრგუნად (მაგალითად, სპარტაში – 32 ათასი თავისუფალი მოქალაქე იყო, ხოლო 220 ათასი მონა; რომში – 2-3 მილიონი რიმაელი, 50-60 მილიონი ხელისუფლების მორჩილი ადამიანია).

ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე გამოთქმულია ორი მოსაზრება: პირველნი ამტკიცებდნენ,

რომ წარმოიშობოდა პირდაპირ ფეოდალური სახელმწიფოები (მაგალითად, გერმანია, რუსეთი); მეორენი კი ვარაუდობდნენ, რომ დგება წინა ფეოდალური ხანგრძლივი პერიოდი.

პირველყოფილი საზოგადოება ცხოვრობდა დაძაბულ ნორმატიულ რეჟიმში, რომელშიც საშინაო და საგარეო რეგულაციის საშუალებები გამომუშავდება ადამიანის ცხოვრების ტრადიციულობით, ხოლო ნორმატიული შეგნება, სინამდვილეში, გამოყოფილი არ არის შეგნებული პრაქტიკული საქმიანობისაგან. მეფობდნენ ტრადიციები და ჩვეულებები.

საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად გაჩნდა კერძო საკუთრება, რასაც ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ. ადამიანები თავს ანებებენ საერთო შრომას, საგვარეულო თემი იყოფა დიდ პატრიარქალურ ოჯახებად, რომლებიც ეწევიან დამოუკიდებელ მეურნეობას, ხდება ზედმეტი პროდუქციის გაცვლა-გამოცვლა, ჩნდებიან მდიდრები და ღარიბები, ე.ი. ირღვევა პირველყოფილი თემური წყობილება და საზოგადოებაში ჩნდებიან მკვეთრად და-

პირისპირებული ფენები, რომლებსაც შემდგომში კლასები შეარქვეს.

სახელმწიფოს წარმოშობის ფორმებშიც, ძველ ბერძნებში, რომაელებსა და გერმანელებშიც ჩანს განსხვავებები. რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამართლის წარმოშობა. სამართლის წარმოშობის მიზეზები სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზების იდენტურია. სამართლის წარმოშობა სახელმწიფოს წარმოშობის პარალელურ პროცესში მიმდინარეობს. ეს კანონზომიერიცაა, რადგან სახელმწიფო და სამართალი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ერთი მეორეს გარეშე არ არსებობს. თუ სახელმწიფო ორგანოები წარმოიქმნებიან გვაროვნული ორგანიზაციის ორგანოებიდან სამართალი წარმოიშობა სახელმწიფომდელი სოციალური ნორმებიდან. სამართლის ჩამოყალიბება ხდება ჩვეულებებიდან, ტაბუსა და სხვა ნორმებისაგან, რომლებიც იცვლება, შეირჩევა, მიესადაგება ახალ სოციალურ ურთიერთობებს. მაგალითად, გვაროვნულ წყობაში არსებობდა სისხლის აღების საკი-

თხი, როგორც თავისი გვარის წევრთა დაცვის ერთ-ერთი საშუალება. დასაწყისში ეს ჩვეულება არ იზ-ღუდებოდა. შემდგომში შემოღებული იყო ე.წ. ტალიონის პრინციპი (ანუ მაყენებული ზიანის თანაზომიერების პრინციპი), რომელიც თანდათანობით იცვლება კომპოზიციის პრინციპით (სისხლის აღების გამოსყიდვის პრინციპი). ზიანის ანაზღაურების სახელმწიფოებრივი ზომები დგინდებოდა პირის – დაზარალებულის ან მოკლულის საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობის შესაბამისად.

ქართულ სამართლებრივ წყაროებში ცნობილია „ძეგლის დადება", რომელიც განსაზღვრავს სისხლის ოდენობას დაზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. სისხლის დაურვება ხდება ფულადი ან ქონებრივი საზღაურის სახით დანაშაულის ხიმძიმისა და დაზარალებულის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. სისხლი მთიულების სამართალშიც სასჯელის ძირითადი სახეა. „ძეგლის დადებაში" ვხვდებით სასჯელის სიმძიმის განსაზღვრას მოკლული პირის სტატუსის შესაბამისად. „ვინც ერისთავს მოკლავს,

ან „სისხლი მისი გუარსა ზედა დაიურვის"-ო. სამართლის წიგნის 31-ე მუხლიდან ჩანს, რომ ხევის ზოგიერთი წარჩინებული დს საპატიო პირის სისხლი 12.000 თეთრს შეადგენდა. გამგებლის, ხევისბერისა ან ხევისბერის გაუყოფარი კაცის მოკვლისათვის დამნაშავემ დაზარალებულის ოჯახს 6.000 თეთრი უნდა გადაუხადოსო. ციხისთავის მოკვლისათვის – 3.500, ხევისბერის „განაყოფი" კაცის მოკვლისათვის 3000, ლომისის გლეხის მოკვლისათვის – 1500, პეროვანის მოკვლისათვის – 1200, ამდენივე სისხლი იყო დაწესებული „უციხისთაო" კაცის ყოფილი ციხისთავისა თუ მისი ძმისა ან შვილის მოკვლისათვის", როგორც ვხედავთ, სისხლის დაურვება საქართველოში იმ პერიოდისათვის გვარისა და სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით ხდებოდა[11]

ჩვეულებების ტრანსფორმაციებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლოები, თანდათანობით ჩვეულებები იღებენ სამართლებრივი ჩვეულებების სახეს, როგორც სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ ჩვე-

[11] იხ. იადოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1957 წ., გვ. 37

ულებებს. პირველ ხანებში ეს იტარებდა ფაქტობრივ ხასიათს. სახელმწიფოს ოანამდებობის პირები, ამა თუ იმ ჩვეულებებს აღიარებდნენ, როგორც მოქმედ ჩვეულებებს და გადაწყვეტილებებს იღებდნენ მათ საფუძველზე. თანდათანობით ხდება ჩვეულებების სისტემატიზირება, იღებენ წერილობით სახეს.

პირველხანებში სახელმწიფოს წარმოშობისას ვხედებით ჩვეულებით სამართალს. პირველი სამართლებრივი წყაროები – ეს არის სამართლის ჩვეულებების სიები. მაგალითად, მათ რიცხვს მიაკუთვნებენ რომის სამართლის XII ტაბულის კანონს, ე.წ. ბარბაროსულ სამართალს (რუსულ სამართალს), ფრანკების „სალიკურ სამართალს"

ინგლისში ჩვეულებების საფუძველზე ეწყობა საერთო სამართალი, რომლის საფუძველსაც შეადგენენ პრეცედენტები (სასამართლო გადაწყვეტილებები).

სახელმწიფოს განვითარებასთან, მისი ცენტრალიზაციისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად ჩვეულებები აღარ არიან საკმარისი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებ-

ლად, რადგან მათში მრავლად შეიმჩნეოდა ხარვეზები, არასაკმარისი ოპერატიულობა. სახელმწიფო თვითონ იწყებს სამართლის ნორმების შექმნას სხვადასხვა ნორმატიული აქტის მიღების გზით (კონსტიტუციები, ბრძანებულებები, კანონები, დეკრეტები და ა.შ.).

სახელმწიფოს წარმოშობის დამხმარე ფაქტორები

- ეკონომიკური ფაქტორები
- ეკოლოგიური ფაქტორები
- დემოგრაფიული ფაქტორები
- საგარეო ფაქტორები
- სამხედრო ფაქტორები
- გეოგრაფიული ფაქტორები
- ფსიქოლოგიური ფაქტორები
- რელიგიური ფაქტორები

სახელმწიფოს წარმოშობის გზები

- წარმოშობის აღმოსავლური გზა
- წარმოშობის დასავლური გზა

§ 4. სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები

ამ საკითხის შესწავლისას, პარაგრაფში დაწვრილებით განიხილება თუ სახელმწიფოს წარმოშობის რა ფორმები არსებობდა ისტორიულად და შევისწავლით სამ ძირითად ფორმას, კერძოდ, თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო ათენში, რომში და ფრანკებში. ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოს წარმოშობის ამ სამ ფორმას შორის არსებულ განსხვავებებზეც.

ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" (1884 წ)[12], მითითებულია სახელმწიფოს წარმოშობა ათენში, სადაც სახელმწიფო, ჩვენამდე მოღწეული წყაროებით, შეიქმნა თვით საზოგადოების განვითარების შედეგად ანუ ყველაზე უფრო წმინდა კლასიკური გზით. ეს გზა შემდგომში მრავალი სახელმწიფოს წარმოშობის ტიპიურ გზად იქცა. აქ მთავარი და მნიშვნელოვანია ათენის საზოგადოებაში წარმოშობილი შიდა მიზეზები, კერძოდ, ძველი ათენელების სხვადასხვა ფენას შორის არსებული წინააღმდეგობანი. ამიტომ, დრაკონტი, ხოლონი და კლისფენი იძულებული გახდნენ გაეტარებინათ საშინაო ურთიერთობათა რეფორმირება, რომლებმაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობეს ათენის სახელმწიფოს წარმოშობა.

[12] Энгельс Ф. Происхождение семьи, частной собственности и государства. Маркс К.,Энгельс Ф.Соч. 2-е изд.,Т 21, М.,1968

დრაკონტმა შეზღუდა ხელისუფალთა ელიტის თვითნებობა, იგი თანაუგრძნობდა მესაკუთრეთა კერძო საკუთრების დაცვას. ხოლონმა ათენის მოსახლეობა დაყო სამ თანრიგად, რაც თავისთავად უკვე მიუთითებდა აქ გვაროვნული ურთიერთობების ნგრევას და ბოლოს, კლისფენმა ჩ.წ.ა.-მდე 500 წელს ჩაატარა ათენის ტერიტორიული ორგანიზაციის რეფორმა. მან ტერიტორია დაყო 10 ერთეულად. ყოველივემ განაპირობა ათენის სახელმწიფოს წარმოშობა.

რომში – სახელმწიფოს წარმოშობა დააჩქარა ბრძოლამ გვაროვნულ არისტოკრატიასა და მოსახლეობის თავისუფალ ფენას – პლებეებს თავისუფალი, არა რომის მოსახლეობა) შორის. რამაც გაანადგურა გვაროვნული წყობილება. ჩვენს წ.ალ-მდე VI საუკუნეში პლებეებს არ გააჩნდათ პოლიტიკური სამართალსუბიექტურობა, ამის გამო არ ჰქონდათ საკუთრებაში მიწის შეძენის უფლება და სხვა პრივილეგიები, რომლებითაც სარგებლობდნენ რომაელები. ამ ორ ფენას შორის ბრძოლა გრძელდება ძველი რომის ისტორიის მთელ სახელმწიფოებრივ პერიოდში. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო სერვიუს-ტულიოს რეფორმა, რომელმაც მთელი რომის ადმინისტრაციული ტერიტორია დაყო 21 ტრიბუნად. მაშასადამე, სერვიუს-ტულიუსმა მოახდინა რომის მოსახლეობის აღრიცვა, პატრიციებსა და პლებეებს შეეძლოთ ერთ ოლქში ცხოვრება.

XII ტაბულის კანონებში უფრო მეტადაა განმტკიცებული პლებეების სამართლებრივი მდგომარეობა. შემდგომში კანონმდებლობა პლებეებისა და პატრიციების ქორწინებების კანონიერებას აღიარებს;

პლებეებს უშვებს ქურუმთა კოლეგიებში და ა.შ. პლებეების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მიეყვანართ რომის საზოგადოების კონსოლიდაციისკენ: წარმომადგენლობითი ბრძოლა წყდება და ქრება, უკიდურეს შემთხვევაში კი, სუსტდება და ჩვ. წ.ალ-მდე III საუკუნეში რომი ხდება ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო.

ათენში და რომში წარმოიშვა მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფოები. სხვა სახელმწიფოები დასავლეთ და აღმოსავლეთ ევრობაში წარმოიქმნენ პირველყოფილი გვაროვნული ორგანიზაციის რღვევის შედეგად, როგორც ფეოდალური ტიპის სახელმწიფოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წარმოშობის მესამე მაგალითად, განხილულია **სახელმწიფოს წარმოშობა გერმანულ ტომებში - ფრანკებში,** განსხვავებით ათენისა და რომის სახელმწიფოებისაგან, ფრანკებში სახელმწიფოს წარმოშობა სხვაგვარად ხდება, კერძოდ, რომის განვითარებულ მონათმფლობელურ იმპერიას ამხობს ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებაში მცხოვრები გაერ-

თიანებული გერმანული ტომები. ეს ტომები განიცდიან გვაროვნული წყობილების რღვევას და ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობას. მათ დაპყრობილი აქვთ უდიდესი ტერიტორიები და მორჩილებაში ჰყავთ ძათი მოსახლეობა, ცვლიან გვაროვნული წყობილების დაწესებულებებს სელისუფლების სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით. სამხედრო მეთაური ადგილს უთმობს ხელმწიფეს და მის ძლიერ არმიას. ფორმირდება ახალი საჯარო ხელისუფლება, წარმოიშვა ახალი სახელმწიფო. შედეგად, ფრანკთა სახელმწიფო იყოფა სამ სახელმწიფოდ: საფრანგეთი, გერმანია და იტალია.

სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები

- სახელმწიფოს წარმოშობა ათენში – (წმინდა კლასიკური გზით, საზოგადოების განვითარების შედეგად);
- სახელმწიფოს წარმოშობა რომში – (საზოგადოების შიგნით არსებულ ორ ფენას: პატრიციებსა და პლებეებს შორის ბრძოლის შედეგად;)
- სახელმწიფოს წარმოშობა ფრანკებში – გარე ძალების ჩარევა, გაერთიანებული გერმანული ტომები იპყრობენ რომის განვითარებულ იმპერიას

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რა არის საზოგადოება?
2. როგორია საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაფარდობა
3. რა შედის საზოგადოების სოციალურ სისტემაში და რა სახის სოციალური ნორმები აწესრიგებდნენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს?
4. ქცევის რა სახის ნორმებით ხდებოდა ადამიანთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება?
5. რა სახის საჯელები იყო გათვალისწინებული პირველყოფილგვაროვნულ წყობილებაში ნორმების დარღვევის შემთხვევაში?
6. განასხვავეთ ერთმანეთისგან მიმთვისებლური და მწარმოებლური პერიოდები.
7. რა იგულისხმება პირველყოფილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში?
8. რა კანონზომიერებებმა განაპირობეს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა?
9. რით განსხვავდება სახელმწიფოს წარმოშობის ფორმები რომსა და ფრანკებში?

10. ჩამოაყალიბეთ საკუთარი ხედვა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

საშინაო დავალება:

- დაახასიათეთ საზოგადოება;
- კონკრეტულად განსაზღვრეთ რა განსხვავებაა ტალიონისა და კომპოზიციის პრინციპებს შორის.
- ჩამოაყალიბეთ რა თავისებურებები ახასიათებს მაგალითად, ფრანკთა სახელმწიფოს წარმოშობას
- წერილობით ჩამოაყალიბეთ ოქვენეული შეხედულება გვაროვნული წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

თავი III

თეორიები სახელმწიფოს წარმოშობისა და სამართლის არსის შესახებ

თავი 3

თეორიები სახელმწიფოს წარმოშობისა და სამართლის არსის შესახებ

თემის სტრუქტურა:

§ 1. თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

§ 2. თეორიები სამართლის არსის შესახებ

თემის მიზანი:

თემის მიზანია ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტს, თუ მეცნიერთა რა შეხედულებანი არსებობს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ და რა თეორიები არსებობდა სამართლის არსის შესახებ, რით განსხვავდებოდნენ ეს თეორიები ერთმანეთისაგან, ვინ იყვნენ მათი მიმდევრები, რა დამსახურება ჰქონდა თითოეულ თეორიას და როგორი თავისებურებანი ახასიათებდა თითოეულს.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შეეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ რა ძირითადი თეორიებია ცნობილი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ
- ✓ რა ძირითადი თეორიები არსებობს სამართლის არსის შესახებ
- ✓ რა ძირითადი თეორიებია ცნობილი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ანტიკური პერიოდიდან დღემდე
- ✓ რა ძირითადი თეორიები ახასიათებენ სახელმწიფოს არსს.
- ✓

თემის შეზღვავლის შედეგები:

სტუდენტს ეცოდინება:

- ➢ თუ როგორი საზოგადოება არსებობდა სახელმწიფოს წარმოშობამდე;
- ➢ როგორ ხასიათდება გვაროვნული წყობილება და რა კანონზომიერებებმა განაპირობეს ამდაგვარი საზოგადოების დაშლა.

- ➢ თუ სახელმწიფოს წარმოშობისა და სამართლის არსის შესახებ როგორი მეცნიერული შეხედულებანი არსებობს
- ➢ რა თავისებურებებით ხასიათდება თითოეული თეორია.

- • შეეძლებათ განასხვაონ ერთმანეთისაგან ეს თეორიები,
- • შეეძლებათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ, თუ რომელი თეორია მიაჩნიათ უფრო მართებულად.
- • ეცოდინებათ სამართლის არსის შესახებ არსებული კონცეფციები, რომელთა შესახებ დღესაც კი პლურალისტური შეხედულებანი არსებობს.

§1. თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

ამ საკითხის განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული ისეთ ცნობილ თეორიებზე, როგორიცაა თეოლოგიური თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რას ემსახურებოდა იგი. შემდეგ განვიხილავთ საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას, რომელსაც დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ჰოლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთში და ა.შ. და რომელსაც ფაქტობრივად ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავდა შუა საუკუნეების ევროპაში, ყურადღება დაეთმობა ძალმომრეობის ანუ დაპყრობის თეორიას, რომლის მიმდევრებიც ძირითადად სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლად ომებსა და დაპყრობით ბრძოლებს მიიჩნევდნენ. ასევე შევისწავლით პატრიმონიულ თეორიას, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს მიწაზე და მამულზე საკუთრების უფლებას. განვიხილავთ სახელმწიფოს წარმოშობის ფსიქოლოგიურ თეორიას, ორგანულ თეორიას, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ კონცეფციას, ირიგაციულ თეორიას, დიფუზურ, ინცესტურ, სპორტულ თეორიებს.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებობს მრავალი თეორია, რომელთა შორისაც ძირითადად წარმოდგენილია თეოლოგიური თეორია, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია, ძალმომრეობის ანუ დაპყრობის თეორია, პატრიმონიული თეორია, ფსიქოლოგიური თეორია, ორგანული თეორია, დიფუზური თეორია, ინცესტის თეორია, სპორტული თეორია, მარქსისტული კონცეფცია.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ **თეოლოგიური თეორიის** მიხედვით სახელმწიფო, ღვთის ნებით, მუდმივად არსებობს და ამიტომ ნებისმიერი პიროვნება ვალდებულია თავი დაუხარის და ყველაფერში დაემორჩილოს ამ ნებას. თავს იჩენს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში – ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვ., სადაც სახელმწიფო არსებობდა თაყისებური მონარქიის – აღმოსავლური დესპოტიის ფორმით. ამ თეორიის წარმომადგენლები არიან: **თომა აქვინელი (1225-1274), ჟოზე მარი, ბრაფი დე მესტრი (1753-1821) და ლუი ბაბრიელ ამბრუაზ ბონალდი (1754-1840)).**

თეოლოგიური თეორიის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საუბარია თომა აქვინელის ტრაქტატში „ხელმწიფეთა მმართველობის შესახებ". მან გადმოიღო არისტოტელეს მოძღვრებანი იმის შესახებ, რომ ადამიანი თავის ბუნებით წარმოადგენს კომუნიკაბელურ და პოლიტიკურ ცხოველს", ე.ი. თ.აქვინელის აზრით, ადამიანის სწრაფვა სახელმწიფოს წარმოშობისაკენ სრულიად შეესაბამება მის ბუნებას, რადგანაც ინდივიდი, როგორც ერთი და მარტო ვერ შეძლებს დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნები. სახელმწიფოა ამის განმახორციელებელი, მაგრამ სახელმწიფო იმავდროულად თვითონაა უნივერსალური წესრიგის განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც ღმერთის მიერაა შექმნილი. თომა აქვინელი თავის ტრაქტატში გადმოგვცემს, რომ მონარქის საქმიანობა ღმერთის საქმიანობას ჰგავს. მონარქი ღმერთის მსგავსად, აწესებს სახელმწიფოს და მხოლოდ ამის შემდეგ მართავს მას. სახელმწიფო ღვთაებრივი წარმოების შედეგია, იგი მუდმივია ისევე, როგორც ღმერთი.

ამ თეორიის სხვა მიმდევარი იოანე ზლატოუსტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ხელისუფლების არსებობა,

ღვთაებრივი სიბრძნის საქმეა და ამიტომ უნდა აღიაროს უდიდესი მადლიერება ღმერთისადმი, იმისათვის, რომ არიან ღმერთები და არიან მოსამართლეებიც[13]. მე-13 საუკუნეში შექმნილი თეორიის შეფასებისას, საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი განპირობებული იყო ადამიანთა რელიგიური შეგნებით, რაც ამ პერიოდისათვის დომინირებდა, შემდგომში, თეოლოგიური თეორია მონარქის შეუზღუდავ ხელისუფლებას ემსახურებოდა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია სახელმწიფოს წარმოშობას ხსნის ხელშეკრულების საფუძველზე, ე.ი ადამიანთა შორის შეთანხმების დადების შედეგად. ამ თეორიის წარმომადგენლები არიან: **ჰუგო გროციუსი (1583-1645), ბენედიქტ სპინოზა (1632-1677), თომას ჰობსი (1588-1679), ჯონ ლოკი (1632-1704), ვოლტერი (შარანსა მარი არუე 1694-1778), შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755), ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) , პოლ გოლბახი (1723-1789), ალექსანდრე რადიშჩევი (1749-1802). გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831).** როგორც თეორია იგი

[13] Златоуст И. Беседы и помысли. Творения святого нашего Иоанна Златоуста. В 12-т. Т 5. с.551

ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, ადამიანები ცხოვრობდნენ ბუნებრივ მდგომარეობაში და არსებობდნენ პრინციპით „ყველა ყველას წინააღმდეგ". ადამიანები ერთმანეთთან დებენ ხელშეკრულებას, საკუთარი უფლებების ნაწილს გადასცემენ თავისივე შექმნილ სახელმწიფოს და ემორჩილებიან მას. ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელის რუსოს „საკვლევი საგნის სირთულე ის გახლავთ, თუ როგორ უნდა გაიღოს ადამიანმა არსებობის შესანარჩუნებელი პირველი საშუალებები – ძალა და თავისუფლება – ისე, რომ არც საკუთარ თავს ავნოს და, იმავდროულად, არც საკუთარი ინტერესები უგულებელყოს"[14]. რუსოს, ისევე, როგორც ლოკს, პრობლემის გადასაჭრელად ყველაზე საუკეთესო გზად მიაჩნია ბუნებითი თავისუფლების დათმობა და მისი საერთო ნებით შემოფარგლული სამოქალაქო თავისუფლებისაგან მკვეთრად გამიჯვნა

[14] იხ. დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია. საზოგადოებრივი ხელშეკრულების რუსოსეული კონცეფცია, ფილოსოფია, დიალექტიკა, ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი, 2008 წელი გვ. 147

მიაჩნია, რადგან „ნებისმიერი კანონიერი ძალაუფლება ადამიანთა შორის შეთანხმებებს ეფუძნება"[15].

აღსანიშნავია ამ საკითხთან დაკავშირებით შ. მონტესკიეს მოსაზრებაც, რომელიც აღნიშნავს: „ჩვენ თავისუფალნი ვართ იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კანონების ძალაუფლებაში ვიმყოფებით; თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია"[16].

მართალია არ ჩანს, სად და ვის შორის ან როგორ დაიდო ადამიანთა შორის ხელშეკრულება, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს წარმოშობა ადამიანთა შეგნებულ საქმიანობას უკავშირდება. ამ თეორიამ საფუძველი ჩაუყარა სუვერენიტეტის საკითხს.

ფაქტობრივად, ამერიკელების საზოგადოებრივ ხელშეკრულებაზე საუბრობენ აეტორები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ახალი ინგლისის (აშშ-ის ჩრდილო-

[15] იხ.ჟ.რუსო. საზოგადოებრივი ხელშეკრულება. ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, თბილისი, 1997, გვ.14
[16] იხ. შ. მონტესკიე. კანონთა გონი, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, თბილისი, 1994, გვ 180

აღმოსავლეთის რეგიონი, ქალაქი ბოსტონი,შტატები: კონექტიკუტი, მეინი, მასაჩუსეტსი, ნიუ-ჰემფშირი, როდ-აილენდი, ვერმონტი) მოახალშენეების მიერ შედგა დოკუმენტი, სადაც ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ ახალი კოლონიები ინგლისის კანონებისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო. მათ თვითონ უნდა შეექმნათ თავიანთი მმართველობა. ამ დოკუმენტს ამერიკელი ისტორიკოსები მოიხსენებენ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის საფუძველს[17].

ძალმომრეობის თეორია სახელმწიფო წარმოიშვა ომებისა და დაპყრობების შედეგად. ამ თეორიის ფუძემდებლები არიან **ლუდვიგ გუმპლოვიჩი (1838-1909), კარლ კაუცკი (1854-1938) და ევგენი დიურინგი (1833-1921).** ძალმომრეობის თეორია სახელმწიფოს წარმოშობის ბუნებას ორგვარად ხსნის და ითვალისწინებს მისი განვითარების ორ ვარიანტს. პირველი ვარიანტი სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ოემთა ჯგუფებს შორის ფართომასშტაბიანი და გა-

[17] იხ. ავტორთა კოლექტივი. გრიერ ბუროუსი და სხვები. დემოკრატია და მოქალაქეობა. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო წარმომადგენლობა საქართველოში. თბილისი, 2011, გვ.43

ჯანურებული ომების შედეგს. ამ ომებით მიაღწიეს ტომობრივ ორგანიზაციამდე ან ბელადობამდე. ფართომასშტაბიანი კონფლიქტების მოგვარებისას ერთერთი ჯგუფი იპყრობს მეორეს და ხდება დამპყრობელის მიერ დაპყრობილის დამორჩილება. დამარცხებულებზე კონტროლის განხორციელებისათვის ჩნდებიან სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები. აქვე აღსანიშნავის, რომ ზოგი ომი მიმდინარეობდა არა მხოლოდ სხვათა დაპყრობის მიზნით, არამედ სომდიდრის მოსაპოვლებლად ან/და მტრის გარკვეული ტერიტორიიდან განდევნის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტები თანაბარი ხარისხით ჩნდებიან. კერძოდ, როგორც საზოგადოების ორგანიზაციების საშუალება ბრძოლისუნარიანობა ასამაღლებლად და როგორც საშუალება დაპყრობილი მიწების, როგორც საკუთრების განმტკიცებისათვის და დაპყრობილი ტერიტორიების გასაკონტროლებლად. მეორე ვარიანტში სახელმწიფოს წარმოშობის ძალმომრეობითი გზა ითვალისწინებს ჯერ კიდევ კერძო საკუთრების გაჩენამდე ადამიანთა ჯგუფების გამოყოფას, რომელთა მიზანიც მთელი რიგი ფუნქციების შესრულებაა. ამ შემთხვევაში, სახელმწი-

ფო მმართველობის ინსტიტუტები წარმოიქმნება, როგორც დაპყრობილებზე კონტროლის განმახორციელებელი ინსტრუმენტი.

იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ძალადობრივი გზით სახელმწიფოს წარმოშობის ორი ასპექტი: ერთის მხრივ, - კარლ კაუცკი და ლუდვიგ გუმპლოვიჩი, ხოლო მეორეს მხრივ, - ევგენი დიურინგი, კაკაუცკი და ლგუმპლოვიჩი ემხრობიან სახელმწიფოს წარმოშობის საგარეო ძალადობრივ თეორიას, ხოლო ევგენი დიურინგი კი სახელმწიფოს წარმოშობის შიდა ძალადობისა და საშინაო მიზეზების თეორიის მომხრეა. საგარეო და საშინაო ძალადობის თეორიები – ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თეორიაა, თუმცა მათ საერთო ნიშანიც აქვთ. ორივე შემთხვევაში, სახეზეა სახელმწიფოს წარმოშობის ძალისმიერი გზა და ამიტომ ამ თეორიას ძალმომრეობის ანუ ძალადობის თეორიას უწოდებენ.

პატრიარქალური თეორია. ადამიანები მიისწრაფვიან პატრიარქალური ოჯახის შექმნისაკენ, ხოლო ასეთი ოჯახების მომრავლება და მათი გაერთიანება იწვევს სახელმწიფოს წარმოქმნას. მოცემული თეორი-

ის ფუძემდებელია **პლატონი (427 – 347 ჩვ.წ.აღ-მდე) და არისტოტელე (387 – 322 ჩვ.წ.აღ-მდე)**, XVI საუკუნეში იგი განავითარა ინგლისელმა სამართალმცოდნემ **რობერტ ფილმერმა (1588 – 1653)**. პლატონი და არისტოტელე სახელმწიფოს ხედავენ ოჯახის გაზრდაში და მის განვითარებაში, სადაც ოჯახში მამის ხელისუფლება გადაიზრდება მონარქის ხელისუფლებაში. არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფო განვითარების პროდუქტია. რ.ფილმერის პატრიარქალური თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ იმის ნათელი მაგალითია, თუ მეცნიერების დახმარებით, როგორ ხდება ამა თუ იმ იდეოლოგიის თანადგომა (დაცვა), ფილმერი შეიძლება სამართლიანად დავადანაშაულოთ იმაში, რომ სახელმწიფოს წარმოშობა პატრიარქალური თეორიის მეშვეობით ამართლებს მონარქიულ ხელისუფლებას: იგი იმეორებს არისტოტელესა და პლატონის შეხედულებებს და არ არის განმტკიცებული რაიმე ისტორიული პრაქტიკით. ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ აგრეთვე ბონგაკი და ვოლტმანი, ნ. მიხაილოვსკი, მ. პოპროვსკი.

პატრიმონიული თეორია. (სიტყვა **„patrimonium“** ლათინურიდან ნიშნავს მამულს, საკუთრებას). შესაბამისად, სახელმწიფო შეიქმნა მიწაზე, მამულზე საკუთრების უფლების გამო.

სახელმწიფოს წარმოშობის ამ მოდელის ძირითადი მომენტები ჩადებულია გერმანელი პოლიტოლოგისა და სამართალმცოდნის **ლუდვიგ ფონ გალერის (1768-1854)** ნაშრომში „პოლიტიკურ მეცნიერებათა რესტავრაცია“. გალერი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზს ხედავს მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციაში. იგი საუბრობს ისეთ პრაქტიკაზე, როცა სხვადასხვა ხალხებს შორის ხდებოდა ფსიქოლოგიური კონფლიქტები, რის მიზეზებიც მიმოვისებლური ეკონომიკის დროს არის ტერიტორიებში. ლ.გალერი ამართლებს მონარქიულ ხელისუფლებას და ფეოდალურ წყობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ეს თეორია ვერ იქნება უნივერსალური, მას არ შეუძლია ახსნას სახელმწიფოს წარმოშობის მრავალფეროვანი გზები. ჰეგელი აკრიტიკებდა ამ თეორიას და მას გონიერებას მოკლებულს უწოდებდა.[18]

ფსიქოლოგიური თეორია. ამ თეორიის ძირითად წარმომადგენლებად ითვლებიან ფრანგი სოციოლოგი და კრიმინალისტი **გაბრიელ ტარდი (1843-1904)** და სამართალმცოდნე, სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელი **ლევ ოსიპოვიჩ პეტრაჟიცკი (1867-1931).** პეტრაჟიცკი ორიგინალურად ხსნის სამართლის ბუნებას (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ამავე თემის მეორე საკითხში – თეორიები სამართლის არსის შესახებ – მ.მ.) იგი აღნიშნავდა, რომ სამართლის საფუძვლები ფესვს იდგამენ არა სახელმწიფოს საქმიანობაში, არამედ ადამიანის ფსიქიკაში, მის ემოციებში. სახელმწიფო ამ თეორიის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამართლის ნორმათა სისტემის განხორციელებას და იცვლება მისი მოთხოვნების შესაბამისად. გ.ტარდი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ანალი-

[18] Гегель Г. Философия права., м. 1990, сю 269-285)

ზისას, ძირითადი კონფლიქტების მოგვარების სოციალურ პროცესებად მიიჩნევს მათთან შეგუებას.[19]

ფსიქოლოგიური მოდელი იძლევა სახელმწიფოსა და საზოგადოების განმარტებას, როგორც ადამიანებსა და სხვადასხვა გაერთიანებას შორის ფსიქიკური ურთიერთმოქმედების შედეგს.

ადამიანის ფსიქიკას, მის იმპულსებსა და ემოციებს უდიდესი როლი ენიჭებათ ადამიანების არა მხოლოდ ცვალებად პირობებთან შეგუებაში, არამედ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაშიც. სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ფსიქოლოგიური თეორიის საწყისი პოზიციის განმტკიცება ხდება ადამიანის იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომ იცხოვროს ორგანიზებული საზოგადოების ფარგლებში, აგრეთვე კოლექტიურად ურთიერთმოქმედების საჭიროების გრძნობაში.

ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტების წარმოშობის პროცესის წინაპირობები ცალკეულ ფსიქოლოგიურ განსხ-

[19] Тард Г. Социальная логика. СПб., 1996.

ვავებებშია. ჭეელა ადამიანი იყოფა ორ ჯგუფად: პ
ველ ჯგუფს მიაკუთვნებენ ადამიანებს, რომელ
აქვთ მიდრეკილება დაემორჩილონ ავტორიტეტს, ა
მოთხოვნა მიბაძონ ვინმეს, ხოლო მეორე ჯგუფ
არიან ძლიერი პიროვნებები, რომლებსაც აქვთ
დრეკილება გასცეან განკარგულებები და დაიმორ
ლონ სხვები. სწორედ მეორე ჯგუფიდან თანდათან
ბით ხდება ადამიანთა იმ ჯგუფის ფორმირება, რ
ლებიც ასრულებენ საზოგადოებისათვის მნიშვნელ
ვან ფუნქციებს, მომავალში მათგან წარმოიქმნება
ხელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები. პირველ
ჯგუფი კი, რომელიც სხვაზე მორჩილებით ხასიათ
ბა, კმაყოფილდება მაი მოქმედებების სამართლიან
ბის აღქმით, მათ ცხოვრებაში ყოველთვის სიმშვი
და სტაბილურობა შეაქვთ.

ფსიქოლოგიური თეორიის შეფასებისას, მიზანშ
წონილად მივიჩნევთ აღვნიშნოთ, რომ მართლაც, ად
მიანთა განსხვავებული ინტერესები, რომელთა რ
ლიზებაც ხდება ფსიქიკის მეშვეობით, მნიშვნელოვ
როლს თამაშობენ სახელმწიფოს წარმოშობაში.

ფსიქოლოგიური თეორიის განხილვისას, აუცილებლად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ მისი მიმდევრები სახელმწიფოს წარმოშობის სხვა მიზეზებს იგნორირებენ, ხოლო მათი შეხედულებები არ შეესაბამება სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკას. მოცემული თეორიის ძირითად ნაკლად მიიჩნევა ისიც, რომ მიმდევრები დიდ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ამ თეორიას არ ძალუძს სახელმწიფოს წარმოშობის პრაქტიკის მრავალასპექტიანი ანალიზი მოგვცეს, რამდენადაც იგი მხოლოდ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა, უდავოა ამ თეორიის მნიშვნელობა.

ორგანული თეორია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას ხსნის ბიოლოგიური მიზეზებით. სახელმწიფოსა და ადამიანის ორგანიზმს შორის მსგავსების პირველ ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ძველბერძენ მოაზროვნეებთან. მაგალითად, პლატონი ადარებდა სახელმწიფოს სტრუქტურასა და ფუნქციებს ადამიანისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. არისტოტელე თვლიდა, რომ სახელმწიფო, ცოცხალი ორგანიზმია და ამის საფუძველზე იგი უარყოფდა ადამიანის იზოლირებულად არსებობის შესაძლებლობას. წარმომადგენლები არიან **ოიგენ კასპარ ბლუნჩლი (1808-1881)** და **ჰერბერტ სპენსერი (1820-1903)**. გ.სპენსერი ზემოხსენებულზე დაყრდნობით, ქმნის სახელმწიფოს წარმოშობის ორგანულ თეორიას. სპენსერმა სერიოზულ თეორიულ დონეზე შეიმუშავა ბიოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან, ეთნოგრაფიასა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის მეცნიერებაში სპენსერმა ოსტატურად ახსნა და გამოიყენა უძველესი მეტაფორები სახელმწიფოსა და საზოგადოების ცოცხალ ორგანიზმთან მისადაგების შესახებ.[20] ჰ.სპენსერი საზოგადოებას განიხილავდა როგორც თავისებურ ორგანიზმს, რომელიც ევოლუციის საერთო კანონით ვითარდებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ ევოლუცია განუსაზღვრელიდან გარკვეულ ერთგვაროვნებამდე გადასვლაა, რომელსაც თან სდევს მატერიის ინტეგრაცია.[21] გ.სპენსერის აზრით, საზოგადოების გაჩენა და შემდეგ სახელმწიფოს წარმოშობაა სწორედ ასეთი

[20] იხ.პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია ვ.ს. ნერსესიანცის რედაქციით, მოსკოვი, ნორმა, 2001 წ (რუსულ ენაზე)

[21] Спенсер Г. Позитивная политика. СПб, 1892, сю48

ევოლუციის შედეგი. იმ პერიოდისათვის ასეთი თეორია იყო მოთხოვნადი, სპენსერმა, ერთ-ერთმა პირველმა შედარებით სრულად გამოიყენა საზოგადოებისა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის ანალოგია, იძლეოდა მათ მსგავსებას და განსხვავებებს. სპენსერმა სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზების გარდა, განავითარა მისი შემდგომი განვითარების კონცეფცია. იგი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სახელმწიფო არის თანდათანობის განვითარების, ევოლუციის შედეგი.

ი.ბლუნჩლი და ჰ.სპენსერი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანის გაჩენისთანავე. იარსებებს მანამ, სანამ არსებობს კაცობრიობა, ხოლო თვით სახელმწიფო და საზოგადოება თავისი სტრუქტურით ემსგავსება ადამიანის ორგანიზმს.

ორიგაციული თეორია. ამ თეორიის არსი კეიტფოგელის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო წარმოიშვება საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე, რომ მუდმივად განახორციელოს მსხვილმასშტაბური სამუშაოები სარწყავი არხების შესაქმნელად და საირიგაციო ნაგებობებზე. საზოგადოებას ცალკეულ რეგიონებში, მაგალითად, ეგვიპტეში, ჩინეთში და ა.შ არ შეუძლია იარსებოს, თუ არ ააშენებს სარწყავ არხებს. ასეთი სამუშაოების განხორციელება ითხოვს ადამიანთა დიდი ოდენობით მასების მობილიზებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებისა და მმართველობის მუდმივმოქმედი ორგანოების მიერ.

დიფუზური თეორია. დიფუზური თეორია გამოჩნდა მე-20 საუკუნეში, ეს კონცეფცია მიეკუთვნება სახელმწიფოს წარმოშობის იდეოლოგიურ თეორიებს. მისი ავტორია ამერიკელი პროფესორი **ჩ.ბრემბნერი**, რომელიც თავის თეორიას თვლიდა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ XIX-XX საუკუნეებში მიმდინარე პროცესებისანალიზის დასკვნით შედეგს. მოცემული თეორიის თანახმად, სახელმწიფო წარმოიქმნება განვითარების ორი ვარიანტის შესაბამისად. პირველი ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები წარმოიშობიან ერთ ხალხის მიერ სხვა ხალხებისათვის გამოცდილების გაზიარების შედეგად. დიფუზიური განვითარების მეორე ვარიანტში სახელმწიფო წარმოიშვება სახელმწიფოებრივ-სამართ-

ლებრივი გამოცდილების გაზიარების შედეგად იმ ტერიტორიებზე, სადაც ის ჯერ არ იყო მოთხოვნადი ახუ სადაც სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა. ეს თეორია ასაბუთებს სახელმწიფოებრიობის გაჩენის ამ ორ ვარიანტს ხალხთა შერეულობის პროცესით, რომელიც სულ უფრო მზარდი ტემპებით მიმდინარეობს. ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, ხალხთა დაახლოვება და მათი ურთიერთგამდიდრება –ბუნებრივი პროცესის, რაც გამომდინარეობს ხალხთა პოტენციალის განსხვავებიდან. ასეთ განსხვავება იაინი სსნიან საცხოვრებელი გარემოს კლიმატური და გეოგრაფიული პირობებით. დიფუზიური თეორია იდეოლოგიურია და ზედმეტად იდეალისტური[22].

რასობრივი თეორია. ამ თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელია გერმანელი ფილოსოფოსი და ლიტერატორი **ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900წწ),** რომელიც თავის ნაშრომში „ნება ხელისუფლებისაკენ", აგრეთვე სხვა შრომებშიც აყალიბებს იმ დებულებებს, რომლებიც შემდგომში რასობრივი მოძღვრებითაა ცნობილი.

[22] Гумплович Л. Общее учение о государстве. СПб., 1910. с.65

ფ. ნიცშე ყველა ინდივიდს სამ ტიპად ყოფს. ყოველ ჯანმრთელ საზოგადოებაში, როგორც ვარაუდობდა ნიცშე, სამი სხვადასხვა, ურთიერთდამამძიმებელი, ფიზიოლოგიური ტიპია. პირველ ტიპს მიაკუთვნებენ გენიალურ ადამიანებს, მეორეში აერთიანებენ გენიოსების იდეების შემსრულებელ ადამიანებს, რომლებიც პირველების მარჯვენა ხელს და მათ საუკეთესო მოსწავლეებს წარმოადგენენ და რომლების სამართლის, წესრიგისა და უსაფრთხოების დამცველებად გვევლინებიან და ბოლოს უშუალოდ ადამიანთა მასა. ნიცშე მთელ მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიას აიგივებს ორი ნების წინააღმდეგ ბრძოლასთან. ორ ნებაში იგულისხმება ძლიერთა ნება და სუსტების ნება. ნიცშე თვლიდა, რომ სახელმწიფო ერთ-ერთი სამსახურებრივი იარაღია და ძალასა და ნებას შორის ბრძოლის გამოვლინებაა.

ამ თეორიის მიმდევართა ჯგუფს მიეკუთვნება ფრანგი ფილოსოფოსი **ჟოზეფ არტურ დე გობინო (1816-1882),** რომელიც თავის ნაშრომში „გამოცდილება ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ" აღწერს სახელმწიფოს წარმოშობის რასობრივ მოდელს.

მთავარი აქ რასების სახესხვაობაა. ნაშრომში პირველადაა ჩამოყალიბებული რასათა უთანასწორობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, გონივრული და სხვა ურთიერთობების კუთხით. გობინო ადამიანებს უმაღლეს და უმდაბლეს რასებად ყოფს და მისი აზრით, სწორედ სახელმწიფოა მოწოდებული დაიცვას უმაღლესი რასის უმდაბლესზე მუდმივი ბატონობა. ანთროპოლოგიურმა მეცნიერებამ დაასაბუთა, რომ ადამიანთა შორის რასობრივი განსხვავებიდან და მათი მორალური და ინტელექტუალური დახასიათებისას, არავითარი განსხვავება არ არსებობს. მოცემულმა თეორიამ რეალური ისტორიული პრაქტიკიდან არასწორი და იმავდროულად რადიკალური დასკვნები გააკეთა.

ინცესტური თეორია. ამ თეორიის ავტორია ფრანგი ეთნოგრაფი და სოციოლოგი **ჯ.ლეკი-სტროსი**, რომელიც მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამ თეორიაში მოიაზრება ადამიანის აღწარმოების თავისებურებანი, კერძოდ, ინცესტზე ტაბუს დადება (სისხლითნათესაური ქორწინებები). სისხლის აღრევის აკრძალვა ხელს უწყობს ადამიანის გვარის

განეითარებას. თავისი გვარის ქალზე უარის თქმამ „შექმნა პირობები მეზობელი გვარის ქალთან დაახლოებისა, ამით საფუძველი ეყრება მუდმივი კომუნიკაციების სისტემას, ხდება არა მხოლოდ ქალთა გაცვლა, არამედ იცვლება ქონება ან საკვები გარკვეული სიტყვებით ან სიმბოლოებით. ყოველივემ შეადგინა კულტურის სტრუქტურული საფუძველი, მათი რიტუალები (პირველ რიგში, ქორწინების რიტუალები), ნორმები, წესები, აკრძალვები (ტაბუ) და სხვა სოციალური რეგულატორები"[23]

საზოგადოებისათვის უპირველესი ამოცანა გახდა ინცესტზე აკრძალვის დაცვა, რამაც, თავის მხრივ, მოითხოვა იძულების გამოყენება ანუ აკრძალვის დარღვევისათვის სასჯელის დადება. იქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს, ეს ჯგუფი სახელმწიფო მმართველობის პირველი ინსტიტუტის ბაზაა, მაგრამ დამსჯელი და მაკონტროლებელი ფუნქციები ერთადერთი როდია. ინცესტის დამღუპველობის შეგნებამ საჭირო გახადა ტომებს შორის კავშირების დამყარება რეპროდუქციული

[23] Василев Л. Становление политической администрации. Народы Азии и Африки. 1980ю № 1, с.175

ასაკის ქალთა გასაცვლელად, რამაც გამოიწვია ეკონომიკური და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაცია.

ლევი-სტროსმა სწორედ ამ ფაქტორებით დაასაბუთა თავის მიერ წამოწეული სახელმწიფოს წარმოშობის თეორია. ერთი შეხედვით, მის შეხედულებას სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკის ძალიან ვიწრო სფერო აქვს, თუმცა, ამ თეორიის მეცნიერული ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყენებს სხვების მიერ გამოუყენებელ ასპექტს, რომელიც ისტორიული პრაქტიკითაა დადასტურებული: „სახელმწიფო იბადება და ყალიბდება... როგორც საზოგადოების მოთხოვნის შედეგი. სწორედ ეს არის იმის მაგალითი, რომ იძულებითი საშუალებების დახმარებით განახორციელოს გარკვეული ფუნქციები, რომელთა რეალიზაციის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესი[24]. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს წარმოშობის ინცესტის თეორია არის ჰიპერტროფირებული ყურადღების შედეგი ფაქტორისადმი, რაც მსოფლიო ისტორიაში, უეჭველად, თან სდევს სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტების წარმოშობას. ავტორს არ შეიძლება არ დაეთანხმო, რომ ინცესტის აკრძალვამ ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე, რაც მიზეზი გახდა ტომებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცებისათვის, ეს კავშირები ატარებენ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მშვიდობიან ხასიათსაც.

[24] Луви-Стросс К. Первобытное мышление. М., Терра, 1999.

ამ მოდელის ყველაზე დიდ შეცდომას წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში სქესობრივი ფაქტორის როლის გადამეტება, მაგრამ მეორეს მხრივ, არ შეიძლება ინცესტზე აკრძალვის დაუფასებლობა. ამ ფაქტორს აქვს გარკვეული (თუმცა, რა თქმა უნდა, არა მთავარი) მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის წარმოქნისათვის.

სპორტული თეორია. მისი ფუძემდებელია **ორტეგა-ი-გასეტი ხოსე (1883-1955).** საზოგადოებისა და მის ევოლუციას იგი განიხილავს ელიტისა და მასების კულტურული კონფლიქტების კონტექტში. მისი მოძღვრებიდან გამომდინარე, ელიტა უმცირესობაშია,

ხოლო უმრავლესობას წარმოადგენს ხალხის რიგებიდან გამომდინარე პასიური მასა.

ორტეგას სპორტული თეორია განხილული აქვს თავის ნაშრომში „სახელმწიფოს სპორტული წარმოშობა". ადამიანისათვის, როგორც ბიოლოგიური არსებისათვის დამახასიათებელია აუცილებელი მოძრაობები – ვარჯიშები, რომლებიც გამომდინარეობდა ნადირობის, სამხედრო, ცეკვებიდან და სხვა წეს-ჩვეულებიდან.

სპორტული თეორიის თანახმად, საზოგადოების განვითარებამ, მწარმოებლური პროცესების გავრცელებამ გამოიწვია ადამიანის ფიზიკური აღზრდის პროცესის გართულებაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, საზოგადოების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებსაც, როგორიცაა, მაგალითად, სამხედრო აგრესია და მისგან თავდაცვა (ან ქვეყნის შეიარაღებული თავდაცვა). ცალკეული ინდივიდის მომზადება, მისი ფიზიკური აღზრდა ხდება არა მხოლოდ წარმოებისათვის, არამედ სამხედრო საკითხების მოსაწესრიგებლად, კერძოდ, სხვებზე თავდასხმების განხორციელებისათვის ან თავდაცვითი მოქ-მედებებისთვისაც. სპორტულ თეორიასთან დაკავშირებით, უპრიანია აღვნიშნოთ, რომ პირველყოფილი გვარიჯნული წყობილებისთვის ისტორიულად ცნობილია ისეთი ჩვეულება, როგორიცაა, მაგალითად, ინიციაცია[25], მიძღვნილი ახალი სოციალური ჯგუფის შესაქმნელად. მაგალითად, ყმაწვილების ერთი ჯგუფიდან მოზრდილ ჯგუფში (კლასში) გადასვლა და ა.შ.

ახალგაზრდებისაგან, რომლებიც დიდი ფიზიკური ძალით, გარკვეული პრაქტიკული მოსაცემებით, სწავლების გამოცდილებითა და ინიციაციების გამოცდების შედეგებით გამოირჩეოდნენ და ტომის გამოცდილი წევრებისაგან ქმნიდნენ ჯგუფებს და ეს ჯგუფები ახორციელებდნენ სანქციების გამოყენებას მათ მიმართ, ვინც ვერ გაიარა ინიციაციების წეს-ჩვეულებებს. გამოიყენებოდა ისეთი სასჯელები, როგორიცაა ტომიდან განდევნა, მოკვდინება და ა.შ. ანუ ეს ჯგუფები ახორციელებენ იძულებით ფუნქციას. აქედან

[25] ლათ სიტყვიდან initsiatio, ნიშნავს (საიდუმლოს ეზადი), საზოგადოებრივი საკურთხეველი რიტუალები, რომლებიც უკავშირდება ყმაწვილებისა და ზრდასრული ქალების ერთიდან მეორე ჯგუფში გადაყვანას. ჩაისახა უხსოვარ წარსულში. ზოგიერთმა რიტუალმა სახეცვლილება განიცადა და შენარჩუნდა სხვადასხვა ხალხში.

ორტეგა ამკვნის, რომ სახელმწიფო დონეზე მმართველობის ინსტიტუტები სწორედ ამ ჯგუფმა იკისრა ვალდებულება შეესრულებინა სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფუნქციები. თანდათანობით ამ პროცესს მივყავართ საზოგადოების ორ ჯგუფად დაყოფამდე – მმართველებად და მართულებად.

ამ თეორიის ნაკლად მიიჩნევა, რომ ავტორს ადამიანთა დიფუზურობის, ფიზიკური და ესთეტური კრიტერიუმები გადაჰყავს პოლიტიკურ ურთიერთობებში. იგი თვლის, რომ მასებს არ შეუძლიათ მართონ საკუთარი ბედიც კი, რომ არაფერი ვოქვათ საზოგადოების, როგორც მთლიანის, მართვაზე. ორტეგა თვითონ აცხადებს, რომ იგი არის „ისტორიის სრული არისტოკრატიული გაგების მომხრე.[26]

ეს თეორია ეყრდნობა სახელმწიფოს მშენებლობის გარკვეულ პრაქტიკას. ინიციაციების წეს-ჩვეულებანი – რეალური ისტორიული ფაქტია, მაგრამ მას არ შეუძლია უნივერსალურობაზე პრეტენზიის განცხადება, რამდენადაც ვერ ხსნის სახელმწიფოს წარმოშობის

[26] Ортега-и-Гассет Х. Спортивное происхождение государства. Философская и социологическая мысль. Киев., 1990. № 6.

ღრმა პროცესებს, არამედ ეყრდნობა პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთ ფრაგმენტს.

სახელმწიფოს წარმოშობის **მარქსისტული ანუ მატერიალისტური თეორია.** საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სახელმწიფო ყოველთვის არ არსებობდა. მის წარმოშობას წინ უსწრებდა პირველყოფილი გვაროვნული წყობილება – კოლექტიური წარმოების უძველესი ტიპი. სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი ვრცლადაა აღწერილი **ფრიდრიხ ენგელსის** (1820-1895) ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ავტორი წერდა, რონ საწარმოო იარაღებსა და წარმოების საშუალებებზე იყო საერთო საკუთრება. იმ პერიოდისათვის სოციალური ორგანიზაციის ფორმა იყო გვარი, არა როგორც მხოლოდ ნათესავთა კავშირი, არამედ, ადამიანთა გაერთიანება, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფიც, რომელიც შექმნილი იყო ერთობლივი მეურნეობისათვის.

პირველყოფილი გვაროვნული წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მასში არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იყო ბატონობა, არ იყვნენ ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულები, თა-

ნდათახობით იწყება წარმოების მარტივი სპეციალიზაცია. ჩნდება პროდუქტების გაცვლის აუცილებლობა. გაცვლა კი შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა სახეზეა გაცვლის პროდუქტი. ახლა დაპყრობილ ადამიანებს აღარ აკვდინებენ და აღარ ჭამენ, მათ უკვე აიძულებენ იმუშაონ და წარმოქმნან პროდუქტები, თავის მხრივ, ხდება სიმდიდრის დაგროვება ერთის ხელში, ჩნდება საკუთრება და დაგროვილი სიმდიდრის დაცვის აუცილებლობა. თანდათანობით ჩნდება რკინა, სხვა მეტალები, ხდება მათი დნობა, ვითარდება ხელოსნობა ანუ ხდება შრომის დიდი დანაწილება. ვითარდება ვაჭრობა. გვაროვნული წყობილება აღარ არისდროის შესაბამისი, ხელისუფლების არსებული ინსტიტუტები, არჩევითი ბელადები, უხუცესები, კრებები თმობენ პოზიციებს ქონებრივი ელიტის სასარგებლოდ, ე.ი. ხელისუფლება გადაეცემათ იმ პირებს, ვისაც მეტი საქონელი, მიწა და მონები ჰყავთ საკუთრებაში.. ახლა ქონება არა მთელი ხალხის, არამედ მდიდრების ხელშია. მარქსისტული თეორიის მიხედვით სახელმწიფო წარმოიშვა სამი ძირითადი მიზეზის გამო:

- შრომის დიდი საზოგადოებრივი დანაწილება;
- წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაჩენა;
- საზოგადოების დაყოფა ანტაგონისტურ კლასებად

მარქსიზმის ერთ-ერთი მიმდევარი ვლადიმერ ლენინი (ულიანოვი) წერდა: „ სახელმწიფო წარმოიშვება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როცა და რამდენადაც ხდება საზოგადოების კლასებად დაყოფა.[27]

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიისათვის დამახასიათებელია მატერიალისტური მიდგომა. იგი სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს კერძო საკუთრების გაჩენას, საზოგადოების კლასებად დაყოფას და კლასობრივ ანტაგონიზმს.

[27] Ленин В.И. Государство и революция. Полн. собр. сочинений., Т.33

თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

- თეოლოგიური თეორია
- საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია
- ძალმომრეობის თეორია
- პატრიარქალური თეორია
- პატრიმონიული თეორია
- ფსიქოლოგიური თეორია
- ორგანული თეორია
- ირიგაციული თეორია
- დიფუზური თეორია
- რასობრივი თეორია
- ინცესტის თეორია
- სპორტული თეორია
- მარქსისტული ანუ მატერიალური თეორია

თეოლოგიური თეორია

მიმდევრები:

- თომა აქვინელი (1225–1274)
- ჟოზეფ მარი გრაფი დე მესტრი (1753–1821)
- ლუი გაბრიელ ამბრუაზ ბონალდი (1754-1840)

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია

↓

მიმდევრები:

- ჰუგო გროციუსი (1583-1645)
- ბენედიქტ სპინოზა (1632-1677)
- თომას ჰობსი (1588-1679)
- ჯონ ლოკი (1632-1704)
- ვოლტერი (ფრანსუა მარი არუე) (1694-1778)
- პოლ გოლბახი (1723- 1778)
- ალექსანდრე რადიშჩევი (1749-1802)

კალმომრეობის თეორია

↓

მიმდევრები:

- ლუდვიგ გუმპლოვიჩი (1838-1909)
- კარლ კაუცკი (1854-1938)
- ევგენი დიურინგი (1833-1921

პატრიარქალური თეორია

↓

მიმდევრები:

- პლატონი (427-347 ჩვ.წ.ა-მდე)
- არისტოტელე (387-322 ჩვ.წ.ალ-მდე)
- რობერტ ფილმერი (1588-1653)

ფსიქოლოგიური თეორია

↓

მიმდევრები:

- გაბრიელ ტარდი (1843-1904)
- ლევ პეტრაჟიცკი (1867-1931)

ორგანული თეორია

↓

მიმდევრები:

- იოჰან კასპარ ბლუნჩლი (1808-1881)
- ჰერბერტ სპენსერი (1820-1903)

ორგანიული თეორია

↓

მიმდევარი –

კ.ვიტფოგელის

დიფუზური თეორია

↓

მიმდევარი –

- ჩ. გრებნერი

რასობრივი თეორია

↓

მიმდევრები:

- ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900)
- ჟოზეფ არტურ დე გობინო

ინციმსტური თეორია

↓

მიმდევარი – ➢ კლევი-სტროსი

სპორტული თეორია

↓

მიმდევარი – ➢ ორტეგა-ი-გასეტი ხოსე (1883-1955)

მარქსისტული ანუ მატერიალისტური თეორია

↓

მიმდევარი – ➢ ფრიდრიხ ენგელსი (1820-1895)

§ 2. თეორიები სამართლის არსის შესახებ

ამ საკითხის განხილვისას განიხილება სამართლის არსის შესახებ არსებული თეორიები: თეოლოგიური თეორია, ბუნებითი სამართლის თეორია განიხილება აგრეთვე სამართლის ისტორიული სკოლა, სამართლის ფსიქოლოგიური თეორია, ნორმატივიზმის თეორია, სოლიდარიზმის თეორია, სამართლის სოციოლოგიური მიმართულება, მისი ყველაზე რეაქციული სახესხვაობა სამართლის რეალისტური სკოლა და ბოლოს მარქსისტული კონცეფცია.

სამართლის არსის შესახებ თეორიების განხილვა უპრიანია დავიწყოთ **ბუნებითი სამართლის თეორიით**, რომელიც სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს. საბჭოთა პერიოდში ამ თეორიას მიიჩნევდნენ დასავლურ მსოფლმხედველობად, არსებითად კი, შეუძლებელია ამ თეორიის გათვალისწინების გარეშე პოზიტიური, ჩვეულებითი თუ პრეცედენტული სამართლის საფუძველიანად შესწავლა.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ეს თეორია უპირისპირდება პოზიტიურ სამართალს. პოზიტიურისგან განსხვავებით, ბუნებითი სამართალი საერთოა ყველა ხალხისა და ყოველი ადამიანისათვის, იგი მარადიული და უცვლელია.

ბუნებითი სამართლის თეორიის განვითარება იყოფა ოთხ ეტაპად:

1. **ანტიკური სამყაროს ხანა.** ამ პერიოდში ხდება პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევა და სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა მონათმფლობელურ საზოგადოებად. **ძველი ჩინელი** მოაზროვნეები **ლაო-ძი, მო-ძი (VI-Vსს)** უკვე ერთმანეთისაგან განასხვავებენ ბუნებით და ადამიანურ სამართალს. ძველ ჩინეთში ეს თეორია განავითარეს ფაცის სკოლის წარმომადგენლებმა, მათ შორის **ხან ფეიმ (288-233)**, მისი აზრით, არსებობს ორი სახის კანონი: **ბუნებითი და ადამიანური.**

ძველ **საბერძნეთში** მეცნიერები თვლიდნენ, რომ ბუნებით სამართალს აქვს საკალდებულო ხასიათი, იგი მუდმივია და არ იცვლება.

რომში ბუნებითი სამართლის თავისებური ფილოსოფიური საფუძველი **შექმნეს ციცერონმა, მარკუს ავრელიუსმა, სენეკამ, ეპიქტეტემ, ულპიანემ** და სხვებმა

2. მეორე ეტაპი იწყება **პოლიტიკაში ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრებით.** ამ საფეხურზე ბუნებითი სამართლის თეორია განიცდის კონკრეტიზაციას. აქ ბუნებითი სამართლის საფუძველია აბსტრაქტული მსოფლიო გონება. ბუნებით სამართალს ეკლესიის მამები მიიჩნევენ უმაღლესი ღმერთის ნებით განსაზღვრულ მუდმივი სამართლის ერთ-ერთ სახედ.
3. მესამე ეტაპი დაკავშირებულია XVI-XVII სს ინგლისში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში **კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასა და ურთიერთდაპირისპირებულ სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებს შორის უპირველესად გამწვავებულ ბრძოლასთან,** ეს ეტაპი განავითარეს **რევოლუციის ცნობილმა** იდეოლოგებმა **ჰუგო გროციუსმა, ბენედიქტე სპინოზამ, თომას ჰობსმა, ჯონ ლილ-**

ბორნმა (1614-1657), ჯონ ლოკმა, სამუელ პუ-ფენდორფმა (1632-1692), ქრისტიან ვოლფმა (1677-1754), გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა (1646-1716), ქრისტიან თომაზიუსმა (1655-1728), შემდეგში მათი იდეები სრულყვეს და კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბეს ვოლტერმა, მონტესკიემ, რუსომ, პოლ ანრი ჰოლბახმა (1723-1789), დენი დიდრომ (1713-1784) და სხვებმა.

4. მეოთხე ეტაპი ცნობილია „აღორძინებული" სამართლის ანუ სამართლის ფილოსოფიის სახე-ლწოდებით. იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იჭერს ნორმატივიზმის ადგილს. მისი კვლევის ობიექტი გახდა სამართლის იდეა, რომლის საფუძველად აღიარებული ერთი პირველწყაროც არ არსებობს.

ამ თეორიას აქვს რამდენიმე მიმართულება, უფრო მეტად გავრცელებულია ნეოთომიზმი, ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი და ჰერმენევტიკა.

ნეოთომიზმი. (უ.დაბენი, გ.კატრაინი, შ.მარიტენი, რ.მარჩიჩი, ი.მენნერი და სხვები), მათ მიერ თომა აქვინელის მოძღვრება გამოცხადებული იქნა კათოლიციზმისათვის ყველაზე უფრო ადეკვატურ მოძღვრებად.

ფენომენოლოგია. (ე.ჰუსერლი, ა.რაინახი და სხვები) პოზიტიური სამართლის საფუძვლებს ხედავენ ე.წ. „ეიდოსებში", რომლებიც წარმოადგენენ „წმინდა არსებებს", „იდეალურ იურიდიულ ფორმებს" და ა.შ.

ეგზისტენციალური ფილოსოფია. (ე.ფეხნერი, ვ.მაიხოფერი, ბ.კოინგი და სხვები) ყოველდღიური, ემპირიული, განკერძოებული ყოფიერებისა და ადამიანის არსებობის, მის ეგზისტენციის დაპირისპირებას ეფუძნება. სამართალი ყოველდღიური ყოფიერების დონეზეა, პოზიტიური სა-მართალი რაღაცით ხელოვნურია. თავის სასი-ცოცხლო ძალას იგი იღებს ადამიანის ეგზისტენციიდან.

ბუნებითი სამართლის ჰერმენევტული თეორიის მომხრეები (ა.კაუფმანი, ვ.ჰასემერი და სხვანი) გამოდიან აბსოლუტური უძრავი ბუნებითი სამართლის, აგრეთვე ბუნებით და პოზიტიურ სამართალს შორის დაპირისპირებულობის წინააღმდეგ. ზოგი ავტორი თვლის, რომ

ბუნებითი სამართალი მოიაზრებს ქცევის საკალდებულო წესებს და პრინციპებს ყოველგვარი დროისა და სივრცის გარეშე.

ამ თეორიამ ერთმნიშვნელოვანი ადიარება ვერ ჰპოვა. იგი ღიად ტოვებს სამართლის მოქმედების საკითხსაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოაზროვნეთა შეხედულებებში ბუნებითი სამართლის თეორია განსხვავებული კონცეფციებით გამოირჩევა, მაინც შესაძლებელია მასში საერთო დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა. ამ თეორიის მიმდევრებმა ცალკეულ ქვეყანაში ბუნებით სამართალს დაუპირისპირეს პოზიტიური სამართალი. თანამედროვე პირობებში ბუნებითი სამართლის თეორიის ზოგიერთი დებულება გამოყენებული იქნა ადამიანის თანდაყოლილი და გაუსხვისებელი უფლებების დასაცავად, მთელი რიგი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და შეხედულებების დასასაბუთებლად, თანასწორობის, სამართლიანობისა და თავისუფლების ზნეობრივ პრინციპებთან კანონმდებლობის აუცილებელი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პოზიტივიზმის თეორია პირველად წარმოიშვა როგორც „ბუნებითი სამართლის“ ოპოზიცია. მისი მიმდევრები არიან **ძბერბერი, გაბრიელ შერშენევიჩი (1863-1912).** ეს თეორია თავდაპირველად წარმოიშვა, როგორც „ბუნებითი სამართლის“ ოპოზიცია. პოზიტივიზმს შემოაქვს უფლებების ახალი ცნებები, როგორც წარმოებული ობიექტური უფლებიდან, რომელიც დადგენილი ან შექმნილია სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო ახდენს უფლებების დელეგირებას და ადგენს იურიდიულ ვალდებულებებს სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც დასრულებულ, სრულყოფილ სისტემას წარმოადგენენ. პოზიტივიზმი აიგივებს სამართალს და კანონს. შემდეგ პუდაგოგი გაამახვილებს ყურადღებას ამ თეორიის დადებით და ნეგატიურ მხარეებზე. კერძოდ, მან უნდა აღნიშნოს, რომ პოზიტივიზმის თეორიის დადებითი მხარეა სტაბილური მართლწესრიგის დამყარების, სამართლებრივი ნორმის სტრუქტურის, იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლების ნორმებისა და ნორმატიული აქტების, ინტერპრეტაციის სახეების დეტალური შესწავლის შესაძლებლობა. იმის მიხედვით, თუ რა განიხილებოდა სამართლის საფუძვლად – სამართლის ნორმა, სამარ-

თლებრივი ცნობიერება, მართლშეგნება, ჩამოყალიბდა სამართლის ისტორიული ნორმატივიზმის, სამართლის მოქმედების, სოლიდარიზმის, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები.

სამართლის ისტორიული სკოლა წარმოიშვა XIX საუკუნის დასაწყისში და უმთავრესად ფართო გავრცელება ჰპოვა იმდროინდელ გერმანიაში, რომელიც ჯერ კიდევ ეკონომიკურად ჩამორჩენილ, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ფეოდალურ-ბატონყმურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ თეორიის მიმდევრები **გუსტავ ჰუგო (1764-1844), კარლ სავინი (1771-1861), ფრიდრიხ პუხტა (1798-1846)**, რომელთა შეხედულებები ასახავდნენ არისტოკრატიულ რეაქციას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და მოწინავე პოლიტიკური თეორიების მიმართ, განსაკუთრებული გააფთრებით გამოდიოდნენ ისინი ბუნებითი სამართლის სკოლისა და მისი პროგრესული იდეების წინააღმდეგ.

მიმდევრები სამართალს აცხადებდნენ რაღაც მისტიკური „სახალხო სულის" პროდუქტად, რომელიც ენის მსგავსად, ეითარდება თანდათან, ორგანულად

და სტიქიურად სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. კანონმდებელი მხოლოდ იმას ასახავს, რაც სახალხო სულის განვითარების შედეგად გამოელინდება როგორც სამართალი. ისტორიული სკოლა გამოდიოდა სამართლის კოდიფიკაციის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ ჩვეულებები წარმოადგენენ სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს, რომ უარყოფილი უნდა იქნეს მოქმედი სამართლის საკანონმდებლო გზით შეცვლის ცდები. ამით ისინი ცდილობდნენ ხელშეუხებლად შეენარჩუნებინათ დასაღუპად განწირული ფეოდალური ურთიერთობანი, ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი. პედაგოგს შეუძლია მოიყვანოს მაგალითად, რომ კამარჭსი ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ ისტორიულ სკოლას რეაქციული არსი აქვს და დღევანდელ სისაძაგლეს გუშინდელი სისაძაგლით ამართლებს. ამ სკოლასაც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობაც, მან ყურადღება მიაქცია სამართლის ისტორიას, სამართლებრივი ძეგლების შესწავლას, სამართლის ეროვნულ თავისებურებებს, სამართლებრივი ადათ-ჩვეულებების განვითარების ბუნებრიობისა და სტაბილურობის გაგო, მათ უპირატესობას კანონმდებელთა თვითნებური სამართალშემოქმე-

დების წინაშე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სკოლას ახასიათებს ნამდვილი ისტორიული მიდგომა სამართლის შესწავლის საკითხისადმი. მისი ისტორიზმი მაინც ცალმხრივი იყო და ემყარებოდა სამართლის ისტორიული განვითარების იდეალისტურ გაგებას რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან მოწყვეტით. ამ თეორიის ზოგიერთი მიმდევარის აზრით, სამართლის ისტორიული სკოლა მჭიდრო კავშირშია რელიგიურ შეხედულებებთან, მაგალითად, ფ. პუხტა ამტკიცებდა, რომ „სამართალი ღმერთისგანაა ბოძებული, რომელმაც სხვადასხვა ერის ბუნებაში სამართლის შექმნის ძალა ჩადო.

სამართლის ფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის ეპოქის იურისპრუდენციაში, მის ფუძემდებლად და ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება რევოლუციამდელი რუსეთის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ლევ იოსების ძე პეტრაჟიცკი (1867-1931)**, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. მისი შეხედულებით, სამართალი ობიექტუ-რად არსებულ სოციალურ მოვლენას კი არ

წარმოადგენს, არამედ განსაკუთრებული სახის ფსიქიკური მოვლენაა, რომელიც ადამიანის ფსიქიკური განცდების ანუ ემოციების ნაირსახეობას შეადგენს. სამართლებრივი ემოციების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იმპერატიულ-ატრიბუტული ხასიათის არიან, ე.ი. ერთის მხრივ, პირის განცდა დაკავშირებულია რაიმე მოქმედების შესრულების შეგნებასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ეს განცდა შეიცავს იმის შეგნებასაც, რომ სხვა პირს აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს ამ მოქმედების შესრულება. მაგალითად, სესხის თაობაზე დამყარებულ ურთიერთობებში მოვალისათვის დამახასიათებელია არა მარტო ვალის გადახდის ვალდებულების განცდა. პეტრაჟიცკი იხილავს სამართლის ორ განშტოებას: ინტუიციურ სამართალს და პოზიტიურ სამართალს, რაც განპირობებულია ემოციის ორმხრივი ხასიათით. თუ ემოცია წარმოიშვა რაიმე ავტორიტეტის (სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების, რელიგიის, კლასის ან საზოგადოების სხვა ფენის) ზეგავლენის გარეშე, სამართალი ინტუიციურია და იგი თავიდანვე არსებობდა საზოგადოებაში, არ საჭიროებს შუამავლურ რგოლებს ადამიანსა და სამართალს შორის, ხოლო პოზიტიურ

სამართალს თავის წყაროდ გააჩნია გახსაზღვრული გარეშე ავტორიტეტი, დაწერილი თუ დაუწერელი ნორმების სახით. ამ სახეებიდან „ნამდვილ" სამართლად პეტრაჟიცკის მიაჩნდა ინტუიციური სამართალი. ასეთმა არატრადიციულმა შეხედულებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. იმ პერიოდისათვის, როდესაც უკვე გაცნობიერებულია წარსულის თეორეტიკოსების შეხედულებათა უფრო ღრმად შესწავლის და ობიექტური შეფასების აუცილებლობა, პეტრაჟიცკის სამართლებრივი კონცეფციის მთელი რიგი ასპექტები ანგარიშგასაწევადაა მიჩნეული. პედაგოგის მიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან ერთად ყურადღებაა გამახვილებული ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და სამართალშემოქმედების განხორციელებისას სოციალური ფსიქოლოგიისა და ინდივიდთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ხოლო აქედან გამომდინარე კი, ადამიანის არსებობის ემოციური ფაქტორების მნიშვნელობის აღიარება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჰუმანისტური ხასიათის უმნიშვნელოვანეს აქტებში, მაგალითად: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

(1948წ), საერთაშორისო პაქტები „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ" (1966წ), „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" (1966წ) და სხვ.

როგორც ჩანს, პეტრაჟიცკის ფსიქოლოგიური თეორიის დადებითი მხარეების გამოვლინება და მისი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება თანამედროვე იურიდიული მეცნიერების შემდგომი კვლევის საგანი უნდა იყოს.

ნორმატივიზმის თეორია თავისი თანამედროვე სახით შექმნილია გერმანული იურისპრუდენციის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის **ჰანს კელზენის (1881-1973)** მიერ, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან მოღვაწეობდა ჯერ ავსტრიასა და გერმანიაში, ხოლო შემდეგ – აშშ-ში. ნორმატივიზმის წარმომადგენლები არიან აგრეთვე რუსი იურისტი **პ.ი. ნოვგოროდცევი (1886-1924)** და გერმანელი **რუდოლ შტამლერი (1856-1938).** ნორმატივისტები სამართალს განიხილავენ რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტით და აცხადებენ, რომ იგი მიეკუთვნება არა „არსობის", არამედ „ჯერარსობის" სფეროს, ე.ი კელზენის მიხედ-

ვით, სამართალი ის კი არ არის, რაც არსებობს, სამართლის მეცნიერებას არ უნდა აინტერესებდეს არც სამართლის წარმოშობის მიზეზი, არც მისი დანიშნულება და შეფასება, იურისპრუდენციის საგანს უნდა შეადგენდეს თვით „ნორმა წმინდა სახით", მისი დასაბუთებულობისა და სამართლიანობის მხედველობაში მიუღებლად.

სამართალი, კელზენის მტკიცებით, წარმოადგენს ისეთ ნორმათა სისტემას, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებით კი არ განისაზღვრებიან, არამედ მხოლოდ ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი, ერთიმეორეს განაპირობებენ; ხოლო ყველა სამართლებრივ ნორმას, საბოლოო ანგარიშში, განაპირობებს ე.წ. ძირითადი ანუ უმაღლესი ნორმა, რომელიც რაიმე აქტის სახით კი არ გამოიხატება, არამედ მხოლოდ იგულისხმება, აპრიორულად[28] არსებობს და მისი შეცვლა არაფერს და არავის არ შეუძლია.

[28] იხ. ლათ. სიტყვიდან apriori – ნიშნავს ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად).

ამ ძირითადი ნორმიდან იწყება ნორმათა მთელი კიბე, რომელიც იქმნება კონსტიტუციით, მიმდინარე კანონმდებლობით, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების აქტებით და კერძო პირების გარიგებებით.

ნორმატიულობა სამართლის განმსაზღვრელი თვისებაა, ნორმათა იერარქიის მიხედვით სდება მათი იურიდიული ძალის დადგენა, ეს მისაღები დებულებაა და სწორად ასახავს სახელმწიფოს შესაძლებლობას, მის მიერ დადგენილი ძირითადი და სხვა ნორმების მეშვეობით ზეგავლენა მოახდინოს სახოგადოებრივ განვითარებაზე, მაგრამ სამართლის ნორმათა ფორმალური მხარეებისათვის უპირატესობის მინიჭება იწვევს მათი შინაარსობრივი მხარეების უგულებელყოფას, მათ შორის პიროვნების უფლებების საკითხში და სხვ.

ნორმატივიზმის ნაკლი ის კი არ არის, რომ იგი სამართალს განიხილავს არა როგორც ნორმათა სისტემას, არამედ ეს სისტემა გაგებულია რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტით და ფაქტობრივად, სამართლის შინაარსის ახსნა თვით სამართლის მეშვეობით

ხდება. იგი წარმოდგენილია, როგორც საზოგადოებრივი სფეროს გარეშე, იურიდიული ფორმით შემოფარგლული მოვლენა. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, იურისპრუდენციის საგანს უნდა შეადგენდეს თვით ნორმები „წმინდა სახით", მისი დაუსაბუთებლობისა და სამართლიანობის მხედველობაში მიუღებლად.

სოლიდარიზმის თეორია იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, იგი XX საუკუნის მიჯნაზე და მის დასაწყისში წარმოიშვა. ამ თეორიის ყველაზე უფრო გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება ფრანგი იურისტი **ლეონ დიუგი** (1859-1928 წწ).

სოლიდარიზმის თეორიის მიხედვით იმ პერიოდის სა-ზოგადოებაში ადამიანთა შორის ურთიერთობა დამყარებულია სოლიდარობის პრინციპზე, რაც განპირობებულია „მოთხოვნილებათა ერთიანობით" და შრომის გადანაწილებით. საზოგადოების წევრები განიხილებიან როგორც ინდივიდები საერთო, სოლიდარული ინტერესებით და არა ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლები.

დიუგი ამტკიცებდა, რომ „სოლიდარობა" უმაღლეს ნორმას წარმოადგენს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სამართალი და თითოეული იურიდიული ნორმა. ამ თეორიის მიხედვით, დიუგის აზრით, არავის არა აქვს უფლებები, თითოეული ადამიანი მხოლოდ მოვალეობის მატარებელია და ე.წ. „სოციალური ფუნქციების" შემსრულებელი. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კაპიტალისტებს, ისევე როგორც მუშებს მხოლოდ მოვალეობები გააჩნიათ საზოგადოების წინაშე და რომ მაგალითად, კაპიტალისტის კერძო საკუთრება მის უფლებას კი არ წარმოადგენს, არამედ მის მოვალეობას, მის სოციალურ ფუნქციას.

რა თქმა უნდა, თავისთავად, სოლიდარობა და კლასობრივი ზავი დადებითი მოვლენებია, მაგრამ სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალურ მდგომარეობას შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას უზრუნველყოფს. თუკი საზოგადოებაში დამყარდება რეალური თანასწორობა და საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის შესაბამის დონეზე დადგება,

ლეონ დიუგის სოლიდარობის თეორია წინასწარმეტყველური აღმოჩნდება.

სოციოლოგიური მიმართულება ყველაზე გავრცელებული სკოლაა XIX, XX საუკუნეების პერიოდის სამართლის მეცნიერებაში, რომელმაც განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი აშშ-ში. პედაგოგმა სტუდენტების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ ეს მიმართულება ერთგვაროვნული სულაც არ არის და სხვადასხვა განშტოებებს მოიცავს, მაგრამ ყოველი მათგანისთვის ფილოსოფიურ საყუძველს წარმოადგენს პრაგმატიზმი – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს წარმოდგენას ჭეშმარიტებაზე, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვაზე და ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად აცხადებს პრაქტიკულ სარგებლიანობას, მიზანშეწონილობას.

ამერიკული სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი გა-მოჩენილი წარმომადგენელი **როსკო პაუნდი (1870-1964)**, ისე, როგორც სხვა „სოციოლოგები", სამართლად აცხადებენ არა იმას, რაც სახელმწიფოს მიერ ნორმების სახით დადგენილია სათანადო აქტებში, არამედ ნორმებს მათ მოქმედებაში, მათი განხორციელების პროცესში, მათ სოციალურ შედეგებში ეი. აცხადებს, როგორც ფაქტობრივად დამყარებულ წესს".

საკითხის ამდაგვარად დაყენება და გადაჭრა შესაძლებლობას იძლევა გამართლებული იქნას სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობა, კანონიერად იქნას გამოცხადებული მათი ისეთი გადაწყვეტილებაც, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ ნაკარნახევია პრაქტიკული მიზანშეწონილობით. აქედან გასაგებია, რომ სახელმწიფოს ორგანოები და მოხელეები სასარგებ-ლოდ და მიზანშეწონილად ჩათვლიან იმას, რაც მმართველ ფენას აწყობს და მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს. **სამართლის მოქმედების თეორია** დაკავშირებულია სამართლებრივ მოწესრიგებასთან. მან გავრცელება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩამო-ყალიბდა ორი მიმართულების სახით: პრაგმატისტული და რეალისტური.

პრაგმატისტული მიმართულების ფუძემდებელია როსკო პაუნდი (რომელზეც ხემოთ ვისაუბრეთ), რომელსაც მიაჩნდა, რომ თუ სამართ-ლის მეცნიერების

უმთავრესი ამოცანაა შეისწავლოს, თუ როგორ ფუნქციონირებენ სამართლებრივი ნორმები და როგორი კონსტრუქცია აქვთ მათ, რათა მათი მეოხებით შესაბამის შედეგს მივაღწიოთ. მისი მტკიცებით, სამართლის თეორია ყოველთვის ემსახურებოდა სოციალური განვითარების კონკრეტულ მიზნებს.

რეალისტური სკოლა სამართლის სოციოლოგიური მიმართულების ყველაზე რეაქციული სახესხვაობაა და სამართლებრივი ნიჰილიზმის გამოხატულებაა. რეალისტური სკოლა თითქმის სრულიად უარყოფს კანონების, და საერთოდ სამართლის ნორმების მნიშვნელობას. რეალისტური მსოფლმხედველობა დაამკვიდრა ამერიკელმა სოციოლოგმა და იურისტმა **ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა (1841-1935)**, რომელსაც გამოუჩნდნენ მიმდევრები, ისინი სამართალს იაზრებენ იმ მოვლენად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად მუდმივ მოძრაობაშია და სისტემატურად უნდა იცვლებოდეს.

ამ მიმართულების წარმომადგენლები **ჯერომი ფრენკი (1889-1957), კარლ ლლეველინი (1983-1962)**, და სხვანი თვლიან, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ

ფაქტები და მოვლენები. ადამიანთა მოქმედება და საქმიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალი მხოლოდ მოსამართლეებისა და ადმინისტრატორების საქმიანობაა, მათ მიერ გამოტანილი კონკრეტული გადაწყვეტილებები. რაც შეეხება კანონებში გამოხატულ წესებს, „რეალისტები" მათ თვლიან მხოლოდ კანონმდებლის ვარაუდად იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ კატეგორიის საქმის გადაწყვეტა ცხოვრებაში. ამავე დროს, ამ სკოლის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ მოსამართლეთა მოქმედებები და გადაწყვეტილებები განპირობებულია სხვადასხვა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ფაქტორებით – იმპულსებით, სუბიექტური განცდებით, სიმპათიებით თუ ანტიპათიებით და არა მათი სოციალური მდგომარეობით.

მიუხედავად თეორიების პლურალიზმისა, ე.ი. მათი სიმრავლისა და წინააღმდეგობებისა, მათთვის დამახასიათებელია სამართლის კლასობრივი ხასიათის უარყოფა და სამართლის აღიარება მთელი ხალხის საერთო ნების გამომხატველ მოვლენად. თავის მხრივ, ისინი ერთ-ერთ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდ-

ნენ, რომელსაც ეკონომიკურად გაბატონებული კლასი იყენებდა თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, მაგრამ თანამედროვე ეპოქის ცივილიზებული ქვეყნების სინამდვილეში სამართლებ-რივი სისტემების ამგვარი დახასიათება ზემოხსენებული თეორიების მიერ მეტნაკლებად ობიექტურად გამოიყურება და რეალურ სურათს ასახავს.

სამართლის წარმოშობის მარქსისტული კონცეფცია მატერიალისტურია. ამ კონცეფციის შესაბამისად სამართლის ფესვები ეკონომიკაში, საზოგადოების ბაზის'ში ძევს, ამიტომ სამართალი არ შეიძლება ეკონომიკაზე მაღლა იდგეს, იგი ეკონომიკური გარანტიების გარეშე ილუზიად იქცევა.

მარქსიზმი, ასევე მყარად უკავშირებს სამართლის გენეზისს კლასებსა და კლასობრივ ურთიერთობებს, მასში მხოლოდ ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ნებას ხედავს, მაგრამ სამართალს უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე კლასებს, მისი წარმოშობა უფრო ღრმა, საერთო საზოგადოებრივი მიზეზებითაა განპირობებული.

ყველა თეორიას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგრამ იმ პერიოდისათვის, როცა ისინი არსებობდნენ გარკვეულ დადებით გავლენას ახდენდნენ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით.

ბუნებითი სამართალი

↓

1. ანტიკური ხანა
   - ლაო-ძი (VI-Vსს)
   - მო-ძი (VI-Vსს)
   - ხან ფეი (288-233)
   - ციცერონი
   - მარკუს ავრელიუსი
   - სენეკა
   - ეპიქტეტე
   - ულპიანე
2. ქრისტიანური იდეოლოგიის დამკვიდრება
3. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდი
   - ჰუგო გროციუსი
   - ბენედიქტ სპინოზა
   - თომას ჰობსი
   - ჯონ ლილბორნი (1614-1657)

   - ჯონ ლოკი
   - სამუელ პუფენდორფი (1632-1692)
   - ქრისტიან ვოლფი (1677-1754)
   - გოტფრიდ ვილჰელმი ლაიბნიცი (1646-1716)
   - ქრისტიან თომაზიუსი (1655-1728)
   - ვოლტერი
   - მონტესკიე
   - რუსო
   - პოლ ანრი ჰოლბახი (1723-1789)
   - დენი დიდრო
4. აღორძინების ხანა

➢ ნეოთომიზმი
   - ჟ.დაბენი
   - ვ.კატრაინი
   - ჟ.მარიტენი
   - ჟ.მარჩიჩი
   - ი.მესნერი

➢ ფენომენოლოგია

- ეჰუსერლი
- ა.რაინახი

➢ ეგზისტენციალური ფილოსოფია
- ვ.ფეხნერი
- ვ.მაიხოფერი
- გ.კოინგი

➢ ჰერმენევტული თეორია
- ა.კაუფმანი
- ვ.ჰასემერი

პოზიტივიზმის თეორია

↓

- კ.ბერგერი
- გაბრიელ შერშენევიჩი (1863-1912)

სამართლის ისტორიული სკოლა

↓

- გუსტავ ჰუგო (1764-1844)
- კარლ სავინი (1771-1861)
- ფრიდრიხ პუხტა (1798-1846)

სამართლის ფსიქოლოგიური სკოლა

↓

- ლევ პეტრაჟიცკი

ნორმატივიზმის თეორია

↓

- ჰანს კელზენი (1881-1973)

სოლიდარიზმის თეორია

↓

- ლეონ დიუგი (1859-1928)

სოციოლოგიური მიმართულება

- როსკო პაუნდი (1870-1964
- ვენდელ ჰოლმსი (1871-1935)
- ჯერომი ფრენკი (1889- 1957)
- კარლ ლლეველლინი (1883-1962)

მარქსისტული კონცეფცია

- ფრიდრიხ ენგელსი
- კარლ მარქსი
- ვლადიმერ ლენინი

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რა იგულისხმება თეოლოგიურ თეორიაში?
2. რა იგულისხმება საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიაში?
3. რა დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება ძალმომრეობის თეორია?
4. როგორ წარმოიშვა სახელმწიფო პატრიარქალური თეორიის მიხედვით?
5. რა ნიშნებით ხასიათდება ფსიქოლოგიური თეორია?
6. როგორ ხასიათდება ბუნებითი სამართლის თეორია, რა პერიოდებს მოიცავს იგი?
7. რას ქადაგებს ნორმატივიზმის თეორია?

საშინაო დავალება:

- წამოაყალიბეთ საკუთარი ხედვა, თუ რომელი თეორიაა თქვენთვის მისაღები და რატომ?

თავი IV

სახელმწიფოს ცნება და არსი

თავი 4

სახელმწიფოს ცნება და არსი

თემის სტრუქტურა:

§ 1. სახელმწიფოს ცნება და მისი ევოლუცია. სახელმწიფოს არსი.

§ 2. სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები.

§ 3. სახელმწიფო ხელისუფლება

§ 4. სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება.

§ 5. სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა.

§ 6. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სახელმწიფოს არსის შესახებ, რა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები აქვს სახელმწიფოს, რა სოციალური დანიშნულება აქვს მას, რა განსხვავებაა სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობას შო-

რის. როგორია სახელმწიფოსა და სამართალს შორის ურთიერთკავშირი, როგორია მათი თანაფარდობა. ამ საკითხის განხილვისას განიხილება სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, როგორიცაა სახელმწიფოს მოსახლეობისა და ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რითაც სახელმწიფო განსხვავდება გვაროვნული წყობილებისაგან, სადაც მოსახლეობის დაყოფა ხდება სისხლით ნათესაური პრინციპის მიხედვით; ასევე დამახასიათებელი ნიშანია საჯარო ხელისუფლება ანუ პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც გულისხმობს სპეციალური იძულებითი აპარატის არსებობას და რომელიც ხალხის სახელით ახორციელებს საქმიანობას ქვეყნის საზღვრებს შიგნით არსებულ ტერიტორიაზე. განსაკუთრებულად დიდი ყურადღება დაეთმობა გადასახადების სისტემას, რომლითაც ხდება სახელმწიფო აპარატისა და სხვადასხვა სოციალური სფეროების დაფინანსება. უმნიშვნელოვანესი ყურადღება დაეთმობა სახელმწიფოს ისეთ უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ნიშანს, როგორიცაა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და მისი სახეები. განვასხვავებთ ერთმანეთისაგან სა-

ხალხო და ეროვნული სუვერენიტეტის სახეებს და იმას, თუ როდისაა ეს ორივე სახე იდენტური ხასიათის. ამ ნიშნის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ დღევანდელ საქართველოში არსებულ მდგომარეობას და შევეცდებით შევქმნათ სიტუაცია, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად გამოთქვან აზრი დღეისათვის საქართველოში არსებულ სუვერენიტეტთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გავამახვილებთ ყურადღებას სახელმწიფოს სიმბოლოებზეც, როგორიცაა: ჰიმნი, გერბი, სახელმწიფო ენა, სახელმწიფო დროშა, სადღესასწაულო დღეები.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ ზემოგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ თუ რა მიდგომები არსებობს სახელმწიფოს ცნების გასაგებად
- ✓ რა მოსაზრებებია სახელმწიფოს ცნების შესახებ, როგორია ცნების ევოლუცია

- ✓ თუ რა დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია სახელმწიფოს
- ✓ რა არის სუვერენიტეტი,
- ✓ რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს სახელმწიფოებრიობას
- ✓ რა კავშირი აქვთ სახელმწიფოსა და სამართალს და როგორია მათი თანაფარდობა

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

რა იგულისხმება სახელმწიფოს ცნების ქვეშ, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფოს ცნებაც განიცდიდა სახესხვაობას და რომ სახელმწიფოს არსის შესახებ არსებობს სხვადასხვა დეფინიცია. გარდა ამისა, სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნების შესწავლისას სტუდენტს ეცოდინება, რომ ძირითადად სახელმწიფოს ახასიათებს მოსახლეობის ტერიტორიული პრინციპით დაყოფა, საჯარო ხელისუფლება და საგადასახადო სისტემა და რაც მთავარია სუვერენიტეტი და მისი სახეები, თუმცა ზოგიერთი ავტორი დამახასიათებელ

ნიშნად მიიჩნევს სახელმწიფოს სიმბოლიკასაც ანუ მის ატრიბუტებსაც. სტუდენტს ეცოდინება რაში მდგომარეობს სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება და რა განსხვავებაა სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობას შორის.

§ 1. სახელმწიფოს ცნება და მისი ევოლუცია. სახელმწიფოს არსი

ამ საკითხის შესწავლისას ყურადღება დაეთმობა სახელმწიფოს ცნებათა მრავალფეროვნებას ანტიკური დროიდან თანამედროვე პერიოდამდე. განიხილება სახელმწიფოს არსის საკითხი.

სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია. იგი მეტად რთული სოციალური მოვლენაა და მჭიდრო კავშირშია საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებთან.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში" დისციპლინაში ტერმინი „სახელმწიფო" სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობით განიხილება. როგორც წესი, სახელმწიფოს გაგების სამ ძირითად მიდგომას გამოყოფენ: გეოგრაფიულს, სოციალურს და პოლიტიკურ-სამართლებრივს.

გეოგრაფიული მიდგომით სახელმწიფო განიხილება, როგორც განკერძოებული ტერიტორიული წარმონაქმნი – ქვეყანა.

სახელმწიფო **სოციოლოგიური მიდგომით** განიხილება, როგორც სპეციფიკური სოციალური ორგანიზაცია, რომლის წევრებსაც (სახელმწიფოს მოქალაქეებს, ქვეშევრდომებს) როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების აპარატთან აკავშირებენ.

პოლიტიკურ-სამართლებრივი მიდგომით სახელმწიფო განიხილება როგორც საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების სისტემა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ქცევის წესების (სამართლის ნორმების დამუშავება, მიღება და რეალიზაცია, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად და ამ ურთიერთობების სხვადასხვა ხელყოფისაგან დასაცავად.

სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების იარაღს, ინსტრუმენტს. საზოგადოებაში

მოქმედებენ პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები და სხვადასხვა მოძრაობა.

სახელმწიფო საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და დღემდეა შენარჩუნებული. თავისი განვითარების ისტორიულ მანძილზე სა-ხელმწიფო გამოდის, როგორც მაორგანიზებელი და მმართველი ძალა, რომელსაც ვერც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია ვერ შეცვლის.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალი მოაზროვნე ცდილობდა გაეგო თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო, რატომ წარმოიშვა იგი და რატომაა საჭირო კაცობრიობისათვის, როგორია მისი ბუნება, რით განსხვავდება ადამიანთა მიერ შექმნილი სხვა ორგანიზაციებისაგან. პასუხი მრავალგვარია. ზოგი ავტორის მოსაზრებები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, ზოგის კონცეფცია აბსოლუტურად დამოუკიდებელია, ზოგისა კი პრინციპულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სახელმწიფოს, ფენომენთან დაკავშირებით შეხედულებათა მრავალფეროვნება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თვითონ სახელმწიფო

საგანგებოდ რთული, ისტორიულად მუდმივად ცვალებადი მოვლენაა.

სახელმწიფოს ნიშნებისა და მახასიათებლების შემეცნება გართულებულია, ვინაიდან იგი ეკონომიკური, სოციალური, კლასობრივი, სულიერი, ეროვნული, რელიგიური და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მუდმივად ცვალებადია, ხოლო ისინი კი განსა-ზღვრავენ სახელმწიფოს არსსა და შინაარსს.

სახელმწიფოს ცნების შესახებ შეხედულებათა მრავალფეროვნება ადასტურებს, თუ რამდენად რთულია ეს საკითხი. სახელმწიფოს განსაზღვრებას ვხვდებით ჯერ კიდევ უძველეს დროში.

პლატონი (427-347) აღიარებდა იდეალურ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობასაც სამ წოდებად ყოფდა: 1. ფილოსოფოსებად, რომლებსაც სახელმწიფოს გამგებლებად მიიჩნევდა; 2. მეომრებად, რომლებსაც სახელმწიფოს დამცველებად მოიაზრებდა და 3. ხელოსნები და მიწათმოქმედნი, ვისაც უნდა შეექმნა მატერიალური დოვლათი.

არისტოტელეს (384-322) მიხედვით, სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი, შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და დამოუკიდებელის ცხოვრებისათვის. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფოს გარეშე ადამიანებს არსებობა არ შეუძლიათ, ე.ი. სახელმწიფო მუდმივი კატეგორიაა.

ციცერონი (106-43) სახელმწიფოს განსაზღვრავდა, როგორც ადამიანთა კავშირს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სამართლისა და ზოგადი სარგებლის საერთო საწყისებით.მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო ხალხის საქმეა (respublika), მაგრამ იგი ხალხში მოიაზრებდა ადამიანთა არა ყველა გაერთიანებას.

სენეკა (3-65) მიიჩნევდა, რომ სამყარო არის ბუნებითი სახელმწიფო თავისი ბუნებითი სამართლით.

ნეტარი ავგუსტინეს (354-430) აზრით, სახელმწიფო არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან. იგი ცნობს ორგვარ ქალაქ-სახელმწიფოს: მიწიერსა და ღვთაებ-რივს.

თომა აქვინელი (1224-1274) იზიარებს არისტოტელეს მოსაზრებებს გარკვეული შესწორებებით. იგი მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამორჩილებას.

ჟან ბოდენის (1530-1596) აზრით, სახელმწიფოს საფუძველია ოჯახი, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო სახელმწიფო არის გაზრდილი ოჯახი.

თომას მორი (1478-1535) მიიჩნევს, რომ უტოპიაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მოწყობილია დემოკრატიულ საწყისებზე. ყველა თანამდებობა არჩევითია გარკვეული ვადით, გარდა მონარქისა, რომელსაც მართალია ირჩევენ, მაგრამ უვადოდ.

ტომაზო კამპანელა (1568-1639). მას მიაჩნია, რომ სა-ხელმწიფოს სათავეშია ერთმმართველი სასულიერო პირი, რომელსაც „მზეს“ უწოდებენ. სახელმწიფოს მართვაში მას ეხმარება სამი თანაშემწე: პონი, სინი და მორი, შესაბამისად, ძალა, სიბრძნე და სიყვარული. ძალა ხელმძღვანელობს ომისა და მშვიდობის საქმეს; სიბრძნეს ევალება მეცნიერება და ხე-

ლოვნება, ხოლო სიყვარულს – გამრავლება, აღზრდა, მეფეობა, მიწაითმოქმედება ანუ ყველაფერი, რაც ეხება ყოფა-ცხოვრებას. კამპანელა ქადაგებს თეოკრატიულ პრინციპებს.

ჰუგო გროციუსი (1583-1645) თვლის, რომ სახელმწიფო არის ორგანიზაცია „საერთო სარგებელის მოსაგანად. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების დადებით.

ბენედიქტ სპინოზა (1632-1677) სახელმწიფოს წარმოშობას ხსნის იდეალისტურად. იგი ვერ ხედავს განსხვავებას საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

იმანუელ კანტი (1724-1804) თვლის, რომ სახელმწიფო არის შეთანხმების შედეგი. სახელმწიფო არის სამართლის ზეგავლენით, მცირე ან დიდი რაოდენობის ადამიანთა გაერთიანება. მას სახელმწიფო მიაჩნია სუფთა სამართლებრივ ორგანიზაციად. სახელმწიფოს მიზანი ადამიანთა ბედნიერება კი არა, სამართლის იდეების ზეიმია.

შრიდრიხ ჰეგელი (1770-1831) სახელმწიფო არის საფუძველი, როგორც ოჯახის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისაც, რადგან სახელმწიფო არის მთელი, ხოლო დანარჩენი კი ნაწილებია და მთელი ყოველთვის უსწრებს წილადსო.

ზოგიერთი ავტორი სვამს კითხვას, არის თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის საზღვრები? პასუხი სხვადასხვაა, ერთნი მიიჩნევენ, რომ განსხვავება ნამდვილად არის, მეორენი კი თვლიან, რომ განსხვავება მათ შორის არ არის.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ქართველი მეცნიერი მიხაკო წერეთელი, რომელიც აღნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოება „ინდივიდუალურ ძალთა შეერთება თანაარსებობისათვის საბრძოლველად და საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად"[29], ამით თითქოს იგი ეთანხმება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საზოგადოებრივი ხელშეკრულების ცნობილ მიმდევრებს ჟ.რუსოს, შ.ლ. მონტესკიეს და სხვებს.

[29] მ.წერეთელი. ერი და საზოგადოება. თსუ, თბილისი,1990,გვ.39

სახელმწიფოს ისტორიას და საზოგადოების ისტორიას ვახუყოფლად მიიჩნევს ნ. ნიკოლაძე, რომელიც წერს: „სახელმწიფოს მიზნად ჰქონია ადვილად დაიცვას და ადვილად აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარა"[30]

გიორგი ელინეკი წერდა: რამდენადაც არსებობს მოსაზრება „სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობილებაა... საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო"[31].

პროფესორი გივი ლობჟანიძე სახელმწიფოს ცნებას შემდეგნაირად გვთავაზობს: „სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საეალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარანტი[32]

პროფესორი თამარ ალფაიძე გვთავაზობს სახელმწიფოს შემდეგნაირ ცნებას: „სახელმწიფო არის საზოგადოების განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია მმართველობის სპეციალური აპარატი, აუცილებელი იმ ფუნქციების შესასრულებლად, რაც მას აკისრია საზოგადოების ბუნებრივი განვითარების მოთხოვნების შესაბამისად"[33].

სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი, განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნები, რითაც განსხვავდება იგი ხელისუფლების სხვა პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან.

სახელმწიფოს არსი. სახელმწიფოს არსი მისი ძირითადი ნიშნებია, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს შინაარსს, მიზანსა და ფუნქციებს საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში სახელმწიფოს არსი დიდი ხნის განმავლობაში განიხილე-

[30] იხ.ნ.ნიკოლაძე,რჩეული ნაწერები., თბილისი,1932,ტ.II,გვ35
[31] იხ წიგნში: გ.ლობჟანიძე., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი. 2003 წ გვ 77

[32] იხ. გივი ლობჟანიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ.93
[33] იხ. თამარ ალფაიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2008 წ. გვ 33

ბოდა მხოლოდ კლასობრივი პოზიციიდან, რომ იგი წარმოადგენდა კლასობრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ინსტრუმენტს და აკმაყოფილებდა ყველას ან სოციალურ ძალთა უმრავლესობის ინტერესებს და არ დაიშვებოდა არავითარი კლასობრივი კომპრ-ომისი. გამონაკლისად ითვლებოდა მხოლოდ საბჭოთა სახალხო სახელმწიფო, რომელიც მთელი ხალხის სახელმწიფოდ, მეგობრული კლასების (მშრომელთა და კოლმეურნე გლეხობის) ხელისუფლების პოლიტიკურ ორგანიზაციად ითვლებოდა.

სახელმწიფოს სოციალურ არსში მოიაზრება ამ მოელენის განმსაზღვრელი რადაც მთავარი, მყარი და კანონზომიერი, რაც უწყვეტ კავშირშია მის სოციალურ დანიშნულებასთან. სახელმწიფოს არსი ახასიათებს მის აზრობრივ შინაარსს, იგი განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათით, მისაკუთრებით და საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებით – ეს საკითხი ფაქტობრივად იმის შესახებაა, თუ ვის ეკუთვნის და ვის ინტერესებს ატარებს სახელმწიფო ხელისუფლება.

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მეცნიერებაში გამოყოფენ სახელმწიფოს არსის პრობლემისადმი ორ ძირითად მიდგომას. პირველი გამომდინარეობს კორპორატიული ინტერესების ზეგავლენის პრევალირებიდან, ხოლო მეორე კი, ზოგადსოციალური ხასიათის ინტერესების პრიორიტეტიდან.

პირველ მიდგომას მიაკუთვნებენ ე.წ. „ელიტების თეორიას", „ტექნოკრატიულ თეორიას და ა.შ. მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ძირითადი ადგილი, უჭირავს კლასობრივ თეორიას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო მოწოდებულია, უპირველეს ყოვლისა, გამოხატოს კლასობრივი ინტერესები[34]. მეორე მეცნიერული მიმართულების თანახმად, სახელმწიფომ უნდა გამოხატოს მთელი საზოგადოების ინტერესები. მისი ძირითადი სოციალური დანიშნულება, მიუხედავად მისი კლასობრივი გრადაციისა, მდგომარეობს საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში.

სახელმწიფოს არსი იცვლება მის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. სახელმწიფოს არსის ცვა-

[34] იხ., მაგალითად, Дёмин А.В. Теория государства и права. Москва 2002 г. стрю14) Румынина В.В.,Клименко А.В. Теория государства и права. Москва.2002г.

ლებადობა განპირობებულია სერიოზული მიზეზებით, ჯერ-ერთი, ქრებიან კლასები და მეორეც - სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს საზოგადოებაში ადამიანის ადგილის განსაზღვრაში კლასობრივი წინააღმდეგობების შეურიგებლობის შესახებ მოძღვრება განიცდის კრახს. სახელმწიფო იძულებითი იარაღიდან ორგანიზაციად გარდაიქმნება და ეს ორგანიზაცია დაპირისპირებებს ცივილური ფორმებით აგვარებს, იგი გამოდის, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების ინსტრუმენტი, რომლის საქმიანობისთვისაც უკვე უცხო არ არის საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. სახელმწიფო ხდება აქტიური და საჭირო შუამავალი სოციალურ-დიფერენცირებულ საზოგადოებაში, რომელიც ინარჩუნებს წინააღმდეგობებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ცხოვრების მრავალ საკითხში[35].

[35] იხ. Т.Н.Радько., Теория государства и права. Учебник, 2-е издание. изд.,,Прогресс,, М.2011г., с 90

სახელმწიფოს ცნება

↓

- სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია.
- სახელმწიფო მეტად რთული სოციალური მოვლენაა
- სახელმწიფო მჭიდრო კავშირშია საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებთან.
- სახელმწიფო წარმოადგენს მაორგანიზებელ და მმართველ ძალას
- სახელმწიფო მუდმივად ცვალებადია

სახელმწიფოს ცნება

- სახელმწიფო არის საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის სუმერენულ ხელისუფლებას განავრცობს გარკვეულ ტერიტორიაზე, მოქმედებს მთელი საზოგადოების ან მისი ნაწილის ინტერესებისათვის

სახელმწიფოს გაგების სამი მიდგომა

- **გეოგრაფიული მიდგომით** სახელმწიფო განიხილება, როგორც განკერძოებული ტერიტორიული წარმონაქმნი – ქვეყანა.
- სახელმწიფო **სოციოლოგიური მიდგომით** განიხილება, როგორც სპეციფიკური სოციალური ორგანიზაცია, რომლის წევრებსაც (სახელმწიფოს მოქალაქეებს, ქვეშევრდომებს) როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების აპარატთან აკავშირებენ.
- **პოლიტიკურ-სამართლებრივი მიდგომით** სახელმწიფო განიხილება როგორც საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების სისტემა

§ 2. სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები

ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითად ზოგადთეორიულ ნიშნებად, მიუხედავად იმისა, თუ როგორია სახელმწიფოს ისტორიული ტიპი, მმართველობის ფორმა, სახელმწიფოებრივი მოწყობა, პოლიტიკური სისტემა, საჭიროა გამოვყოთ ტერიტორია, მოსახლეობა, საჯარო ხელისუფლების აპარატი, სუვერენიტეტი.

სახელმწიფოს ტერიტორია. იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფო ტერიტორიად მიიჩნევა დედამიწის ნაწილი, სადაც ვრცელდება ამ სახელმწიფოს ხელისუფლება (სუვერენიტეტი). ტერიტორიაში მოიაზრება სივრცე, რომლის ფარგლებში სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებს. სახელმწიფოს ტერიტორია შემოსაზღვრულია სახელმწიფოს საზღვრებით.

სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენელი ნაწილებია სახმელეთო, საწყლოსნო სივრცე, მიწისქვეშა წიაღი და საჰაერო სივრცე. გარდა ამისა, სახელმწიფო ტერიტორიად, როგორც სახელმწიფოს ნიშანი

მოიცავს ფაქტობრივ და იურისდიქციულ ელემენტებს.

ფაქტობრივი ტერიტორია –ეს არის სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში არსებული ტერიტორია, რომელშიც მოიაზრება **ხმელეთის ნაწილი**, რომელიც მოიცავს მატერიკის ზედაპირს, კუნძულებს, ანკლავებს (ტერიტორიის ნაწილს, რომელიც ყველა მხრიდან სხვა სახელმწიფოებითაა შემოსაზღვრული და არ აქვს ზღვაზე გასასვლელი); **საწყლოსნო ნაწილი**, რომელიც მოიცავს მდინარეებს, ტბებს, ხელოვნურ წყალსაცავებს, რომლებიც განთავსებულია სახელმწიფოს სახმელეთო ნაწილში, აგრეთვე საზღვაო სანაპირო წყლებს; **მიწისქვეშა ტერიტორია**, კერძოდ წიაღისეული, რომელიც განლაგებულია სახელმწიფოს სახმელეთო და საწყლოსნო ტერიტორიის ქვეშ; **საჰაერო ტერიტორია**, სახელმწიფოს სახმელეთო და საწყლოსნო ტერიტორიის ზემოთ აღმოსფერო;

იურისდიქციული ტერიტორია ის ტერიტორიაა, რომელიც სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა, მაგრამ სადაც სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება. მაშასადამე, სახელმწიფოს კანონები მოქმედებენ

არა მარტო ფაქტობრივ სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე, არამედ მასთან გათანაბრებული ტერიტორიების ობიექტებზე (საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა, ანტარქტიდის მატერიკის პოლარული სადგურები, საზღვაო და საჰაერო ხომალდები, კოსმოსური ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო დროშის ქვეშ არიან ან სხვა სახელმწიფოებრივი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ, სატელეგრაფო კაბელები, მილსადენები და ა.შ, რაც ფაქტობრივი ტერიტორიების საზღვრებს გარეთაა).

ტერიტორიული ნიშნის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ტერიტორია სახელმწიფოებრიობის აუცილებელ მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი მოიცავს ბუნებრივ მატერიალურ რესურსებს, პირველ რიგში ბუნებრივ სიმდიდრეებს, რაც შრომის საგანს წარმოადგენს (ქვანახშირი, ნავთობი, მეტალები და ა.შ). ტერიტორიის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რაც აუცილებელია არსებობისა და სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება მცდელობა დასაბუთებული იქნას დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არ ფლობდეს საკუთარ ტერიტორიას. ამის მაგალითად ხშირად ასახელებენ მომთაბარეთა სახელმწიფოს., როგორიცაა, მაგალითად, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია და ა.შ (ამჟამად, 2012 წლის დეკემბერში გაეროში პალესტინის დამოუკიდებლობას ხმა მისცა 131-მა სახელმწიფომ, ორმოცზე მეტმა თავი შეიკავა, ხოლო ცხრა სახელმწიფომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო). თუმცა, დასახელებულ მაგალითებს წარმატებულად ვერ ჩავთვლით. ასე, მაგალითად, „მომთაბარეთა სახელმწიფო", არსებითად, ეს სხვა არაფერია, თუ არა თემთა კონგლომერატი, ხოლო პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია მხოლოდ სახელმწიფოებრიობის მაძებარი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

ლეგიტიმაციის სამყაროს მთელი სახმელეთო ნაწილი გადანაწილებულია სახელმწიფოების მიერ, რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიას არ მიეკუთვნებიან ღია ზღვები და ოკეანეები, კოსმოსური სივრცე,

მათ შორის მთვარე და სხვა ცის სხეულები, აგრეთვე მთელი მატერიკი – ანტარქტიდა.

სახელმწიფოს მოსახლეობა. წარმოადგენს ინდივიდების ეროობლიობას არა სისხლითნათესაური ან ეროვნული ნიშნით, არამედ ტერიტორიულობითა და მოქალაქეობით (ქვეშევრდომობით). ასეთ შემთხვევაში ადამიანებს აერთიანებს თვით მათი კავშირი სახელმწიფოსთან, მათთვის მოქალაქეობის არსებობა (რესპუბლიკებში) ან ქვეშევრდომობა (მონარქიებში). მაგრამ გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრებაჯერ კიდევ არა არის საკმარისი, რომ ინდივიდები ჩაერთოთ სახელმწიფოს მოსახლეობის შემადგენლობაში. საჭიროა განსაკუთრებული მყარი სამართლებრივი ურთიერთობები ადამიანსა და სახელმწიფოს შორის. იგულისხმება ურთიერთობები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. ასეთ სამართლებრივ ურთიერთობას მოქალაქეობა ეწოდება. მოქალაქეობა შეიძლება იყოს დაბადებით ან ნატურალიზაციით. სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქეები დაიცვას და გაუწიოს თანადგომა, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს

გარეთაც. ხდებიან რა სახელმწიფოს მოქალაქენი (ქვეშევრდომები), ინდივიდები კარგავენ გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის აბსოლუტურ თავისუფლებას. ამის სანაცვლოდ ისინი აღჭურვილნი არიან უფლებით მოითხოვონ სახელმწიფოსაგან საკუთარი (სუბიექტური) უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამასთან ადამიანისა და სახელმწიფოს მყარი პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი (ადამიანისათვის მოქალაქედ (ქვეშევრდომად) აღიარება) ნიშნავს მოქალაქისათვის სამოქალაქო უფლებების განსაკუთრებული ჯგუფით აღჭურვას (სამოქალაქო პრეროგატივები), რომლებითაც არ აღიჭურვებიან (ან ნაწილობრივ აღიჭურვებიან) სახელმწიფოს მოქალაქენი. განსაკუთრებულ უფლებებს, რომლებითაც აღიჭურვებიან მოქალაქენი, მიეკუთვნება: აირჩიონ და იყვნენ არჩეული წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოებში; გახახორციელონ გარკვეული სახის საქმიანობა; დაიკავონ თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში, ეს ეხება სახელმწიფო სამსახურებში საარჩევნო პროცესებს მათში მონაწილეო-

ბას, რეფერენდუმში და იდგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას.

მოქალაქეობა და საცხოვრებელი ტერიტორია შეიძლება მიეიჩნიოთ ფორმალურ-იურიდიულ ფაქტორებად, რომლებშიც ინდივიდებია გაერთიანებული. ამას გარდა, სახელმწიფოში ადამიანებს აერთიანებთ ენის, რელიგიის, ტრადიციების, ისტორიული განვითარების, სულიერი კულტურის და ეთიკური ფაქტორები, მატერიალური კულტურის და მრავალი სხვა ასპექტი. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს ინდივიდის მიკუთვნებას სახელმწიფოს გარკვეული მოსახლეობისადმი.

საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების აპარატი. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს სახელისუფლო უფლებამოსილების მობილიზება პროფესიული მმართველობის ხელში. სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი, როგორც სოციალური მმართველობა ატარებს საჯარო ხასიათს. სახელმწიფო სახელისუფლო მიწერილობანი ერთნაირად სავალდებულოა თანასაზოგადოების ყველა წევრისათვის მიუხედავად იმისა, თუ უშუალოდ იღებდნენ

თუ არა მონაწილეობას ამ მიწერილობათა მომზადებასა და მიღებაში. უფრო მეტიც, სულაც არა აქვს მნიშვნელობა სუბიექტის შინაგან ურთიერთობას (თანხმობას თუ უთანხმოებას) სახელმწიფოს სახელით დადგენილ ზოგადმნიშვნელოვან და ზოგადსავალდებულო ქცევის წესებზე, რომელთა მოქმედებაც გარანტირებულია სახელმწიფოს მთელი მექანიზმის მიერ (მათ შორის იძულებითი მექანიზმის მიერაც) და რომელიც სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ (დადგენილი მიწერილობების დარღვეეებისათვის გათვალისწინებულია ზიანის მიყენების შესაბამის და ადექვატური იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები). სახელმწიფო ახასიათებს სპეციალური აპარატის მართვა და იძულება, რომელიც თავის სახელისუფლო ზემოქმედების გავრცელება მოსახლეობაზე და სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. სახელმწიფო არის პოლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოება.

ხელისუფლება არის მესამე პირთა ქცევის მართვის უნარი და შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს მათ ქცევაზე, თავს მოახვიონ მათ საკუთარი ნება, მათ შორის იძულებითიც. სახელმჯწიფო აპარატი,

როგორც ორგანოებისა და ორგანიზაციების განსაკუთრებული სისტემა, სადაც მუშაობენ პროფესიონალი მოსამსახურეები – ჩინოვნიკები, რომლებიც არ მონაწილეობენ მატერიალურ წარმოებაში მატერიალურ სიკეთეს არ ქმნიან, მათი ფუნქციაა საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სფეროს მართვა.

სახელმწიფო'ში მართვის შრომა გამოყოფილია წარმოებისაგან. ჩინოვნიკი ახდენს მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობით სახელისუფლო ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება უფლებამოსილ პირთა მიერ.

სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციური უფლებამოსილებების რეალიზაციისაკენ სამართალშემოქმედებით, სამართალგამოყენებით, სამართალდამცავი და საზედამხედველო მაკონტროლებელ სფეროებში.

სახელმწიფო აპარატის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოებრივ იძუ-

ლებით აპარატს, პირველ რიგში, მთელი სამართალდამცავი სისტემა. სახელმწიფო ერთადერთი ორგანიზაციაა საზოგადოებაში, რომელსაც გასამხედროებული ფორმირებები (არმია, პოლიცია). სახელმწიფოს ეკუთვნის მონოპოლია იძულებაზე, შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე, ლეგალიზებულ ძალადობაზე, ინდივიდის სიკვდილით დასჯაზე (იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არის სიკვდილით დასჯა, როგორც პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე). რასაკვირველია, ასეთი ძალადობა უნდა ატარებდეს სამართლებრივ ხასიათს ანუ ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სამართლის ჩარჩოებში

სახელმწიფო სუვერენიტეტი[36]. აღნიშნული არის სახელმწიფოს არსებობის კომპლექსური ნიშანი და აუცილებელი პირობა, სუვერენიტეტი განიხილება, როგორც ფაქტორების ერთობლიობა, ერთის მხრივ, ხასიათდება საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფ-ლების უზენაესობით სხვა სახელისუფლო სახეებთან შედარებით (კორპორაციული ხელისუფლება, რელიგიური, საოჯახო და ა.შ.), ხოლო მეო-

[36] სიტყვა სუვერენიტეტი ფრანგული „sovreins" ნიშნავს „შეუზღუდავს", „აბსოლუტურს".

რეს მხრივ, გან-საზღვრავს საერთაშორისო სფეროში სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანი მოიცავს შემდეგ თვისებათა ერთობლიობას:

- სახელმწიფო სუვერენიტეტი მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკური ხელისუფლების ცნებასთან, ესე იგი სუბიექტის რეალურ უნართან პოლიტიკაში თავისი ნება განახორციელოს;
- სახელმწიფო სუვერენიტეტი ახასიათებს პოლიტიკური ხელისუფლების უზენაესობას. საკუთრივ, ტერმინი „სუვერენიტეტი" გამომდინარეობს ლათინური ფუძიდან „super"-იდან, ე.ი უზენაესი.
- **სუვერენიტეტი** ხასიათდება დამოუკიდებლობით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობა უნდა განიხილებოდეს არა პირდაპირ, არამედ (როგორ შეიძლება წარმოვიდგი-

ნოთ სოციალურ ურთიერთობებში ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტები) ისე, რომ დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, როგორც წესი ეს ხდება პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში;
- **სუვერენიტეტი** ხასიათდება ისეთი ნიშნებით, რომ გორიცაა ერთიანობა და განუყოფლობა, ესე იგი როგორც სახელმწიფოს ნიშანი, ის არ შეიძლება ნაწილობრივ გადაეცეს პოლიტიკურ - სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სუბიექტებს ან გადანაწილდეს სუბიექტებს შორის. სუვერენიტეტი არის ერთიანი პოლიტიკურ-სამართლებრივი კატეგორია, იგი ან არის ან არ არის საერთოდ.
- **სუვერენიტეტი** მოიცავს ორ ასპექტს: საშინაოს და საგარეოს. პირველს მიაკუთვნებენ სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის შიგნით, მეორეს – სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საერთაშორისო ურთიერთობებში. სუვერენიტეტი არის მთავარი სამართლებრივ-პოლიტიკური თვისებურება, რაც სახელმწიფოს ასხვავებს ყველა სხვა ორგანიზაციისაგან. ნებისმიერ საზოგადოე-

ბაში არსებობს „ხელისუფლების და დამორჩილების“ მრავალი სისტემა. ამ დროს სახელმწიფო ხელისუფლება უზენაესია ხელისუფლების სხვა წყაროებთან მიმართებაში. არ არსებობს რაიმე ხელისუფლება, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს უნივერსალური ხასიათი, თავის სახელისუფლო ქმედებებს ახორციელებს მთელ მოსახლეობასა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სახელმწიფოს მოთხოვნა არის საყოველთაო, აქვს აუცილებლობის პრიორიტეტი

სახელმწიფო, როგორც სუვერენი, უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოებისაგან თავისუფლად და დამოუკიდებლად, გაატაროს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ფულადი სისტემა მოიცავს საფინანსო სისტემის სხვადასხვა ელემენტს. ეს არის ეროვნული ვალუტა, სახელმწიფო ბანკები, საბაჟო სისტემა, ემისიის წესი (ახალი ფულის გამოშვება ბრუნვაში) და ფულადი ბრუნვა.

საგადასახადო სისტემა. სახელმწიფო გადასახადების აკრეფით ავსებს ბიუჯეტს და არასაბიუჯეტო ფონდებს (საპენსიო და სხვა ფონდები) – ცენტრალიზებული ფულადი ფონდები, რომელთა ხარჯვა ხდება საჯარო მიზნებისათვის ანუ მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. ისინი იქმნება საზოგადოების ყველა წევრის მიერ – გადასახადების გადახდის გზით. თითოეული ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და მოსაკრებლები, შეძლებისდაგვარად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში. სახელმწიფო ფლობს განსაკუთრებულ მონოპოლიას იძულებაზე და შეუძლია ამოიღოს კერძო საკუთრება ცენტრალიზებულ ფულად ფონდებში. ყველა სხვა შემთხვევაში, საკუთრების ამოღებას სჭირდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილება. გადასახადებზე არ თანხმდებიან. გადასახადები - აუცილებელი შესატანია ბიუჯეტში, რასაც ადგენს სახელმწიფო ცალმხრივად და უსრულველყოფს მას იძულების წესით. გადასახადების გზით შეგროვილი ფულადი თანხის ხარჯვა ხდება სახელმწიფოს

საჯარო ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისას. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სოციალური გადასახდელები (ფულად კმაყოფაზე პირთა აყვანა, პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები და კომპენსაციები), სახელმწიფო აპარატის, ეროვნული თავდაცვის, სამართალდამცავი საქმიანობის შენახვა, არამატერიალური ცალკეული წარმოების ფინანსირება (მეცნიერება, კულტურა, მედიცინა, განათლება), სამრეწველო ინვესტიციები მშენებლობაში, ტრანსპორტში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ. სახელმწიფო, ბიუჯეტის მეშვეობით ახდენს საზოგადოების საფინანსო რესურსების გადანაწილებას რეგიონებზე, წარმოების ცალკეულ დარგებზე, მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიებზე.

ეროვნული კანონმდებლობა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქცირებული ზოგადსავალდებულო, ფორმალურად – განსაზღვრული ქცევის ზოგადი წესების (ნორმების) სისტემა, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფილი და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო, მითითებული ნორმების მეშვეობით აწესრი-

გებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ახორციელებს მმართველობას. სწორედ სახელმწიფო ადგენს ერთიან მართლწესრიგს საზოგადოების ყველა წევრისათვის.

სახელმწიფო სიმბოლოები. სიმბოლოები მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სახელწოდებას, დედაქალაქს, დროშას, გერბს, ჰიმნს, სახელმწიფო ენას, რიტუალებსა და ცერემონიებს, დაჯილდოვებებს (ორდენები, მედლები, საპატიო წოდებები. თუ დანარჩენი ნიშანი ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლებას და არ შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე სხვა სუბიექტს, სიმბოლოები არ წარმოადგენენ მონოპოლიურ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს, ამიტომ, სახელმწიფოს ეს ნიშანი ატარებს ფაკულტატურ ხასიათს.

სახელმწიფოს ჩამოთვლილი ნიშნები საშუალებას გვაძლევენ ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს შემდეგი განსაზღვრება:

სახელმწიფო არის საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის სუვერენულ ხელისუფლებას განაკრცობს გარკვეულ ტერიტორიაზე, მოქმედებს მთელი საზოგადოების ან მისი ნაწილის ინტერესებისათვის, აქვს საკუთარი საგადასახადო და ფულადი სისტემა, ეროვნული კანონმდებლობა, ოფიციალური სიმბოლიკა და აქვს მმართველობისა და იძულების სპეციალური აპარატი.

სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები

- სახელმწიფოს ტერიტორია.
  - ფაქტობრივი ტერიტორია
  - იურისდიქციული ტერიტორია
- სახელმწიფოს მოსახლეობა.
- საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების აპარატი.
- სახელმწიფო სუვერენიტეტი.
  - სახალხო სუვერენიტეტი
  - ეროვნული სუვერენიტეტი
- სიმბოლოები (ჰიმნი, გერბი, დროშა, სახელმწიფო დღესასწაულები

§ 3. სახელმწიფო ხელისუფლება

> განვიხილავთ ხელისუფლების ცნების შესახებ არსებულ კონცეფციებსა და მოსაზრებებს; გავეცნობით ხელისუფლების ურთიერთობის შინაარსსა და სხვა შემადგენელ კომპონენტებს; შევისწავლით ხელისუფლების რესურსების საკითხს

ხელისუფლება არის კლასის, სოციალური ჯგუფის, პიროვნების უნარი დაიმორჩილოს სხვა კლასები, სხვა სოციალური ჯგუფები, სხვა ადამიანები, აიძულოს ისინი იმოქმედონ ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად ან მათი განხორციელების წინააღმდეგ და დააკმაყოფილოს ხელისუფლებაში მყოფთა ინტერესები

ხელისუფლება ყველა დროში გამოდიოდა სოციალური რეგულირების მნიშვნელოვან საწყისად და

საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ამიტომ ხელისუფლება გვევლინება მაფუნქციონირებელ თვისებად ნებისმიერი საზოგადოებისათვის, ადამიანთა ნებისმიერი კოლექტივისათვის, ასრულებს განსაკუთრებულ ფუნქციას მათი არსებობისათვის და თავისი წევრების დამორჩილებისათვის.

„ხელისუფლებისა" და „სახელმწიფო ხელისუფლების" ცნებები აქტიურად იკვლევა პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, იურიდიული მეცნიერებების მიერ, ისინი გამოიყენება ნორმატიული აქტების ტექსტებში.

ხელისუფლების პრობლემა მუდმივად განიხილება იურიდიულ მეცნიერებაში, რაც თემის აქტუალობაზე მეტყველებს, აგრეთვე ხელისუფლების, მთლიანობაში და სახალხო ხელისუფლების კონკრეტულ მნიშვნელობაზე. სრულიად სამართლიანად აღინიშნება, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია წარმოადგენს ტრადიციულ პრობლემას „შესავალი სამართალმცოდნეობაში" მეცნიერებაში. ჯერ კიდევ ლ.პეტრაჟიცკი აღნიშნავდა ხელისუფლებისა და სახ-

ელმწიფო ხელისუფლების გაურკვევლობასა და დავაზე. პეტრაჟიცკი სახელმწიფო ხელისუფლების ბუნების განსაზღვრისას აღნიშნავდა, რომ საჭიროა განსაკუთრებული მიდგომა. იგი აღიარებს, რომ იძულება ხელისუფლების ატრიბუტია. იგი სახელმწიფო ხელისუფლებას თვლიდა, როგორც სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო ხელისუფლებაზე საუბრობდა როგორც ერთის უფლებაზე მეორის მოვალეობებთან შესაბამისობაში. იგი ხელისუფლებაში ვარაუდობს სახელმწიფოს საქმიანობას მისი ორგანოების საქმიანობის სახით.

ხელისუფლების გასაგებად გავრცელებულია ფუნქციური მიდგომა. ზოგიერთი ავტორი წერს, რომ ნებისმიერი ხელისუფლება, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლებაც განსაკუთრებული ფუნქციაა ხელმძღვანელობისა და კოორდინირების შესახებ. სახელმწიფო ხელისუფლება არ არის დაყვანილი მათში გამოხატული მხოლოდ ადამიანთა ნებელობით ქმედებამდე, იგი რაღაც უფრო მეტია. ეს ძალაა, რომელსაც აქვს უნარი და შესაძლებლობა დაიმორჩილოს სხვები[37]. ეს არის თავისი ნების, თავისი ინტერესების სხვებისათვის თავზე მოხვევა.

სხვანი ფიქრობენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოებაში სოციალური ასიმეტრიის საფუძველზე წარმოქმნილი და მმართველობის მოთხოვნებით განპირობებული სოციალურ-ნებელობითი ურთიერთობაა, რომელშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს პოლიტიკური სუბიექტი – სახელმწიფო, მისი ორგანო, თანამდებობის პირი[38].

ხელისუფლება ეს არის შესაძლებლობა გაატაროს თავისი ნება მაშინაც კი, თუ წინააღმდეგობებს ხვდება. როგორც ვხედავთ, ხელისუფლებას აქვს ნებელობითი ხასიათი, იგი შესაძლებელია იქ, სადაც მოქმედებენ სუბიექტები, რომლებიც შეგნებულნი არიან და აქვთ ნება, აქვთ უნარი აღიქვან ხელისუფლების ნება. იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ნება არ მიიღება, იწყებს მოქმედებას იძულება (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, პოლიტიკური და ა.შ.)

[37] Коркунов Н.М. Лекции по общей теории права. СПб.,1894. с.246
[38] Чиркин В.Е. Элементы сравнительного государствоведения., М.,1994. с.16

ათასწლეულების მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლება – ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მოვლენაა მრავალი პოლიტიკოსის, ორგანიზაციის, მოძრაობების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ცალკეული პიროვნებებისათვის.

ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების, პრობლემები მნიშვნელოვანია პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, იურისპრუდენციისათვის.

ხელისუფლება არ არის ერთმნიშვნელოვანი მოვლენა. არსებობს ხელისუფლების მრავალი სახე და სრულად კანონზომიერია ხელისუფლების მეცნიერული განმარტების დიდი ოდენობა. სახელმწიფო ხელისუფლების გარდა რეალურად არსებობს მშობელთა ხელისუფლება, სამხედრო ხელისუფლება, საეკლესიო ხელისუფლება, ხელმძღვანელის ხელისუფლება, კორპორაციული ხელისუფლება (ხელისუფლება სხვადასხვა ორგანიზაციაში). ზოგიერთ ხალხებში – უხუცესთა ხელისუფლება, ქმრის ხელისუფლება ცოლის მიმართ და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყოველ დასახელებულ ხელისუფლებას აქვს მრავალი განსხვავება „ადგილისა და დროის" მიხედვით. მაგალითად, მამის ხელისუფლება პატრიარქალურ შუა საუკუნეებში და თანამედროვე ევროპულ ოჯახებში ერთმანეთისაგან განსხვავდება.

პირველყოფილ საზოგადოებაში ხელისუფლება საზოგადოებრივია, იგი გამოხატავს მთლიანად საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს. სახელმწიფო ხელისუფლება კი გამოხატავს ცალკეული კლასების, სოციალური ჯგუფების, იმათი, ვინც საზოგადოებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზეა, იმის ინტერესებს. გვაროვნული წყობილებისათვის უცნობია მმართველობის განსაკუთრებული აპარატი, მმართველობის განმახორციელებელი განსაკუთრებული ადამიანთა ფენა. უხუცესები და სხვა არჩევითი პირები თავის ხელისუფლებას ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე. სრულიად სხვადასხვაგვარადაა საქმე სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში, აქ ჩნდება მმართველობის სპეციალური აპარატი, გამოიყოფა ადამიანთა განსაკუთრებუ-

ლი ფენა, რომელიც მმართველობით საქმიანობას ეწევა.

სახელმწიფო აპარატის შესანახად საჭიროა სპეციალური საშუალებანი, რომლებიც ძირითადად ამოიღება მოსახლეობისაგან – გადასახადების სახით, ეს გვაროვნული წყობილებისათვის უცნობი ფენომენია. გვაროვნულ წყობილებაში ხალხი იყოფა სისხლით ნათესაური პრინციპის მიხედვით. სახელმწიფო ხელისუფლების დროს კი ხელისუფლება მართავს ტერიტორიული პრინციპით, სადაც სისხლითნათესაობას მნიშვნელობა აღარ აქვს.

სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს რა სახელმწიფოს განუყოფელ ატრიბუტს, პირველ რიგში გამოხატავს იმ სოციალურ ძალთა ინტერესსა და ნებას (კლასის, ერის, ჯგუფის), რომელთაც აქვთ სახელმწიფო აპარატი და ხელისუფლების ორგანოები, ე.ი. ის ძალები, ვისაც იგი ეკუთვნის.

ხელისუფლების წყაროდ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში არის ხალხი, ხოლო სახელმწიფოში, სადაც ანტაგონისტური კლასებია, ხელისუფლების წყაროა გაბატონებული კლასი (მონათმფლობელები, ფეოდალები, კაპიტალისტები, პროლეტარიატი).

სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს მრავალი დამახასიათებელი ნიშანი, რითაც განსხვავდება, ხელისუფლების სხვა სახეებიდან. სახელმწიფო ხელისუფლება მოიცავს უნივერსალობას, დიდ უნარს, გადაწყვიტოს ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანები, ვამოიყენოს იმ ფორმების და მეთოდების უფრო მეტად ფართო კომპლექსი, რაც ზემოქმედებს საზოგადოების პროცესებზე.

სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები:

- სახელმწიფო აპარატის მეშვეობით ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში იქონიოს გავლენის უნარი;
- იყოს უზენაესი საზოგადოების ყველა სხვა ხელისუფლებასთან შედარებით.

უზენაესობა ნიშნავს მის უმაღლეს ძალას, უზენაესი ძალა აქვს მის გადაწყვეტილებებს, მითითებებს, მოთხოვნებს.

ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი ნიშანია მისი სუვერენიტეტი. სუვერენიტეტი განუყოფლადაა დაკავშირებული უზენაესობასთან. სუვერენიტეტი და უზენაესობა – მედლის ორი მხარეა. ისინი ვიღაცისგან ან რაღაცისგან ხელისუფლების დამოუკიდებლობას ნიშნავს.

ერთ-ერთი ნიშანია ხელისუფლების ერთიანობა. ხელისუფლების ნიშანია აგრეთვე იძულებითი ძალის გამოყენების უნარი. მეტად დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

სახელმწიფო ხელისუფლების კომპონენტებია:

- ხელისუფლების სუბიექტი;
- ხელისუფლების ობიექტი;
- სახელისუფლო საქმიანობის შინაარსი;
- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საშუალებები, ხერხები;
- ხელისუფლების რესურსები

ხელისუფლების **სუბიექტიმს** წარმოადგენენ სოციალური და ნაციონალური საზოგადოებები, კლასები ხალხი, ერები და ა.შ. ხელისუფლება და მორჩილება ემყარება სხვადასხვა მოტივს: ძალას, ჩვევას, ინტერესს, დარწმუნებას, ავტორიტეტს და ა.შ.

ხელისუფლების **ძალა** მდგომარეობს იძულების გამოყენების შესაძლებლობაშია, იგი ყყრდნობა სანქციის მუქარის შიშს. ეს მოტივი მყარი არ არის, რამდენადაც აქვს ტენდენცია თანდათანობით შესუსტებისაკენ, შიში გაივლის და მოტივიც აღარაა.

მორჩილების ჩვევა მოქმედებს მანამდე, ვიდრე ცხოვრებასთან წინააღმდეგობაში არ მოვა. ყველაზე უფრო მდგრადი მოტივია – ინტერესი. პირადი დაინტერესება აღძრავს სურვილს ნებაყოფლობით შეასრულდეს სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია სახელმწიფო ხელისუფლების მოთხოვნათა შეასრულება დარწმუნების გზით, იგი ემყარება უფრო მეტად მაღალ ფასეულობებს, ვიდრე ინდივიდუალური ინტერესია. ეს შეიძლება იყოს პატრიოტული, ზნეობრივი, რელიგიური, ზოგადნაციონალური ფასეულობები.

სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტი, ფორმირდება ხელისუფლების აღიარება და პატივისცემა.

სახელმწიფო ხელისუფლების **ობიექტად** ჩვეულებრივ გამოდიან მოქალაქენი, მათი გაერთიანებები, სოციალური ფენები, კლასები, საზოგადოება მთლიანობაში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტი და სუბიექტი ძალიან მჭიდრო კავშირშია და ზოგჯერ ემთხვევიან ერთმანეთს, არადემოკრატიულ სახელმწიფოში კი, – მკვეთრად გამიჯნულნი არიან.

ხელისუფლების ურთიერთობის **შინაარსი** – არის არსებითი, მთავარი სტრუქტურული ელემენტი. სახელისუფლო ურთიერთობები წარმოიშვებიან ხელისუფლების მატარებელსა და მორჩილებაში მყოფთა ურთიერთმოქმედების პროცესში, მათი ურთიერთობა მიმართულია ხელისუფლების განხორციელებისაკენ. თუ ხელისუფლებისა და მორჩილთა ინტერესები და ნება ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ხელისუფლების რეალიზება ყოველგვარი იძულების გარეშე ჩვეულებრივ რეჟიმში ხდება, თუ ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაშინ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი – მკაცრი ძალისმიერი იძულებაც კი.

რესურსები – სახელმწიფო ხელისუფლების რესურსები იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას. მათგან ყველაზე ცხადია – უტილიტარული, იძულებითი და ნორმატიული. უტილიტარულს მიეკუთვნება მატერიალური და სხვა სოციალური სიკეთეები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა ყოველდღიურ ინტერესებთან.

იძულებითია – სახელმწიფო-სახელისუფლო ზომები, სადამსჯელო ზემოქმედება. ნორმატიული რესურსები მოიცავენ ფასეულობით ორიენტაციებს, საზოგადოებაში ურთიერთობათა რეგულირებას და უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივ რეგულირებას.

არსებობს ხელისუფლების რესურსების კლასიფიკაცია:

- ეკონომიკური (მატერიალური),
- სოციალური,

- კულტურულ-საინფორმაციო,
- იდეოლოგიური,
- ძალისმიერი.

ეკონომიკურს ანუ მატერიალურს მიეკუთვნება: სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო ხაზინა, ტექნიკა, ნაყოფიერი მიწები, სასარგებლო წიაღისეული და სხვა. ისინი შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ეკონომიკურ ბაზას ეყრდნობა რა ეკონომიკურ რესურსებს, სახელმწიფო ხელისუფლება ნაწილობრივ უზრუნველყოფს თავის თავს, აღწევს წესრიგს და ეკონომიკაში მდგრადობას.

სოციალური რესურსები ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ საფუძველს, რომლის დახმარებულებაა კლასთაშორისი, ჯგუფებშორისი, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ორგანიზაციას, გადაჭრას სოციალური კონფლიქტები, ამისათვის ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობაში ნდობის მოპოვებას. სახელმწიფო ხელისუფლება მოსახლეობას ყოფს სოციალური კიბის მეშვეობით სხვადასხვა სტატუსის მქონედ (აზნაურები, ვაჭრები, დამტარებლები, მეშჩანები და ა.შ)

კულტურულ-საინფორმაციო რესურსებია – ცოდნა, ინფორმაცია, აგრეთვე მათი მიღების საშუალებანი.

თუ სახელმწიფო ხელისუფლება ეფუძნება ტრადიციებს, მაშინ იგი განამტკიცებს მის მდგომარეობას საზოგადოებაში. შემთხვევითი როდია, რომ წარსულში და დღესაც სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობს პატივისცემით მოეპყრას ხალხის ისტორიულ, ნაციონალურ ტრადიციებს, არც თუ იშვიათად გამოიყენებს მათ თავის პოლიტიკაში

სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია იდეოლოგია. ნებისმიერ სახელმწიფოში ამ რესურსს ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან ხელისუფლება იდეოლოგიის მეშვეობით ამართლებს თავის არსებობას, თავის ლეგიტიმურობას, ასაბუთებს ხელისუფლების მეთოდებს და გარკვეული მიზნების მიღწევას, თავისი ქმედებებით მოსახლეობაში ისწრაფვის პატივისცემისა და გაგების მიღწევას.

ძალისმიერი რესურსები საჭიროა ყოველი სახელმწიფოსათვის. მას შეადგენენ არმია, პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა, უსაფრთხოების ორგანოები (დაზვერვა). ამ ორგანოების ამოცანაა მართლწესრიგის, იძულების განხორციელების უზრუნველყოფა, ხელისუფლების დაცვა იმათგან, ვინც მისი წინააღმდეგია.

დასახელებული რესურსებიდან თითოეული აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. სხვადასხვა ისტორიულ პირობებში რომელიმე მათგანი გამოდის, როგორც მნიშვნელოვანი, სხვებს შეუძლიათ შედარებით მნიშვნელოვანი იყვნენ, მაგრამ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს მათით სარგებლობა, სხვაგვარად იგი ვერ იქნება დამოუკიდებელი და ეფექტური.

ზოგიერთი მეცნიერი საუბრობს რა ხელისუფლებაზე, მას მხოლოდ ადამიანთა სოციალურ ყოფიერების არსს უკავშირებს და მიაჩნია, რომ სიტყვა „ხელისუფლება" გაგებული უნდა იქნას ხელისუფლებასა და სამართალს შორის არსებული სოციალური

კატეგორიების აზრით[39]. პროფესორ გ. ნანეიშვილს მიაჩნია, რომ „ხელისუფლება წარმოადგენს ძალას, მაგრამ სხვა ძალებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ხელისუფლება სამართლით მოწესრიგებული ძალაა[40].

სახელმწიფო ხელისუფლებაზე მსჯელობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლება არის ხელისუფლების სუბიექტების, ობიექტების, ურთიერთობის შინაარსისა და რესურსების ერთობლიობა, რომელიც დარწმუნების ან იძულების მეთოდებით ქვეყანაში ამყარებს წესრიგს.

[39] იხ. ირ. სურგულაძე. ხელისუფლება და სამართალი„თბილისი, 2002 წ. გვ 55

[40] იხ. გ.ნანეიშვილი. სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბილისი, 1992 წ. გვ 200.

სახელმწიფო ხელისუფლების კომპონენტებია:

- ხელისუფლების სუბიექტი;
- ხელისუფლების ობიექტი;
- სახელისუფლო საქმიანობის შინაარსი;
- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საშუალებები, ხერხები;
- ხელისუფლების რესურსები

ხელისუფლების სუბიექტები

წარმოადგენენ სოციალური და ნაციონალური საზოგადოებები, კლასები ხალხი, ერები და ა.შ. ხელისუფლება და მორჩილება ემყარება სხვადასხვა მოტივს: ძალას, ჩვევას, ინტერესს, დარწმუნებას, ავტორიტეტს და ა.შ.

ხელისუფლების ობიექტი

სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტად ჩვეულებრივ გამოდიან მოქალაქენი, მათი გაერთიანებები, სოციალური ფენები, კლასები, საზოგადოება მთლიანობაში.

ხელისუფლების ურთიერთობის შინაარსი

ხელისუფლების ურთიერთობის შინაარსი – არის არსებითი, მთავარი სტრუქტურული ელემენტი. სახელისუფლო ურთიერთობები წარმოიშვებიან ხელისუფლების მატარებელსა და მორჩილებაში მყოფთა ურთიერთმოქმედების პროცესში, მათი ურთიერთობა მიმართულია ხელისუფლების განხორციელებისაკენ.

ხელისუფლების რესურსები

↓

რესურსები – სახელმწიფო ხელისუფლების რესურსები იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას.

ხელისუფლების რესურსების კლასიფიკაცია:

↓

- ეკონომიკური (მატერიალური),
- სოციალური,
- კულტურულ-საინფორმაციო,
- იდეოლოგიური,
- ძალისმიერი.

§ 4. სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება

ფილოსოფიურ და იურიდიულ ლიტერატურაში სახე-ლმწიფოს სოციალური დანიშნულება მუდმივად სადისკუსიო პრობლემას წარმოადგენს.

მრავალი მოაზროვნე იდწყოდა განესაზღვრა სახელმწიფოს მნიშვნელობა საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. საზოგადოების შესახებ პლატონი გამოდიოდა რა თავისი შეხედულებებით, ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს დანიშნულება მდგომარეობს ზნეობრიობის განმტკიცებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების მოაზროვნეებში სახელმწიფოს დანიშნულების გაგება განისაზღვრება მათი ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებებით. მაგალითად, თომას ჰობსი სახელმწიფოს დანიშნულებად თვლიდა საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჰუგო გროციუსი – საერთო კეთილდღეობის განმტკიცებას, ხოლო ჟან-ჟაკ რუსო მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს დანიშნულებაა ზოგადი თავისუფლების უზრუნველყოფა. ჰეგელის შეხედულებები სახელმწიფოს დანიშნუ-

ლებაზე გარკვეულწილად ემთხვეოდა პლატონის მოსაზრებებს, რამდენადაც იგი სახელმწიფოში ხედავდა აგრეთვე ორგანიზაციას, რომლის დანიშნულებაა განავითაროს და განამტკიცოს ზნეობრივი იდეები-თანამედროვე სახელმწიფოში შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ მას აქვს ისეთივე სოციალური დანიშნულება, როგორიც ჰქონდა 2000-3000 წლის წინ. თანამედროვე სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება დამოკიდებულია მის მრავალფეროვან, ფართო საქმიანობაზე, რაც მიმართულია არა ვიწროკლასობრივი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, არამედ, საზოგადოების ნორმალური, უკონფლიქტო არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე ამოცანებიდან.

თანამედროვე სახელმწიფო საერთო საკითხების გადამწყვეტი სოციალური არბიტრია, მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორი, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება. ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა და დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ტექნიკური პროგრესი,

ხალხის ჯანმრთელობა, საზოგადოების უკონფლიქტოდ არსებობა, ცხოვრების საჭირო დონის უზრუნველყოფა (მინიმალური ხელფასი, პენსია, დახმარება), მეცნიერების, კულტურის, განათლების თანადგომა.

სახელმწიფო უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების მკვეთრად დიფერენციერებას, რათა არ დაუშვას მძაფრი სოციალური კონფლიქტები (მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი ხელფასი უმდაბლესს 4-ჯერ მეტად არ აღემატება).

თანამედროვე სახელმწიფო უნდა რეაგირებდეს მოსახლეობის იმ ფენაზე, ჯგუფზე ან ინდივიდებზე, ვინც საზოგადოებისათვის საშიშნი არიან. მისი კომპეტენტური ოერგანოები ვალდებულნი არიან შეაკავონ საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი, ასრულებენ სოციალურ კონტროლს კანონების და ადამიანთა თანაცხოვრების პრინციპებისა და წესების შესრულებაზე. სწორედ სახელმწიფოს მრავალფეროვანი საქმიანობა იწვევს თანამედროვე ფუნქციების შესრულებას.

შეხედულებები სახელმწიფოს დანიშნულებაზე:

↓

პლატონი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს დანიშნულება მდგომარეობს ზნეობრიობის განმტკიცებაში.

↓

თომას ჰობსი სახელმწიფოს დანიშნულებად თვლიდა საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას

↓

ჰუგო გროციუსი – საერთო კეთილდღეობის განმტკიცებას

↓

ჟან-ჟაკ რუსო - ზოგადი თავისუფლების უზრუნველყოფა.

↓

ჰეგელის შეხედულებები გარკვეულწილად ემთხვეოდა პლატონის მოსაზრებებს, რამდენადაც იგი სახელმწიფოში ხედავდა აგრეთვე ორგანიზაციას, რომლის დანიშნულებაა განავითაროს და განამტკიცოს ზნეობრივი იდეები

§ 5. სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა

> განვიხილავთ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის ცნებებს, მათ თანაფარდობას; თითოეულის დამახასიათებელ ნიშნებს

სახელმწიფოებრიობის ცნება არის ფართო, მრავალსტრუქტურული, სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარი ელემენტი, ერთ-ერთი მათგანია – „სახელმწიფო".

ტერმინების „სახელმწიფოებრიობა" და „სახელმწიფო" შინაარსი განსხვავებულია, ისინი ერთმანეთთან კავშირშია როგორც ერთიანი და მთლიანი და როგორც ნაწილი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრიობა არის სახელმწიფოს მრავალასპექტური გამოვლენა, ეს მისი განვითარებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა წახნაგია, რომლებიც ვლინდება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და ა.შ. მოვლენებთან ურთიერთკავშირში.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოებრიობა გაიგება, როგორც საზოგადოების ორგანიზაციის

განსაკუთრებული ფორმა, რომელშიც მოიაზრება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი, დროში დინამიურად განვითარებადი, ყველა მოვლენა, რომლებიც წარმოიშვება საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, კულტურული და პოლიტიკური სფეროების გავლენით[41].

ზოგიერთი ავტორი არ იძლევა სახელმწიფოებრიობის განმარტებას, არ იძლევა მის დეფინიციას, სამაგიეროდ, მეტად დაწვრილებით ხსნის მის შინაარსს, აღწერს მის სტრუქტურას, შემადგენელ ელემენტებს.

ავტორების მიერ შემოთავაზებული შეხედულებების გაანალიზებისას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- **სახელმწიფოებრიობა** თავის თავში მოიცავს-სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ყველა მოვლენას, მაგრამ ძირითად, მთავარ, ცენტრალურ შემადგენლებად ითვლებიან სახელმწიფო და სამართალი;

[41] Рябинин Н.А Преемственность государственности. Автореферат диссертасии кандидата юридических наук. Екатеринбург., 2001. с.10.

- **სახელმწიფოებრიობა** სახელმწიფოს განვითარების ეტაპზე მისი ორგანიზებული მდგომარეობის დონეს წარმოადგენს;
- **სახელმწიფოებრიობა** საჯარო ხელისუფლების ელემენტების, სტრუქტურების, ინსტიტუტების კომპლექსია, რომელიც განპირობებულია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი, კულტურული პირობებით;

სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელი ნიშნებია: დინამიზმი, კონკრეტულობა, მთლიანობა, სისტემურობა.

- **დინამიზმი** – ისტორიული განვითარების მიმდინარეობისას სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, საერთაშორისო, ეროვნებათაშორისი, შიდაეროვნული და ა.შ ფაქტორების გავლენით სახელმწიფოებრიობის მუდმივი ცვალებადობაა;
- **კონკრეტულობა** – ეს სახელმწიფოებრიობაა რეალობაში, ეს არის სახელმწიფოებრიობა კონკრეტულ საზოგადოებაში, გარკვეულ ცივილიზაციაში. ამ თვისების შედეგად სახელმწი-

ფოებრიობა ვლინდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმებით, საზოგადოებასთან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობებით. ამიტომ შესაძლებელია ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ სახელმწიფოებრიობის განსხვავება;

- **მთლიანობა** – ნიშნავს სახელმწიფოებრიობის ერთიანობას, გამოხატულს მის მდგრადობაში, რომლის რეალიზაციაც ხდება სახელმწიფო-სამართლებრივ და პოლიტიკურ რეჟიმში. მთლიანობა სახე-ლმწიფოებრიობას ახასიათებს, როგორც ჰარმონიულ წარმონაქმს, რომელსაც შეუძლებელია ხელოვნურად დაამატოს ან ხელოვნურად მოაშოროს რომელიმე ერთ-ერთი ელემენტი;
- **სახელმწიფოებრიობის სისტემურობა** - ხასიათდება, როგორც რთული სისტემური წარმონაქმნი, რომელსაც შინაგანი სტრუქტურა აქვს, იგი შედგება ურთიერთკავშირში მყოფი ურთიერთმოქმედი ელემენტებისაგან (სახელმწიფო, სამართლებრივი სისტემა, საზოგადოებრივი შეგნება, სახელმწიფო ინსტიტუტები, ეკლესია, კულტურა და ა.შ.).

„სახელმწიფოებრიობის“ ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- **სახელმწიფო**, როგორც სახელმწიფოებრიობის ცენტრალური მნიშვნელოვანი ელემენტი გამოხატავს და საზოგადოებაში ბევრად განსაზღვრავს პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელ სპექტრს;
- **საზოგადოების განვითარების ეკონომიკური დონე** – მისი ეკონომიკური წყობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფოებრიობაზე ეოქვათ, სახელმწიფოს რომელიმე ტიპის ეკონომიკურ წარმოებაში პრევალირებს ან კერძო ან სახელმწიფო საკუთრება და ა.შ.
- **საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია** – პოლიტიკურ ძალთა განლაგება, ხელმძღვანელობის სხვადასხვა მეთოდის შესაბამისობა, რეჟიმი, ეროვნულ ურთიერთობათა ხასიათი, პროფკავშირების ადგილი და როლი.

- **საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა** – საზოგადოების მიერ სახელმწიფოებრიობის იდეის აღქმა. საზოგადოების ურთიერთობა სახელმწიფოსთან, სამართალთან, კანონთან; საზოგადოებრივი, ჯგუფური, ინდივიდუალური შეგნების დონე);
- **საზოგადოების ისტორიული ტრადიციები** – მათი დაცვა ან უარყოფა;
- **ადამიანი, როგორც საზოგადოების სუბიექტი** – მისი სამართლებრივი მდგომარეობა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება;
- **ინფორმაციული სისტემა** – რომელიც მოქმედებს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში

სახელმწიფოებრიობის ცნება

↓

არის ფართო, მრავალსტრუქტურული, სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარი ელემენტი

სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელი ნიშნებია:

↓

- **დინამიზმი,**
- **კონკრეტულობა,**
- **მთლიანობა,**
- **სისტემურობა.**

„სახელმწიფოებრიობის“ ცნების ელემენტებია:

- სახელმწიფო,
- საზოგადოების განვითარების ეკონომიკური დონე
- საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია
- საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობა
- საზოგადოების ისტორიული ტრადიციები
- ადამიანი, როგორც საზოგადოების სუბიექტი
- ინფორმაციული სისტემა

§ 6 სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა.

ამ საკითხის განხილვისას გავერკვევით მათ ურღვევ კავშირზე, რომ სახელმწიფო არ არსებობს სამართლის გარეშე და პირიქით.

სახელმწიფოს უდიდესი როლი ენიჭება სამართლის მოქმედების პროცესში, ზოგი ავტორის მიერ სახელმწიფო განიხილება, როგორც სამართლის სუბიექტი და არა როგორც პოლიტიკური სტრუქტურა. სახელმწიფო განეკუთვნება ფაქტობრივ სფეროს ანუ იგი არსის სფეროშია, მართალია სახელმწიფო იურიდიულად ორგანიზებული ინსტიტუტია, მაგრამ მას მხოლოდ ნორმატიული შინაარსი არ აქვს, ხოლო სამართალი განეკუთვნება ჯერარსის სფეროს, მისი შესწავლა ხდება ნორმატიული მეთოდებით, რომელსაც ადგენს სახელმწიფო. რა ტიპისაცაა სახელმწიფო, მას ისეთივე ტიპის სამართალი შეესაბამება.

სახელმწიფო სამართლის მეშვეობით კარნახობს და აცნობს საზოგადოების წევრებს ხალხის გარკვეული ნაწილის ნება-სურვილს, ხოლო სახელმწიფოებრივი საკითხების ღრმად და ამომწურავად შესწავლა შეუძლებელია სამართლის საკითხების ცოდნის გარეშე, ისევე, როგორც სამართლის პრობლემების გაგება არ შეიძლება სახელმწიფოს ცალკეული საკითხების მეცნიერული ანალიზის გარეშე;

სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა იმისდა მიხედვით, თუ როგორია სამართლის გაგება, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოსა და სამართლის შესაბამისობის სამ მოდელს გამოყოფენ, ესენია: ტოტალიტარული, ლიბერალური და პრაგმატული.[42]

- **ტოტალიტარული მოდელი:** სახელმწიფო, როგორც სუვერენული ორგანიზაცია თავისი ნებელობით სამართალზე მაღლა დგას. აღნიშნული მოდელი გამომდინარეობს შეხედულებებ-

[42] იხ. მაგალითად, Кудрявцев В.Н., О правопонимании законности, Государство и право. 1994., №3 с.7

ბიდან და, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული პოზიტივიზმის უკიდურესი გამოვლენისაგან მარქსიზმის ვულგარული მიმდევრებისაგან.[43]

- **ლიბერალური მოდელი:** სამართალი სახელმწიფოზე მაღლა დგას და ბოჭავს მას. სახელმწიფო, ამ მოდელის მიხედვით, სამართალს არ ქმნის, საუკეთესო შემთხვევაში, იგი აღმოაჩენს მას, იმისათვის, რომ გამოხატოს იგი პოზიტიურ კანონში. ლიბერალური მოდელები გამომდინარეობს იმ შეხედულებებიდან, რომლებიც ერთმანეთისაგან ასხვავებენ სამართალსა და კანონს, კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, ბუნებითი სამართლის და მისი ანალოგების მიმდევრების შეხედულებებიდან, რასაკვირველია, მოცემული მოდელი, ალბათ, შესანიშნავი იქნებოდა, რომ შეესაბამებოდეს რეალობას.
- **პრაგმატული მოდელი:** ეს არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი ნორმათა სისტემა. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო

[43] იხ. ა.ფეჩერდანცევის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მ.2002 წ., გვ 205 /რუსულ ენაზე/.

სამართალთანაა დაკავშირებული. სამართალი არ წარმოადგენს სახელმწიფოს თვითნებობას, არ არის სახელმწიფოს შიშველი ბრძანება. სამართალში გამოხატული ნება, სოციალურად და პოლიტიკურად განპირობებულია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობათა სისტემით, რომელიც ჩამოყალიბებულია სოციალურ ძალთა შესაბამისობით.

სახელმწიფოსა და სამართლის კავშირი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები მოქმედებენ სამართლის ფარგლებში და მათ არ შეუძლიათ თავისუფლად შეცვალონ ეს ნორმები ან დაარღვიონ ისინი. პირიქით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის დაცვას, როგორც საკუთარი არსებობის ნორმატიულ საფუძველს. სამართლებრივ ნორმათა ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ სამართლით გათვალისწინებული პროცედურებით. უმაღლეს ნორმებს წარმოადგენენ მხოლოდ ისეთი ნორმები, რომლებსაც ქმნიან მოსახლეობის მიერ არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები.

თეოქმის იმავე სამ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი გივი ლობჟანიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ლიტერატურაში სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობასთან დაკავშირებით არსებობს სტატისტიკურ-ტოტალიტარული, ლიბერალური და პრაგმატისტული კონცეფციები. ავტორის აზრით, „სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთკავშირი საკმაოდ რთულია, ამიტომ მათი თანაფარდობა მხოლოდ ერთიანობის, განსხვავების და მრავალმხრივი ურთიერთმოქმედების ანალიზის საფუძველზე უნდა განიხილებოდეს. ესაა მათი „საერთო მოქმედებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეფცია[44].

ავტორი ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო და სამართალი განუყოფელი მოვლენებია[45].

[44] იხ. გივი ლობჟანიძე. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი., 2003 წ. გვ. 111
[45] იხ. იქვე

სახელმწიფოსა და სამართლის შესაბამისობის თანამედროვე მოდელები

↓

- ტოტალიტარული მოდელი
- ლიბერალური მოდელი
- პრაგმატული მოდელი

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რა არის სახელმწიფო?
2. რატომ არის სახელმწიფოს ცნებებია მრავალფეროვნება?
3. რა განეკუთვნება სახელმწიფოს ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს?

4. როგორია სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება?
5. ჩამოაყალიბეთ საკუთარი ხედვა საკითხზე – შუდმივია თუ არა სახელმწიფო?
6. როგორ დაახასიათებთ სახელმწიფოსა და სამართლის კავშირს?

საშინაო დავალება:

- ჩამოაყალიბეთ სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის თანამედროვე მოდელები.

თემა V

სახელმწიფოს ისტორიული ტიპები

თავი 5

სახელმწიფოს ისტორიული ტიპები

თემის სტრუქტურა:

§ 1. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება და სახეებად დაყოფის კრიტერიუმები;

§ 2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ფორმაციული მიდგომით

§ 3. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ცივილიზაციური მიდგომით

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა, თუ როგორი ტიპის სახელმწიფოები არსებობენ, რას ნიშნავს სახელმწიფოს ისტორიული ტიპი, როგორი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ ისტორიულ ტიპებს და ამ საკითხს სტუდენტები შეისწავლიან არა მხოლოდ მოძველებული ფორმაციული მიდგომით, არამედ თანამედროვე იურიდიულ წყაროებში არსებული ცივილიზაციური, აღმოსავლური და დასავლური და სხვა მიდგომებითაც. ამ თემის მი-

ზანია აგრეთვე სტუდენტს შეუქმნას წარმოდგენა თითოეულ ისტორიულ ტიპზე.

ამ საკითხის განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული ისტორიული ტიპის ცნებაზე, ისტორიული ტიპის დამახასიათებელ ნიშნებზე, განვიხილავთ ისტორიული ტიპების კლასიფიკაციას ფორმაციული მიდგომით, რასაც მოვახდენთ დისკუსიური მეთოდით სტუდენტების ცოდნის გამოყენებაზე გათვლით. სოგადად შევეხებით სახელმწიფოს ისტორიული ტიპების კლასიფიკაციას ცივილიზაციური, დემოკრატიული და სხვა მიდგომებითაც.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ რას ნიშნავს ტიპოლოგია
- ✓ როგორი კრიტერიუმები არსებობს სახელმწიფოს ისტორიულ ტიპებად დასაყოფად
- ✓ რა სახის სახელმწიფოები არსებობენ ფორმაციული მიდგომით და მათი მოკლე დახასიათება

- ✓ რა სახის სახელმწიფოები არსებობენ ცივილიზაციური მიდგომებით

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

- ➢ თუ როგორი ისტორიული ტიპები არსებობდა კაცობრიობის განვითარების გზაზე;
- ➢ გაერკვევა, რომ ისტორიული ტიპის სახეები განისაზღვრება არა მხოლოდ ფორმაციული მიდგომით, არამედ სხვა მიდგომებითაც;
- ➢ ეცოდინებათ სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ცივილიზაციური მიდგომით, დემოკრატიული მიდგომით;
- ➢ სტუდენტებს თავისუფლად შეეძლებათ დაახასიათონ სახელმწიფოს ნებისმიერი ისტორიული ტიპი და განსაზღვრონ მათი დამახასიათებელი ნიშნები.

§ 1. სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნება და სახეები

ამ საკითხის განხილვისას ყურადღებას გავამახვილებთ, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ტიპოლოგია“, რისთვის არის საჭირო სახელმწიფოსა და სამართლის ტიპოლოგია. განვიხილავთ, თუ როგორი სახელმწიფოები არსებობს ფორმაციული, ცივილიზაციური და სხვა კრიტერიუმებით

ტიპოლოგია[46] ნიშნავს სახელმწიფოთა გარკვეულ კლასიფიკაციას განსაზღვრული თვისობრივი ნიშნებით, დამახასიათებელი ნიშნებითა და თავისებურებებით, რომლებიც მათ ახასიათებს განვითარების რომელიმე ეტაპზე. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია აუცილებელია.

სახელმწიფოს ტიპოლოგია აუცილებელია მისი საერთო ნიშნებისა და თავისებურებების გამოვლენისა და შემეცნებისათვის, რომელიც აქვს მრავალ სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე და რითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

[46] ტიპოლოგია ძველ ბერძნული სიტყვა „ტიპი“-დან გამომდინარეობს და ნიშნავს ანაბეჭდს, გამოსახულებას, ნიშნავს რაიმეს ნიმუშს, მოდელს, ფორმას

ისტორია ადასტურებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე აქვს მრავალი საერთო ნიშანი, იმავდროულად გააჩნია გარკვეული ინდივიდუალური ნიშნები ანუ ეს ნიშნები ერთგვაროვანი კი არ არის, არამედ ისინი მრავალფეროვანია და ეს გასაგებია, რამდენადაც თითოეულ სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი ისტორია, თითოეული უნიკალურად წარმოიშვა და განვითარდა, სხვადასხვა ნიშნით არსებობდა და ა.შ. სახელმწიფოს ტიპოლოგია – კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბუნებრივ-ისტორიული პროცესის და-ხასიათებაა, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოებრიობას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია ვისაუბროთ არა მხოლოდ სახელმწიფოს ტიპებზე, არამედ სახელმწიფოებრიობის ტიპებზეც, რომელიც თავის თავში მოიცავს სახელმწიფოს, სამართალს, სამართლებრივ დაწესებულებებს, სამართლებრივ კულტურას და ა.შ.

სახელმწიფოთა ტიპოლოგია წმინდა სახით შეუძლებელია გატარდეს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოში შემეცნების ობიექტურ პროცესს აუცილებლად მივყავართ სახელმწიფოს არსებობის პირობების გამოულენისაკენ, როგორიცაა მისი კავშირი სამართალთან, სამართლებრივ კულტურასთან, სამართლებრივ დაწესებულებებთან და ა.შ., ეს კი უკვე სახელმწიფოებრიობაა და არა სახელმწიფო.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სახელმწიფოთა ტიპოლოგია არის მათი კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნების საფუძველზე. საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ტიპოლოგია და კლასიფიკაცია სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

კლასიფიკაცია ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტიპოლოგიის ცნება. ტიპოლოგია კლასიფიკაციის ერთ-ერთი სახეა. ეს არის სახელმწიფოთა კლასიფიკაციის უმაღლესი დონე გარკვეული დამახასიათებელი ნიშნების, თავისებურებების, სახელმწიფოს ნიშნების უმაღლესი განზოგადება. ამიტომ სახელმწიფოს ტიპში მოიაზრება ერთობლიობაში

აღებული (განზოგადებული) სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნიშნები, რაც ახასიათებს სახელმწიფოთა დიდ ჯგუფებს, მათი არსებობისა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ტიპოლოგია, როგორც ეს სამართლიანადაა მოხსენებული იურიდიულ ლიტერატურაში, არის სახელმწიფოთა თავისებური ჭრილი, რომლებსაც მსგავსი ნიშნები აქვთ. ტიპოლოგია ეფუძნება გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკური, ისტორიული, სოციოლოგიური, კულტურული, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, რელიგიური მასალის ანალიზს. ამიტომ მრავალი სახელმწიფოს განვითარების ანალიზი გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში შესაძლებლობას იძლევა გამოავლინოს მრავალი საერთო ნიშანი, რაც ახასიათებს ყველა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა უმრავლესობას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში და შესაბამისად, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია.

სახელმწიფოთა ტიპოლოგიისას ანუ სახელმწიფოთა ტიპების განსაზღვრისას, მეცნიერება იყენებს განსხვავებულ კრიტერიუმებს. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნულ-

კულტურული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა საფუძველი. კლასიფიკაციის კრიტერიუმის არჩევის შესაბამისად, განასხვავებენ სახელმწიფოთა ისტორიულ ტიპებს. მაგალითად, ლუდვიგ გუმპლოვიჩი სახელმწიფოებს განასხვავებდა ტერიტორიის შესაბამისად და მოსახლეობის მიხედვით და მიიჩნევდა, რომ სა-ხელმწიფოები იყოფა **მსოფლიო სახელმწიფოდ** – 1 მლნ კვმ-ზე მეტ ტერიტორიაზე 50 მლნ ადამიანზე მეტი რაოდენობის მოსახლეობით; **დიდ სახელმწიფოდ** – 200 ათასი კვმ-ზე მეტ ტერიტორიაზე 30-დან 50 მლნ მაცხოვრებლით და **მცირე ტერიტორიებით** – 200 ათას კვმ-ზე ნაკლები 30 მლნ მაცხოვრებლით.

მეცნიერული კლასიფიკაციის განხორციელება ე.ი. სახელმწიფოთა ტიპოლოგიას ცდილობდნენ ჯერ კიდევ არისტოტელე, პოლიბიუსი და სხვა მოაზროვნეები. არისტოტელე სახელმწიფოთა ორიგინალურ კლასიფიკაციას გვთავაზობს: ადამიანების რაოდენობიდან გამომდინარე, სახელმწიფოში ხელისუფლების განხორციელება და იმ მიზნების საფუძველზე, რომ-

ლებსაც სახელმწიფო თავის წინაშე აყენებდა. პირველი საფუძველის მიხედვით იგი განასხვავებდა:

- ერთის მმართველობას;
- უმცირესობის მმართველობას და
- უმრავლესობის მმართველობას.

მეორე საფუძველის მიხედვით იგი განასხვავებდა:

- მართებულ (სწორ) სახელმწიფოს, როდესაც მიზნადაა დასახული საერთო კეთილდღეობის მიღწევა და
- არამართებულ სახელმწიფოს ტიპს (მათში მიღწევა მხოლოდ კერძო მიზნები)[47]

არისტოტელესთან მთავარ ადგილს იკავებს ადამიანი, მისი უფლებები, თავისუფლება და ინტერესები. თუ არისტოტელეს აზრებს თანამედროვე ენით გამოვხატავთ, მაშინ მართებულად უნდა ჩავთვალოთ დემოკრატიული სამართლებრივი, სოციალური სახელმ-წიფო. პოლიბიუსს სახელმწიფოს ტიპოლოგიისადმი სხვაგვარი მიდგომა ჰქონდა. იგი თვლიდა,

[47] Гумплович Л. Общее учение о государствею СПб. 1910 с254-256

რომ სახელმწიფოს ერთი ტიპის შეცვლა მეორე ტიპით ეს არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც ანალოგიურია ბუნებრივი ცვლილებებისადმი ვინაიდან ბუნებაში ადგილი აქვს დაბადებას, განვითარებას, ბუნებრივი ნივთების გაქრობა, ისე სახელმწიფოც არსებობს ბუნებრივი ციკლით, ანუ გაივლის წარმოშობის, დადგომის, განვითარების, დაცემის, გაქრობის ეტაპებს. სახელმწიფოც გადის ამ ეტაპებს, მაგალითად, ათენი, რომი, სპარტა, ურარტუ და ა.შ. წარმოიშვნენ, განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწიეს და ზოგიერთი მათგანი გაქრა და აღარ არსებობს.

სულ რაღაც ორი ათეული წლის წინათ მიღებული იყო სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მხოლოდ ფორმაციული კრიტერიუმის საფუძველზე, დანარჩენი კრიტერიუმები კრიტიკას ექვემდებარებოდნენ.

თანამედროვე იურიდიულ და სოციოლოგიურ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ტიპოლოგიის ძირითადად ორი მიდგომა:

- ფორმაციული და

- ცივილიზაციური მიდგომა.

ფორმაციული მიდგომით სახელმწიფოს ისტორიული ტიპებია:

- **მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი;**
- **ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი;**
- **კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი**
- **სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი**

ცივილიზაციური მიდგომით ცნობილია:

- **უძველესი სახელმწიფოები**
- **შუა საუკუნეების სახელმწიფოები**
- **თანამედროვე სახელმწიფოები**

სახელმწიფოთა ტიპოლოგიის ცივილიზაციური მიდგომა უკანასკნელი წლების მანძილზე გაძლიერებულად და ხაზგასმით აღინიშნება.

ყოველი ისტორიული დროის მონაკვეთში არსებობენ ცივილიზაციები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან, უპირველეს ყოვლისა, კულტურით.

კულტურის ტიპი – მოცულობითი ცნებაა, იგი მოიცავს მატერიალურ და სულიერ კულტურას, როგორიცაა, მაგალითად, მსოფლმხედველობის ხასიათი, რელიგია, მითები და რწმენა, ურთიერთობათა ნორმატიული რეგულატორები და ა.შ

სხვადასხვა ავტორი აღნიშნავს სხვადასხვა ცივილიზაციებს, მაგალითად: დასავლეთის ცივილიზაცია, ჩინური, ინდური, იაპონური, აფრიკული, ისლამური და ა.შ. ეჭვგარეშეა, რომ ამა თუ იმ ცივილიზაციის თავისებურებანი ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ წყობაზე, სახელმწიფოსა და სამართალზე, თუმცა, დღემდე, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, ამ საფუძველზე მეტ-ნაკლებად მისაღები ტიპების აგება.

ამჟამად ფორმაციული მიდგომის გარდა, რომელსაც ჩვენც ვერ გავექცევით, სახელმწიფოთა კლასიფიკა-ცია ხდება ცივილიზაციური და სხვა კრიტერიუმებითაც, რაზეც მომდევნო პარაგრაფებში იქნება გამახვილებული ყურადღება.

სახელმწიფოთა ტიპოლოგიის კრიტერიუმები

↓

- ფორმაციული მიდგომა
- ცივიზაციური მიდგომა
- დემოკრატიულობა
- პოლიტიკური
- ეროვნულ-კულტურული
- რელიგიური
- ტერიტორიული
- და სხვა საფუძვლები

ტერიტორიისა შესაბამისად და

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით



§ 2. სახელმწიფოთა ტიპოლოგია ფორმაციული მიდგომით

სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ფორმაციული მიდგომით ეყრდნობა ისტორიის მატერიალურ გაგებას, სადაც სახელმწიფოთა კლასიფიკაციის საფუძველია ეკონომიკური ფაქტორები. აქ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტები უკანა პლანზეა გადაწეული, ისინი დამოკიდებულნი არიან საწარმოო ძალების დონეზე, ანუ „ეკონომიკურ ბაზისზე“ და წარმოადგენენ ეროგვარ, თავისებურ, „პოლიტიკურ ზედნაშენს“.

სახელმწიფოთა კლასიფიკაციის ამ საფუძველის განხილვისას, ძირითად კატეგორიად გვეველინება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. თითოეულ ცალკეულ ფორმაციას (გარდა პირველყოფილი გაროვნულისა) შეესაბამება სახელმწიფოსა და სამართლის საკუთარი ისტორიული ტიპი: მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული ან სოციალისტური. ამასთან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი მომდევნო სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპი წინაზე უფრო პროგრესულია.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ფარგლებში გამოყოფილი გაბატონებული ტიპი გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური კლასის ბატონობით გამოირჩევა. მაგალითად, მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის ორგანიზაციისა და ფუნქციონირებისათვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე და მონებზე კერძო (კოლექტიური) საკუთრება. მონები უუფლებო ადამიანები არიან და არ წარმოადგენენ სამართლის სუბიექტებს. სახეზეა უთანასწორო სამართალი.

ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის ტიპის დროს სახეზეა ფეოდალების კერძო საკუთრება მიწაზე. გლეხობა თუმცა გარკვეული უფლებებით სარგებლობდა, ემორჩილებოდა ფეოდალებს, რადგან მათ კუთვნილ მიწებზე მუშაობდნენ. სახეზეა უფლებრივი უთანასწორობა, ჩნდება პარტიკულარიზმი[48], როგორც ფეოდალური სამართლის თავისებურება. სამართლებრივი კუთხით ხდება რომის სამართლის

[48] ლათინური სიტყვიდან partikularis ნიშნავს პოლიტიკურ ან სამოქალაქო გათიშულობას, დაქუცმაცებულობას

„რეცეფცია"[49], დიდი ყურადღება ეთმობა საეკლესიო სამართლის ნორმებს ანუ კანონიკურ სამართალს; კაპიტალისტური ტიპის დახასიათებისას, აღსანიშნავია, რომ ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, მათ აქვთ სამეწარმეო საქმიანობისა და კერძო საკუთრების უფლება; რაც შეეხება სოციალისტურ ტიპს, აქ ვხვდებით წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას.

ფორმაციული ტიპოლოგია გამოირჩევა ცალმხრივობით, რადგან მისი ისტორიული განვითარება ეყრდნობა წარმოების მხოლოდ ობიექტურ ეკონომიკურ პირობებს. აღსანიშნავია, რომ ფორმაციული ტიპოლოგია სრული მოცულობით არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების სხვა ისეთ არაეკონომიკურ ფაქტორებს, როგორებიცაა: დემოგრაფიული, კულტურული, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა მომენტები. აგებულია ისტორიუ-

[49] ევროპული კანონმდებლობის შექმნისას უცხო სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების, პრინციპების, ინსტიტუტების, ცალკეული ნორმებისა და დებულებების გადმოღება და გადმოტანა უცვლელად ან ნაწილობრივი ცვლილებით. ძველი რომის სამართლის რეცეფციას განსაკუთრებით უფრო ხშირად ახდენდნენ ევროპული სახელმწიფოები

ლი პროცესის მკაცრი სქემა, რომელსაც შემდგომში იცავენ კონკრეტული სახელმწიფოები. მოცემული ტიპოლოგიის თანახმად, ყველა სახელმწიფო (გამონაკლისების გარეშე) უნდა მიჰყვეს ფორმაციული განვითარების ამ ხუთ ეტაპს, რაც მთლად სამართლიანად არ გვეჩვენება, რადგან ისტორია გვთავაზობს განვითარების მრავალ ვარიანტს და ბევრ სახელმწიფოს საერთოდ არ გაუვლია ფორმაციული განვითარების ზოგიერთი ეტაპი, მაგალითად, მონობა ან სოციალიზმი. მაგალითად, მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების ეკონომიკა ხასიათდებოდა მრავალასპექტურობით, რაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გამოვყოთ საკუთრების გაბატონებული ტიპი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ისტორიული განვითარების გზაზე გვხვდება სახელმწიფოსა და სამართლებრივი სისტემის შერეული ან გარდამავალი ტიპები, რომლებიც ფორმაციის სახით ცალკე არ გამოიკვეთებოდა.

პრაქტიკულად ვერ გაამართლა სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ტიპმაც. თუმცა იმის თქმა, რომ სოციალისტური სახელმწიფოები აღარ

არსებობენ, სწორი არ უნდა იყოს, რადგან იგი თავისებური სახესხვაობით დღესაც ვხვდებით სოციალიზმის ნიშნებს კუბაში, ჩინეთსა და ა.შ.

სახელმწიფოთა ტიპოლოგია ფორმაციული მიდგომით

↓

- მონათმფლობელური სახელმწიფო და სამართალი
- ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი
- კაპიტალისტური სახელმწიფო და სამართალი
- სოციალისტური სახელმწიფო და სამართალი

§ 3. სახელმწიფოთა ტიპოლოგია ცივილიზაციური მიდგომით

> გავაანალიზებთ ტიპოლოგიის მრავალფეროვან ფაქტორებს, გავეცნობით ცივილიზაციურ მიდგომას მოვახდენთ სახელმწიფოთა კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის (გეოგრაფიული, ცივილიზაციის, გეოგრაფიული და სხვა ნიშნის) მიხედვით.

ტიპოლოგიის საფუძვლებში გათვალისწინებულია ყველაზე მრავალფეროვან ფაქტორთა ერთობლიობა, როგორებიცაა: ეკონომიკა, დემოგრაფია, კულტურა, რელიგია, მოსახლეობის სოციალური და ეროვნული სტრუქტურები, გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებანი, ტექნიკური განვითარების დონე და სხვა.

საბაზისო კატეგორიად მიიჩნევა ცივილიზაციური მიდგომა, როგორც საზოგადოების მატერიალური, სამეცნიერო, პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურული და სხვა მიღწევები. მსოფლიო ისტორიაში გამოიყოფა რამდენიმე ათეული ცივილიზაცია: ეგვიპტური, ჩინური, დასავლური, აღმოსავლური, სლავური, არაბული, მექსიკური, სირიული და სხვა ცივილიზაციები. მაგალითად, ა. ტოინბის აზრით, ეს ცივილიზაციები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული საერთო კანონზომიერებებით და ავტონომიურად არსებობენ, ზოგჯერ კი ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან.

მთლიანობაში ცალკეული ცივილიზაცია, საკუთარი კანონების საფუძველზე დამოუკიდებლად ვითარდება ანუ უარყოფილია კაცობრიობის ისტორიული განვითარების ერთიანობა, საყოველთაო ღირებულებები, სხვადასხვა ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურა.

ზოგჯერ გამოყოფენ ქრისტიანულ, ისლამურ და ტრადიციულ ცივილიზაციებს.

ერთ-ერთი საფუძველია გეოგრაფიული მდებარეობა, რომლის მიხედვითაც ცნობილია აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები. ცნობილია ძველი აღმოსავლური სახელმწიფოები (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა. ამ ქვეყნებში აუცილებელი იყო რთული სარწყავი სისტემის ორგანიზაციის

აუცილებლობა, გვაროვნული თემის შენარჩუნება და ძლიერი საჯარო ხელისუფლების არსებობა. აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოების ეკონომიკური საფუძვლებია მიწასა და საირიგაციო ნაგებობებზე სახელმწიფოებრივი საკუთრება. ცნობილია ძველაღმოსავლური სამართლის წყაროები – ხამურაბის, მანუს და ძველჩინური კანონები, რომლებიც ეხებოდა სისხლის, საქორწინო და სამოქალაქო, მემკვიდრეობით, ვალდებულებით სამართალსა და სასამართლო პროცესს.

რაც შეეხება ევროპული სახელმწიფოების მიერ მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შექმნილ ცივილიზაციებს, წინასახელმწიფოებრიობის დროს მყარდება ე.წ. „სამხედრო დემოკრატია", ხდება პირადი საკუთრების ფორმირება მიწაზე, საწარმოო საშუალებებზე, საქონელზე, ბინებზე. აღიარებული და ცნობილია ათენის, რომისა და ფრანკების სახელმწიფოები და მათი სამართლის წყაროები.

შესაძლებელია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მოხდეს ტექნოლოგიური კრიტერიუმებით, მაგალი-

თად, აგრარული, ინდუსტრიული (საინფორმაციო) სახელმწიფოები.

ზოგიერთი დასავლელი მეცნიერი სახელმწიფოებს ყოფს უძველეს (ზემოთ ნახსენები ძველაღმოსავლური, ძველბერძნული, ძველი რომის და ძველ გერმანული ქვეყნები), შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სახელმწიფოებად.

ცივილიზაციის შაქტორები

- ეკონომიკა,
- დემოგრაფია,
- კულტურა,
- რელიგია,
- მოსახლეობის სოციალური და ეროვნული სტრუქტურები,
- გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმა-ტური თავისებურებანი,
- ტექნიკური განვითარების დონე
- და სხვა.

კლასიფიკაცია გეოგრაფიული ნიშნით

- აღმოსავლური სახელმწიფოები
- დასავლური სახელმწიფოები

ცივილიზაციების მიხედვით

- უძველესი სახელმწიფოები
- შუა საუკუნეების სახელმწიფოები
- თანამედროვე სახელმწიფოები

რელიგიის მიხედვით

↓

- ქრისტიანული ცივილიზაცია
- ისლამური ცივილიზაცია
- ტრადიციული ცივილიზაცია

ტექნოლოგიური კრიტერიუმებით

↓

- აბრარული,
- ინდუსტრიული
- საინფორმაციო

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რას ნიშნავს ტიპოლოგია?
2. როგორია სახელმწიფოს ისტორიულ ტიპებად დაყოფის კრიტერიუმები?
3. როგორი სახელმწიფოებია თქვენთვის ცნობილი ფორმაციული მიდგომით?
4. როგორი სახელმწიფოებია თქვენთვის ცნობილი ცივილიზაციური მიდგომით?
5. განასხვავეთ ერთმანეთისაგან, მაგალითად, მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოები.

საშინაო დავალება:

- ჩამოაყალიბეთ სახელმწიფოსა და სამართლის ტიპებად დაყოფის როგორი მიდგომები არსებობს.

თემა VI

სახელმწიფო ფორმები

თემა 6

სახელმწიფოს ფორმები

თემის სტრუქტურა:

§ 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება

§ 2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მართვა – გამგეობის ფორმის მიხედვით

§ 3. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია წყობილების ფორმის მიხედვით

§ 4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება და სახეები

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სახელმწიფოს ფორმის შესახებ, რა ძირითადი ფორმები არსებობს, რას ნიშნავს მართვა-გამგეობის ფორმა და რა სახის სახელმწიფოებს ვხედებით ამ ფორმის მიხედვით, როგორია წყობილების ფორმა და რა სახის სახელმწიფოებს ვხვდებით ამ ფორმის მიხედვით, რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს ფედერაციულ სახელმწიფოს და რით

განსხვავდება იგი კონფედერაციისაგან. სტუდენტებს შეეუქმნათ წარმოდგენა თანამედროვე სახელმწიფოთა კავშირებზე. მაგალითად რა არის ასოცირებული სახელმწიფო, დსთ, ევროკავშირი, პროტექტორატი და ა.შ. სტუდენტები გაერკვნენ პოლიტიკური რეჟიმის ცნებაში და განასხვაონ ერთმანეთისაგან დემოკრატიული და ტოტალიტარული რეჟიმები.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს ფორმა
- ✓ როგორია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მმართველობის ფორმის მიხედვით (მონარქიებისა და რესპუბლიკების დახასიათება);
- ✓ როგორია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია წყობილების ფორმის მიხედვით;
- ✓ რა სახის სახელმწიფოთა კავშირები არსებობს
- ✓ როგორია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

- ➢ რა იგულისხმება სახელმწიფოს ფორმის ცნების ქვეშ,
- ➢ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფოს როგორი ფორმები არსებობდა, როგორ განიცდიდა სახესხვაობას.
- ➢ ეცოდინებათ თუ რა არის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, როგორია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ამ ფორმის მიხედვით.
- ➢ ეცოდინებათ მონარქიისა და რესპუბლიკის და მათი სახეების დამახასიათებელი ნიშნები,
- ➢ რას ნიშნავს სახელმწიფო წყობილების ფორმა და რა სახის სახელმწიფოები არსებობენ ამ ფორმის მიხედვით.
- ➢ ერთმანეთისაგან ადვილად გაარჩევენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებს, ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოებს,
- ➢ ეცოდინებათ კონფედერაციის დამახასიათებელი ნიშნები
- ➢ თანამედროვე სახელმწიფოთა რა კავშირები არსებობს

§ 1. სახელმწიფოს ფორმის ცნება

ამ საკითხის შესწავლისას გავეცნობით მმართველობის სხვადასხვა ფორმას; განვიხილავთ სახელმწიფოს ფორმის ცნების გამოვლენის ასპექტებს; შევისწავლით სახელმწიფოს ფორმის სამ ძირითად ელემენტს: მმართველობის ფორმას, სახელმწიფო წყობილების ფორმასა და პოლიტიკურ რეჟიმს

სახელმწიფოს ფორმის საკითხი უკვე დიდი ხანია იურიდიული და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის საგანს წარმოადგენს. ჯერ კიდევ არისტოტელე ბერძნულ სახელმწიფოებში სახელმწიფოებრივი მმართველობის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ სახელმწიფო მმართველობასა და წყობას სხვადასხვა ფორმა აქვს. იგი თვლიდა, რომ არსებობს მმართველობის ექვსი ფორმა:

- დემოკრატია,
- ოლიგარქია,
- ტირანია,

- არისტოკრატია,
- მონარქია და
- პოლიტია.

დღეისათვის, სახელმწიფოს ფორმის ცნებაში სახელმწიფოს არსის გამოვლენისა და შინაარსისათვის ჩადებულია სამი ასპექტი:

- I ასპექტი – ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმოქმნა, მისი სტრუქტურა ანუ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორგანიზაცია, ქვეყნის მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი და მისი ფორმირება;
- II ასპექტია სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ურთიერთობა და გარკვეული წესრიგი ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის.
- III ასპექტია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა (ხელისუფლების განხორციელების რეჟიმი).

სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, ე.ი. ყოველი ცალკეული, კონკრეტული სახელმწიფოს მიერ გარკვეული ფორმების (მონარქია, რესპუბლიკა და ა.შ.) შეძენის მიზეზები. ასეთი მიზეზებია პოლიტიკურ ძალთა შესაბამისობა, მათი ძალის შესაბამისად განთავსება, დადგენილ სახელმწიფო ფორმებზე შესაძლო გავლენები, ისტორიული პირობები (საეთაშორისო, საშინაო), ეროვნული ტრადიციები, საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნება და ა.შ.

ყველა ის მიზეზი ასე თუ ისე, ცალკეულ სახელმწიფოს ანიჭებს უნიკალურობას, განსაკუთრებით ამ ფორმის დეტალების მიხედვით.

„შესავალი სამართალმცოდნეობაში", როგორც მეცნიერებამ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, ფუნქციონირებისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ, განსაზღვრა სახელმწიფოს ფორმის სამი, შედარებით. კვალიფიცირებული ელემენტი, ესენია:

- მმართველობის ფორმა,

- სახელმწიფოებრივი მოწყობა და
- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმი.

თითქმის ყველა ნაშრომში სახელმწიფოებრიობის შესახებ აღინიშნება, რომ ყოველი სახელმწიფო წარმოადგენს სწორედ ამ სამი ელემენტის ერთობლიობას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს ერთიანობა არ ნიშნავს მათ გაიგივებას და არ არის აბსოლუტურად განუყოფელი. სახელმწიფო ამ სამ ელემეტთაგან თითოეული შედარებით დამოუკიდებელია, ე.ი. შესწევს უნარი განვითარდეს და იარსებოს შედარებით დამოუკიდებლად. მაგალითად, მმართველობის ფორმა შეიძლება შენარჩუნდეს ან გაქრეს, მაშინ, როცა სახელმწიფოს არსი პრინციპულად იცვლება. დღეისათვის, მაგალითად, აღარ არის მონათმფლობელური ან დესპოტური სახელმწიფოები, პრაქტიკულად გაქრნენ ფეოდალური სახელმწიფოები, ამ უძველეს სახელმწიფოებს ახასიათებდათ რესპუბლიკები და მონარქიები, რომლებიც დღესაც არსებობენ. როგორც ვხედავთ არსი გაქრა, ფორმა კი დარჩა. ეს გარემოება ადასტურებს სახელმწიფოს ფორმების ელემენტების მოძრაობას, მათ ხარისხობრივ მდგრა-

დობას და სიცოცხლის შენარჩუნებას, მიუხედავად ისტორიული პირობები მუდმივად ცვალებადია.

თვით სახელმწიფოს ფორმაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის სამი ძირითადი ელემენტი, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და ყოველ მათგანს, სხვა ელემენტისგან დამოუკიდებლად შეუძლია განვითარდეს ან რაიმე ცვლილება განიცადოს. მმართველობის ფორმა შეიძლება შენარჩუნდეს, ხოლო წყობილების ფორმა და პოლიტიკური რეჟიმი შეიცვალოს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კონსტიტუციური მონარქია შენარჩუნდა, ხოლო კოლონიური იმპერია დაირღვა. საფრანგეთში უკვე რიგით მეხუთე რესპუბლიკაა, ყოველ მათგანში რეჟიმი არსებითად განსხვავდებოდა და ა.შ., ძირითადად, სწორედ სახელმწიფოებრივ- პოლიტიკური რეჟიმის გამო ხდებოდა ამ რესპუბლიკებისათვის რიგითი ნომრის მინიჭება.

„სახელმწიფოს ფორმა", როგორც ობიექტური რეალობა, მოიცავს სამ ელემენტს: მმართველობის ფორმას, სახელმწიფო წყობილების ფორმას და სახელმწიფოებრივ რეჟიმს. ეს სამი ელემენტი ერთობლიობაში ქმნის ახალ რეალურ ფენომენს – სახელმ-

წიფოს ფორმას. ისინი შეადგენენ ერთიანს, მთლიანს, ხოლო სახელმწიფოს ფორმა, შესაბამისად, წარმოადგენს მაო ორგანულ ერთობლიობას. მხედველობაშია მისაღები, რომ ეს არ არის სახელმწიფოს სამი ფორმა, არამედ ფორმის შემადგენელი ნაწილებია, ერთიანი სახელმწიფოს ფორმის სამი ასპექტია. ყოველი მათგანი სახელმწიფოს ფორმაზე ზემოქმედებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო თავისებურია, აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები. სწორედ ამიტომაა მსოფლიოში სახელმწიფოთა მრავალფეროვნება. ფაქტობრივად არ არსებობს ორი, აბსოლუტურად ერთნაირი ქვეყანა. ყოველი მათგანი ხასიათდება თავისებურებებით, უნიკალური ნიშნებით, რომლებიც სახელმწიფოს ფორმის ამა თუ იმ ელემენტს ახასიათებს.

ყველა ხალხს აქვს მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, თავისი განსაკუთრებული ფორმა და საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც მას და მხოლოდ მას შეესაბამება. არ არიან ერთნაირი ხალხები და არ უნდა იყოს ერთნაირი სახელმწიფოს ფორმები

და კონსტიტუციები.[50] ავტორს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ სახელმწიფო ფორმა არ არის განყენებული ცნება და არც პოლიტიკური სქემა, არამედ იგი ცხოვრების წყობაა და ხალხის ცოცხალი ორგანიზაციაა. აუცილებელია, რომ ხალხს ესმოდეს თავისი ცხოვრებისეული წყობა, რათა იცოდეს ისე ორგანიზება, რომ პატივი სცეს ამ წყობის კანონებს და მის ორგანიზაციაში ჩადოს თავისი ნება. ამიტომ სახელმწიფოს ფორმა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, სახალხო მართლშეგნების დონეზე, ხალხის მიერ ისტორიულად მოპოვებულ პოლიტიკურ გამოცდილებაზე, მის ნებაზე, ძალასა და ეროვნულ ხასიათზე[51].

[50] Ильин И.А. О государственной форме// Государство и право, 1991 №11, с.138

[51] Теория государства и права. Хрестоматия в 2-х , т.1., М.,2001. с 478

სახელმწიფოს ფორმის ელემენტები

- მმართველობის ფორმა;
- სახელმწიფო მოწყობის ფორმა
- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმი

§ 2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მართვა – გამგეობის ფორმის მიხედვით.

ამ საკითხის განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული მართვა-გამგეობის ფორმის ცნებაზე, ამ ფორმის დამახასიათებელ ნიშნებზე, მთავარია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურის, მათი შექმნის წესისა და უფლებამოსილების ცოდნის აუცილებლობაზე. ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მონარქია და მისი სახეები, მათი დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშნები. ვიმსჯელებთ რესპუბლიკასა და მის სახეებზე. გავამახვილებთ ყურადღებას საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე, აგრეთვე ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის დამახასიათებელ ნიშნებზე.

მმართველობის ფორმა (ხშირად მართვა-გამგეობის ფორმასაც უწოდებენ). მმართველობის სახელმწიფოს ფორმა სახელმწიფოს უმაღლესი ხელ-

ლისუფლების ორგანოების სისტემა და მისი სტრუქტურაა, მის დასახასიათებლად საჭიროა მათი წარმოქმნის წესის, მათ შორის კომპეტენციების განაწილების, ხელისუფლების ფორმირებაში ქვეყნის მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის ცოდნა.

სახელმწიფოს ფორმის ანალიზისას განიხილება შემდეგი საკითხები.

- თუ როგორი ურთიერთობებია მოცემულ ქვეყანაში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებსა და ქვეყნის მოსახლეობას შორის;
- თუ როგორია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორგანიზაცია, როგორია მისი წარმოქმნის წესი, ე.ი. როგორ იქმნება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები;
- როგორ ხდება ურთიერთობების მოწესრიგება ხელისუფლების ორგანოებს შორის და მათი კომპეტენციები;

თანამედროვე მსოფლიოში მმართველობის ძირითადი ფორმებია მონარქია და რესპუბლიკა. სწორედ მმართველობის ამ ფორმებში გამოიკვეთება თუ ვინ

მართავს სახელმწიფოს ანუ ვინ ახორციელებს მის უმაღლეს ხელისუფლებას.

ისტორიულად მმართველობის ეს ორი ფორმა წარმოიშვნენ და არსებობენ პარალელურად.

მონარქია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სახელმწიფოს სათაეაეში ერთადერთი მმართველი – მონარქი;
- ხელისუფლება მოიპოეება მემკვიდრეობით (ხორციელდება სიცოცხლის ბოლომდე);
- მონარქი (იმპერატორი, მეფე, ხელმწიფე, სულთანი, შაჰი) წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას;
- მონარქი არ არის პასუხისმგებელი თაეისი ქმეშევრდომების წინაშე.

მონარქიები პირველი სახელმწიფოების წარმოშობისთანავე გამოჩნდნენ, ისინი ვლინდებიან ჯერ კიდევ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფეოდალურ წყობაში და შენარჩუნებულია თანამედროვე პერიოდშიც.

მონარქიები, როგორც სხვა მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, სხვადასხვაგვარია, ზოგჯერ თაეისი ხასიათით, ინდივიდუალურიც კი. მაგალითად, უძველესი აღმოსავლეთის მონარქიები განსხვაედებოდნენ განსაკუთრებული სიმკაცრით და მკაცრი სახელმწიფოებრიეი მმართველობით. ასეთ სახელმწიფოებში მონარქს ჰქონდა შეუზღუდავი უფლებები, მის ხელისუფლებაში იყო მძლავრი სამხედრო ფორმირებანი და ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი (ეგვიპტე, ბაბილონი, ასირია და ა.შ)

ისტორიაში ცნობილია მონარქიის შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი სახეები:

- აბსოლუტური მონარქია;
- წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია;
- კონსტიტუციური მონარქია.

აბსოლუტური მონარქია მმართველობის ის ფორმაა, რომელშიც ხელისუფლება მთლიანად (სრულად) ეკუთვნის მონარქს. იგი ხელმძღვანელობს თაეის ბიუროკრატიულ აპარატს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნიშნავს და ათავისუფლებს ჩინოვნიკებს,

გამოსცემს კანონებს, ახდენს მის ცვლილებებს და აუქმებს მათ, კრძალავს გადასახადებს და ყოველგვარი კონტროლის გარეშე განკარგავს საშუალებებს.

აბსოლუტურმა მონარქიამ ისტორიაში დადებითი როლი შეასრულა. მან შეძლო ფეოდალური დაქუცმაცებულობის გადალახვა, გააძლიერა სახელმწიფო მექანიზმი, გამორიცხავდა სხვადასხვა ხელისუფლებას. აბსოლუტურმა მონარქიამ დადებითად იმოქმედა ხალხის ეროვნულ თვითშეგნებაზე.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია – მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია რომელიმე წარმომადგენლობითი ორგანოს (კრება, სენატი და ა.შ.) მიერ. ასეთი ორგანოების შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიოდნენ უმაღლესი დიდგვაროვანნი (თავადები, მღვდელმთავრები, ზოგჯერ ვაჭრები). ამ ორგანოთა ფუნქციები, ძირითადად, სათათბიროა და სარეკომენდაციო, ისინი იქმნება მონარქის განზრახვებისა და ქმედებების მოსაწონებლად. წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს არ შეეძლოთ პრინციპული გავლენა მოეხდინათ მონარქის საქმიანობაზე და

მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფოებრივ აპარატზე (არმია, პოლიცია, ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები)

წოდებრივ-წარმომადგენლობით და აბსოლუტურ მონარქიებთან ერთად არსებობენ დუალისტური მონარქიები

დუალისტური მონარქია მმართველობის ის ფორმაა, რომლის დროსაც არსებობს ხელისუფლების ორი უმაღლესი ორგანო – მონარქი და პარლამენტი. სახელმწიფოს მეთაური – მონარქი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეშია, იგი ნიშნავს და აკონტროლებს მას. მთავრობა პასუხისმგებელია მონარქის წინაშე. პარლამენტს აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილებანი, მაგრამ მთავრობის ფორმირებაში და მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება არ შეეძლია. თავის მხრივ, მონარქს აქვს საკანონმდებლო აქტებზე ვეტოს დადების უფლება. მაშასადამე, დუალისტური მონარქია ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება გადანაწილებულია ორ სუბიექტს – მონარქსა და პარლამენტს შორის,

მაგრამ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი მაინც ეკუთვნის მონარქს.

მონარქიის სხვა სახე, სადაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია, არის საპარლამენტო ან კონსტიტუციური მონარქია. მაგრამ ასეთ სახელმწიფოებში მონარქის ხელისუფლება საგრძნობლად არსებითია, აქ დუალიზმზე საუბარი მხოლოდ პირობითია, რადგანაც არსებითად იგი არც არის.

საპარლამენტო მონარქიებში მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით (როგორც მაგალითად, დიდ ბრიტანეთში) სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში, ე.ი. არა მხოლოდ საკანონმდებლო სფეროში, არამედ სახელმწიფო მართველობის სხვა მიმართულებითაც, განსაკუთრებით, მთავრობასთან ურთიერთობისას.

საპარლამენტო მონარქია არის პოლიტიკური კომპრომისი ძველ და ახალ პოლიტიკურ ძალებს შორის. ამიტომ მონარქის ხელისუფლების შეზღუდვის ხარისხი შეესაბამება პოლიტიკურ ძალთა ხარისხს.

ასეთი პერიოდები შეიძლება იყოს მომენტალური, მყისიერი, ზოგჯერ კი გრძელდება ხანგრძლივი დროითაც (პირველ შემთხვევაში - იაპონია, ესპანეთი და მეორე შემთხვევაში- დიდი ბრიტანეთი).

საპარლამენტო მონარქიების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- მთავრობა პასუხისმგებელია არა მონარქის, არამედ პარლამენტის წინაშე;
- მთავრობა ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას;
- მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ, თუმცა ფორმალურად ითვლება, რომ მინისტრები არიან მისი უდიდებულესობის, ე.ი. მონარქის მინისტრები;
- საკანონმდებლო აქტები მიიღება პარლამენტის მიერ. ფორმალურად მათი ხელმოწერა ხდება მონარქის მიერ, მაგრამ ეს უფრო სიმბოლური აქტია და არა სახელმწიფო გადაწყვეტილება;

საპარლამენტო მონარქიებში მონარქი „მეფობს, მაგრამ არ მართავს". იგი, ხალხის შეგნებაში, ერის სიმბოლოა. მონარქი ითვლება

აგრეთვე, სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მონარქის ხელისუფლება არსებითად შეზღუდულია როგორც საკანონმდებლო სფეროში, ისე სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროშიც.

რესპუბლიკური ფორმა. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში წარმოიშვა, მაგრამ ნამდვილი აღიარება და გავრცელება მოიპოვა XIX-XX სს-ში, მრავალ ქვეყანაში ბურჟუაზიული რევოლუციების და გამანთავისუფლებელი ბრძოლების (მოძრაობების) შედეგად.

რესპუბლიკას, როგორც მმართველობის ფორმას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- არჩევითობა, ე.ი. უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ხასიათი;
- უმაღლეს თანამდებობის პირთა და ხელისუფლების ორგანოთა შეცვლა არჩევნების გზით;
- უმაღლეს თანამდებობის პირთა და ხელისუფლების ორგანოთა (პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის შემადგენლობა) უფლებამოსილებების ვადიანობა;
- უმაღლეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ხალხის ან პარლამენტის წინაშე თავისი უფლებამოსილებების არასათანადოდ შესრულების დროს.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმებისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ფორმირება დემოკრატიულ საფუძველზე, ხელისუფლების სამ შტოდ (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) განაწილების აუცილებლობით. ამიტომ ითვლება, რომ რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება არჩევითი ცვალებადი და ხალხის წინაშე პასუხისმგებელია.

ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ცნობილია რესპუბლიკების არისტოკრატიული და დემოკრატიული სახეები.

არისტოკრატიული რესპუბლიკები დამახასიათებელი იყო ანტიკური სახელმწიფოებისათვის (რომი,

სპარტა) და შუა საუკუნეების ქალაქი-სახელმწიფოებისათვის (გენუა, ფლორენცია), ხოლო რესპუბლიკური სახელმწიფოები თანამედროვე სახელმწიფოებში მმართველობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. არისტოკრატიულ რესპუბლიკებში სახელმწიფოს, პრაქტიკულად მოსახლეობის გარეშე, პრივილეგიური ჯგუფები, ოლიგარქები მართავენ.

დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვეულებრივად, ხელისუფლების ოფიციალურ წყაროდ აღიარებს ხალხის ნებას. ეს ნიშნავს მოქალაქეებსა და სახელმწიფო მმართველობაში მათ მონაწილეობას შორის ფორმალურ თანასწორობას.

დემოკრატიული რესპუბლიკები, თანამედროვე სახელმწიფოებში, მმართველობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ისინი ცვლიან ფეოდალურ სახელმწიფოებრიობას, თანამედროვე სამყაროში ლიკვიდაციას უკეთებენ მის გადმონაშთებს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ურთიერთობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, თუ რომელ ორგანოს მიაკუთვნებენ მთავარ როლს მთავრობის ფორმირებაში და რომელი ორგანო ხელმძღვანე-

ლობს მათ, ასხვავებენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებს. ავტორთა ერთი ნაწილი გამოყოფს „შუალედურ" მმართველობის ფორმას, შერეულ ან ნახევარსაპრეზიდენტო რესპუბლიკას.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტის ხელშია გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებანი. წარმომადგენლობითი ორგანო ანუ პარლამენტი ფლობს საკანონმდებლო ხელისუფლებას, მაგრამ, როგორც წესი, მას არ გააჩნია რაიმე გავლენა, მთავრობის ფორმირების პროცესზე. პრეზიდენტს დამოუკიდებლად შეუძლია მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) და მინისტრების დანიშვნა. თავის მხრივ, ისინი პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე, ამიტომ პარლამენტს არ შეუძლია მთავრობას გამოუცხადოს უნდობლობის ვოტუმი. პრეზიდენტს არ შეუძლია ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, რომლებიც (შეყოვნების ვეტოს შემთხვევაში) შეიძლება დაძლეულ იქნას პარლამენტის მიერ ამ კანონის მეორედ განხილვისას.

პრეზიდენტი აირჩევა ქვეყნის მოსახლეობის მიერ და მის ხელშია თავმოყრილი მეტად ფართო უფლებამო-სილებები საზოგადოების ყველა სფეროში. ეს არის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე დანიშნოს რეფერენდუმი, შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა, იქონიოს საკანონმდებლო ინიციატივა და უფლება დაამტკიცოს კანონები თავისი ხელმოწერით, აქვს ნორმატიული აქტების გამოცების უფლება, ომის გამოცხადებისა და მშვიდობის დმკვიდრების უფლება და მრავალი სხვა უფლება.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ბრაზილია, მექსიკა და ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

საპარლამენტო რესპუბლიკებში აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება პარლამენტს, რომელიც ხალხის მიერ არჩევნების გზით ყალიბდება. აქ უპირატესია პარლამენტის უზენაესობა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას. მთავრობის ფორმირებას ახდენს პარლამენტი (უფრო ზუსტად, პარტია ან პარტიათა კოალიცია (ბლოკი), რომელსაც აქვს ხმათა უმრავლესობა) და პასუხისმგებელია მის წინაშე. მთავრობის სათავეშია პრემიერ-მინისტრი, რომელიც, ჩვეულებრივ, ხელისუფლებაში მოსული პარტიის ლიდერია. ამ შემთხვევაში, მისი და მთელი მთავრობის ან ცალკეული მისი წევრის უნდობლობის ვოტუმი შეუძლია გამოაცხადოს პარლამენტმა.

საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა ან პარლამენტის მიერ ან მის მიერ შექმნილი სპეციალური კოლეგიის მიერ. პრეზიდენტი არ არის მთავრობის მეთაური და არ აგებს პასუხს მისი საქმიანობისათვის. პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე, თუმცა მისი ყველა ქმედება შეთანხმებული უნდა იყოს მთავრობასთან. ამ შემთხვევაში მას არ აქვს უფლება დანიშნოს რეფერენდუმი, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, დაადოს ვეტო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და ა.შ. საპარლამენტო რესპუბლიკებს მიაკუთვნებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, იტალიას, ავსტრიას, შვეიცარიას, საბერძნეთს და ა.შ.

მმართველობის შერეული ფორმა. უკანასკნელ პერიოდში იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია მმართველობის არა ორი (მონარქია და რესპუბლიკა სახეები), არამედ მმართველობის სამი ფორმა. დასახელებულს ემატება მმართველობის შერეული ფორმაც.[52] პირველად მმართველობის ფორმის განხილვას ეხებებით პოლიბიუსთან[53]. პოლიბიუსი გამოთქვამს მოსაზრებას სახელმწიფოს ე.წ.„შერეული" ფორმის შესახებ, რომელიც შეიცავს მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ელემენტებს. უფრო ადრე, არისტოტელემ გაანალიზა რა სახელმწიფო მმართველობა ბერძნულ ქალაქ-პოლისებში, მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს მმართველობის ექვსი ფორმა: დემოკრატია, ოლიგარქია, ტირანია, პოლიტია, არისტოკრატია და მონარქია.

---

[52] იხ. Волосникова Л.М. О смешанной форме правления//государство и право на рубеже веков. Проблемы истории и теория. М., 2001, с. 189-193

[53] პოლიბიუსი მოღვაწეობდა ძველი სახელმწიფოების პერიოდში. იგი დაიბადა III საუკუნის დასასრულს ნ.წ.ა-მდე და გარდაიცვალა II საუკუნის ნახევარში. მას ეკუთვნის შრომა „მსოფლიოს ისტორია". გალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. ლექციების კურსი, თბილისი, 1999 წ. გვ 43

მმართველობის შერეული ფორმა ცნობილი იყო და გამოიყენებოდა შუა საუკუნეებში, იგი არის თანამედროვე პერიოდშიც. მმართველობის შერეული ფორმა მაშინ იქმნება, როცა ერთი ფორმის ელემენტები, მაგალითად, რესპუბლიკური, აღწევს და ინერგება მონარქიაში და პირიქით.

ისტორია იცნობს ასეთ შემთხვევებს, ამიტომ მეოცე საუკუნეში კონსტიტუციური მონარქიების, ნახევრადსაპრეზიდენტო და ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკების გამოჩენა სახელმწიფოს განვითარების გზაზე ჩვეულებრივ ტენდენციად იქცა. შერეული მმართველობის ფორმის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება აღვნიშნოთ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგალითზე.

„ნახევრადსაპრეზიდენტო" გამოთქმა სულაც არ ნიშნავს სუსტი პრეზიდენტის ხელისუფლებას, თუმცა, სინამდვილეში, მისი ძალაუფლება შედარებით მართლაც უფრო სუსტია, ვიდრე საპრეზიდენტო რესპუბლიკებშია. ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- პრეზიდენტი აირჩევა უშუალოდ ამომრჩეველების მიერ, რაც მას აძლევს მოქმედების შედარებით თავისუფლებას პარლამენტთან მიმართებაში, საშუალებას აქვს იყოს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი მრავალ საკითხში;
- პრეზიდენტი დამოუკიდებლად აყალიბებს მთავრობას, ე.ი. ნიშნავს მინისტრებს, ამტკიცებს მთავრობის სტრუქტურას და ა.შ., მაგრამ პრემიერ-მინისტრს, როგორც წესი, პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის თანხმობით; მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე;
- პარლამენტს შეუძლია მთავრობას გამოუცხადოს უნდობლობის ვოტუმი;
- პარლამენტს შეუძლია პრეზიდენტს გამოუცხადოს იმპიჩმენტი



მონარქიის სახეები

- აბსოლუტური მონარქია
- წესებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია
- დუალისტური მონარქია
- საპარლამენტო მონარქია

რესპუბლიკის სახეები

- არისტოკრატიული მონარქია
- დემოკრატიული რესპუბლიკა
- საპრეზიდენტო რესპუბლიკა
- საპარლამენტო რესპუბლიკა

მმართველობის შერეული ფორმა

- ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა
- ნახევრადსაპარლამენტო ფორმა

§ 3. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია წყობილების ფორმის მიხედვით

განიხილება თუ რა არის სახელმწიფო წყობილების ფორმა, რა იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციულ თავისებურებებში, როგორია ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც არსებობს სახელმწიფოს, როგორც მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. რა სახის სახელმწიფოები არსებობს წყობილების ფორმის მიხედვით, რა დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები აქვს მათ, რას ნიშნავს უნიტარული და ფედერაციული სახელმწიფოები, მათი თავისებურებანი, რა დამოკიდებულებაა ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რით განსხვავდება ფედერაცია კონფედერაციისაგან, კონფედერაციის დამახასიათებელი ნიშნები, რა განსხვავებაა მათ შორის, გავაანალიზებთ, თუ რა სახისაა სახელმწიფოთა თანამედროვე კავშირები: ასოცირებული სახელმწიფო, პროტექტორატი, იმპერია, დსთ, ევროკავშირი,

სახელმწიფო წყობილების ფორმა. იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო წყობილების ფორმა ჩაითვალოს არა როგორც ცალკეული და დამოუკიდებელი, არამედ მხოლოდ მმართველობის ფორმის დამაკონკრეტირებელი, დამატებითი ნიშანი. ზოგჯერ, პირიქით, ცნება „სახელმწიფო წყობილება" იხმარება ფართო გაგებით, ამით ცდილობენ ამა თუ იმ ქვეყნის დახასიათებას მთლიანობაში, დააკავშირონ იგი სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკურ მოწყობასთან, რისთვისაც გამოიყენება ტერმინი „სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობა". მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა სახელმწიფო წყობილების ფორმაში გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანიზაციას, სახელმწიფოს, როგორც მთელისა და მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირს. როცა საუბარია სახელმწიფო მოწყობაზე, ირკვევა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზებული სახელმწიფოს ტერიტორია, როგორია სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურა

ანუ რა ნაწილებისაგან შედგება სახელმწიფო, როგორ ხორციელდება სახელმწიფოს შიდა ტერიტორიული დაყოფა, სახელმწიფოში როგორია ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობათა სისტემა

იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ტერმინი „საჯარო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია" (სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია). ამ ტერმინს, რასაკვირველია, აქვს დადებითი მხარეები, მაგრამ მის სხვადასხვაგვარად გაგებას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გადანაცვლება. სახელმწიფოებრივი (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი წყობა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, მოიცავს ნორმებს, სამართლებრივ და პოლიტიკურ პრაქტიკას, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოს ტერიტორიასა და საზღვრებს. სამართლებრივ და პოლიტიკურ ნორმებს, რაც განსაზღვრავს სახელმწიფო წყობას (უნიტარიზმი, ფედერალიზმი, ავტონომია, ადმინისტრაციულ-ტერი-ტორიული ერთეულების სახეები); სა-

მართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკის ნორმები, რაც დაკავშირებულია კომპეტენციების გამიჯვნასთან (ფედერაციასა და შტატებს შორის, უნიტარულ სახელმწიფოსა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის; სახელმწიფოსა და მის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის), სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკის ნორმები სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთობების წესის შესახებ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოებს, შეიძლება ერთი და იმავე არსი ჰქონდეთ, მაგრამ ახასიათებდეთ სახელმწიფო წყობილების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად აშშ-ში სახელმწიფო ხელისუფლების ფედერაციული ორგანიზაციაა, ხოლო საფრანგეთში - უნიტარული, მაგრამ არსით ისინი თითქმის ერთნაირია.

სახელმწიფო მოწყობის არსში ჩაწვდომა ნიშნავს იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგებას, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მას. სახელმწიფოს არსი და მისი წყობილების არსი - სხვადასხვა კატეგორიებია და ერთმანეთს არ ემთხვევა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ტერიტორიის არსებობა. სახელმწიფოს ტერიტორია არის სივრცე სადაც ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლება. ტერიტორიას ახასიათებს მთლიანობა, რაც სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. ტერიტორიული მოწყობა განისაზღვრება მისი ისტორიული და კულტურული ევოლუციით, ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებით, განვითარებით და არსებობით, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტებით. იგი ერთდროულად წარმოადგენს როგორც განვითარების ფაქტორს, ისე მის შედეგს.

სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის გაგება შეიძლება ორგვარად: ერთი - თვითონ სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელშიც მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის კავშირი ტერიტორიული პრინციპით ხორციელდება და მეორე, სახელმწიფოს ტერიტორიულ ორგანიზაციაში გაიგება მისი ტერიტორიის ორგანიზაცია, შემადგენელი ნაწილების განსაზღვრა და მათ შორის ურთიერთობათა სისტემა.

სახელმწიფო წყობილების ფორმა დამოუკიდებელი კატეგორიაა, იგი უმრავლესად განისაზღვრება სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებებით. ამიტომ ერთსა და იმავე მმართველობის ფორმებში შეიძლება იყოს სახელმწიფო წყობილების განსხვავებული ფორმები. სახელმწიფოები მმართველობის რესპუბლიკური ფორმით შეიძლება იყოს, როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული. წყობილების მიხედვით სახელმწიფოები შეიძლება იყოს უნიტარული, ფედერაციული, და კონფედერაციული. ზოგი ავტორი ამ კლასიფიკაციას უმატებს რეგიონალურ სახელმწიფოსაც და სხვა სახის სახელმწიფოთა კავშირებს.

უნიტარული სახელმწიფო. თანამედროვე სახელმწიფოებში უნიტარული სახელმწიფოები შედარებით გავრცელებული წყობილების ფორმაა. ტერმინი „უნიტარული" ლათინური წარმოშობისაა და ერთიანს, ერთს ნიშნავს. ამიტომ უნიტარული სახელმწიფო არის ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო, რომელსაც თავის შემადგენლობაში არა აქვს რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და რომელსაც ექნებოდა სუვერენულობის, დამოუკიდებლობის ელემენტები. უნიტარული სახელმწიფოები ორგანიზებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. უნიტარულ სახელმწიფოებში მოქმედებს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ერთიანი სისტემა, მის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი კონსტიტუცია და კანონმდებლობის ერთიანი სისტემა, მათში ერთიანი სასამართლო სისტემაა, ერთი მოქალაქეობა, ერთიანი ფულადი და საგადასახადო სისტემა.

უნიტარული სახელმწიფოს ფორმა იძლევა შესაძლებლობას ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ხელში ადგილობრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა რესურსების უფრო სრულად კონცენტრაციისათვის. იგი უფრო მოხერხებულია მმართველობისთვისაც, რამდენადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ეროვნულები არ ფლობენ დამოუკიდებლობას და უშუალოდ ცენტრს ექვემდებარებიან. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი პირდაპირ მოქმედებენ ფედერაციის სუბიექტებზე ყოველგვარი ფედერალური ბარიერების გა-

რეში. დღეისათვის, მსოფლიოში მეტად განსხვავებული უნიტარული სახელმწიფოები არსებობენ: ცენტრალი-ზებული და დეცენტრალიზებული, მარტივი და რთული და ა.შ.

ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებებში არსებითად შეზღუდულია და ან საერთოდ არ არის.

დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში, ისინი ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად (უშუალოდ აირჩევიან მოსახლეობის მიერ, აქვთ საკუთარი ბიუჯეტი, იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის საკითხებზე და ა.შ.).

მარტივი უნიტარული სახელმწიფოები შედგებიან მხოლოდ ადმინისტარციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან (რაიონები, ქალაქები), ხოლო **რთული უნიტარული** სახელმწიფოები თავის შემადგენლობაში ფლობენ ე.წ. ადმინისტრაციულ ავტონომიებს. მაგალითად, დანიის შემადგენლობაში შედის ფარერის კუნძულები, გრენლანდია, რომლებიც ფლობენ ისეთ უფლებებს, როგორიც აქვთ ფედერაციის სუბიექტებს, მაგრამ ამის მიუხედავად, დანია უნიტარული სახელმწიფოა.

ადმინისტრაციული ავტონომიები იქმნება სხვადასხვა მიზეზით, თუმცა მიზანი, ძირითადში ერთია: გათვალისწინებული უნდა იქნას რეგიონის ეროვნული, ისტორიული, კულტურული და ა.შ. ტრადიციები. ზოგჯერ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გეოგრაფიული მდგომარეობაც, მაგალითად, რეგიონის დაშორებული მდებარეობა (ფარერის კუნძულები დანიასთან, საფრანგეთის ზღვის იქითა ტერიტორია).

ფედერაციული სახელმწიფო. ფედერაციული სახელმწიფო ყოველთვის რთული სახელმწიფოა, იგი შედგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან (არა სახელმწიფოების გაერთიანება, არამედ სახელმწიფოს წარმოხაქმნების ერთიანობა). ფედერაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს კავშირს, გაერთიანებას, რომლის ნაწილებიც მოიცავენ სახელმწიფოებრივ ელემენტებს, გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მსოფლიო პრაქტიკა

იცნობს ფედერაციის სახელშეკრულებო, კონსტიტუციურ, სახელშეკრულებო-კონსტიტუციურ მოდელებს, ხოლო ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფედერაციის არსებობა, ფედერაციულ სახელმწიფოთა გამოჩენა ძირითადად აიხსნება შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის აუცილებლობით, გამოწვეულია მმართველობის ეფექტურობის ამაღლების მოთხოვნით.

ფედერაციული სახელმწიფოების შექმნისას ყოველთვის წყდება საკითხი ფედერალურ ცენტრს გადაეცეს გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური, მმართველობითი უფლებამოსილებანი, პირველ რიგში კი ისინი, რომლებსაც ფედერალური ხელისუფლება უფრო წარმატებით გადაწყვეტდა, ვიდრე ამას ფედერაციის სუბიექტები, თითოეული ცალ-ცალკე ასრულებდნენ. ერთდროულად წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უფლებამოსილებანი დაუტოვონ ფედერაციის სუბიექტებს, ხოლო როგორს უფრო რაციონალურად გადაწყვეტს ცენტრთან ერთად.

ფედერაციულ სახელმწიფოს აქვს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

- ფედერაციაში შემავალი სუბიექტები ფლობენ სახელმწიფოებრიობის ელემენტებს, კერძოდ, აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო სიმბოლოები და ა.შ.
- ფედერალურ ცენტრს აქვს უმაღლესი (საერთოფედერალური) სახელისუფლო ორგანოები (პარლამენტი, მთავრობა, უზენაესი სასამართლო ორგანოები), რომელთა გადაწყვეტილებებსაც ზოგადსავალდებულო მნიშვნელობა აქვს ფედერაციის სუბიექტებისათვის.
- ფედერაციის ტერიტორიული დაყოფა მიმდინარეობს ფედერაციის სუბიექტების ინტერესთა გათვალისწინებით, ე.ი. ფედერაციის ტერიტორია – მისი სუბიექტების ტერიტორიაა;
- შესაძლებელია ორმაგი მოქალაქეობა (საერთოფედერალური ფედერაციის და რომელიმე სუბიექტის მოქალაქეობა;
- ფედერალური პარლამენტები ორპალატიანია, ერთ-ერთი მათგანი უნდა წარმოადგენდეს ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს;

- კანონების ორი სახეა – ფედერალური კანონები და ფედერაციის სუბიექტების კანონები;
- არსებობს გადასახადების ორმაგი სისტემა (ფედერაციის და ფედერაციის სუბიექტის)

ფედერალური მშენებლობის პრაქტიკამ ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გასანაწილებლად გამოიმუშავა შემდეგი ძირითადი ხერხები: განისაზღვრება ფედერალური ხელისუფლების განსაკუთრებული კომპეტენცია; განისაზღვრება საკითხები, რომლებიც ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტებს მიერ ერთობლივად გადაჭრას საჭიროებენ.

ფედერაციული სახელმწიფო საკავშირო სახელმწიფოა, მისი შემადგენელი ნაწილები ფლობენ გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ფედერაციები იქმნება რამდენიმე გზით. ეს შეიძლება ხდებოდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებით ხელშეკრულების საფუძველზე ან სახელმწიფოსათვის ახალი რაიმე ტერიტორიების მიერთებით მათთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნიშნების დატოვებით. შეიძლება წარმოიშვას უნიტარული სა-

ხელმწიფოსაგან იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, მათთვის სტატუსის ამაღლების შედეგად გახდნენ პოლიტიკურად დამოუკიდებლები. ფედერაცია შეიძლება წარმოიქმნას ეროვნული (ყოფილი საბჭოთა კავშირი) ან ტერიტორიული (აშშ) ნიშნებით.

ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ურთიერთობისას მეტად მწვავედ დგება სუვერენიტეტის საკითხი, მათი თანაყარდობა. ორი პარალელურად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სისტემა ეფექტურად განხორციელდება მხოლოდ მათ შორის უფლებამოსილებების სწორად გადანაწილების შემთხვევაში. ეს ე.წ. შეზღუდული „გადანაწილებული" სუვერენიტეტის კონცეფციაა.

ფედერაციული სახელმწიფოს კომპეტენციებში შედის შემდეგი ძირითადი საკითხები:

- საგარეო ურთიერთობები;
- თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების მართვა;
- საზღვრების დადგენა და საბაჟო საქმე;

- ფულადი და საგალუტო მიმოქცევა და მონეტური მონოპოლია;
- ზომისა და წონის ერთიანი სისტემის დადგენა;
- ფედერალური ფინანსები და გადასახადები;
- ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი;
- საპასპორტო საქმე, ემიგრაცია, იმიგრაცია, ქვეყანაში შესვლა და ქვეყნიდან გასვლა, უცხოელთა საკითხი;
- ფედერალური სარკინიგზო, საჰაერო, საწყლოსნო ტრანსპორტი;
- სამოქალაქო, სისხლის, საპროცესო, სასჯელის აღსრულების, საავტორო, საპატენტო, საგამომგონებლო სამართალი და საწარმოო საკუთრების დაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ფედერაციაში;
- ომის გამოცხადებისა და ზავის დადების საკითხები;
- საბანკო საქმე;
- სახელმწიფო სტატისტიკა და ა.შ.

ფედერაციულ სახელმწიფოებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია სეცესიის[54] უფლება, ე.ი. ფედერაციიდან თავისუფალი გასვლის უფლება. სეცესია ფედერალური კავშირის დაშლის ერთ-ერთი სპეციფიკური შემთხვევაა. ასეთ უფლებას ვხვდებოდით საბჭოთა კონსტიტუციებში, რაც ფორმალური საფუძველი გახდა 1991 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გასვლისა. თანამედროვე კონსტიტუციებში აღარ ვხვდებით სეცესიის უფლებას, რადგან მას შეუძლია დაარღვიოს ხუცურქნული ფედერალური სახელმწიფოების მთლიანობა და იგი შეიძლება მიიყვანოს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტამდე.

ფედერაციული სახელმწიფოს წარმოშობის დამახასიათებელი ნიშნებიდან გამომდინარე, განასხვავებენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფედერაციებს.

---

[54] სეცესია- ლათ სიტყვა secessio-დან, ნიშნავს მოშორებას. 1.ძველ რომში პლებეების დემონსტრაციული გამოსვლა რომის თემიდან და ქალაქის გარეთ გასვლა 494,449 წწ-ში ჩ.წ.ა-მდე. 2.გამოყოფა, უარყოფა, მაგ. სახელმწიფოსაგან რომელიმე ნაწილის გამოყოფა.

იმის მიხედვით, არის თუ არა განსხვავებები სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს შორის ან თუ ასეთი განსხვავებები არ არის, ფედერაციული სახელმწიფო შეიძლება იყოს ასიმეტრიული (მაგალითად, რუსეთი) და სიმეტრიული (მაგალითად, აშშ).

ფედერალურ ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობების საფუძველიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს შედარებით ცენტრალიზებული და შედარებით დეცენტრალიზებული ფედერაციები. პირველს მიეკუთვნებიან სახელმწიფოები, რომლებშიც ფართო უფლებამოსილებანი ეკუთვნის ფედერაციულ ხელისუფლებას (ამით ისინი ემსგავსებიან უნიტარულ სახელმწიფოებს). შედარებით დეცენტრალიზებულს უწოდებენ ფედერაციულ სახელმწიფოებს, რომლებშიც ფედერაციის სუბიექტები ფლობენ ფართო უფლებამოსილებებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, პროფესორი გ.ხუბუა აღნიშნავს, რომ ფედერაციული სახელმწიფოები მრავალგვარია და გვთავაზობს ფედერაციის შემდეგ სახეებს: ნამდვილი და არანამდვილი, კვაზიფედერაციული სახელმწიფო; დემოკრატიული და არადემოკრატიული; ეროვნული და სუპრანაციონალური; ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი; ბიპოლარული ფედერალიზმი; რევერსიული და არარევერსიული; სტატიკური და დინამიკური; ღია და ჩაკეტილი; ცენტრალისტური და პარტიკულარული; უხიტარული ფედერაციული; სუბფედერაციული, აკვაფედერაციული, სუპერფედერაციული, პარიტეტული და დისპარიტეტული; სიმეტრიული და ასიმეტრიული; ჰომოგენური და ჰეტეროგენული; სამთავრობო-ფედერაციული და სენატორულ-ფედერაციული; ფედერალურ-საპრეზიდენტო და უნიტარულ-საპრეზიდენტო; ჰორიზონტალური ფედერალიზმი; ვერტიკალური ფედერალიზმი; მაკავშირებელი ფედერალიზმი; ფისკალური ფედერალიზმი; პერსონალური ფედერალიზმი და ა.შ. [55]

ავტორთა ნაწილი ფედერაციისაგან განასხვავებენ კონფედერაციას და სახელმწიფოთა სხვაგვარ კავშირებს.

[55] იხ. გ. ხუბუა. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი., თბილისი. 2000 წ.გვ.329-355

ფედერაციასა და კონფედერაციას შორის მთელი რიგი განსხვავებებია. ერთ-ერთი განსხვავებაა, მაგალითად, მოქალაქეობის საკითხშიც. ფედერაციულ სახელმწიფოში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და შესაბამის პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის მყარდება პირდაპირი კავშირი, ხოლო კონფედერაციული სისტემისათვის მოქალაქესა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ასეთი პირდაპირი კავშირი უცხოა. კონფედერაციები იქმნება არც თუ ისე დიდი პერიოდით და ისინი მეტად იშვიათად გვხვდება. თანამედროვე პერიოდში ფართოდაა გავრცელებული სახელმწიფოთა შორისი გაერთიანებების სხვადასხვა სახე, მაგალითად, გაერო, როგორც სახელმწიფოთა უნივერსალური გაერთიანება, ევროსაბჭო, იუნესკო, როგორ ფუნქციონალურ-მიზნობრივი გაერთიანებები და სხვა[56]

კონფედერაცია, თანამეგობრობა, ევროკავშირი, იმპერია, ასოცირებული სახელმწიფო, პროტექტორატი კონფედერაცია არის რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი. ეს **არის სუვერენულ სახელმწიფოთა ინსტიტუციონალური კავშირი** ცალკეული, ერთობლივი კომპეტენციების შესრულების მიზნით, ამ დროს ეს სახელმწიფოები გაერთიანებული არიან ერთ ან რამდენიმე დარგში (მაგალითად სამხედრო, საგარეო, საფინანსო ან სხვ.), რისთვისაც დროებით იქმნება საერთო ორგანოები, გამოიყოფა საერთო ფონდები და ა.შ.

[56] Тихомиров Ю.А. Государство на рубеже столетий// Государство и право, 1997 №2, с.24-32

კონფედერაციულ სახელმწიფოში ერთმანეთის პარარელურად არსებობს რამდენიმე სუვერენული ხელისუფლება, მაშინ, როცა ფედერაციულ სახელმწიფოში სუვერენიტეტი არის მხოლოდ ერთი სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება. ფედერაციულ სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის ერთიან სახელმწიფოს, მაშინ, როცა კონფედერაციაში სუვერენიტეტის მატარებელი არიან ამ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოები. კონფედერაციულ სახელმწიფოში არის „რამდენიმე სუვერენიტეტი".

როგორც წესი, კონფედერაცია არის მყიფე გაერთიანება, იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და ყალიბდება განსაზღვრული

პოლიტიკური მიზნის მისაღწევად და არა ხანგრძლივი ვადით. კონფედერაციის მაგალითია:

- შვეიცარია 1803-1815 და 1815-1848 წლებში;
- ამერიკის შეერთებული შტატები 1776-1787 წლებში;
- გერმანიის კავშირი 1815-1866 წლებში;
- შეერთებული ნიდერლანდები 1579-1795 წლებში;
- ბრიტანეთი 1958-1961 წლებში.

კონფედერაცია არ არის სახელმწიფო, სახელმწიფოს ნიშნები ახასიათებს მხოლოდ მასში გაერთიანებულ წევრებს. კონფედერაციას არ აქვს მოქალაქეებისათვის უშუალოდ სავალდებულო კანონების გამოცემის და აღსრულების უფლება; კონფედერაცია ეფუძნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მიერ დადებულ ხელშეკრულებას, ფედერაციული სახელმწიფო კი – კონსტიტუციას; ფედერაციის წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამოსვლა ამ ხელშეკრულებითი ურთიერთობიდან (სეცესიის უფლება). კონფედერაციის წევრებს აქვთ ნულიფიკაციის უფლება ანუ მათ შეუძლიათ ან აღიარონ ან არ გამოიყენონ საკავშირო ხელისუფლების აქტი. წევრ-სახელმწიფოთა ხელისუფლება ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი

არიან. კონფედერაციის საკავშირო ხელშეკრულების შეცვლას სჭირდება წევრ-სახელმწიფოთა საერთო თანხმობა, ფედერალური კონსტიტუცია კი შეიძლება შეცვალოს საპარლამენტო უმრავლესობამ. კონფედერაციის ბიუჯეტი იქმნება მისი სუბიექტების ნებაყოფლობითი შენატანებისაგან. კონფედერაციის გამგებლობას განეკუთვნება საკითხთა მხოლოდ განსაზღვრული, საკმაოდ ვიწრო წრე – როგორც წესი, ომისა და ზავის საკითხი, საგარეო პოლიტიკა, ერთიანი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, კომუნიკაციის საერთო სისტემები, კონფედერაციის წევრთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა; იქმნება მხოლოდ ის ორგანოები, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, ამიტომ კონფედერაციას არ აქვს სასამართლო ორგანოები, იშვიათი გამონაკლისის სახით, კონფედერაციულ პოლიტიკურ სისტემებს აქვთ სამედიატორო სასამართლო, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულების ფუნქციებს; კონფედერაციის სუბიექტებს შეუძლიათ დაადგინონ საბაჟო და სხვა სახის შეზღუდვები, რომლებიც ზღუდავენ პიროვნების, საქონლის, კაპიტალის მოძრაობას. რო-

გორც წესი, კონფედერაციის დროს არ მოქმედებს ერთიანი ფულადი სისტემა. კონფედერაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დასახული მიზნის მიღწევისას ან დაიშლება ან გარდაიქმნება ფედერაციად.

თანამეგობრობა. თანამეგობრობაში იგულისხმება ერების თანამეგობრობა (ადრე იყო ერების ბრიტანული გაერთიანება). ეს არის საერთაშორისო-სამართლებრივი კავშირი, რომელიც გამოხატულია მოკავშირე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. მოკავშირედ ითვლებიან ბრიტანეთი და სუვერენული სახელმწიფოები – მისი ყოფილი კოლონიები. საწყის ეტაპზე თანამეგობრობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ბრიტანეთის მონარქი არის ნომინალური სახელმწიფოს მეთაური (თანამეგობრობის) ყველა ქვეყანაში, იგი წარმოდგენილია მის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორის სახით, თუმცა, დღეისათვის ერთიანი სახელმწიფოს მეთაური აღიარებულია მხოლოდ თანამეგობრობის რამდენიმე ქვეყანაში (როგორც რესპუბლიკებში, ისე მონარქიებში). ბრიტანელი მონარქი აღიარებულია როგორც თანამეგობრობის ნომინალური მეთაური. თანამეგობრობის პერიოდში ერების თანამეგობრობას აქვს სუფთა ფორმალური ხასიათი.

ერების თანამეგობრობას გვაგონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), იგი წარმოიშვა იმპერიული პოლიტიკური წარმონაქმნის – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუმცა რუსეთის სახელმწიფოს მეთაური არ წარმოადგენს დსთ-ს ქვეყნებში სახელმწიფოს ნომინალურ მეთაურს, იგი მხოლოდ აირჩევა მაკოორდინებელი ორგანოს მეთაურად, (მაკოორდინებელ ორგანოში შედიან წევრი სახელმწიფოს მეთაურები).

ევროკავშირი. თანამედროვე მსოფლიო იცნობს ისეთ გაერთიანებებსაც, რომლებიც არ წარმოადგენენ არც სახელმწიფოთა კავშირს (კონფედერაციას), არც ფედერაციას, არც სახელმწიფოთა გაერთიანების სხვა ფორმას, ასეთია ევროკავშირი. მეცნიერთა შორის დღემდე გაურკვეველია და დავას იწვევს ევროკავშირი კავშირია თუ გაერთიანება. ევროკავშირი ხშირად განიმარტება, როგორც საერთაშორისო და იმავდროულად, როგორც "სუპრანაციონალუ-

რი" ან „პრეფედერალური წარმონაქმნი". ევროკავშირი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მას აკლია ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნები, როგორიცაა ტერიტორიული უსენაესობა, ძალაუფლების მონოპოლია, უფლება იძულებაზე და ტოტალური პასუხისმგებლობა ორგანიზებული თანაცხოვრებისათვის. ამსტერდამის ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა ევროკავშირსა და მის წევრებს შორის ურთიერთობების ახალი სამართლებრივი ბაზა და კიდევ უფრო განამტკიცა კავშირის ელემენტები, უფრო ფართოდ მოაწესრიგა ვერტიკალური და ჰორიზონტალური წესრიგის გარანტიის ფუნქცია.

ევროკავშირის ინსტიტუტებს ბევრი რამ აქვთ საერთო ფედერაციულ სახელმწიფოს ინსტიტუტებთან, ევროკავშირს აქვს ფედერალური ორგანო – ევროსაბჭო. ევროკავშირს ჰყავს პარლამენტი, როგორც უნიტარული დემოკრატიული ორგანო და ასევე უზენაესი სასამართლო ორგანო, რომელიც იმოქმედებს ფედერალურ დავათა წარმოშობის შემთხვევაში, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო.

ევროკავშირის ხელშეკრულება ადგენს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფობრიობის ერთიან სტანდარტებს, ამ გაერთიანებაში შემავალი ყველა სახელმწიფოსათვის. ევროკავშირს აქვს სანქციების გამოყენების უფლება იმ წევრისახელმწიფოს მიმართ, რომელიც სისტემატურად და უხეშად არღვევს ზემოაღნიშნულ პრინციპს. ევროკავშირი არის კოლექტიური წესრიგის გარანტი.

ევროკავშირს აქვს ერთიანი ფულადი სისტემა – ევრო. ევროკავშირი არსებითად ეკონომიკური გაერთიანებაა; მასში გაერთიანებულ სახელმწიფოებს აქვს კავშირიდან გასვლის უფლება; მას არ გააჩნია „სახელმწიფო ერი", ევროკავშირის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელია დემოკრატიული ლეგიტიმაციის დეფიციტი; მისთვის აგრეთვე დამახასიათებელია ფასების სტაბილურობის დეფიციტ და საერთაშორისო-სამართლებრივი ბუნება.

იმპერია. რთულ სახელმწიფოდ ითვლება აგრეთვე იმპერია, რომლის სათავეშია იმპერატორი. იმპერია იყო რომში, ბიზანტიაში, საფრანგეთში IX საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი ნაპოლეონის დროს,

არსებობდა ავსტრიის იმპერია, რუსეთში იმპერია იყო პეტრე I-სა და ეკატერინე II-ს დროს.

იმპერიები უმთავრესად სხვადასხვა სახელმწიფოს და ხალხების ძალადობრივი შემოერთების თუ გაერთიანების გზით იქმნებოდა და მათი ცალკეული ნაწილების დამოკიდებულება ერთნაირი არ იყო. კოლონიური ბატონობის განხორციელებისათვის სახელმწიფოს მოწყობის თავისებურ მაგალითს წარმოადგენდა ბრიტანეთის იმპერია, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში განვითარების სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოთა მეთაურებს იმპერატორის ტიტულები ენიჭებოდა. იმპერიებია ჩინეთში, მექსიკაში, ეთიოპიაში, იაპონიაში.

ასოცირებული სახელმწიფო. ასოცირებული სახე-ლმწიფოს ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო, რომელსაც ნებაყოფლობით გადასცა სხვა სახელმწიფოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი (პირველ ყოვლისა, უფლებამოსილებები თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკური კავშირების განხორციელების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის მიზნით). ამერიკის შეერთებულ შტატებთან

ასეთ ასოცირებულ სახელმწიფოდ ითვლება პუერტო-რიკო, რომლის სტატუსიც მერყეობს აშშ-ს კოლონიასა და ფედერალურ შტატს შორის. პუერტო-რიკოს აქვს სათათბირო ხმის უფლება კონგრესში და ჰყავს ერთი წარმომადგენელი.

ასოცირებული სახელმწიფო, საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს მეტნაკლებად დამოუკიდებელ ქვეყანას, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დაკავშირებულია განსაკუთრებული ხელშეკრულებით და მასთან ერთად, აყალიბებს საბაჟო და ფულად კავშირს. ასოცირებულ სახელმწიფოებს მიეკუთვნება ბუტანი, რომლის საგარეო გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს განაგებს ინდოეთი, რომელიც ბუტანს ყოველწლიურად უხდის სუბვენციას. ასოცირებულ სახელმწიფოა ლიხტენშტეინი, რომელიც შვეიცარიასთან ერთად ქმნის ერთიან საბაჟო და ეკონომიკურ კავშირს. მის საგარეო ურთიერთობებს ასევე ახორციელებს შვეიცარია.

პროტექტორატი. პროტექტორატი არის სახელმწიფოთა შორის კავშირის სპეციფიკური ფორმა ანუ

ეს არის ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულებაზე დაფუძნებული კავშირი, რომლის დროსაც ერთი მხარე თავის თავზე იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს მეორე მხარეს საგარეო თავდასხმის შემთხვევაში. ამის საპასუხოდ, პროტექტორატში მყოფი სახელმწიფო ვალდებულებას იღებს არ იმოქმედოს პროტექტორის წინააღმდეგ, თუმცა, იმავდროულად, იგი არ კარგავს სახელმწიფოებრიობას.

პროტექტორისაგან განსხვავდება კოლონია და სამანდატო ტერიტორია. კოლონიები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმ სახელმწიფოს ნაწილი, რომელთანაც ისინი კოლონიურ დამოკიდებულებაში არიან.



უნიტარული სახელმწიფოები

- ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო
- დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო
- მარტივი უნიტარული სახემწიფო
- რთული უნიტარული სახელმწიფო

ფედერაციული სახელმწიფოს სახეები

- ნამდვილი და არანამდვილი,
- კვაზიფედერაციული სახელმწიფო;
- დემოკრატიული და არადემოკრატიული;
- ეროვნული და სუპრანაციონალური;
- ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი;
- ბიპოლარული ფედერალიზმი;
- რევერსიული და არარევერსიული;
- სტატიკური და დინამიკური;
- ია და ჩაკეტილი;
- ცენტრალისტური და პარტიკულარული;
- უნიტარული ფედერაციული;
- სუბფედერაციული,
- აკვაფედერაციული,
- სუპერფედერაციული,
- პარიტეტული და დისპარიტეტული;
- სიმეტრიული და ასიმეტრიული;

- ჰომოგენური და ჰეტეროგენული;
- სამთავრობო-ფედერაციული და სენატორულ-ფედერაციული;
- ფედერალურ-საპრეზიდენტო და უნიტარულ-საპრეზიდენტო;
- ჰორიზონტალური ფედერალიზმი;
- ვერტიკალური ფედერალიზმი;
- მაკავშირებელი ფედერალიზმი;
- ფისკალური ფედერალიზმი;
- პერსონალური ფედერალიზმი
- და ა.შ.

სახელმწიფოთა კავშირები

- კონფედერაცია
- თანამეგობრობა
- ევროკავშირი
- იმპერია
- ასოცირებული სახელმწიფო
- პროტექტორატი

§ 4.პოლიტიკური რეჟიმის ცნება და სახეები.

> დიდი ყურადღება დაეთმობა პოლიტიკური რეჟიმის საკითხის შესწავლას, მის ცნებას, პოლიტიკური რეჟიმის სახეებს, განვიხილავთ დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების დახასიათებას, თვით დემოკრატიული რეჟიმის სახეებს, რეჟიმებს შორის არსებულ განსხვავებებს.

სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური რეჟიმი. სახელმწიფოს ფორმის მოცემული ელემენტი აღიარებული იქნა, როგორც ელემენტი გასული საუკუნის რი-იან წლებში. თვით ცნება სახელმწიფოებრივი რეჟიმი დისკუსიური ხასიათისაა და ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით მის სხვადასხვა სახელწოდებებს: პოლიტიკური რეჟიმი, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმი და ა.შ. შედარებით უფრო ხშირად სახელმწიფოებრივი რეჟიმი გაიგივებულია პოლიტიკურ რეჟიმთან. ამიტომ, ჯერ საჭიროა დავაზუსტოთ, შეიძლება თუ არა მას ვუწოდოთ სახელმწიფოებრივი რეჟიმი და პირიქით, გავარკვიოთ, რას ნიშნავს ტერმინი „რეჟიმი".

„რეჟიმის" ცნებას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, რომლებიც წარმოიშობოდა თანდათანობით, იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა სახელმწიფო და სამართალი. ძველ რომში რეჟიმი ნიშნავდა მართვას. საფრანგეთში – მმართველობას, წესრიგს, ხელისუფლების განხორციელების მეთოდს, სახელმწიფოებრივ მოწყობას. ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობა მეტად მრავალფეროვანია (ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციონირების რეჟიმი, სახელმწიფო საზღვრების რეჟიმი, ეკონომიკის რეჟიმი, მმართველობის რეჟიმი და ა.შ.). ასევე მრავალფეროვანია „პოლიტიკური რეჟიმის" ცნების გამოყენება. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „რეჟიმი" ფრანგულიდან წარმოშობილი სიტყვაა და განხილულია ორი მნიშვნელობით:

1. მმართველობის წესი, სახელმწიფო წყობილება და

2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვა დადგენილი წესი[57].

ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით რუსული ენის განმარტებით ლექსიკონშიც[58]. ჩვენ კი გვაინტერესებს სწორედ პოლიტიკური რეჟიმი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების ხერხებთან, რამდენადაც იურიდიულ ლიტერატურაში დღეისათვის არ არის მისი ერთმნიშვნელოვანი გაგება, ხოლო მისი გაგების როლი სახელმწიფოს თეორიაში მეტად მნიშვნელოვანია. იურიდიულ ლიტერატურაში „პოლიტიკური რეჟიმი" გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით, როგორც სინონიმი ცნებისა „სახელმწიფოებრივი რეჟიმის" შემადგენელი ნაწილი და ა.შ.

დ.ესტონის აზრით, პოლიტიკური რეჟიმი – პოლიტიკურ ურთიერთქმედების წესები და მიზნებია[59], სახელმწიფოებრივი რეჟიმი ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საშუალებებისა

[57] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, ნაკვეთი მეორე – მან, თბილისი, 1990 წ., გვ.825)
[58] Ожегов С.И. Словарь русского языка, М, 1978, с,621
[59] Политология Энциклопедический словарь. М.,1993

და მეთოდების ერთიანობას, იგი არ მოიცავს პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელ სისტემას ანუ იგი ეხება სახელმწიფოს, მის საქმიანობას. როგორც ცნობილია, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და სახელმწიფო, სულაც არ არის ცნებები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ ამიტომ, პოლიტიკური რეჟიმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო რეჟიმი, იგი მოიცავს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და ხერხებს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ პოლიტიკურ ძალთა მხრიდანაც. ეს შეიძლება იყოს გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები, მათ შორის ოპოზიციურებიც სახელმწიფოებრივ რეჟიმთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება წარმატებულად იქნას აღიარებული სახელმწიფო რეჟიმის, როგორც პოლიტიკური რეჟიმის შემადგენელი ნაწილის დახასიათება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა სხვა ელემენტსაც[60]

[60] Общая теория государства и права, академический курс. Т1.,с.182

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „პოლიტიკური რეჟიმი" შეესაბამება „საზოგადოების პოლიტიკური სისტემის" ცნებას, ხოლო „სახელმწიფოებრივი რეჟიმის" - „სახელმწიფოს" ცნებას. აქედან გამომდინარე, ეს ცნებები არ უნდა გავაიგივეოთ.

პოლიტიკური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს მისთვის დამახასიათებელი სამი შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, შესაბამისი პროგატივებით. პოლიტიკური ხელისუფლების სუბიექტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც დამოუკიდებელია და არ შედის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. **პოლიტიკური რეჟიმის დამახასიათებელი ნიშნებია:**

- ხალხის მონაწილეობის დონე პოლიტიკური რეჟიმის ფორმირებაში, ფორმირების ხერხები;
- პირის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირება;
- საზოგადოებაში ხელისუფლების განხორციელების რეალური მექანიზმების დახასიათება;

- უშუალოდ ხალხის მიერ ხელისუფლების რეალიზაციის დონე;
- მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების მდგომარეობა, საზოგადოებაში საჯაროობის დონე და სახელმწიფოებრივი აპარატის საქმიანობის გამჭვირვალობა;
- საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში არასახელმწიფო სტრუქტურების ადგილი და როლი;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას უმცირესობათა უფლებების აღიარება;
- პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებისას გარკვეული მეთოდების (დარწმუნების, იძულებისა და ა.შ.) დომინირება;
- საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპები;
- პოლიტიკური პლურალიზმის, მათ შორის მრავალპარტიულობის ზომები'
- თანამდებობის პირთა, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირთა პოლიტიკურ და სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისათვის რეალური მექანიზმების არსებობა.

სახელმწიფო რეჟიმი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფორმირებების საშუალებები და წესი;
- ხელისუფლებს შტოებს შორის კომპეტენციათა გადანაწილება
- ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსა (ცენტრალური, ადგილობრივი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ა.შ.) ურთიერთობების ხასიათი;
- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფოებრივი გარანტიები, ამ უფლებებისა და თავისუფლებების რეალობა;
- სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში სამართლებრივი კანონების უზენაესობა;
- სამართლის როლი სახელმწიფოებრივ საქმეთა განხილვაში;
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა;

- სახელმწიფოს ჩარევისაგან მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების დამოუკიდებლობა ან დამოკიდებულება;
- არმიის, პოლიციის, დაზვერვის ადგილი და როლი სახელმწიფოს მექანიზმში;
- ქვეყნის მოსახლეობის მონაწილეობის დონე სახელმწიფოს მართვაში;
- საზოგადოებაში წამოჭრილი კონფლიქტების მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიერ გამოყენებული მეთოდები..

ცნობილია, რომ ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში და მის ყოველ ისტორიულ ტიპში რეჟიმზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა (ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და ა.შ) ფაქტორი. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო რეჟიმებიც მრავალგვარია: ლიბერალური, დემოკრატიული ან პირიქით, დიქტატორული, ავტორიტარული, პოლიციური, ფაშისტური, ტოტალიტარული.

დემოკრატიული რეჟიმი – სახელმწიფოში ხელისუფლების ისეთი ორგანიზაციაა, რომელშიც უზრუნველყოფილია ხელისუფლების უმაღლესი ორგა-

ნოების არჩევითობა და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობა, აღიარებულია და უზრუნველყოფილია ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. დემოკრატიული რეჟიმი ეყრდნობა სახალხო სუვერენიტეტის, პოლიტიკური თავისუფლების, თანასწორობის, ხელისუფლების დანაწილების, ხელისუფლების ორგანოთა ცვლის პერიოდულობის, მრავალპარტიულობის, აზრთა პლურალიზმის, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების დამოუკიდებლობის, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების და ა.შ პრინციპებს.

ტოტალიტარული რეჟიმი ხელისუფლების ისეთი ორგანიზაციაა, რომლის დროსაც მყარდება სახელმწიფოს მკაცრი კონტროლი საზოგადოებასა და პიროვნებაზე, იგი ეყრდნობა ერთპარტიულ სისტემას, ერთ იდეოლოგიას, რომელიც ითვლება ერთადერთ სამართლიან იდეოლოგიად. ტოტალიტარული რეჟიმის დროს მმართველი პარტია ერწყმის სახელმწიფოებრივ აპარატს, არ დაიშვება მრავალპარტიულობა, საზოგადოებრივი აზრის პლურალიზმი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ემორჩილებიან სახელმწიფოს ასეთი რეჟიმი ეყრდნობა უზარმაზარ, ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატს, არმიას, პოლიციას, დაზვერვას.

ავტორიტარული რეჟიმი – ხასიათდება იმით, რომ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი კონცენტრირებულია ერთი პირი ან ელიტის ხელში, ოპოზიცია ფორმალურადაა აღიარებული, ისინი მხარს უჭერენ მმართველ ელიტას. რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება ექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას. მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები დევს და გათვალისწინებულია კანონმდებლობაში, მაგრამ ფაქტობრივად, მათი რეალიზება არ ხდება. ფორმალურად ამ რეჟიმისთვის დამახასიათებელია დემოკრატიისა და კანონიერების ელემენტები. მასში დიდ როლს თამაშობს ლიდერისა და მმართველი პარტიის ქარიზმატულობა.

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური

რეჟიმის სახეები

- დემოკრატიული რეჟიმი
- ტოტალიტარული რეჟიმი
- ავტორიტარული რეჟიმი

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რა არის სახელმწიფოს ფორმა?
2. როგორია სახელმწიფოს ფორმის თანაფარდობა სახელმწიფოს ისტორიულ ტიპებთან მიმართებაში?
3. როგორ განასხვავებდით ერთმანეთისგან საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებს?
4. რა სახის მმართველობის ფორმები შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ?
5. როგორ დაახასიათებთ სახელმწიფოთა კავშირს, რა სახის კავშირებია თქვენთვის ცნობილი?
6. რა სახის პოლიტიკური რეჟიმები არსებობს?

საშინაო დავალება:

- ჩამოაყალიბეთ რა ნიშნებით განსხვავდება ფედერაცია კონფედერაციისაგან?

თემა VII

სახელმწიფოს მექანიზმი

თემა 7

სახელმწიფოს მექანიზმი

თემის სტრუქტურა:

§ 1. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და მისი ელემენტები

§ 2. საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები

§ 3. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები

§ 4. სასამართლო ხელისუფლების ორგანოები

§ 5. მაკონტროლებელი და საზედამხედველო ორგანოები

§ 6. შეიარაღებული ფორმირებანი

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სახელმწიფოს მექანიზმის შესახებ, რა ძირითადი ელემენტები შედის სახელმწიფოს მექანიზმში, რას ნიშნავს სახელმწიფო ორგანო და რა სახის სახელმწიფო ორგანოებს ვხვდებით სახელმწიფოს

მექანიზმში. სტუდენტს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა სახელმწიფოს მექანიზმში შემავალ თითოეულ ორგანოზე და იცოდეს მისი დამახასიათებელი ნიშანი.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ თუ რა არის სახელმწიფოს მექანიზმი;
- ✓ რა არის სახელმწიფო ორგანო და როგორი დამახასიათებელი ნიშნები აქვთ
- ✓ დავახასიათებთ სახელმწიფოს ორგანოებს, კერძოდ როგორი ინსტიტუტებია: პარლამენტი, სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი, მთავრობა, სამინისტოები, სასამართლო ორგანოები, მაკონტროლებელ-საზედამხედველო ორგანოები და ძალოვანი სტრუქტურები.

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

რა იგულისხმება სახელმწიფოს მექანიზმის ცნების ქვეშ, სტუდენტებს თემის შესწავლის შემდეგ ეცოდ-

ნებათ თუ რა სახის ორგანოები შედის სახელმწიფოს მექანიზმში ხელისუფლების დანაწილების მიხედვით, რა იგულისხმება მაკონტროლებელ და საზედამხედველო ორგანოებში და რა სახის შეიარაღებული ფორმირებანი არსებობს.

ამ საკითხის განხილვისას ყურადღება იქნება გამახვილებული თვით სახელმწიფოს მექანიზმის ცნებაზე, რომ ეს სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სისტემაა, რომლის მეშვეობითაც ხდება სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება და მასში შემავალ ორგანოებზე, ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფო ორგანოს ცნებაზე, როგორც სახელმწიფოს მექანიზმის რგოლზე, რომ სახელმწიფო ორგანო სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იქმნება კანონით დადგენილი წესით მათ დამახასიათებელ ნიშნებზე, კომპეტენციაზე, კონკრეტულ ამოცანებსა და ფუნქციებზე ზოგადად, ხოლო კონკრეტულად, ცალკეული ორგანოები კი თემის შემდგომ საკითხებში იქნება განხილული.

§ 1. სახელმწიფოს მექანიზმის ცნება და მისი ელემენტები

სახელმწიფოს მექანიზმის ცნება სახელმწიფოს სტატიკურ მხარეს ახასიათებს. იგი იქმნება სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებისათვის დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ფუნქციების შესრულებისას მექანიზმი უკავშირდება სახელმწიფოს არსებობისა და საქმიანობის დინამიკურ მხარეს.

ისეთ საზოგადოებაში, სადაც არსებობენ ანტაგონისტური კლასები, სახელმწიფოს მექანიზმის მიზნები და ამოცანები შეესაბამება გაბატონებული კლასების ამოცანებსა და ინტერესებს.

ისეთ საზოგადოებაში, სადაც კლასობრივი კომპრომისია, სადაც სახელმწიფო ფუნქციონირებს არა მხოლოდ ერთი რომელიმე კლასისათვის, არამედ მთელი საზოგადოების ან მისი უმრავლესობის ინტერესებისათვის, სახელმწიფოს მექანიზმი ისე ყალიბდება და ფუნქციონირებს ისე, როგორც ეს საზოგადოების ან მისი უმრავლესობის ინტერესებს და თავისი საქმიანობით აკმაყოფილებს მათ.

შესაბამისად, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, სახელმწიფოს მექანიზმი სხვადასხვაგვარია. მისი სტრუქტურა იცვლება იმისდა შესაბამისად, თუ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში რა ამოცანებსა და მიზნებს სახავდა სახელმწიფო თავისი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ნათელია, რომ ყოველი სახელმწიფო იღწვის არსებობის სტაბილურობისათვის, ამას ახერხებს სახელმწიფოს მექანიზმის კარგი მუშაობით, რომელიც ეხმარება სახელმწიფოს ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს მექანიზმის ცნებისა და სტრუქტურისადმი ერთიანი, საზოგადოდ აღიარებული მიდგომა არ არსებობს, თუ რამდენიმე წლის წინ სახელმწიფოს მექანიზმს განიხილავდნენ მხოლოდ ფართო და ვიწრო გაგებით, უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება მიდგომათა მრავალფეროვნება.

სახელმწიფოს მექანიზმი ფართო გაგებით ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოს მექანიზმში იგულის-

ხმება სახელმწიფოში არსებული ყველა ორგანოს, ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ერთობლიობა.[61] არის ისეთი კონცეფციაც, რომ „სახელმწიფოს მექანიზმი გაიგივებულია სახელმწიფოს აპარატთან"[62]. ამ კონცეფციასთან ახლოსაა ა. ლუნევის შეხედულება, რომელიც „სახელმწიფოს მექანიზმის" ტერმინს ცვლის ტერმინით „სახელმწიფოს აპარატი"[63]. გამოთქმულია მოსაზრებები სახელმწიფოს მექანიზმისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ, ან კიდევ, რომ სახელმწიფოს მექანიზმში წინა პლანზეა ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში მომსახურე ჩინოვნიკები[64] და ა.შ. მიუხედავად სახელმწიფოს მექანიზმის მრავალფეროვანი გაგებისა, ავტორები მთავარში თანხმდებიან, რომ ყოველ მათგანში ხაზგასმითაა აღნიშნული სახელმწიფოს აპარატი, სახელმწიფოს ორგანოთა სისტემა, რომელთა მოწოდებაა სახელმწიფოს

[61] Копейчиков В.В. Механизм советского государства, М, 1968, с. 52-83, 84-115

[62] იხ. მაგალითად: Лесной В.В. Социалистическая революция и государственный аппарат. М., 1972. с. 124

[63] Лунев А.Е.,Советский государственный аппарат.,М.,1972.,с.4-6

[64] იხ. მაგალითად: Общая теория права и государства /под ред. В.В.Лазарева.,М., 1999. с.369, 389., Теория государства и права/отв.ред. А.И.Денисов. М.,1980. с. 250

წინაშე დასმული ამოცანების შესრულება და ფუნქციების რეალიზება.

როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორია გვი-დასტურებს, სახელმწიფოს მექანიზმი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, წარმატებით მხოლოდ მაშინ გადაიჭრება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ამოცანები, როცა უზრუნველყოფილი იქნება ხელისუფლებისა და მისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების სტაბილურობა, როცა სწორად იქნება გამოყენებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგულირების მეთოდები, როცა დაბალანსებული იქნება მექანიზმში შემავალი ელემენტების სისტემა, ხოლო სახელმწიფო ორგანოები შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ე.ი. როცა სახელმწიფოს მექანიზმის საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იქნება საზოგადოებისა და მოქალაქეთა საფუძვლიან ინტერესებს[65]

სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურა. სახელმწიფოს მექანიზმის სტრუქტურის საკითხი ნებისმიერ

[65] Теория государства и права/ под ред. В.К.Бабаева. Ь.,199ю сю 108!109

სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. ეს მუდმივი ხასიათის პრობლემაა, რა-მდენადაც, სახელმწიფოს მექანიზმში შემავალი ორგანოებისა და ორგანიზაციების შინაგანი აგებულება, სუბორდინაცია, ურთიერთკონტროლი და ურთიერთმოქმედება გავლენას ახდენენ ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობასა და ხარისხზე, ხოლო ხელისუფლებისათვის არ უნდა იყოს სულერთი, თუ როგორ ასრულებენ მის მიერ შექმნილი ორგანოები მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. სახელმწიფოს მექანიზმში იგულისხმება მისი შინაგანი აგებულება ანუ ხელისუფლების ორგანოს სახელწოდება, ორგანოთა სუბორდინაცია, მათი ქვემდებარეობა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური აგებულება.

ზოგადად სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ რა ელემენტებისაგან შედგება იგი, როგორია მათი ურთიერთკავშირი, შესაბამისობა. სტრუქტურა გვიჩვენებს ხელისუფლების, მმართველობის რა ორგანოებისაგან შედგება იგი, რისთვისაა შექმნილი ეხინ და რის მისაღწევადაა მათი საქმიანობა.

სახელმწიფოს მექანიზმის სტრუქტურის გაანალიზება ბევრად უკეთესია სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა სახელმწიფოს მექანიზმის შინაგანი აგებულების გაშუქება, მისი მეშვეობით შეგვიძლია გამოვავლინოთ სახელმწიფოს მექანიზმში შემავალ ელემენტებს შორის არსებული კანონზომიერი კავშირები.

სტრუქტურულ მეთოდთან ერთად სახელმწიფოს მექანიზმის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნქციონალურ მეთოდსაც, რადგან სტრუქტურა ყოველთვის დაკავშირებულია სისტემის არსებობასთან. სახელმწიფოს მექანიზმისათვის არსებობის ხერხი – ნიშნავს მასში შემავალი ელემენტების ურთიერთკავშირს და სისტემაში მათ ფუნქციონირებას.

სახელმწიფოს მექანიზმის სტატიკური მდგომარეობის გარკვევისას უფრო ეფექტურია სტრუქტურული მეთოდი, იგი საშუალებას იძლევა შედარებით უკეთ იქნას აღქმული მისი შემადგენელი ნაწილები (სტრუქტურა), მაგრამ მხოლოდ სახელმწიფოს მექანიზმის სტრუქტურის აღქმა არ იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებელი – დი-

ნამიკა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ვერც ერთი სახელმწიფოს მექანიზმი. დინამიზმი (ქმედება, საქმიანობა, ფუნქციონირება) – სახელმწიფოს მექანიზმის მთავარი ფასეულობაა, ვინაიდან სახელმწიფოს ორგანოები ყოველთვის იქმნება გარკვეული, აუცილებელი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოს მექანიზმის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია საკანონმდებლო ორგანოები, მმართველობის ორგანოები, მართლმსაჯულების ორგანოები, საზედამხედველო და მაკონტროლებელი ორგანოები და შეიარაღებული ფორმირებანი.

თანამედროვე სახელმწიფოს მექანიზმის სტრუქტურას თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად აქვს რიგი საერთო მახასიათებელი ნიშნები. ყველა ან მათი უმრავლესობა შედგება შემდეგი ორგანოებისაგან: სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, მაკონტროლებელი და საზედამხედველო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

სახელმწიფოს მექანიზმში ძირითადი სტრუქტურული ელემენტია სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო ორგანო. ზოგჯერ სახელმწიფო ორგანო გაიგივებულია თანამდებობასთან. შეცდომა არ იქნება არც იმ შემთხვევაში, როცა საუბარია ისეთ ორგანო-თანამდებობებზე, როგორიცაა, მაგალითად, პრეზიდენტი, მინისტრი. როცა მხედველობაშია, მაგა-ლითად, პარლამენტი, იგი ხელისუფლების ორგანოა, რადგან შედგება დეპუტატებისაგან და არა თანამდებობებისაგან.

ყოველ სახელმწიფოში, ხელისუფლების ორგანოთა ფორმირება თავისი სპეციფიკით გამოირჩევა (ისტორიული, ეროვნული, ტერიტორიული, ტრადიციები და სხვა ნიშნები. ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში არის არჩევითი, დანიშვნითი და მემკვიდრეობითი ხელისუფლების ორგანოები (მეფე, ლორდთა პალატა დიდ ბრიტანეთში).

ფედერაციულ სახელმწიფოში ხელისუფლების ორგანოები მრავალსაფეხურიანია: ფედერაციული ორგანოები და ფედერაციის სუბიექტთა ხელისუფლების ორგანოები. თითოეულ მათგანშია პარლამენტი, მთავრობა, სამინისტროები და სხვა სტრუქტურები.

სახელმწიფო ორგანოები შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი. ისტორია იცნობს სხვადასხვა სახის გარდამავალ მთავრობას, დროებით პრეზიდენტებს და ა.შ. ამა თუ იმ ორგანოთა წარმოშობისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი არაერთგვაროვანია. არსებობენ ისეთი ორგანოები, რომლებიც კონსტიტუციის საფუძველზეა შექმნილი, მათ კონსტიტუციური ორგანოები ეწოდებათ, მაგალითად, პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლო და სხვ. სხვა ორგანოები იქმნება რეფერენდუმის საფუძველზე ან პრეზიდენტის ბრძანებულებით თუ მთავრობის გადაწყვეტილებით.

§ 2. სახელმწიფო ორგანოს ცნება, ნიშნები და კლასიფიკაცია

> განვიხილავთ სახელმწიფო ორგანოს ცნებას, მის დამახასიათებელ ნიშნებს, გავეცნობით სახელმწიფო ორგანოების სახეებს; მოკლედ დავახასიათებთ თითოეულ სახეს. შევისწავლით სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის პრინციპებს.

სახელმწიფო ორგანო სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილია. იგი იქმნება კანონით დადგენილი წესით და სახელმწიფო ფუნქციის შესასრულებლად ფლობს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, გამოსცემს სავალდებულო აქტებს, რომელთა განსახორციელებლად იყენებს დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს.

სახელმწიფო ორგანოს დამახასიათებელ ნიშნებია:

- სახელმწიფო ორგანო შეიძლება იყოს ერთპიროვნული პირი (მაგალითად, პრეზიდენტი, პროკურორი და სხვა) ან ორგანიზაცია;

- სახელმწიფოს ორგანო მოქმედებს სახელმწიფოს სახელით. მას აქვს სახელისუფლო უფლებამოსილებები, რაც გამოიხატება, რომ სახელმწიფო ორგანო იღებს ზოგად (ნორმატიულ აქტებს) და ინდივიდუალური ხასიათის (მაგალითად, გადაწყვეტილებები, სასამართლოს განაჩენი) სავალდებულოს ყველასათვის გადაწყვეტილებებს. სახელისუფლო უფლებამოსილებანი შეიძლება იქნას გამოხატული საზედამხედველო-მაკონტროლებელ საქმიანობაში და ფიზიკური იძულებითი ზომების გამოყენებისას;
- სახელმწიფო ორგანო ყოველთვის სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფოს კმაყოფაზეა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს მატერიალურ და ფიზიკურ საშუალებებს (შენობებს, კავშირგაბმულობას და სხვა ნაგებობებს, ფულს).

- სახელმწიფო ორგანოს ადამიანური სუბსტრატია სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლებიც

მუშაობენ სახელმწიფო ორგანოებში მუდმივად, თავისი არსებობისათვის სახელმწიფოსაგან იღებენ საშუალებებს.

სახელმწიფო ორგანოთა სისტემა მრავალგვარია თავისი სტრუქტურით, წარმოშობის ფორმებით, სახელისუფლო სფეროს, საქმიანობის ფორმებით, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებით.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საქმიანობის ფორმებით სახელმწიფო ორგანოები იყოფა სამ ჯგუფად:

- **სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ანუ საკანონმდებლო ორგანოები;**
- **აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები;**
- **სასამართლო ორგანოები.**
- **მაკონტროლებელ-საზედამხედველო ორგანოები**
- **ძალოვანი სტრუქტურები**

სახელმწიფო ორგანოების ფორმირების ხერხის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს: პირველადი და მეორეული ორგანოები. პირველადია სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უშუალოდ, პირდაპირ ხალხის მიერ, არჩევნების გზით ფორმირდება, შესაბამისად, პირველადი ორგანოები არჩევითია, თუმცა ყველა არჩევითი ორგანო როდია პირველადი ორგანო. ზოგიერთი არჩევითი ორგანო ირჩევა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

ფედერაციულ სახელმწიფოებში ორგანოები იყოფა ფედერალურ და ფედერაციის სუბიექტებად (მაგალითად, რუსეთის ფედერაციულ ორგანოებს მიეკუთვნებიან პრეზიდენტი, ფედერალური კრება, პროკურატურის ორგანოები, სასამართლო ორგანოები (ზოგიერთი სასამართლოს გამოკლებით), მთავრობა, ფედერალური უწყებები თავისი ადგილობრივი ორგანოებით).

იერარქიულ სისტემაში თავისი ადგილის მიხედვით სახელმწიფო ორგანოები შეიძლება იყოს უმაღლესი და ადგილობრივი, ფედერაციულ სახელმწიფოებში შეიმჩნევა უზენაესი ორგანოების ორი სისტემა – საერთოფედერალური და ფედერაციის სუბიექტების. ადგილობრივ ორგანოებს მიაკუთვნებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

თავისი სტრუქტურით – სახელმწიფო ორგანოები იყოფა: ერთპიროვნულ და კოლექტიურ ორგანოებად. ერთპიროვნულია – პრეზიდენტი, მინისტრი, პროკურორი, სამხედრო ნაწილის მეთაური და ა.შ, ხოლო კოლექტიურია წარმომადგენლობითი ორგანოები, მთავრობა და სხვა. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება ხდება ერთპიროვნულად, ხოლო მეორე შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის მიერ ანუ თანამდებობის პირთა ჯგუფის მიერ.

სახელმწიფოს კომპეტენციის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოები შეიძლება იყოს საერთო და სპეციალური კომპეტენციის ორგანოები.

პირველ შემთხვევაში, საკითხთა წრე, რომლებზეც მიიღება სახელისუფლებო გადაწყვეტილებები, მეტად ფართოა, მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს, ეკონომიკას, კულტურას, ჯან-

დაცვას, მართლწესრიგის დაცვას და ა.შ., მეორეში - შესაბამისი ორგანო ხელმძღვანელობს რომელიმე ერთ, შედარებით ვიწრო სფეროს. პირველს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნებიან წარმომადგენლობითი ორგანოები, მთავრობა და სხვა, მეორეს - სამინისტროები, უწყებები, პროკურატურა, სასამართლოები და სხვა.

სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები ასრულებენ განსაზღვრულ ამოცანას, მოქმედებენ შეთანხმებულად და ქმნიან ერთიან სისტემას. (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, საკრებულო, გამგეობა განხილული იქნება სახელმწიფოს მექანიზმის თავში).

სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის პრინციპები გამოხატავენ სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საქმიანობაში ორ ძირითად საწყისს: დემოკრატიულობას და ბიუროკრატიას.

დემოკრატიზმი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მოწოდებულია გამოხატოს საზოგადოების, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოების უმრავლესობის ინტერესები. იგი ვლინდება ხელისუფ-

ლების განხორციელებაში მოსახლეობის მონაწილეობით, აგრეთვე სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე კონტროლით. იგი ვარაუდობს წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების არსებობას, სახელმწიფო ორგანოების ფორმირებასა და საქმიანობას საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, კოლეგიალობის, საჯაროობის, ქვემდებარე ორგანოების კონტროლის და სხვა.

არჩევითობას მოსდევს ბუნებრივი ცვალებადობა, შევსება, წარმომადგენლობითი ორგანოების ყოველი არჩევნებისას, ამითი შეცვლით, ვისი პროფესიონალიზმიც არასაკმარისია, ცოდნა და გამოცდილება არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს. საზოგადოების ცხოვრება და მასში მიმდინარე პროცესები უფრო და უფრო რთულდება. სახელმწიფო მმართველობას პროფესიონალები ესაჭიროება, რომელთაც აქვთ მმართველობის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

ზემოაღნიშნულის გამო ხდება მმართველობითი შრომის სპეციალიზაცია, სახელმწიფოსაგან გამოიყოფა განსაკუთრებული პირები – სახელმწიფო მო-

სამსახურენი, რომლებიც მუდმივ პროფესიულ საფუძველზე მუშაობენ, ეს არის ბიუროკრატია. ხდება მმართველობის ბიუროკრატიული სისტემისა და სტილის ჩამოყალიბება.

ბიუროკრატიული მმართველობისათვის დამახასიათებელია ცენტრალიზმი, მკაცრი იერარქია, თანამდებობებზე დანიშვნა, ზემდგომთა გადაწყვეტილებების ქვემდგომის მიერ აუცილებლად შესასრულებელი, მკაცრი დისციპლინა, პროფესიონალიზმი.

მმართველობის ბიუროკრატიულ მეთოდს[66] აქვს დადებითი მხარეები, თუ მის საფუძველში დევს პროფესიონალიზმი და მკაცრი კანონიერება. იგი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების ოპერატიულობას და რაციონალობას, რადგანაც გამორიცხავს ხანგრძლივ დემოკრატიულ პროცესებს, მაგალითად, როგორებიცაა: პროექტების განხილვა, კენჭისყრა და სხვა, ეფუძნება პროფესიულ გამოცდილებას და მკაცრ დისციპლინას. თუმცა, ამ მეთოდს „გარკვეული

[66] „ბიურო"- ფრანგულიდან, ნიშნავს მაგიდას, ბიუროკრატია – მაგიდის უფროსთა ხელისუფლება ანუ კანცელარიის ბატონობა, დღ ეისათვის გამოიყენება, როგორც კოლეგიალური ორგანო, რომელიც ყალიბდება არჩევნების გზით

საფრთხეებიც ახლავს, მას უცილობლად მივყავართ იქითკენ, რომ ბიუროკრატია საზოგადოებიდან არის განპირობებული. შეიძლება შეიქმნას გარკვეული ჯგუფი, ვისაც შეიძლება ამოძრავებდეს საკუთარი კლანობრივი ინტერესები, შესაძლოა მოხდეს სახელისუფლებო უფლებამოსილების პრივატიზაციის პროცესი, რაც გამოეხებას ჰპოვებს არა მარტო საკუთარი პირადი და ჯგუფური ინტერესების გამოყენებისას. ბიუროკრატია იმისათვის იღწვის, რომ შეინარჩუნოს თავისი კლანური ლეგალური შეღავათები, გაიფართოვონ ისინი არალეგალური ანგა-რიშების ხარჯზე, მაგალითად, როგორიცაა ქრთამი, კორუფცია და სხვა. მათ სფეროში იკვრება წრე – ბრძოლა მუხდირისათვის", პროტექციონიზმი, თანამდებობებზე დანიშვნა არა პროფესიონალიზმის კუთხით, ცოდნით და გამოცდილებით, არამედ მეგობრობის, პირადი ეროგულების და ა.შ. მოტივები ხდება გადაწყვეტილებების მიღება ახლობლების სასარგებლოდ რაიმე ნიშნით. ხდება ბიუროკრატიის გაზრდა. თანდათანობით ყალიბდება ახალი, ბიუროკრატიული საქმიანობის განსაკუთრებული ნეგატიური ბიუროკრატიული სტილი, იწყება ზემდგომის მიმართ პირფერობა,

მლიქვნელობა, მაამებლობა, ხელმძღვანელის ნებისმიერი სურვილის შესრულების შელამაზება, თავის ქნევა თანხმობის ნიშნად; ინფორმაციის შეცვლაც კი ხელმძღვანელის სიამოვნებისათვის.

მოქალაქეებისა და ხელქვეითების მიმართ კრიტიკის მოუთმენლობა, არასასიამოვნო ინიციატორთა დათრგუნვა (როგორც ამბობენ: ინიციატივა დასჯადია), ხდება მლიქვნელობისა და პირფერობის წახალისება. ჭეშმარიტი, ნამდვილი, საქმის ნაცვლად, ადგილს იკავებს ფორმალობა, ქაღალდომანია, მთავარია სწორად გაფორმდეს დოკუმენტი და არა საქმის არსებითად გადაწყვეტა. შესამჩნევი ხდება საჯაროობისაკენ მისწრაფების შეზღუდვა, აგრეთვე იზღუდება მოქალაქეთა ინფორმირება, რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის გასაიდუმლოება სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოების ნიშნით. ბიუროკრატიისათვის კანონი არ მოქმედებს, ვიდრე არ იქნება უფროსის მითითება.

დემოკრატიზმსა და ბიუროკრატიზმს აქვთ თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნები (თავისი პლუსები და მინუსები), ამიტომ სახელმწიფო მმართველობაში

შეიძლება ისეთი ურთიერთობები, რომლებიც გაანეიტრალებდნენ მათ ნეგატიურ მხარეებს და შესაძლებლობას მისცემდნენ დადებითი მხარეების გამოსავლენად. ბიუროკრატიის საყოველთაო ხელისუფლება და მისი უარყოფითი მხარეების შეზღუდვა დემოკრატიის განვითარების გზით ხდება, კერძოდ, ეს ხდება საკანონმდებლო რეგლამენტაციით, კანონიერების მკაცრი რეჟიმით, მოქალაქეთა უფლებების დაცვით, გასაჩივრების უფლებით სასამართლოში და ა.შ.

ა) წარმომადგენლობითი ორგანოები (საკანონმდებლო ორგანოები)

ამ საკითხის განხილვისას ვიმსჯელებთ, თუ რა არის სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები. რა დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები აქვს მათ, რა თავისებურებანი ახასიათებთ, განვიხილავთ უმაღლესი და ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს, მათ კომპეტენციას, სტრუქტურას. განვიხილავთ პარლამენტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელსაც წარმომადგენლობით ორგანოსაც უწოდებენ, თუ რამდენი დეპუტატია მასში გაერთიანებული, მათი არჩევის წესსა და ვადებს, რა ორგანოები შედის კიდევ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში და განვიხილავთ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, რომელიც იქმნება სოფელში, თემში, დაბაში, ქალაქის რაიონში და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედის არც ერთი რაიონის შემადგენლობაში

საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო. იყოფა ორ ჯგუფად: უმაღლესი ორგანოები (საქართველოს პარლამენტი და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოები) და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები). საკანონმდებლო ორგანოები იღებენ უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტებს – კანონებს, როგორც ნორმატიულ აქტებს. ორგანოები, რომლებიც იღებენ სხვა ნორმატიულ აქტებს (მაგალითად, კანონქვემდებარე აქტებს), საკანონმდებლო ორგანოებს არ მიეკუთვნებიან.

აბსოლუტურ მონარქიებში კანონებს იღებს მონარქი. დემოკრატიულ ქვეყნებში – უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, როგორიცაა, მაგალითად, პარლამენტი, კონგრესი, სეიმი, მეჯლისი, ნაციონალური კრებები, რომლებიც პირდაპირ მოსახლეობის მიერ აირჩევიან. საქართველოში ასეთი ორგანოა პარლამენტი. ისტორიულად ცნობილია, რომ პირველად პარლამენტი შეიქმნა ინგლისში წოდებრივ-

წარმომადგენლობითი ორგანოს სახით, რეალური მნიშვნელობა კი მოიპოვა XVII-XVIII საუკუნეებში.

პარლამენტი შეიძლება იყოს ორპალატიანი (ბიკამერალიზმი) ან ერთპალატიანი (მონოკამერალიზმი). საქართველოს პარლამენტი დღეს ფუნქციონირებს ერთპალატიანი შემადგენლობით, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს ორპალატიან სისტემას (რესპუბლიკის საბჭო და სენატი), რომელიც შეიქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. მისი ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სის-

ტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისაგან.

დეპუტატი აირჩევა 21 წლის ასაკიდან (პასიური ხმა), ამომრჩეველი პირი არის 18 წლის ასაკიდან (აქტიური ხმა). იგი სრულიად საქართველოს წარმომადგენელია და სარგებლობს თავისუფალი მანდატით, მისი გაწვევა დაუშვებელია. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, ეს დასაშვებია მხოლოდ როგორც გამონაკლისი, როცა სახეზეა დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს, თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, ე.ი. პარლამენტის წევრი სარგებლობს **იმუნიტეტით**, იგი აგრეთვე სარგებლობს **ინდემნიტეტით**, ე.ი. პარლამენტარს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. უფლებამოსილებების განხორციელებისას დეპუტატისათ-

ვის დაბრკოლებების შექმნა კანონით დასჯადი ქმედებაა.

პარლამენტის სხდომები ტარდება საჯაროდ. კენჭისყრა შეიძლება იყოს ღია ან ფარული. პარლამენტს, კონსტიტუციის თანახმად აქვს გარკვეული უფლებამოსილებანი.

საკრებულო. არის სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის რაიონის, აგრეთვე იმ ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც არ შედის არც ერთი რაიონის შემადგენლობაში[67]. საკრებულოს ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საკრებულოს თანამდებობის პირებია: საკრებულოს თავმჯდომარე, მდივანი და საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები.

[67] ეს ქალაქებია: ხიხუმი, ბათუმი, ცხინვალი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი.

ბ) აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საკითხის შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა. ეს ორგანოები წარმოადგენენ ორგანოთა სისტემას მთა-ვრობის მეთაურობით. ამ ორგანოებს აღმასრულებელს უწოდებენ, ვინაიდან მოწოდებულნი არიან შეასრულონ კანონები და მოახდინონ მათი რეალიზება; განმკარგულებელი მათ ეწოდებათ, რადგან კანონების შესრულებისას ისინი იღებენ ნორმატიული ან ინდივიდუალური ხასიათის გადაწყვეტილებებს და იძლევიან განკარგულებებს მათ შესასრულებლად. საქართველოში უზენაეს აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მთავრობა, რომლის სათავეშია პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი.

აღმასრულებელი ორგანოები იყოფა სამ ჯგუფად:

- სახელმწიფო მმართველობის **უმაღლესი** ორგანოები (პრეზიდენტი (საქართველოში 2004 წლამდე), პრემიერ-მინისტრი (საქართველოში 2004 წლის 6 თებერვლიდან), საქართველოს მთავრობა და აფხაზეთისა და აჭარის ავტო-

ნომიური რესპუბლიკების მთავრობები (მინისტრთა საბჭოები);

- სახელმწიფო მმართველობის **ცენტრალური** ორგანოები (ყველა სამინისტრო და დეპარტამენტი) და
- სახელმწიფო მმართველობის **ადგილობრივი** ორგანოები (რაიონის, ქალაქის რაიონის, დაბის, თემის, სოფლის გამგეობები გამგებლების ხელმძღვანელობით და ქალაქის მერიები მერების ხელმძღვანელობით.

გამგეობა (მერია). სოფლის, თემის, დაბის, ქალაქისა და რაიონის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოა გამგეობა, ხოლო იმ ქალაქის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც არ შედის არც ერთი რაიონის შემადგენლობაში არის მერია. გამგებელს ირჩევს შესაბამისი საკრებულო თავისი შემადგენლობიდან, იგი იმავდროულად არის საკრებულოს თავმჯდომარე. იმ სოფელსა და თემში, რომლის მოსახლეობაც არ აღემატება სამი ათასს, საკრებულო არ იქმნება და მის ფუნქციას უშუალოდ გამგებელი ასრულებს. რაიონის გამგებელსა და ქალაქის მერს

თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი (თბილისის მერი არჩევითი თანამდებობაა).

სახელმწიფოს მეთაური – როგორც წესი, ერთპიროვნული ორგანოა, შეიძლება იყოს მონარქი ან პრეზიდენტი[68]. სახელმწიფოს მეთაური, როგორც მინიმუმი, ახორციელებს შემდეგი სახის წარმომადგენლობით ფუნქციებს:

- წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში;
- იღებს ნდობის სიგელებს უცხოელი ელჩებისაგან;
- პრომულგირებს (აქვეყნებს) კანონებს;
- გამოსცემს აქტებს;

პრეზიდენტი[69]. თანამედროვე სახით პრეზიდენტის ინსტიტუტი პირველად გამოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ახლა კი ეს პოსტი მსოფლიოს

[68] საბჭოთა პერიოდში, ყოფილ საბჭოთა კავშირში და მასში შემავალ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც) ერთპიროვნული პრეზიდენტის ინსტიტუტი ითვლებოდა არადემოკრატიულად. სახელმწიფოს მეთაურად გამოდიოდა კოლეგიური ორგანო – შესაბამისი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი).

[69] ტერმინი „პრეზიდენტი" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „წინ მჯდომს", სათავეში მდგომს ან თავმჯდომარეს.

უმრავლეს ქვეყანაშია. პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსიც და უფლებამოსილებანიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სახის რესპუბლიკასთან გვაქვს საქმე. პრეზიდენტის მრავალფეროვანი უფლებამოსილებანი შეიძლება პირობითად შემდეგნაირად დავაჯგუფოდ:

- პრეზიდენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი;
- უფლებამოსილებანი სახელმწიფო მართვის სფეროში;
- უფლებამოსილებანი საკანონმდებლო სფეროში;
- უფლებამოსილებანი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის სფეროში;
- უფლებამოსილებანი სასამართლო სფეროში
- და საგანგებო უფლებამოსილებანი.

შედარებით დიდი უფლებამოსილებები აქვს პრეზიდენტს საპრეზიდენტო რესპუბლიკებში, სადაც იგი სახელმწიფოს მეთაურთან ერთად არის მთავრობის მეთაურიც, ე.ი. მეთაურობს აღმასრულებელ ხელი-

სუფლებასაც და არის უმაღლესი მთავარსარდალიც (მაგალითად, აშშ, რუსეთი).

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფო მეთაური და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, საქართველოს წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში. წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტს. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე; შეუძლია გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები; გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს; ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს; წყვეტს მოქალაქეობის, თავშეყრის მიცემის საკითხებს; შეიწყალებს მსჯავრდებულთ; ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს და ა.შ. პრეზიდენტი დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან, პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრების დანიშვნაზე. პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, შეიწყალებს მსჯავრდებულებს; წყვეტს მოქალა-

ქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს, ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს და ა.შ.[70]

პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს; საჭიროების შემთხვევაში, აცხადებს საომარ ან საგანგებო მდგომარეობას და ეს გადაწყვეტილება არაუგვიანეს 48 საათში შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად.

პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა ნორმალურ პირობებში წყდება საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, ე.ი. ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებათა დაწყების დღიდან. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს არაორდინალურ შემთხვევებსაც. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის

[70] ამჟამად პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვებთან დაკავშირებით, ამიტომ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნორმატიულ აქტებში ცვლილებებია მოსალოდნელი.

შემთხვევაში, პარლამენტს შეუძლია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს თუ დანაშაულის ფაქტია დასადასტურებელი და კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილებისათვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს. დასკვნისა თუ გადაწყვეტილების განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ მიიღებს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედ ხმათა რაოდენობას. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს პატივსადები მიზეზითაც (მაგალითად, გადადგომის, ჯანმრთელობის გაუარესების ან გარდაცვალების გამო), ახალი პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის განმავლობაში.

გ) სასამართლო ორგანოები.

ამ საკითხის გაშუქებისას ყურადღებას გავამახვილებთ სასამართლო ორგანოების სისტემაზე, საერთო კომპეტენციის სასამართლოებზე, მათ სტრუქტურაზე, ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე, მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებზე. საკონსტიტუციო სასამართლოზე, როგორც კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებისა და მაკონტროლებელ ორგანოზე. ვიმსჯელებთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების სტატუსსე და ა.შ

ხშირად სასამართლო ხელისუფლებას მესამე ხელისუფლებას უწოდებენ რადგან მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციებში (მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაშიც) და დოქტრინებში, ხელისუფლების შტოების ჩამოთვლისას, იგი ხელისუფლების სისტემის შემადგენლობაში საკანონმდებლო და აღ-

მასრულებელი ხელისუფლების შემდეგ მოიხსენება. თუმცა ეს სრულებითაც არ აკნინებს არც მის მნიშვნელობას, არც მის მკაცრად განსაზღვრულ დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებაში, უფრო მეტიც, მმართველობის ფორმის მიუხედავად, ურთიერთდამოკიდებულება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის უფრო მეტია (მმართველობის საპარლამენტო ფორმისას), ან უფრო ნაკლები (საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემთხვევაში). სასამართლო ხელისუფლება კი, ნებისმიერი დასახელებული მმართველობის ფორმისას ერთნაირად გამიჯნულია ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს მათთან კავშირს.

სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სპეციფიკური ფორმაა მართლმსაჯულება – მოქმედი სამართლის საფუძველზე ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის კონფლიქტებისა და დავების გადაწყვეტა, რომელთა მონაწილეები არიან მოქალაქეები, მათი გაერთიანებები, იურიდიული პირები, მუ-

ნიციპალური სახელმწიფო ორგანოები და თვით სახელმწიფოც კი.

შეიძლება გამოიყოს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სამი ძირითადი, ერთმანეთთან დაკავშირებული სამი მიმართულება:

- მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- მართლწესრიგის დაცვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევებისაგან;
- კონტროლის განხორციელება იმაზე, რომ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა არ გაცდეს სამართლის ჩარჩოებს.

ქვეყანაში არსებული ყველა სასამართლოს ერთობლიობა შედგეს სასამართლო სისტემას. მათ აქვთ საერთო ამოცანები და ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მართლმსაჯულების განსახორციელებლად.[71] სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებანი ეკრძნობა მხოლოდ სამართალს.

[71] იხ. მანანა მოსულიშვილი. სასამართლო ხელისუფლება. თბილისი. 2012, გვ 8-10

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება შედგება საერთო კომპეტენციის სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოსგან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას და კონსტიტუციური იუსტიციას ანუ კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. იგი გამოიხატება კანონებისა და ნორმატიული აქტების საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებელ სახოგადოებრივ გაერთიანებათა მოქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებაში[72].

სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა ხორციელდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

- კანონიერების პრინციპი;
- სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი;
- მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი;

[72] იხ. იქვე გვ. 11-14

- მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
- კანონისა და სახელმწიფოს წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
- საქმეთა ღიად განხილვის პრინციპი;
- სამართალწარმოების ენის პრინციპი;
- მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი და ა.შ. [73].

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შედის: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო[74]

[73] იხ.დაწვრილებით, მანანა მოსულიშვილი. სასამართლო ხელისუფლება. წიგნში: კრიმინოლოგია., თბილისი, 2008 წ. გვ.407-434

[74] ამჟამგანარი სისტემაა ორგანულ კანონში 2005 წლის 25 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით, მანამდე კი საერთო სასამართლოების სისტემაში შედიოდა რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და ა ა არის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

მოსამართლე სასამართლო ხელისუფლების მატარებელი სახელმწიფო თანამდებობის პირია. საქართველოში 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ" თანახმად, მოსამართლე არის პირი, რომელიც აღჭურვილია კონსტიტუციური უფლებამოსილებებით განახორციელოს მართლმსაჯულება და შეასრულოს თავისი მოვალეობები პროფესიონალურ საფუძველზე. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. დამატებითი მოთხოვნაა, მოსამართლის კანდიდატის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება[75] და სახელმწიფო ენის ფლობა. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი წევრები.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური კონტროლის

[75] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ" 1997 წლის 13 ივნისი, მუხლი 46.

განვითარებას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში და სხვ., მისი შექმნის მიზანი კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტა იყო. ამ საკითხთა წრეს მიაკუთვნებენ:

- ხელისუფლების ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას;
- შიდა სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობას;
- რეფერენდუმის კონსტიტუციურობას;
- არჩევნების კონსტიტუციურობას;
- პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის კონსტიტუციურობას;
- პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ რეგლამენტირებას;
- სახელმწიფო ორგანოთა შორის დავა კომპეტენციათა შესახებ.

საქართველოში საკონსტიტუციო იურისდიქცია შემოღებულია 1995 წლის კონსტიტუციის მიღების გამო. საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს.

საკონსტიტუციო სასამართლოში სულ ცხრა წევრია, რომელთა შორის, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი და სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ისინი აირჩევის 10 წლის ვადით[76].

მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან კანონმჯდებლობით დაუშვებელი მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, გამოსაკლისია, დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რომლის დროსაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (თუ საერთო სასამართლოების მოსამართლეა) ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს (თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა), თუ არ იქნება მათი თანხმობა, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლეები დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ.

[76] მოსალოდნელია კანონში ცვლილებების შეტანა მოსამართლეთა უვადოთ არჩევნების თაობაზე.

დ) საზედამხედველო- მაკონტროლებელი ორგანოები

> საკითხის კარგად შესასწავლად განვიხილავთ საზედამხედველო და მაკონტროლებელ ორგანოებს, მაგალითად კონტროლის პალატას, პროკურატურას და ა.შ მაკონტროლებელ ორგანოებს.

საზედამხედველო და მაკონტროლებელი ორგანოები ახორციელებენ კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებაზე ზედამხედველობას. ამ ორგანოთა რიცხვს მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლო (ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი მასზე), კონტროლის პალატა, პროკურატურა, სხვადასხვა სახის სახელმწიფო ინსპექციები, რომლებიც, შესაბამისად, შეიძლება ექვემდებარებოდეს შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს.

ერთ-ერთი საზედამხედველო და მაკონტროლებელი ორგანოა კონტროლის პალატა, რომელიც

არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოა, იგი ზედამხედველობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას. იგი ეროვნული სიმდიდრისა და სახელმწიფო ქონების დაცვას ემსახურება. კონტროლის პალატა აკონტროლებს და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრივობასა და ეფექტიანობას. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილება ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა ორგანოზე, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე და ყველა სხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაზე.

კონტროლის პალატა უფლება აქვს შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა მხოლოდ იმ ნაწილში, რაც დაკავშირებულია

საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან, გადარიცხვასთან ან გამოყენებასთან, რაიმე ფორმით სახელმწიფო საკუთრების გამოყენებასთან ან მის მართვასთან.

კონტროლის პალატა არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელსა საერთო ხელმძღვანელობას უწევს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით. თავმჯდომარე და მისი მოადგილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი, ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სახელმწიფო მართვის, სახელმწიფო კონტროლის, ეკონომიკის და ფინანსების სფეროებიდან ერთში მაინც. არ შეიძლება კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა. შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, თუ თანხმობა არ იქნება, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

კონტროლის პალატის საქმიანობას ამოწმებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმ-

ნილი კომისია. დაუშვებელია კონტროლის პალატის თანამშრომელთა მიმართ ძალადობა, მუქარა და ა.შ., ასეთის შემთხვევაში, დამრღვევი პირი დაისჯება კანონით დადგენილი წესით. მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან[77].

საქართველოს პროკურატურის ორგანოები დღეს მოქმედი კონსტიტუციის 81-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი[78], მისი უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა. პროკურორი[79] ზედამხედველობს დაკავებულთა მოთავსების ადგილებში პირთა ყოფნას, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა საკითხებს. პირველი ინსტანციის სასამართ-

[77] იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ. თბილისი, 1997 წლის 15 აპრილი
[78] საქართველოს პროკურატურა 2004 წლის თებერვლამდე კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად შედიოდა საქართველოს სასამართლო ორგანოთა სისტემაში, 2004 წლის 6 თებერვლიდან,კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ცვლილებები და 76-ე პრიმა მუხლით რეგლამენტირებული იყო პრეზიდენტის თაეში.
[79] პროკურორი ლათ.სიტყვაა და ნიშნავს მხრუნველს.

თლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, უფლება არა აქვს უარი თქვას ბრალდებაზე, თუ შეკრებილი მტკიცებულება არ ადასტურებს ბრალდებას.

ე) **ძალოვანი სტრუქტურები.** ძალოვან სტრუქტურებს მიეკუთვნება: არმია, პოლიცია, დაზვერვა და სხვა ორგანოები. თვით სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ ორგანოებს აქვთ ძალის გამოყენების უფლება, პირდაპირი ფიზიკური იძულება, იარაღის ან იძულების და სხვა საშუალებების გამოყენება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს კანონის ფარგლებში. წამყვანი როლი ამ ორგანოებში აკისრია არმიას. **არმია** შეიარაღებული ფორმალური ჯგუფის სისტემაა. ეს ორგანიზაცია შექმნილია საბრძოლო ქმედებების განსახორციელებლად როგორც თავდაცვით, ისე თავდასხმით ბრძოლებში. არმია არის ქვეყნის უდიდესი ფიზიკური ძალა, რომელიც თავის ამოცანებს ასრულებს იარაღის გამოყენების გზით. არმიის დანიშნულება სახელმწიფოს საგარეო ფუნქციის შესრულება. თუმცა, შეიძლება იგი ვიწრო სფეროს დამცველ ორგანიზაციად გარდაიქმნას თავისი ინტერესებითა და

მიზნებით, ან გახდეს სამხედრო ელიტის ხელისუფლების იარაღი სამხედრო გადატრიალებებისა და სამხედრო დიქტატურის დასამყარების მიზნით. დემოკრატიულ სახელმწიფოებში არმია იმყოფება სამოქალაქო ხელისუფლების - პარლამენტის, მთავრობის კონტროლის ქვეშ.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში უმაღლეს მთავარსარდალს წარმოადგენს პრეზიდენტი. იმ შემთხვევაში, როცა მწვავდება საშინაო მდგომარეობა, პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც სახელმწიფოს არსებობას ემუქრება, ხელისუფლებამ არმია შეიძლება პოლიტიკური მოწინააღმდეგების დასათრგუნად გამოიყენოს.

პოლიცია არის სამართალდამცავი გასამხედროებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელი დაცვა. პოლიციის განსაკუთრებული ამოცანაა პიროვნების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის უფლებების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა. პოლი-

ცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დამნაშავეებისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევების დასაკავებლად. პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები (ხელბორკილი და მებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი და ა.შ.).

სახელმწიფო მექანიზმის ელემენტები:

- წარმომადგენლობითი ორგანოები
- აღმასრულებელი ორგანოები
- სასამართლო ორგანოება
- მაკონტროლებელი და საზედამხედველო ორგანოები
- ძალოვანი სტრუქტურები

კითხვები თვითმომზადებისათვის:

1. რა არის სახელმწიფოს მექანიზმი?

2. სახელმწიფოს მექანიზმში შემავალი როგორი ელემენტები იცით?

3.როგორ დაახასიათებთ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს?

4. ჩამოთვალეთ სასამართლო ხელისუფლებაში შემავალი ორგანოები.

საშინაო დავალება:

ჩამოაყალიბეთ რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები?

ჩამოაყალიბეთ საკუთარი მოსაზრება ძალოვანი სტრუქტურების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

თემა VIII

სახელმწიფოს ფუნქციები

თემა 8

სახელმწიფოს ფუნქციები

თემის სტრუქტურა:

§ 1. სახელმწიფოს ფუნქციების ცნება

§ 2. სახელმწიფოს ფუნქციათა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სახელმწიფოს მექანიზმის მიერ სახელმწიფოს ფუნქციების შესრულების შესახებ, რა ძირითადი და არაძირითადი ფუნქციები არსებობს, რას ნიშნავს სახელმწიფოს საშინაო და სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები. თემის მიზანია სტუდენტი ერკვეოდეს სახელმწიფოს ფუნქციებში და იცოდეს მისი დამახასიათებელი ნიშნები.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ გავერკვევით სახელმწიფოს ფუნქციების ცნებაში, ყურადღებას გავამახვილებთ თუ რა განსხვავებაა ფუნქციებსა და ამოცანებს შორის;
- ✓ დავინტერესდებით სახელმწიფოს ფუნქციების სახეებად დაყოფის კრიტერიუმებით
- ✓ განვიხილავთ ძირითად საშინაო და საგარეო ფუნქციებს

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

რა იგულისხმება სახელმწიფოს ფუნქციის ცნების ქვეშ, სტუდენტებს თემის შესწავლის შემდეგ ეცოდინებათ თუ რა სახის ფუნქციებს ასრულებენ სახელმწიფოს მექანიზმში შემავალი ელემენტები, რა იგულისხმება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო, მუდმივ და დროებით, რესპუბლიკურ და ადგილობრივ და სხვა სახის ფუნქციებში.

§ 1. სახელმწიფოს ფუნქციების ცნება

ამ საკითხის განხილვისას ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოს ფუნქციის ცნებაზე, აღვნიშნავთ რით განსხვავდება იგი ამოცანებისაგან, დავახასიათებთ ფუნქციების ძირითად ნიშნებს, აღვნიშნავთ სახელმწიფოს ფუნქციების სახეებს.

სახელმწიფოს ფუნქცია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა, გამოხატავს სახელმწიფოს არსს და სოციალურ დანიშნულებას საზოგადოებრივ საქმეთა მმართველობაში. შეუიძლება განვსაზღვროთ, რომ სახელმწიფოს ფუნქციები სახელმწიფოს საქმიანობაა მის ძირითად მიმართულებებში.

სახელმწიფოს ფუნქცია გამომდინარეობს თვით საზოგადოების ბუნებისა და საჭიროებისაგან და სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში იძენენ სახელმწიფოებრივი ფუნქციების ხასიათს.

სახელმწიფოს ფუნქციები, როგორც მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, განპირობებულია

ძირითადი ამოცანებით, რომლებიც საზოგადოების წინაშე დგას. სახელმწიფოს ამოცანების შეცვლა იწვევს სახელმწიფოს ფუნქციების შეცვლასაც.

სახელმწიფოს ფუნქციები პასუხობს კითხვებს: რას აკეთებს სახელმწიფო, რა მიზნებს მისდევს, რა ამოცანებს წყვეტს? სახელმწიფოს ფუნქციები ვლინდება სახელმწიფოს არსსა და მის სოციალურ დანიშნულებაში. სახელმწიფოს ფუნქციებს ასახავენ სახელმწიფოს ცალკეული ორგანოს საქმიანობის ფორმებისა და ფუნქციონირებისაგან. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ საქმიანობის შემდეგი სახეები: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, მაკონტროლებელ-საზედამხედველო, იურისდიქციული (კონკრეტულ-იურიდიულ საქმეთა გადაჭრისას), საგამოძიებო, საგადასახადო, სასაზღვრო სამსახურები და ა.შ.

სახელმწიფოს ფუნქციები, მთლიანობაში სახელმწიფოს ანუ სახელმწიფოს ყველა ორგანოს ერთიანობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია. სახელმწიფოს ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ ყველა თუ არა, სახელმწიფოს უმეტესი ორგანოები.

გამოიყენება სახელმწიფოს საქმიანობის სხვადასხვა ფორმა. მაგალითად, მართლწესრიგის დაცვის ფუნქციაში, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება, ვლინდება სახელმწიფოს საქმიანობის საკანონმდებლო, აღმასრულებელი, საზედამხედველო-მაკონტროლებელი, საგამოძიებო, იურისდიქციული და სხვა ფორმები.

სახელმწიფოს ფუნქციები აჩარებენ საგნობრივ, ობიექტურ ხასიათს, ვინაიდან წარმოიშვებიან თვით საზოგადოების მიერ, მისი ბუნებიდან გამომდინარე ობიექტურად წარმოიშვებიან სა-ზოგადოების მიერ მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულე-ბები არ იცვლება. მაგალითად, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია რჩება სახელმწიფოს საქმიანო-ბის ძირითად მიმართულებად, მაგრამ მისი განხორციელების ფორმები და მეთოდები იცვლება: ეკონომიკის მკაცრი, პირდაპირი მბრძანებლური მმართველობიდან შეიცვალა და ჩანს ირიბი, მოქნილი ზემოქმედება ეკო-

ხომიკაზე. სახელმწიფოს ფუნქციებში ვლინდება სახელმწიფოს სოციალური არსი, მისი სოციალური დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქციებიდან ჩანს, რისთვის არსებობს იგი, ვის და რას ემსახურება საზოგადოება მთლიანობაში.

სახელმწიფოს არსი ვლინდება მათი ფუნქციების განხორციელებაში. სხვადასხვა მეცნიერულ წყაროში როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, ვხვდებით სახელმწიფოს ფუნქციების განსაზღვრისა და დახასიათების მრავალფეროვან ვარიანტებს.

სახელმწიფოს ფუნქციების შედარებით არსებითი ნიშნებია შემდეგი:

- სახელმწიფოს ფუნქცია სახელმწიფოს საქმიანობის არა ყველა, არამედ ძირითადი მიმართულებებია, რომელთა გარეშეც სახელმწიფო ვერ იარსებებს. სახელმწიფოს ფუნქციები გამოხატავენ და საგნობრივად აკონკრეტებენ სახელმწიფოს სოციალურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ არსს;

- სახელმწიფოს ფუნქციებში საგნობრივადაც გამოხატულია სახელმწიფოს არსი, მისი მრავალმხრივი კავშირები საზოგადოებასთან. ფუნქციებში ჩადებულია და გახსნილია სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის როლი პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში, რეალიზდება სახელმწიფოს მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე.
- სახელმწიფო ფუნქციების შესრულებით, სახელმწიფო წყვეტს თავის წინაშე მდგარ ამოცანებს, მისი საქმიანობა იძენს პრაქტიკულ მიმართულებას. ფუნქციები მოიცავენ სახელმწიფოს საქმიანობას მთლიანობაში (სახელმწიფოს ცალკეული ორგანოებისა და არასახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციებისაგან განსხვავებით). სახელმწიფოს ფუნქციების ზოგადსავალდებულო სასიათი განმტკიცებულია სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებაში.

- სახელმწიფოები მმართველობითი ცნებაა. ისინი აკონკრეტებენ სახელმწიფოს მართვის მიზ-

ნებს საზოგადოების განვითარების ყოველი ისტორიული ტიპის დროს. ფუნქციებს აქვთ კომპლექსური, კრებსითი ხასიათი. მათ შინაარსსა და რეალიზაციის ხასიათზე გავლენას ახდენენ ისტორიული განვითარების თავისებურებანი და კანონზომიერებები, საზოგადოების ცხოვრებაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი გარდაქმნების დინამიკა.

- სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზება ხდება განსაზღვრული ფორმებით და განსაკუთრებული, სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით.

თავისი არსით სახელმწიფოს ფუნქციები ობიექტურია. ისინი განპირობებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონზომიერებებით. ამიტომ, სახელმწიფოს არ აქვს იმის არჩევის უფლება – შეასრულოს თუ არა ეს ფუნქციები.

სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შეუსრულებლობა იწვევს ე.წ. ჯაჭვურ რეაქციას - საზო-

გადაუების ცხოვრებაში ნეგატიური შედეგების გამოწვევა. თუ, მაგალითად, სახელმწიფო აღარ შეასრულებს მართლწესრიგის დაცვის ფუნქციას, მაშინ ამას უცილობლად მიყავართ დესტაბილიზაციისაკენ, ანარქიისაკენ, რასაც თავის მხრივ სახელმწიფოს ნგრევის შედეგი მოჰყვება. იმავდროულად, სახელმწიფოს ფუნქციების ობიექტური ხასიათი სულაც არ ნიშნავს, რომ მათი რეალიზება ხდება ხალხის ნებისა და შეგნების გვერდის ავლით, პირიქით, დიდია მისი სუბიექტური ფაქტორი, სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს ნაყოფიერად, როცა მისი ფუნქციები შეესაბამება საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნილებებს. მაშასადამე, ჯერ უნდა იქნას შეგნებული (გაცნობიერებული) ობიექტური საზოგადოებრივი მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს სახელმწიფოს ფუნქცი-ები და მათი განხორციელების მექანიზმი.

სახელმწიფოს ფუნქციები მრავალფეროვანია, მათი წარმოშობის და შეცვლის წესი დამოკიდებულია ამოცანების რიგითობაზე. ამოცანა ის არის, რაც მოითხოვს გადაწყვეტას, ხოლო ფუნქცია არის საქმია-

ნობის სახე, მიმართული მისი გადაჭრისაკენ. ამოცანები და ფუნქციები ურთიერთკავშირშია, მაგრამ გაიგივებულნი არ არიან. ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში პრიორიტეტული ხდება სახელმწიფოს სხვადასხვა ამოცანა და მიზნები, შესაბამისად, სხვადასხვაა მისი ფუნქციაც. რაიმე ამოცანის შესრულებას მივყავართ ზოგიერთი ფუნქციის გაქრობისაკენ, ხოლო ზოგისას კი ახალი ფუნქციის წარმოშობამდე.

სახელმწიფოს ყოველ ფუნქციას აქვს თავისი ზემოქმედების ობიექტი. ობიექტი – საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრული სფეროა (ეკონომიკა, კულტურა და სხვა), რომლისკენაც მიმართულია სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. ობიექტები ემსახურებიან სახელმწიფოს ფუნქციების განსხვავების კრიტერიუმებს.

სახელმწიფოს ფუნქციები უნდა განვასხვაოთ მისი ორგანოების ფუნქციებისგან. უკანასკნელნი ხსნიან კონკრეტული ორგანოს მიზნობრივ დანიშნულებას, რომელიც ფუნქციების მეშვეობით ახდენენ თავისი კომპეტენციების რეალიზებას. სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებისაგან განსხვავებით, სახე-

ლმწიფოს ფუნქციები სრულდება ყველა ან მრავალი ორგანოს მიერ, თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ ცალკეული სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ უპირატესად ლიდერის როლს სახელმწიფოს რომელიმე ფუნქციის შესრულებაში, მაგალითად, ქვეყნის დაცვის ფუნქციაში უპირატესობა სამხედრო უწყებას განეკუთვნება.

სახელმწიფოს ფუნქციები მისი ყველაზე უფრო ზოგადი სახით შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სახელმწიფო საქმიანობის მიმართულება, რომელშიც ნათლად იკვეთებასახელმწიფოს სოციალური არსი.

იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ასრულებს მრავალფეროვან ფუნქციებს, წარმოიქმნება მათი მეცნიერულად კლასიფიკაციის აუცილებლობა. იურიდიულ თეორიაში სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაციისათვის არის სხვადასხვა მიდგომა.

სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაციის პრობლემა იმით რთულდება, რომ სხვადასხვა ისტორიული ტიპის დროს სახელმწიფოს ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

სახელმწიფოს ფუნქციების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით:

- სახელმწიფოს საქმიანობის სფეროს მიხედვით – საშინაო და საგარეო;
- განგრძობადობის მიხედვით – მუდმივი და დროებითი
- სოციალური მნიშვნელობის მიხედვით – ძირითადი და წარმონაქმნი;
- სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსის მიხედვით – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ა.შ

ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება სახელმწიფოს ფუნქციათა კლასიფიკაციის მცდელობა პირველი კრიტერიუმის შესაბამისად. ამ მიდგომით ფუნქციები გვხვდება საშინაო და საგარეო.

სახელმწიფოს ფუნქციებად დაყოფის

კრიტერიუმები

- **სახელმწიფოს საქმიანობის სფეროს მიხედვით**
- **განგრძობადობის მიხედვით**
- **სოციალური მნიშვნელობის მიხედვით**
- **სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსის მიხედვით**

§ 2. სახელმწიფოს ფუნქციათა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით.

ამ საკითხის განხილვისას განიხილება თუ როგორია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო, მუდმივი და დროებითი, ძირითადი და წარმონაქმნი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ა.შ. ფუნქციები. ცალ-ცალკე განვიხილავთ და დავახასიათებთ მათ, აგრეთვე ქვეყანაში თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ქვეყნის საგარეო ფუნქციებს – ქვეყნის საზღვრების დაცვას გარეშე ძალთა თავდასხმისაგან, დიპლომატიური ურთიერთობების უზრუნველყოფას; სახელმწიფოთაშორის ურთიერთხელსაყრელ ვაჭრობას, თანამშრომლობას განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ახალ მიმართულებებს. განვიხილავთ ფუნქციებს სხვა კრიტერიუმებითაც.

საყოველთაოდ აღიარებულია სახელმწიფოს ფუნქციების დაყოფა საშინაო და საგარეო ფუნქციებად.

საშინაო ფუნქციები არის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები, მისი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს საშინაო ფუნქციების შესრულებისაკენ.

საშინაო ფუნქციებია:

- **მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია** ანუ სამართალდამცავი ფუნქცია, ერთ-ერთი ძირითადი, სახელმწიფოს წარმოშობისთანავე წარმოშობილი ფუნქციაა, ვინაიდან, საზოგადოებაში წესრიგი არის აუცილებელი პირობა, როგორც ძოლიანად საზოგადოების, ისე სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის. ამ ფუნქციის ამოცანაში შედის წარმოების ხერხის და საკუთრების სხვა ფორმების დაცვა. აგრეთვე შედის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. ზოგ წყაროებში უფლებებისა და თავისუფლების დაცვა დამოუკიდებელ ფუნქციადაა გამოყოფილი. ამ ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, რომლებიც საზოგადოებაში ამყარებენ გარკვეულ წესრიგს (მართლწესრიგს). მართლ-

წესრიგის დარღვევების ჩამონათვალი (სამართალდარღვევები) განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ზომებს დარღვევებისათვის, საპროცესო კანონმდებლობის მეშვეობით განსაზღვრავს გამოძიების პროცედურას, საქმეთა განხილვას, ადგენს სამართალდამცავ სისტემას, რომლებიც მოწოდებული არიან სამართალდარღვევებთან ბრძოლისათვის (საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო, მაკონტროლებელი და კანონიერების დაცვის საზედამხედველო ორგანოები), განსაზღვრავენ მათ კომპეტენ-ციებს და ა.შ.

- **ეკონომიკური ფუნქცია** – ეკონომიკური ფუნქცია, სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა თვით სახელმწიფოს წარმოშობისთანავე წარმოიშვა. პირველ ხანებში ეს საჭირო იყო თუნდაც სახელმწიფოს ფუნქციონირების მატერიალური უზრუნველყოფისათვის: არმიის შესანახად, შეიარაღების შესაძენად, ჩინოვნიკების შესანახად, კომუნიკაციების საშუალებებისათვის და ა.შ., რაგორც მინიმუმი, სახელმწიფო

იღებს ნატურალურ და ფულად გადასახადებს, საბაჟო გადასახადებს და ა.შ. მინიმალური სახელმწიფოს კონცეფცია თანდათანობით იცვლება სოციალური სახელმწიფოს კონცეფციით. დღეისათვის სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის საჭიროება ფაქტობრივად საყოველთაოდ აღიარებულია. სახელმწიფო იყენებს ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვადასხვა ბერკეტებს: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკას, კერძო მეწარმეებისათვის სესხებს და სუბსიდიებს, წარმოებაზე კონტროლი, ფასებზე, პროდუქციის ხარისხზე, უპირველეს ყოვლისა, კვების პროდუქტებზე, წამლებზე კონტროლი. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საგარეო ვაჭრობაზე ან ცალკეულ საქონელზე (ღვინო, თამბაქო, სახელმწიფო შეკვეთები) მონოპოლიის დაწესება. ამ ფუნქციის განხორციელებისათვის სახელმწიფო იყენებს ზემოქმედების საშუალებებისა და ხერხების მეტად ფართო არსენალს - მოქნილი, ირიბი ეკონომიკური ბერკეტებიდან (გადასახადები, ბაჟი, სუბსიდიები და ა.შ.) პირდაპირ, უფრო მკაცრ

მოწერილობამდე. ეკონომიკური ფუნქციის განხორციელებისას სახელმწიფო მისდევს პოლიტიკას, ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. თავისუფალი ბაზარი შეუძლებელია მკაცრი საბაზრო კონკურენციის გარეშე. სახელმწიფოს ამოცანაა – კანონების მეშვეობით დაადგინოს თამაშის „მკაცრი წესები" და იძულებით უზრუნველყოს მათი დაცვა.

➢ თანამედროვე სახელმწიფოს **სოციალური ფუნქცია** მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ ხაზზე. მთლიანობაში ეს არის სახელმწიფოს პატერნალიზმი[80] პიროვნებისადმი, საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც მთელი რიგი მიზეზების ძალისხმევით საჭიროებს სახელმწიფოს თანადგომას. ეს ფუნქცია არ აქვს ლიბერალურ სახელმწიფოს, ახასიათებს სოციალურ, ლიბერალურ-სოციალურ სახელმწიფოებს. დღეისათვის სახელმწიფოთა უმრავლესობა აცხადებს თავის თავს, როგორც სოციალურ, სამართლებრივ სახელმწიფოს, რაც განმტკიცებულია კონსტიტუციებში. აღნიშნული ავალდებულებს სახელმწიფოს, განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროგრამები ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, მოსახლეობის დასაქმების სფეროებში. ზოგიერთ სახელმწიფოში, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები თავის გამოხატულებას პოულობენ მათ კონსტიტუციებში. ასეთ ქვეყნებს წარმოადგენენ გფრ, ესპანეთი, იტალია და სხვა.

➢ **ეკოლოგიური ფუნქცია** – ვლინდება XX ს-ში, დაკავშირებულია ადამიანის გლობალური ზეგავლენით ბუნებაზე, როცა წარმოიშვა საფრთხე ადამიანის ცხოვრებაში, როცა საფრთხე

[80] პატერნალიზმი (ლათ. paternus მამობრივი – pater – მამა>დან, ნიშნავს მფარველობას, უფროსის მეურვეობას უმცროსებზე, ქვეშევრდომებზე. მაგ.„შრომით ურთიერთობებში დამატებითი შეღავათებისა და გადასახადების სისტემა საწარმოებში მეწარმეთა ხარჯზე კადრების შენარჩუნების მიზნით, მათი შრომის ნაყოფიერების ზრდის და შრომითი კონფლიქტების შემცირების მიზნით; მაგ., საერთაშორისო ურთიერთობებში ძლიერი სახელმწიფოს მიერ უფრო სუსტ სახელმწიფოზე, კოლონიაზე, დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გაწეული მეურვეობა.

დაემუქრა თვით მათ სიცოცხლეს. ასეთ დროს სახელმწიფო იძულებულია სერიოზული ყურადღება მიაქციოს ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ეკოლოგიური ფუნქციის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ბუნების გამომყენებელთა და ბუნებრივი რესურსების გადამამუშავებელთა საქმიანობის კოორდინაცია და მართვა ბუნების დასაცავად. ამ მიზნით, სახელმწიფო შეიმუშავებს გარემოს დაცვის გაჯანსაღების პროგრამებს; ბუნებაზე ზემოქმედების მავნე შედეგების ლიკვიდაციას და აფინანსებს ამ პროგრამებს. ამ სფეროს რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო საკითხებს.

საგარეო ფუნქციები. სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები არის სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები საგარეო პოლიტიკაში, სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობისას. თუმცა, უეჭველია, რომ მათ შორის პირველ ადგილზეა ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია.

- **თავდაცვის ფუნქცია** – სახელმწიფოს საზღვრების დაცვაა – ეს ისტორიულად პირველი საგარეო ფუნქციაა. უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფოები წარმოიქმნებისნ დემოკრატიის სამხედრო ორგანოებიდან. სამხედრო სტრუქტურები პირველი სახელმწიფო სტრუქტურებია. შეიარაღებული ძალები სახელმწიფოს აუცილებელი ინსტიტუტია, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იქმნება თავდაცვისათვის. ეს ფუნქცია გამოხატავდა მთელი საზოგადოების ინტერესებს. ხშირად ეს იყო არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ხალხის აუცილებელი პირობაც ნორმალური არსებობისათვის. თავდაცვის ფუნქციასთან ხშირად მისი საწინააღმდეგო სუნქცია ვლინდება, ეს არის უცხო ტერიტორიების დაპყრობის ფუნქცია და გავლენის სფეროების გაფართოვება.

- **მშვიდობისა და მშვიდობიანი ურთიერთების განმტკიცების ფუნქცია** – (გაეროს წესდება და საერთაშორისო ხელშეკრულებანი)

იგულისხმება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა, სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულებები, ქიმიური იარაღის აკრძალვა, მათი განადგურება. დღეისათვის ამ ფუნქციაში შედის ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან, საერთაშორისო დანაშაულთან, მათ შორის ნარკოტიკულ საშუალებათა გაყრცელებასთან.

- **სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფუნქცია** მშვიდობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო წესრიგის დასაცავად ხდება საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ, სამეცნიერო, ჯანდაცვის, სპორტის და სხვა სფეროებში. ეს თანამშრომლობა შეიძლება იყოს, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სახელმწიფოს საშინაო ფუნქციები

↓

- **მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია**
- **ეკონომიკური ფუნქცია**
- **სოციალური ფუნქცია**
- **ეკოლოგიური ფუნქცია**

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები



კითხვები:

1. რა არის სახელმწიფოს ფუნქცია?

2. სახელმწიფოს ფუნქციების სახეებად დაყოფის როგორი ფუნქციები იცით?

3. სახელმწიფოს ფუნქციების როგორი სახეები იცით?

დავალება:

ჩამოაყალიბეთ რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციები? ჩამოაყალიბეთ, მაგალითად, იდეოლოგიური ფუნქცია

თემა IX

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

თემა 9

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

თემის სტრუქტურა:

§ 1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცნება

§ 2. სახელმწიფოს ადგილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

§ 3. ერეკვნული სახელმწიფოს თანამედროვე მოდელები

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაზე, თუ რა შედის პოლიტიკურ სისტემაში. როგორი იყო შეხედულებები პოლიტიკურ სისტემაზე ანტიკური ხანიდან.

გაეერკვევით პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტების განსაზღვრის კრიტერიუმებში და ჩამოვაყალიბებთ თუ რა ორგანიზაციები შეადგენენ პოლიტიკურ სისტემას და როგორია მათი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიეაპყრობთ სახელმწიფოს ფენომენს და მის კავშირს პოლიტიკურ პარტიებთან, პროფესიულ კავშირებთან, ეკლესიასა და რელიგიასთან და ა.შ.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ გავერკვევით პოლიტიკური სისტემის ცნებაში;
- ✓ დავინტერესდებით, სახელმწიფოს გარდა, რა ელემენტები შეადგენენ პოლიტიკურ სისტემას;
- ✓ ყურადღებას გავამახვილებთ, თუ რა კავშირი აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემაში შემავალ ცალკეულ ელემენტებთან

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

რა იგულისხმება სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ცნების ქვეშ, სტუდენტებს თემის შესწავლის შემდეგ ეცოდინებათ თუ რა ელემენტები შედის პოლიტიკურ სისტემაში და როლი მიუძღვის თითოეულს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

§ 1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცნება

> აღნიშნული საკითხის შესწავლისას ყურადღებას გავამახვილებთ, თუ რას ნიშნავს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, მოკლედ გავაანალიზებთ პოლიტიკურ ცხოვრებას; გავამახვილებთ ყურადღებას იმ ფაქტორზე, რომ სახელმწიფო არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეული. შეეისწავლით პოლიტიკურ სისტემას ფართო და ვიწრო გაგებით.

საზოგადოება ითვალისწინებს ხელმძღვანელობისა და მმართველობის გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებს. ცნობილია, რომ სახელმწიფო საზოგადოების განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაციაა, მაგრამ ეს ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების ორგანოთა სისტემაა, წესრიგის დამცავი ორგანიზმია, რაც მმართველი ძალისთვისაა მომგებიანი. მაგრამ საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთი, მხოლოდ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებით.

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება, ურთიერთობები კლასებს შორის, ერებს შორის ურთიერთობანი მოსახლეობის განსხვავებულ ფენებს შორის წარმოშობენ სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობებს და პარტიებს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქმნიან გარკვეულ სისტემას.

სახელმწიფო, თავისი წარმოშობის მომენტიდან არ არის სოციალურ ვაკუუმში. მისი არსებობის პირველ ხანებში, ჯერ კიდევ რჩება ზოგიერთი ელემენტი და საზოგადოების სახელმწიფომდელი ორგანიზაციის წესები (უხუცესთა საბჭოები, თემობრივი ფორმირებები, პირველყოფილი ყოფაცხოვრების წესები და ა.შ.). შემდგომი განვითარების პროცესში – მონათმფლობელურ, ფეოდალურ საზოგადოებებში, როცა ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი ფორმები განამტკიცებენ საკუთარ პოზიციებს, რომლებიც ხელისუფლების წინაშე დგას, ქმნიან და იცავენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც შეესაბამებიან მათ ინ-

ტერესებს და რომლებიც მიჰყვებიან არსებულ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას (ეკლესია, სხვადასხვა კლუბი, ლოჟა, ქავშირი). რასაკვირველია, ეს არაა ის ორგანიზაციები, რომლებიც თავისი ძალითა და მნიშვნელობით გაუტოლდებოდა თანამედროვე პოლიტიკურ პარტიებს და გაერთიანებებს, მაგრამ მათ განეკუთვნებოდათ გარკვეული როლი მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ძველ ათენში არსებობდნენ პერიკლისა და ალკიციადის პარტიები – დემოკრატები და არისტოკრატები. ძველ რომში – ძმები გრაკხოვების სულდის პარტიები. არისტოტელე საუბრობს სამ პარტიაზე: მთები, დაბლობები და სანაპირო ნაწილები, შემდგომში, როცა გაძლიერდა ეკლესიის გავლენა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, ეს აირეკლა რომის პაპისა და ძლიერი მეფის ხელისუფლების მიმდევრებს შორის ურთიერთდაპირისპირებაში. ამ პარტიების (ჯგუფების) საერთო თავისებურებები გააჩნიათ, ესენია: ძირითადად ეს პარტიები იყვნენ არა ოპოზიციური, ან/და ერთმანეთის კონკურირებადი ორგანიზა-

ციები,, რომლებიც იმისათვის იბრძოდნენ ვის უფრო მეტი გავლენა ექნებოდა უმაღლესი ხელისუფლების (მეფე, ხელმწიფე, თავადი და ა.შ.) პოლიტიკაზე. ამიტომ სერიოზულ მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე საუბარი იმ პერიოდისათვის ზედმეტი იყო. რეალურად პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება იწყება ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირობებში, როცა ბურჟუაზიის ხელისუფლების არსებულ ორგანიზაციებთან ერთად წარმოიშვებიან და მტკიცდებიან ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გაბატონებულ კლასს. ესენი იყო მუშათა, ახალი ინტელიგენციის, საშუალო კლასის, გლეხობის ორგანიზაციები. ისინი პოლიტიკაზე გავლენას ახდენენ ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობით, გაფიცვების, დემონსტრაციების, მანიფესტაციების და თუნდაც აჯანყებების გზით. ეს უკვე იყო საზოგადოების მრავალსტრუქტურული პოლიტიკური სისტემა, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისაგან, პროფკავშირების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან და ა.შ.

სახელმწიფო აღარ არის საზოგადოებაში ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, არამედ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია, ე.ი. სახელმწიფო ხდება პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სუბიექტი. მკვლევარები ბურჟუაზიული სამყაროს პოლიტიკურ სისტემას განიხილავენ ორი გაგებით: ფართო და ვიწრო გაგებით.

პოლიტიკური სისტემა ვიწრო გაგებით – ეს არის მმართველი კლასის და მისი მოკავშირეების სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა (პარტიები, კავშირები, მოძრაობები) სისტემა. აღნიშნული ორგანიზაციები ხელს უწყობენ გაბატონებული კლასის დიქტატურის განხორციელებას.

პოლიტიკური სისტემა ფართო გაგებით – ეს არის ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემა, ე.ი. როგორც მმართველი კლასისა და მათი მომხრეების სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, ისე მათთან წინააღმდეგობაში და პოლიტიკურ ბრძოლაში მყოფი ორგანიზაციების სისტემაა. ამდაგ-

ვარი მიდგომები პირობითია, რამდენადაც საუბარია ერთი საზოგადოების ფარგლებში არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, ის, რომ პარტიების ინტერესები, მოძრაობები სხვადასხვაგვარია, არ ნიშნავს მათი შეუთავსებლობის არ არსებობას ერთ სისტემაში. ყველას აქვს ერთი საერთო მიმზიდველი ძალა – სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელთაც სურთ, რომ დაეუფლონ და რომელშიც ფიქსირდება მათი ინტერესები. ასეთი მისწრაფება იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება უმაღლესი და საყოველთაო ხელისუფლებაა, მას შესწევს უნარ-ყ და აქვს შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მიმათოს ისინი თავის ინტერესებისათვის.

სახელმწიფოში არსებული ხელისუფლების სხვა სახეები სახელმწიფოებრივთან შედარებით მეორად, დაქვემდებარებულ ხასიათს ატარებს. გამონაკლისს წარმოადგენენ ის სახეები, სადაც უმაღლეს ხელისუფლებად აღიარებულია არა სახელმწიფოებრივი, არამედ რელიგიური (ღვთაებრივი) ხელისუფლება.

თუმცა, ფაქტობრივად, ამ ქვეყნებშიც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება წყვეტს ძირითად საკითხებს.

ამიტომ პოლიტიკური სისტემის ყველა სუბიექტი დაინტერესებული სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაში, აქტიურად მოქმედებენ, რათა სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით გაუადვილდეთ პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა. აი რატომ იღწვის ცალკეული პოლიტიკური ერთეული, ჰქონდეს უფრო მეტი პოლიტიკური წონა, მეტი ავტორიტეტი, მეტი მასობრივი სოციალური საყრდენი სხვებთან შედარებით, რათა არამხოლოდ დაეუფლოს სახელმწიფო მექანიზმს (სახელმწიფოს), არამედ მყარად შეინარჩუნოს იგი რაც შეიძლება ხანგრძლივი დროით.

ამერიკელი მეცნიერი ბდანემი ამტკიცებს, რომ „ჩვენი სახელმწიფო-ამერიკის შეერთებული შტატები არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელშიც შედის 50 სხვა ორგანიზაცია (შტატები). გარდა ამისა, მასში შედის უფრო წვრილი მრავალი, მაგრამ არც თუ ისე ნაკლებად ძლიერი ინსტიტუტები, როგორებიცაა ეკლესია, კოლეჯი, პოლიტიკური პარტიები, საამქროებრივი გაერთიანებები და პროფესიული კავშირები"[81], როგორც ვხედავთ დანემი სახელმწიფოს აიგივებს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემასთან.

პოლიტიკური სისტემა - სახელმწიფოებრივ-ორგანიზაციული საზოგადოების უნივერსალური სისტემაა, მისი ელემენტები დაკავშირებულია პოლიტიკური ურთიერთობებით. პოლიტიკური სისტემის სწორად გასაგებად, საჭიროა განისაზღვროს მისი ელემენტების შერჩევის კრიტერიუმები. ამ შემთხვევაში, ძირითადი მოთხოვნებია მათი შინაგანი მოწესრიგებულობა, რასაც ორგანიზაციულ კრიტერიუმს ეწოდებთ და საქმიანობის პოლიტიკური მიმართულება, რომელიც პოლიტიკური კრიტერიუმითაა ცნობილი, ამ უკანასკნელს ანუ პოლიტიკურ კრიტერიუმს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იგი პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებისათვის ნიშნავს:

- ჯერ-ერთი უნარს, გამოხატოს გარკვეული კლასის, ჯგუფების ან ნებისმიერი სხვა გაერთიანების პოლიტიკურ-სოციალური ინტერესები;

[81] იხ. Данэм Б. Мыслители и казначеи. М.,1960.С 19,20

- მეორე, -იყოს პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე და პოლიტიკური ურთიერთობის მატარებელი;
- მესამე; - სახელმწიფო ხელისუფლებასთან იქონიოს უშუალო ან შუალობითი ურთიერთობები- დაეუფლოს ხელისუფლებას, მის ორგანიზაციას ან გამოყენებას, სულაც არარის აუცილებელი ეს მოხდეს სახელმწიფოებრივ ორანიზაციებთან ურთიერთ მოქმედების ფორმით, მაგრამ მასთან წინააღმდეგობით;
- მეოთხე,- თავის ყოველდღიურ საქმიანობაში იხელმძღვანელოს პოლიტიკური ნორმებით, ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წესებით.

ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, უშუალოდ პოლიტიკურ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება: სახელმწიფო, ყველა პოლიტიკური პარტია, ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათი დამახასიათებელი ნიშანია - პირდაპირი კავშირი პოლიტიკასთან, მათიო შექმნისა და ფუნქციონირების ამოცანაა რაიმე გარკვეული პოლიტიკური მიზნის მიღწევა,

თავისი პოლიტიკური ნიშნებით დამაგრებულია საკუთარ წესდებებში და პროგრამებში და მდგომარეობს სხვადასხვა სახის პოლიტიკური ზომების გატარებაში და ა.შ, რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ისინი იქმრნებიან და ვითარდებიან ეკონომიკური და სხვა პოლიტიკური მიზნების ძალისხმევით. ესენია პროფკავშირები, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები, რომლების თავის საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოების ცხოვრების საწაარმოო, სოციალურ- საყოფაცხოვრებო, კულტურულ და სხვა სფეროებში, თავის წესდებებში ისინი არ ითვალისწინებენ პოლიტიკურ მიზნებს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს ასეთი ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის დაკმინებას საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში; საუბარია მხოლოდ მათში დომინირებული პოლიტიკური ასპექტის არარსებობის შესახებ და არა მათ უარყოფაზე.

ცალკეულ ჯგუფს შეადგენენ ის ორგანიზაციები, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ პოლიტიკური ასპექტი. ისინი წარმოიქმნებიან და ფუნქციონირებენ ადამიანთა ცალკეული ფენების ინდივიდუალური

მიდრეკილებებისა და ინტერესების (მაგალითად, ავტომოყვარულთა, ნუმიზმატები და სხვა) შესაბამისად. ისინი პოლიტიკურ იქენენ მხოლოდ სახელმწიფო და სხვა პოლიტიკური ორგანოებისა და ორგანიზაციების მხრიდან, როგორც ზემოქმედების ობიექტები, მაგრამ არა სუბიექტები – ანუ პოლიტიკური მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური ურთიერთობების მატარებლები არიან[82].

თანამედროვე პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში პოლიტიკური სისტემის განმარტებაზე და სტრუქტურაზე არა არის შეხედულებათა ერთიანობა. ეს აიხსნება საზოგადოების ცხოვრებაში არამხოლოდ მისი სირთულისა და მნიშვნელობის გამო, არამედ ასეთი ფენომენების სხვადასხვაგვარად გაგებით, როგორც „პოლიტიკური სისტემა", „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია" და ამდაგვარი სხვა ცნებები, სხვადასხვაგვარი საწყისები, მისი გაგებისადმი სხვადასხვაგვარი მეთოდოლოგიური მიდგომები.

[82] Абдулаев М.И., Комаров С.А. Проблемы теории государства и права., СПБ.,Питер, 2003, с 144

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ცნებები „პოლიტიკური სისტემა" და „პოლიტიკური ორგანიზაცია" იდენტურია. სხვანი თვლიან, რომ „საზოგადოების პოლიტიკური სისტემა" თავის თავში მოიაზრებს პოლიტიკურ ორგანიზაციას; მესამენი, პირიქით, თვლიან, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები თავის თავში მოიცავენ პოლიტიკურ სისტემას.

ორიგინალურ შეხედულებას გვთავაზობს პროფესორი ფრაიანოვი, იგი თვლის, რომ სახელმწიფოებრივ- ორგანიზაციულ საზოგადოებაში აუცილებელია პოლიტიკური ხელისუფლებისა (სახელმწიფო) და პოლიტიკურ სისტემას (სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების პლატფორმიდან მის საქმიანობაზე კონტროლი) განსხვავება. ერთად ისინი ახასიათებენ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას. სახელმწიფო, თუმცა კი ყალიბდება პოლიტიკური ბრძოლის შედეგად, იგი საზოგადოების პოლიტიკურ

სისტემაში შედის მისი ერთ-ერთი ელემენტის სახით[83].

პოლიტიკური სისტემის გაგებისათვის მიდგომების ანალიზისას ზოგი ავტორი თვლის, რომ პოლიტიკური სისტემა არის ერთმანეთთან ურთიერთმოქმედი ნორმების, იდეების ერთობლიობა და მათზე დამყარებული პოლიტიკური ინსტიტუტები, საწარმოები და მათი ქმედება, რაც ქმნის პოლიტიკურ ხელისუფლებას, ურთიერთკავშირს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის[84]. ეს ავტორები პოლიტიკური სისტემის დანიშნულებად თვლიან მთლიანობის უზრუნველყოფას, პოლიტიკაში ადამიანთა საქმიანობის ერთიანობას[85], სხვანი ფიქრობენ, რომ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში იგულისხმება სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკურ ფუნქციებს, ე.ი. პოლიტიკურ სისტემაში ავტორები მოიაზრებენ არა ყველა

[83] Раянов Ф.М. Проблемы теории государства и права . /Юриспруденции/, М 2003, с. 89-90 , ის. წიგნში Т.Н. Радько, Теория государства и права., 2-ое издание, М. 2011, с 191
[84] ის. იქვე. გვ.192
[85] ის. იქვე. გვ.192

ორგანიზაციას, თუ ყველა დაწესებულებას, არამედ მხოლოდ მათ, რომლებიც ახორციელებენ პოლიტიკურ ფუნქციებს, პოლიტიკურ საქმიანობას, ისახავენ პოლიტიკურ მიზნებს[86].

პოლიტიკური სისტემა წარმოადგენს რა ყველა პოლიტიკური ურთიერთობის, პოლიტიკური სტრუქტურის, ორგანიზაციის და ა.შ. უნივერსალურ, ყველაფ-რის მომცველ სისტემას, აერთიანებს პოლიტიკურ მოვ-ლენებს და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციულ პრო-ცესებს: პოლიტიკურ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ ორ-განიზაციებს, პოლიტიკური ურთიერთობის სუბ-იექტებს, პოლიტიკურ ნორმებს, პოლიტიკურ პრაქტიკას, პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პოლიტიკურ კულტურას.

პოლიტიკური ორგანიზაცია კი ხასიათდება საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურით მისი შინაგანი აგებულებით. პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალური დახასიათებაა. მას ყურადღების აქცენტი გადააქვს სისტემის სტრუქტურულ კომპონენ-

[86] ის. იქვე. გვ.192

ტებზე: სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკური დაწესებულებების ერთობლიობა, მათი ურთიერთქმედება, ფუნქციონირება. ამ შემთხვევაში მხედველობაშია: კლასები, ერები, პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები და სხვა პოლიტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

ნებისმიერი სისტემის ფუნქციონირება (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და ა.შ.), საბოლოო ანგარიშში, განისაზღვრება ადამიანით. ხალხი აყალიბებს პოლიტიკურ სისტემას და მონაწი-ლეობს მისი შესაძლებლობების რეალიზაციაში, მის ხასიათის ტიპის, ფორმების ჩამოყალიბებაში მათში გამოხატულია ადამიანთა კულტურა, ტრადიციები, ფსიქოლოგია. თანამედროვე ცივილურ საზოგადოებაში პოლიტიკა ხორციელდება ხალხისათვის და ხა-ლხის მეშვეობით.

§ 2. სახელმწიფოს ადგილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

ამ საკითხის შესწავლისას ყურადღებას გავამახვილებთ ავტორთა შეხედულებებზე პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით; სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ნიშნებზე. ყურადღებას გავამახვილებთ, თუ როგორია კავშირი სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფოსა და პროფკავშირებს, სახელმწიფოსა და რელიგიას შორის. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობიდან გამომდინარე, დავახასიათებთ აიეისტურ, ელიტარულ, თეოლოგიურ და კლერიკალურ სახელმწიფოებს.

თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში სახელწიფოს როლის, დანიშნულებისა და ადგილის შესახებ საკითხის სახელმწიფოს თეორიაში ერთ-ერთი აქტუალურია. შემთხვევითი როდია, რომ უკანასკნელი წლების იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა დისკუსია საზოგადოების პოლიტიკურ სის-

ტემაში სახელმწიფოს როლის შეფასებასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის განსაკუთრებული რგოლია, ზოგს მიაჩნია, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის მთავარი ცენტრალური ელემენტია. არის სხვა შეფასებები - რომ ძირითადი რგოლია, წამყვანი ელემენტია და ა. შ., აღნიშნული ამტკიცებს დებულებას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში რთულ პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს როლი და ადგილი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ეს იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო გამოდის, როგორც მნიშვნელოვანი, ინტეგრირებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს გარკვეულ საზოგადოებას. მაგალითად, როცა ამბობენ ამერიკული საზოგადოება ფრანგული საზოგადოება, მხედველობაში ყავთ ყველა, ვინც ცხოვრობს ამერიკაში, საფრანგეთში, ე.ი. ამ კონკრეტულ სახელმწიფოებში.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი განპირობებულია მისი განსაკუთრებული ხარისხობრივი ნიშნებით,

მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, რომლებიც არ გააჩნიათ სხვა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ორგანი-ზაციებს, სახელდობრ:

- სახელმწიფო ფლობს უზენაეს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, არ ექვემდებარება არცერთ სხვა ორგანიზაციას, ამიტომ აქვს უნარი განახორციელოს უზენაესი ხელისუფლება;
- სახელმწიფო თავის ხელისუფლებას ავრცელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც კი თავისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად;
- სახელმწიფო გამოხატავს თავისი ხალხის და საერთაშორისო არენაზე მისი წარმომადგენლების ნებას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. არც ერთი, სხვა ორგანიზაცია, პარტია, მოძრაობა არ ფლობს ასეთ უფლებებს და შესაძლებლობებს;
- სახელმწიფო ახორციელებს რა სამართალშემოქმედებით ფუნქციას, ადგენს ზოგად ნორმატივებს, ყველასათვის, ზოგადსავალდებულო ქცევის წესებს, რითაც ადგენს საზოგადოები-

სათვის საჭირო მართლწესრიგს, რა პირობებშიც ნორმალურად ფუნქციონირებენ სხვა ორგანიზაციები სდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა;

- სახელმწიფოს მმართველობისა და იძულებისათვის გააჩნია იძულებითი აპარატი, ე.ი. თავის ნებას ემორჩილება საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეებს და მის ტერიტორიაზე მყოფ სხვა ადამიანებს. არც ერთი სხვა ორგანიზაცია ამ უფლებებს ფლობს. გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს ძალოვანი სტრუქტურები (არმია, დაზვერვა, პოლიცია, სასამართლო, ციხეები) იმ შემთხვევებისათვის, თუ საჭირო იქნება იძულების გამოყენება იმ პირთა მიმართ, ვინც დაარღვევს დადგენილ მართლწესრიგს;
- და ბოლოს, სახელმწიფო ფლობს მრავალ მონოპოლურ წესებსა და შესაძლებლობებს, მის კომპეტენციაში შედის: კანონშემოქმედება, მოქალაქეობა, ფულადი ერთეულის დადგენა, საზღვრების დაცვა, ბიუჯეტის მიღება და სხვა ფუნქციები, რომლებიც საშუალებას აძლევს

იყოს პოლიტიკურ სისტემაში მთავარი და განსაკუთრებული რგოლი.

სახელმწიფო თავისი პოლიტიკური ამოცანების შესრულებისას იძულებულია ურთიერთოს პოლიტიკური ურთიერთობების სხვა სუბიექტებთან (რგოლები, ელემენტები, პოლიტიკური სისტემა). ამ ურთიერთქმედების ფორმები და მეთოდები მეტყველებენ მის დემოკრატიულობაზე მის ურთიერთობებში პოლიტიკურ პარტიებთან, პროფკავშირებთან, რელიგიურ ორ-განიზაციებთან, სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობებთან. თუ სახელმწიფო მათთან მიმართებაში იქცევა ლოიალურად, მხარს უჭერს ან მათი საქმიანობის გარანტიაა საზოგადოებაში – ასეთი სახელმწიფო დემოკრატულია და პირიქით, როცა სახელმწიფო ეწინააღმდეგება პოლიტიკურ ორგანიზაციათა თავისუფალ საქმიანობას, უქმნის სხვადასხვა სახის ბარიერებს, ზოგჯერ კი საერთოდ კრძალავს მათ საქმიანობას – ასეთი სახელმწიფო ხასიათდება როგორც ანტიდემოკრატიულ (ტოტალიტარული, გუნდურ-ადმინისტრაციული და ა.შ.)

სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს შემდეგ უჭირავს პოლიტიკურ პარტიებს. პოლიტიკური პარტიები – ეს არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარტიებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი გზებით:

- პარტიების აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ასეთ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობენ მმართველი და ოპოზიციური პარტიები. მაგალითად, ინგლისში ოპოზიციური პარტია აყალიბებს ე.წ. ალტერნატიულ მთავრობას, რომლის წევრებიც მონაწილეობენ ოფიციალური მთავრობის სხდომებში, გარდა ამისა, არსებობს პრაქტიკა, როცა ოპოზიციის კატეგორიული, დაჟინებული წინააღმდეგობის გამო მმართველი უმრავლესობის გადაწყვეტილება არ მიიღება. ოპოზიციური პარტიები უწევენ ორგანიზაციას საპროტესტო მიტინგებს, დემონსტრაციებს, პიკეტირებას, რაც ასევე გავლენას ახდენს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე;
- პოლიტიკური პარტიების როლი თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკურ პარტიათა ბლოკის პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს წარმოადგენს;
- პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოს საქმიანობაზე გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მათი აქტიური მონაწილეობა ხელისუფლების ორგანოთა ფორმირებაში, განსაკუთრებით შესამჩნევია მათი გავლენა საკანონმდებლო ორგანოების ფორმირებაში, როცა პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიებში, საკუთარი კანდიდატების წარდგენის გზით, იბრძვიან მათი გამარჯვებისათვის, რის შემდეგაც ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო

და აღმასრულებელი ორგანოების მუშაობაში და მათი მეშვეობით ახდენენ საკუთარი ინტერესების რეალიზაციას.

სახელმწიფო პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიმართ სულაც არ არის გულგრილი. იგი ადგენს მათ სამართლებრივ სტატუსს, განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიებში მათი მონაწილეობის წესს, აწესრიგებს მოქალაქეთა გაერთიანებების, როგორ პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის საკითხებს, ადგენს რეგისტრაციაზე უარის თქმის პირობებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორც წესი, სასამართლო წესრიგია, რითაც სასამართლო განხილვებისას მიიღწევა უფრო სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებანი მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. მაგალითად, გფრ-ს ძირითადი კანონის 21-ე მუხლში აღნიშნულია: პარტიები, რომლებიც თავისი მიზნებით ან თავის მომხრეთა ქცევით ისწრაფვიან „, საფრთხის წინაშე დააყენონ გფრ, კონსტიტუციის საწინააღმდეგოა. კონსტიტუციის წინააღმდეგობის შესახებ საკითხს წყვეტს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო",

სახელმწიფო და პროფკავშირები. სახელმწიფოსა და პროფესიულ კავშირებს შორის ურთიერთობა არაერთმნიშვნელოვანია. დიაპაზონი მეტად დიდია: სახელმწიფოს არსებობის სხვადასხვა ეტაპზე და პროფკავშირების უკანასკნელი საქმიანობა ხან მჭიდრო თანამშრომლობით ხასიათდებოდა, ხან შედარებით ნეიტრალური მდგომარეობით, ხან კი გამოდიოდნენ, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეები.

პროფესიული კავშირები (პროფკავშირები) – არის დაქირავებულ მუშაკთა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებულია მუშაკების შრომით ინტერესებზე. მათი მიზანია თავისი წევრების ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება.

დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში პროფკავშირები წარმოადგენენ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სრულუფლებიან მონაწილეებს; მათი პოლიტიკური აქტივობა შესამჩნევ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციებზე.

პროფკავშირების პოლიტიკური როლი დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ რეჟიმზე. ტოტალიტარული რეჟიმის დროს პროფკავშირები ისეთ მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებენ, როგორსაც დემოკრატიულ საზოგადოებებში. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პროფკავშირები – სახელმწიფოზე დამოკიდებული ორგანიზაციებია.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში პროფკავშირები საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეები არიან, თუმცა, ერთი შეხედვით, ისინი გა-მოდიან რა მშრომელთა სახელით, საგრძნობლად დიდ ზეგავლენას ახდენენ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებზე. ორგანიზებას უწევენ რა გაფიცვებს, პროტესტებს, მანიფესტაციებს, ისინი აღწევენ საჭირო კანონების მიღებას, მთავრობის მიერ შესაბამისი ზომების გატარებას, აიძულებენ სახელმწიფოს გაატარონ ღონისძიებები ხელფასების მომატების, შრომის პირობების გაუმჯობესების, მუშაკთა კონკრეტულ კატეგორიებზე (პენსიონერები, ინვალიდები და ა.შ.) გარკვეული შეღავათების შემოღების კუთხით. ამიტომ მთავრობა და

კანონმდებლები აქტიურად თანამშრომლობენ პროფკავშირებთან, მათთან დებენ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს სოციალური თანამშრომლობის შესახებ, ურთიერთთანამშრომლობაზე.

სახელმწიფო და რელიგია. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოსა და რელიგი-ის ურთიერთობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ოთხ ძირითად საკითხზე:

- სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა;
- სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა;
- რელიგიური პრიორიტეტი;
- სახელმწიფო რელიგია.

სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა სულაც არ ნიშნავს რწმენისა და აღმასრულებლობის აკრძალვას. აქ გულისხმება რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი. აშშ-ში რელიგიურ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი ენიჭებათ, თავიანთ საქმიანობაში

ისინი ყველასთვის სავალდებულო კანონებს ემორჩილებიან. კონსტიტუციის მიხედვით, რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ადგილობრივი კანონის მირება. მაგალითად, ბელგიაში, მართალია, აღიარებულია რელიგიური თანასწორობა, მაგრამ ზოგიერთმა რელიგიამ ოფიციალური აღიარება მიიღო. აქ რადგან არ არსებობს რელიგიური ორგანიზაციის საკანონმდებლო დეფინიცია, ამოტომ ამ სფეროში გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ სასამართლოებს.

სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნის მოდელი გვხვდება გერმანიაში, სადაც კონსტიტუციური მოთხოვნაა სახელმწიფოსაგან ეკლესიის, მაგრამ ამავე დროს, დაშვებულია ორივე ინსტიტუტის კოოპერაცია. იმ შემთხვევაში, როცა ადამიანზე ერთობლივი ზრუნვა საქმით გამოიხატება, ეკლესიის ამოცანები საზოგადოებრივი ამოცანებია. იმ სფეროში, სადაც სახელმწიფო და ეკლესია საერთო საკითხებს აწესრიგებენ, სახეზეა კოოპერაცია და არა კოორდინაცია, კონსტიტუციურად ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ მათ შორის კორპორაცია ხელშეკრულებით ფორმდება.

ზოგიერთ იმ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც არსებობენ ტრადიციული რელიგიები, ისინი სარგებლობენ გარკვეული პრიორიტეტით. ასეთ ქვეყნებში არსებობს რელიგიური პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ხიშანი. დემოკრატიულ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორაა დანაწილებული სახელმწიფო ხელისუფლება და არის თუ არა სახელმწიფოში ორგანოთა ერთი ჯგუფი სხვა ჯგუფისაგან დამოუკიდებელი. იქ, სადაც ხელისუფლება არ არის დანაწილებული და მთელი ხელისუფლება უზურპირებულია ერთი ორგანოს, ერთი პარტიის, თუ ერთი პიროვნების ხელში, ასეთ სახელმწიფოში შეუძლებელია დემოკრატიაზე საუბარი. აქ მხოლოდ სამხედრო მახქანებით ახორციელებენ ხელისუფლებას. ხელისუფლების დანაწილების თეორია წარმოიშვა ძველ საბერძნეთში, ჯერ კიდევ IV საუკუნე-

ში, მის შესახებ წერდა არისტოტელე თავის ნაშრომში „პოლიტიკა", თავისებური შეხედულება ჰქონდა ინგლისელ თეორეტიკოსს ჯონ ლოკს (16), ფრანგი მოაზროვნე შარლ ლუი მონტესკიე ამ საკითხებზე ამახვილებდა ყურადრებას თავის ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ" (1748წ) ეს შეხედულებები დღესაც აქტუალურია. დღეისათვის გამოყოფენ ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

ამდაგვარი დაყოფა აღკვეთს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და ტოტალიტარული მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას. ხელისუფლების ასეთი დაყოფა განმტკიცებულია „შებოჭვებისა და გაწონასწორების" განსაკუთრებული სისტემით, იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ მათ ურთიერთმოქმედებას. არამედ მათი უფლებამოსილებიბების ურთიერთშეზღუდვას და ურთიერთკონტროლს.

სახელმწიფო და ეკლესია. ეკლესია არის რელიგიური ორგანიზაციის ტიპი, რომელსაც აერთიანებს სარწმუნოების იდეების საერთო სისტემა,

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მათ ისტორიულ გზაზე მეტად მრავალფეროვანია სრულიად ურთიერთგანდგომიდან ფაქტობრივად შერწყმამდე. თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს სარწმუნოების თავისუფლებას, სახელმწიფოს ეკლესიისაგან გამოყოფას (9, 19)

იმის საფუძველზე, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, ლიტერატურაში ზოგჯერ ვხვდებით შეხედულებებს, რომ ეკლესია გამორიცხულია საზოგადოების პოლიტიკური სისტემიდან, ეს არც თუ ისე ზუსტია. დიახ, ეკლესია არ არის პოლიტიკური პარტია. მრავალ ქვეყანაში ისინი არ ისახავენ ამოცანად იბრძოლონ ადგილებისათვის პარლამენტში და ა.შ., მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესია არ წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ელემენტს.

ჯერ-ერთი, ისტორიისათვის ცნობილია და არსებობენ სახელმწიფოები, რომლებშიც რელიგიური ორგანიზაციები ახდენენ ძლიერ გავლენას არა მხოლოდ სახელმწიფოს ცალკეული ორგანოების საქმიანობაზე, არამედ სახელმწიფოზეც, მის საშინაო

და საგარეო პოლიტიკაზე (შუა საუკუნეების ევროპა, თანამედროვე ისლამური სახელმწიფოები).

მეორე,- ეკლესია, არც თუ იშვიათად, იყო მძლავერი გამაერთიანებელი ფაქტორი. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა ისტორია, მათი ერთმანეთზე ურთიერთგავლენა იძლევა საშუალებას ერთმანეთისაგან გამოვყოთ შემდეგი სახის სახელმწიფოები: ათეისტური, ელიტარული, თეოკრატიული და კლერიკალური სახელმწიფოები.

- **ATEIСTURI SAXELMWIFOEBI** ხასიათდება იმით, რომ მათში აქტიურად ინერგება უღმერთობა, ტარდება ინტენსიური ათეისტური პროპაგანდა, მაშინ, როცა რელიგიური პროპაგანდა არ დაიშვება. მღვდელმსახურები იდევნებიან ან იზღუდებიან რელიგიურ საქმიანობაში. ათეისტური სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი კონტროლი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაზე, რელიგიური ლიტერატურის გამოცემასა და გავრცელებაზე, რელიგიური გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვაზე ან

თუნდაც აკრძალვაზე. ასეთი ათეისტური სახელმწიფო იყო საბჭოთა კავშირი. მას'ში ეკლესია ნამდვილად იყო გარიყული პოლიტიკური სისტემიდან.

- **ELITARULI SAXELMWIFO.** ელიტარული სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელიც აღიარებს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას, მაგრამ არ ერევა მათ საქმიანობაში. ასეთ სახელმწიფოში ეკლესია განცალკევებულია სახელმწიფოსაგან, მაგრამ სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიას მიეკუთვნებიან მოქალაქეები, აღიარებს მათ თანასწორობას. ელიტარული სახელმწიფო იცავს მორწმუნეთა უფლებებს და ყველა რელიგიური კონფესიის (ქრისტიანული, მუსლიმური, ბუდისტური და ა.შ.) კანონიერ საქმიანობას. ისინი არ უნდა აკონტროლებდნენ საეკლესიო ორგანიზაციებს, არც ერთ მათგანს არ უნდა გაუწიონ ფინანსური დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა მათ მიმართ თანასწორობის ბალანსი. ასეთ სახელმწიფოში რელიგიური ორგანიზაციები ახრულებენ მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს:

ალმშრდელობითს (თავისი კონფენსიების წევრთა მიმართ), სამედიცინო, საგანმანათლებლო და ა.შ.), მაგრამ ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა დავალებით არ ასრულებენ პოლიტიკურ და იურიდიულ ფუნქციებს. ყველა რელიგიურ კონფენსიას და ორგანიზაციას აქვს საკმაოდ ხელსაყრელი პირობები თავისი არსებობისათვის, გარდა სექტებისა, რომლებიც საქმიანობის ანტიჰუმანურ მეთოდებს კულტივირებენ, ნეგატიურად ზემოქმედებენ ადამიანთა ფსიქიკასა და ჯანმრთელობაზე ან/და თავის მიზნად ისახავენ რელიგიურ საფუძველზე ადამიანთა შორის შუღლის გაღვივებას. ელიტარული სახელმწიფო, როგორც წესი, ასეთი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას კრძალავს. ეკლესიის პოლიტიკური გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი მორწმუნე, იმავდროულად ამომრჩეველია. ცალკეული პოლიტიკური პარტია ამაზე განზრახ აკეთებს აქცენტს თავისი ჰარტიების სახელწოდებებში (ქრისტიან-დემოკრატები, ქრისტიანულ-სოციალური კავშირი და ა.შ.), თავის პროგრამებში რელიგიური ღირებულებებისადმი

დეკლარირებენ პატივისმცემელ ურთიერთობებს. ამიტომ მორწმუნეთა ხმები არჩევნებში სერიოზული პოლიტიკური ძალაა.

- **თეოკრატიული სახელმწიფო.** თეოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური და რელიგიური ხელისუფლება არის ერთი პირის – სამღვდელოების მეთაურის ხელში. სასულიერო და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების თაყმოყრა ერთ ხელში საშუალებას იძლევა განხორციელდეს კონტროლი სასულიერო და სამოქალაქო ცხოვრებაზე. თეოკრატია - მმართველობის ისეთი ფორმაა, როცა სახელმწიფო ხელისუფლება სასულიერო პირის ან ეკლესიის მეთაურის ხელშია. ასეთი სახელმწიფოები არსებობდნენ უძველეს დროში (იუდეველთა), შუა საუკუნეებში (ხალიფატები), თანამედროვე პერიოდში (ვატიკანი, ირანი). თეოკრატიული სახელმწიფო ხასიათდება მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების რელიგიური რეგლამენტაციის გაძლიერებით. სახელმწიფოებრივი სტატუსი, სასამართლო წარმოება მიმდინარეობს საეკლესიო

სამართლის ნორმებით, შესამჩნევია მოუთმენლობა სხვა სარწმუნოების მიმართ.[87] რელიგიური ურთიერთობები საზოგადოებში გაბატონებულ ხასიათს ატარებენ, ისინი მოიცავენ პიროვნებათაშორის, ეკონომიკურ, საოჯახო, სამართლებრივ, პოლიტიკურ ურთიერთობებს, ეკლესიას ეძლევა შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის მოსახლეობაზე, სახელმწიფო აპარატზე და ა.შ., თავისი მიზნებისთვის იყენებს სახელმწიფო სტრუქტურებს. თეოკრატიული სახელმწიფოები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: მათში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც ეკუთვნის ეკლესიას; კანონმდებლობის ძირითადი წყარო და პირადი და საჯარო ცხოვრების ყველა სფეროს მოწესრიგება ხდება რელიგიური ნორმებით, რომლებსაც პრიორიტეტი აქვთ სახელმწიფოებრივი კანონების მიმართ; სახელმწიფოს მეთაური უმაღლესი მღვდელმსახურია.

[87] პოლიტოლოგია .,მ.1993. გვ. 370-(რუსულ ენაზე)

- **კლერიკალური სახელმწიფო.** კლერიკალურ სახელმწიფოში ერთი რომელიმე რელიგია ფლობს სახელმწიფოს სტატუსს ან სხვა პრივილეგირებული მდგომარეობა აქვს ქვეყანაში არსებულ სხვა რელიგიებთან შედარებით. სახელმწიფო და რელიგიური სტატუსი ითვალისწინებს სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს. კერძოდ:
  - ეკლესიას აქვს საკუთრების უფლება ობიექტთა ფართო წრეზე: მიწა, შენობები, ნაგებობები, კულტურის საგნები და ა.შ.
  - ეკლესია სახელმწიფოსაგან იღებს სხვადასხვა სუბსიდიებს, მატერიალურ დახმარებას, აქვს საგადასახადო შეღავათები.
  - სახელმწიფოებრივ ეკლესიას აქვს რიგი იურიდიული უფლებამოსილება, მაგ, ქორწინების რეგისტრაციის უფლება, დაბადება, სიკვდილი, რიგ შემთხვევაში - აწესრიგებს საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებს.
  - ეკლესიას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და, ხშირ

შემთხვევაში, აქვს საკუთარი წარმომადგენლობა სახელმწიფო ორგანოებში, მაგალითად, ადგილები პარლამენტში.

- ეკლესიას აქვს უფლება კონტროლი განახორციელოს განათლების, აღზრდის, კინოს, ტელევიზიის სფეროში.

კლერიკალურ სახელმწიფოში, მიუხედავად სახელმწიფო რელიგიის ძლიერი პოზიციებისა, სახელმწიფოსა და ეკლესიის შერწყმა არ ხდება. კლერიკალური სახელმწიფო თავისებური შუალედური ვარიანტია ელიტარულ და თეოკრატიულ სახელმწიფოებს შორის. იგი ეკლესიასთან არ ერთიანდება, თუმცა ეკლესია, კანონმდებლობით დადგენილი წესებით გაელენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე. დღეისათვის კლერიკალური სახელმწიფოს მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც დედოფალი იმავდროულად ანგლიკალური ეკლესიის ხელმძღვანელია.

§ 3. ეროვნული სახელმწიფოს თანამედროვე მოდელები

დღეის არსებულ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ 10 % თუა მონოეთნიკური, ანუ ისეთი სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფი. საზოგადოების მულტიეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას განსხვავებულად უდგება ეროვნული სახელმწიფოს ფრანგული, გერმანული და ამერიკული კონცეფციები.

ფრანგული ეროვნული სახელმწიფო არ ჩამოყალიბებია არც ბუნებრივად ფორმირებულ ერს და არც ამ ერის კულტურას. ამ კონცეფციის თანახმად, ახალი ფრანგული ერი ჩამოაყალიბა სახელმწიფომ. ამდაგვარი შეხედულება სულაც არ იყო უმტკივნეულო და მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა. ყოველ ცალკეულ მოქალაქეს პირველსაწყის ტრადიციასა და კულტურაზე ახალი სახელმწიფო კულტურის სასარგებლოდ უნდა ეოქვა უარი. ერი ფრანგული გაგებით წარმოადგენს ბუნებითი განუყოფელი უფლებების მქონე ცალკეული ინდივიდების მიერ ნებაყოფლობით შექმნილ პოლიტიკურ გაერთიანებას. ფრანგული კონცეფცია ერს განმარტავს, როგორც

კულტურულად განსხვავებული ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც ცხოვრობენ ერთ, საერთო უნიტარულ სახელმწიფოში, პრინციპულად უარყოფენ ეროვნული უმცირესობის არსებობის ფაქტს.

გერმანული ეროვნული სახელმწიფო არის განსხვავებული ეროვნული სახელმწიფოს მოდელი. გერმანელებს დიდი ხნის მანძილზე არ გააჩნდათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფო: გერმანელი ერის საზღვრები არ ემთხვეოდა სახელმწიფო საზღვრებს. გერმანელი ერი სახელმწიფოდ ყალიბდებოდა ორგანიზებული ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. ფრანგულისაგან განსხვავებით, გერმანული კონცეფცია ერს განსაზღვრავს, როგორც ბუნებით მოცემულ ეთნიკურ, წინაპოლიტიკურ, კულტურულ ერთობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ისეთი საერთო ნიშნები, როგორიცაა ეთნიკურობა, რელიგია, ენა, რასა და საერთო ბედის ერთიანობა. გერმანიის კონსტიტუცია პრეამბულაში რამდენჯერმე იმეორებს ცნებას „გერმანელი ხალხი". მას აქვს კონსტიტუციის დამდგენი ერთადერთი ძალაუფლება და ამიტომ, მას ევროკავშირის ხელისუფლების ძალი-

თაც არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი განუყოფელი უფლებები. უარყოფილია ორმაგი მოქალაქეობის უფლება, რეპატრირებულ გერმანელთა მიმართ გათვალისწინებულია პრივილეგიები, აქედან გამომდინარობს დასკვნა, რომ ეროვნული სახელმწიფოს კონცეფცია დღემდე ეფუძნება ეთნიკური და კულტურული ერის კონცეფციას.

ეროვნული სახელმწიფოს **ამერიკულ მოდელში** ერი კი არ განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ტერიტორიას, არამედ ტერიტორია განსაზღვრავს ხალხს. მიგრანტთა ქვეყანაში ტერიტორია თანაბრად ეკუთვნის ყველა მიგრანტს. იმიგრანტები გახდნენ ახალი ხალხები, ახალი ერები იმ ახალი ტერიტორიის მეშვეობით, რომელზეც ისინი გადაასახლეს. ეს მოდელი ინდივიდუალურია და მისი მექანიკური გადმოტანა ევროპაში დაუშვებელია. (ევროპაში, აზიასა და აფრიკაშიც ხალხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავიანთ ტერიტორიებთან, მათ პრეტენზია აქვთ ტერიტორიულ სამშობლოზე, რომელიც ხშირად დასახლებულია სხვა ერებით და რაც, არცთუ ისე იშვიათად აყალიბებს კონფლიქტის არსებით ფაქტორს).

ამერიკელებმა მოახერხეს ეთნიკური უმცირესობების კოლექტიური უფლებების გადატანა ადამიანის ინდივიდუალურ უფლებათა სიბრტყეში, ეს იმიტომ, რომ რელიგია ექვემდებარება სეკულარიზაციას, მაგრამ ენა – არა. ამერიკელებთან ერის პრობლემა არ იდგა, მისი როლი კი განსაკუთრებულია სხვა საზოგადოებებში. „სახელმწიფო" და „ერი", როგორც იდეალური კატეგორიები, განიხილება, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებში. „საერთაშორისო სამართალი" არსებითად არის არა სალხების, არამედ სახელმწიფოთა სამართალი. „გაერთიანებული ერები" არის სახელმწიფოთა ორგანიზაცია და არა ერებისა. აქედან იღებს სათავეს შეხედულება, რომლის თანახმადაც, „ეროვნულობა" აღნიშნავს სახელმწიფოსადმი და არა ამა თუ იმ ხალხისადმი კუთვნილებას.

თავი X

სამართლებრივი სახელმწიფო

თემა 10

სამართლებრივი სახელმწიფო

თემის სტრუქტურა:

§ 1. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება

§ 2. სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები

§ 3. მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება, სახელმწიფოს საქმიანობა სამართლის ფარგლებში, რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები ანუ რა ძირითადი კომპონენტები ახასიათებს სამართლებრივ სახელმწიფოს. რას ნიშნავს კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად უზრუნველ-

ყოფა; როგორია სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. თემის მიზანია სტუდენტი ერკვეოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშნებში.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ გავერკვევით სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებაში;
- ✓ შევისწავლით მეცნიერთა სხვადასხვა შეხედულებას სამართლებრივ სახელმწიფოს შესახებ
- ✓ დავახასიათებთ სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნებს
- ✓ გავეცნობით სოციალური სახელმწიფოს ცნებას
- ✓ დავახასიათებთ სოციალური სახელმწიფოს ნიშნებს

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

სტუდენტს ეცოდინება რა იგულისხმება სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების ქვეშ, როგორია მეცნიერთა შეხედულებანი სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. მათ შეეძლებათ გაეკვნენ რას ნიშნავს კანონის უზენაესობა, შეიძლება თუ არა არსებობდეს უსამართლო კანონები, გაერკვევიან, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი გულისხმობს კანონის მაღალ ავტორიტეტს საზოგადოებაში, მის საყოველთაოდ პატივისცემას. ეცოდინებათ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი, როგორ უნდა მოხდეს მათი რეალურად დაცვის უზრუნველყოფა. გაერკვევიან, თუ როგორია სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთპასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. სტუდენტებმა უკვე იციან სახელმწიფოს მექანიზმში ხელისუფლების დანაწილების მიხედვით რა ორგანოები არსებობს, ამიტომ ადვილად გაიაზრებენ სამართლებრივი სახელმწიფოს მოცემულ პრინციპს. სტუდენტებს ეცოდინებათ სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დამახ-

ასიათებელი ნიშნები. კანონის უზენაესობა, რომ მას საზოგადოების ყველა წევრმა, თანამდებობის პირმა თუ სახელმწიფო ორგანომ და ორგანიზაციამ უნდა სცეს პატივი.

ეცოდინებათ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების პირადი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებები და მათი რეალურად უზრუნველყოფა, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობა.

§ 1. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება.

სამართლებრივი სახელმწიფო მყისიერად ნამდვილად ვერ წარმოიქმნება, ვერც ნებისმიერ საზოგადოებაში. სახელმწიფო, ვიდრე სამართლებრივი გახდება, უნდა გაიაროს განვითარდეს ხანგრძლივი გ'ხა, უნდა დალაგდეს გარკვეული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პირობები.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია გაჩნდა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე წარმოიქმნა სახელმწიფო თავისი ნიშნებით, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივის უფლებას მიანიჭებს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პროგნოზირების ფუნქციას, რისი პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ისტორიულად, სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ არსებობს მეცნიერთა სხვადასხვა შეხედულება.

ცნობილია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური წინასწარმეტყველი იყო ი. კანტი. გერმანელი ფილოსოფოსი თავისი „საერთო კანონის" ანუ საკუთარი კატეგორიული იმპერატივის

საფუძველზე აყალიბებს სამართლებრივი სახელმწიფოს „კატეგორიულ ნიშნებს":

- სამართლებრივი სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება პიროვნებას, იცავს რა მის ინტერესებს ნებისმიერი თვითნებობისაგან;
- სახელმწიფო და პიროვნება ურთიერთპასუხისმგებლები არიან;
- სახელმწიფო ემორჩილება ბუნებით სამართალს; სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, მას მიეკუთვნება საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელსაც ექვემდებარება აღმასრულებელი ხელისუფლება. ამასთან ი.კანტი ხაზგასმით აღნიშნავდა, არა იმდენად ხელისუფლების დანაწილების მნიშვნელობაზე, რამდენადაც მათ ურთიერთგაწონასწორობაზე;
- სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ზოგადევალდებულებას.

ი.კანტის მიერ სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნების არასრული და რამდენადმე, თუნდაც გამარტივებული ჩამონათვალი ადასტურებდა, თუ რამდენად ღრმაა შეღწეულნი ისინი სამართლებრივი სახელმწიფოს არსის იდეაში.

დღეისათვის აქსიომად არის აღიარებული, უდავოა სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები. ი.კანტმა სამართლებრივი სახელმწიფოს ასეთი განმარტება მოგვცა: „სახელმწიფო არის სამართლიან კანონებს დამორჩილებული მრავალი ადამიანის გაერთიანება[88].

ისტორიულად მრავალი ავტორი მიუთითებდა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობის აუცილებლობაზე, ამის ერთ-ერთი გარანტი იყო ხელისუფლების დანაწილება. ავტორთა ნაწილი მთავარ როლს მიაკუთვნებდა სასამართლო ხელისუფლებას. დამოუკიდებელი და თავისუფალი, სასამართლო ხელისუფლების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს სამართლებრივი სახელმწიფო. ავტორთა მეორე ნაწილი აცხადებდა, რომ სამართლებრივი

[88] იხ. Кант И. Соч. Т. 46 , ч. 2., с 233

შეიძლება უწოდო სახელმწიფოს, რომელიც საჯაროდ აღიარებს, მისივე მიღებულ იურიდიულ ნორმებს.

თავის საქმიანობაში სამართლებრივი სახელმწიფო სამართლით არის შებოჭილი და შეზღუდული, მას ემორჩილება და არამც და არამც არ არის მის ზემოთ ან მის გარეშე გამოსცემს რა კანონებს, სახელმწიფო ამ კანონებს უმორჩილებს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, არამედ თვითონაც ემორჩილება მათ. „სახელმწიფო თავისი მმართველობის ხელისუფლების სახით, ასევე ემორჩილება კანონს, ისევე, როგორც ყოველი ცალკე აღებული მოქალაქე"[89].

ვ.გასენი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციური მონარქია შეიძლება იყოს სამართლებრივი სახელმწიფო, აბსოლუტური მონარქია კი – არა.

თანამედროვე საქმიანობა ადასტურებს ამ მოსაზრებებს – დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, დანია, ესპანეთი, ნორვეგია, ჰოლანდია – კონსტიტუციური მონარქიებია; თუმცა მათ ხშირად და სრულიად დასაბუთე-

[89] იხ. К реформе государственного строя в России.СПб. М.,1916.,с11

ბულად უწოდებენ სამართლებრივ სახელმწიფოებს, რამდენადაც მათში კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა გარანტიების დონე, ხელისუფლების ორგანოების ფორმირების დემოკრატიულობა, სასამართლოების დამოუკიდებლობა, პიროვნების სოციალური დაცვა იმდენად მაღალია, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს ასეთი განმარტების სამართლიანობაში.

ბ.კისტიაკოვსკი აკრიტიკებდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას და გაფრთხილების თვალსაზრისით აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი დიქტატურა არის ხელისუფლება გაძლიერებული უფლებამოსილებებით, რაც მეტად უახლოვდებოდა აბსოლუტურს. სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების ყველა ურთიერთობები უნდა განმტკიცდეს სამართლებრივი ნორმებით. „თანამედროვე კულტურული ადამიანისათვის, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ ხელისუფლება არსებობს, ცოტაა ისიც, რომ იგი აუცილებელია, სასარგებლო და მიზანშეწონილი.

ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ მივყავართ სამართლის იდეის ბატონობისაკენ, მხოლოდ მაშინ შეგ-

ვიძლია ვალიარეთ იგი მართებულად და გავამართლოთ მისი არსებობა. სამართლის იდეის ბატონობა ნიშნავს, რომ ხელისუფლების ყველა ქმედება განპირობებულია და რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების უფლებამოსილი პირები, ისევე ექვემდებარებიან სამართლებრივ ნორმებს, როგორც ამ უფლებამოსილების არმქონე პირები"[90].

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას განიხილავდნენ აგრეთვე რევოლუციამდელი რუსი ავტორები გ.შერშენევიჩი, ნ.პალიენკო, ნ.კორკუნოვი. პირველი მიუთითებდა სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის გარანტიებზე, რაც უნდა მდგომარეობდეს პიროვნების განუყოფელ უფლებებში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპში და სახელმწიფოს სამართლიანობაში დაქვემდებარებაში. თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი გარანტიაა „საზოგადოებრივი აზრის შეკავების ძალა"[91]. მეორე ავტორი წერდა, სამართლის ვალდებულების ძალაზე სახელმწიფოს

[90] იხ. Костлякоский Б.А. Социальные науки и право. М.1916
[91] იხ. Шершеневич Г.Ф., Общая геория права, М. 1911, с.248

მიმართ, სახელმწიფოს სამართლებრივ შეზღუდვებზე. საზოგადოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი – ხელისუფლების მიერ სამართლებრივი ნორმების დაცვის გარანტიების შესახებ საკითხია. ავტორი თვლიდა, რომ მას მაშინ ჰქონდა აზრი, როცა ეჭვს არ იწვევს ხელისუფლების იურიდიული შეძღუდვების არსებობა და შესაძლებლობა.[92] მესამე ავტორმა ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებას, რაც საგანგებოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ჩვენს დროშიც, სახელმწიფო ხელისუფლება, სამართლით იზღუდავს რა თავს, არ შეიძლება არ განმტკიცდეს თვითონ, რადგან შეზღუდვები, უპირველეს ყოვლისა, აძლიერებს მთელი საზოგადოების სამართლებრივ შეგრძნებას.[93]

ობიექტურობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა გარკვეულწილად უცხო არ იყო არც სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივი მიდგომის დამფუძნებელთათვის. ეს

[92] იხ. Полиенко Н.И. Учение о правовой связанности государства. Чарьков., 1908

[93] იხ. Коркунов Н.М. Лекция по общей теории права, СПб.,1894

ადასტურებს მათ სახელმწიფოსა და სამართლის შეფასების მრავალფეროვნებას, ე.ი. (არა მხოლოდ კლასობრივ) უფრო ფართო შესედულებებს. სახელმწიფოსა და სამართლის როლის შესახებ საზოგადოების ცხოვრებაში და პიროვნების უფლებების უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, კმარქსი წერდა: „თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო გარდავქმნათ საზოგადოების ზემდგომ ორგანოდან ორგანოდ, რომელიც სრულიად დაემორჩილება ამ საზოგადოებას და ჩვენს დროშიც, სახელმწიფოს ფორმების დიდი თუ მცირე თავისუფლება იმით განისაზღვრება, თუ როგორი მოცულობით იზღუდება სახელმწიფოს თავისუფლება“[94].

მართალია, პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეებისა და დამფუძნებელთათვის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა არ გახდა მისაღები. მათ მიერ პირველ ადგილზე წამოწეული იყო პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, ე.ი. მუშათა კლასის სახელმწიფო, რომელიც მოწოდებული იყო განეხორციელებინა თავისი ხელისუფლება, არ ითვალისწინებდნენ სხვა

[94] იხ. Маркс К., Энгельс Ф. Соч.Т 19, с.726

კლასების და მოსახლეობის სხვა ფენების ინტერესებს გარდა უღარიბესი გლეხობისა. ვ.ი. ლენინი პირდაპირ აცხადებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა – ეს არის ხელისუფლება, რომელიც არანაირი კანონით არ იზღუდება, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის მიმდევრები მას აცხადებდნენ, როგორც მავნე ბურჟუაზიულ თეორიად, რომელიც თითქოსდა იმისთვის იყო შექმნილი, რათა დამალოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი ექსპლუატატორული ბუნება.

ბუნებრივია, სამართლებრივი სახელმწიფოს ამდაგვარი შეფასება შორსაა ჭეშმარიტებისაგან

სამართლებრივი სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, არის დემოკრატიული სახელმწიფო. ინარჩუნებს რა სახელმწიფოს ნიშნებს (მმართველობისა და იძულების აპარატი, სუვერენიტეტი, გადასახადები, ტერიტორიული ორგანიზაცია), იგი წარმოადგენს ბუმანურ სახელმწიფოს, რომელიც უარყოფს საზოგადოებაზე ზემოქმედების მკაცრ, დესპოტურ მეთოდებს. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

ასეთ სახელმწიფოში იძენენ ჭეშმარიტ მოწოდებას და კანონმდებლობით მტკიცდებიან.

სამართლებრივი სახელმწიფო – ეს არის სახელმწიფო დიდი პოზიტიური შესაძლებლობებით საზოგადოებასთან და ცალკეულ პიროვნებასთან მიმართებაში, მასში მხოლოდ სიტყვებში კი არა, არამედ, საქმით ხდება ამ პრინციპის რეალიზაცია: თითოეულის თავისუფალი განვითარება არის ყველას თავისუფალი განვითარების პირობა.

მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განიხილება, როგორც ადამიანისა და ხელისუფლების ურთიერთობის მშენებლობის ფუნდამენტი, რომლის ძირითადი მიზანია უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა, მისი სრულყოფილი რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

იურიდიულ მეცნიერებაში სრულიად სამართლიანად აღინიშნება, რომ რამდენადაც სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და განუყოფელნი არიან, ხოლო მათი განცალკევებულად არსებობა ობიექტურად შეუძლებელია იმდენად ცი-

ვილურ საზოგადოებაში სახელმწიფო ვერ იქნება არასამართლებრივი ანუ არადემოკრატიული არ იქნებოდა საფუძველი კანონის უზენაესობაზე, ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სახელმწიფო იქნებოდა არალეგიტიმური, მასში ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბება მოხდებოდა საზოგადოებრივი აზრის გარეშე, სხვადასხვაგვარი დემოკრატიული პროცედურების გარეშე, სახელმწიფო ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოების რომელიმე ერთი ნაწილის ინტერესებს (კლასების, ჯგუფების, ფენების) და ა.შ.

§ 2. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

იმისათვის, რომ ესა თუ ის სახელმწიფო მივაკუთვნოთ სამართლებრივ სახელმწიფოთა რიცხვს, მას უნდა ჰქონდეს მთელი რიგი ქვემოთჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშანი. ეს ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტიზირებულია **კანონის უზენაესობაში** ანუ საზოგადოებაში ყველა მნიშვნელოვანი ურთიერთობა უნდა რეგულირდებოდეს კანონებით და არა სხვა სამართლებრივი აქტებით. კანონი უნდა იყოს ძირითადი იურიდიული დოკუმენტი, მას უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების ორგანოთა ქმედებები, კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც ერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია ამისათვის უფლებამოსილი სამართალშემოქმედებითი სუბიექტის მიერ.[95] კანონის უზენაესობა ნიშნავს მის უცილობელ შესრულებას ხელისუფლების ყველა შტოს მიერ. იმავდროულად იგი ნიშნავს ყველას თანასწორობას კანონის წინაშე, რაც პირდაპირაა მითითებული საქართველოს კონსტიტუციის მე-14

[95] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი.

მუხლში, სადაც აღნიშნულია „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.[96] ყველას თანასწორობა კანონის წინაშე ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია გახდეს ყველას გარანტი კანონის წინაშე ყველას თანასწორობის საკითხზე ნებისმიერი არსებული საშუალებით. კანონის უზენაესობას თან ერთვის ერთმანეთთან თითქმის შერწყმული კანონიერების პრინციპი, რაც ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობაში და გამოხატულია კანონების და კანონქვემდებარე აქტების ზუსტად და უცილობლად შესრულებაში. სამართლის ბატონობა, კანონის უზენაესობა ნიშნავს, რომ საზოგადოების მთელი ცხოვრება, ურთიერთობათა მთელი სისტემა, ხელისუფლების ორგანოთა, თანამდებობის პირთა საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ

[96] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი

საწყისებს, რომ თვით კანონი უნდა იყოს სამართლებრივი ახუ მიღებული უნდა იქნას ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების მიერ, უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა სფეროში სახალხო სტანდარტებსა და მისგან გამომდინარე ადამიანის ბუნებრივ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციურ დებულებებს და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ძირითადი კანონის პრიორიტეტს, ადგენს მის უზენაესობას საკანონმდებლო აქტების სისტემაში და მთელ სამართლებრივ სფეროში.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვების შესაძლებლობას მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში (საგანგებო მდგომარეობა) და დროებითი ზომის სახით. ამით ხაზი ესმება კონსტიტუციური დებულების მოქმედების საყოველთაო საბაზო პრინციპის შესაბამისად.

კანონის უზენაესობა ნიშნავს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ურთიერთობები უნდა მყარდებოდეს კანონს, შეესაბამებოდეს მას, იმყოფებოდეს კანონის სფეროში და არა მის გარეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის უზენაესობა ნიშნავს არა მხოლოდ მის „ბატონობას" ნორმატიული აქტების სისტემაში, - არამედ იმასაც, რომ საზოგადოებაში და სახელმწიფოში კანონი უნდა წარმოადგენდეს უზენაეს სამართლებრივ ღირებულებას.

სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგი მნიშვნელოვანი ნიშანია **სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობა.** როცა საუბარია სამართლებრივ სახელმწიფოზე, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოზე, რომელიც უარყოფს ხელისუფლების მკაცრ მეთოდებს, იცავს უფლებებსა და თავისუფლებებს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ მასში მოქმედებს მოქალაქესა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპი, ე.ი. პრინციპი, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ მოქალაქეა პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინაშე, არამედ სახელმწიფოც პასუხისმგებელია მოქალაქის წინაშე.

სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობა განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ერთმანეთის მიმართ, განსაზღვრავს მოქალაქეთა ცხოვრებაში ჩარევის ფარგლებს, აგრეთვე ადგენს მოქალაქეთა პირადი ავტონომიის ჩარჩოებს სამართლებრივი რეგულირების სხვა სუბიექტების მიმართ.

საბოლოო ჯამში, იგი განსაზღვრავს საკუთარი მოქალაქეების ინდივიდუალურ ავტონომიას. ძირითადად იურიდიულ საშუალებად გამოდიან, როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები.

სწორედ მოქალაქეთათვის მინიჭებული უფლებების და თავის თავს დაკისრებული ვალდებულებების მეშვეობით სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ერთი მხარე უფლებამოსილია იმდენად, რამდენადაც ვალდებულია მეორე. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო პასუხისმგებელია თავისი

და თავის თანამდებობის პირების ქმედებებისათვის, ხოლო მოქალაქენი პასუხს აგებენ სახელმწიფოს წინაშე თავისი საქმეებისა და გადაცდომებისათვის.

დემოკრატიული საზოგადოების პირობებში კანონი სავალდებულოა ყველასათვის – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოებისათვის და მათი თანამდებობის პირთათვის. ადრე არსებული, მხოლოდ ქვემდგომ მორჩილებაში მყოფი პირებისათვის ცალმხრივი ვალდებულებანი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დაუშვებელია/ ინდივიდი გამოდის არა მხოლოდ როგორც ვალდებული მხარე, არამედ, როგორც უფლებების მატარებელიც, რომელსაც შეესაბამება სახელმწიფოს და მისი თანამდებობის პირთა ვალდებულებანი[97]. ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს კონსტიტუციის მუხლები, რომლებშიც გაწერილია მოქალაქეთა პირადი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომლებშიც იმავდროულად, ჩამოყალიბებულია სა-

[97] იხ Эбзеев Б.С. Соблюдение и защита прав человека – обязанность государства. Теория государства и права, курс лекций (под ред. М.И. Матузова и А.В. Малько, с.229

ხელმწიფოს ვალდებულებანი ამ სფეროებში მოქალაქეთა წინაშე. ამით იგი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებათა მოცულობას ყველა სფეროში მოქალაქის ცხოვრებასა და საქმიანობაში; ზრდის სამართლებრივი მექანიზმის მოქმედების ეფექტურობას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში, ხდის ვალდებულს სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რათა მან შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებანი და გახადოს ისინი რეალური. სახელმწიფო იმავდროულად ქმნის ისეთ პირობებს, რომ მოქალაქეებმა უფრო წარმატებულად მოახდინონ ვალდებულებების რეალიზაცია.

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მკვლევართა უმრავლესობის აღიარებით, მის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანი არის მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად განვითარებულია სახელმწიფო და სამართალი, რამდენად ორგანიზებულად გამოიხატება სახე-

ლმწიფოს სამართლებრივი ხასიათი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა სამართლისა და სამართლებრივი კანონიერების ბატონობის რეჟიმისათვის.

ხელისუფლების დანაწილება არის წარსულში ისტორიული განვითარების პრაქტიკის შედეგი და აგრეთვე, ამჟამად მრავალ სახელმწიფოში მისი არსებობის შედეგი. ეს იდეა აღმოცენდა მრავალი საუკუნის წინათ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პოლიბიუსი ანიჭებდა უპირატესობას ხელისუფლების განხორციელების ისეთ ფორმას, როგორიც იყო ძველ რომში, რადგან, როგორც იგი აღნიშნავდა, სწორედ ხელისუფლების დანაწილების პირობებში სახელმწიფო თანაზომიერად ახერხებს შებოჭვასაც და თანასწორობასაც.

განსაკუთრებით მოთხოვნადი ხელისუფლების დანაწილების იდეა იყო ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების საწყის ეტაპზე და ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში ბატონობისაგან განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს.

ჯონ ლოკი, შარლ ლუი მონტესკიე თავის შრომებში აკრიტიკებდნენ ერთპიროვნული და აბსოლუტური მონარქიის ხელისუფლებას, წინ წამოსწიეს და დაასაბუთეს ხელისუფლების დანაწილების თეორიის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს წარმატებული საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების დანაწილებისას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

ჯონ ლოკი უპირატესობას ანიჭებდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, შარლ ლუი მონტესკიე უფრო გონივრულად თვლის შეკავებისა და გაწონასწორების სისტემას, რათა ხელისუფლების არც ერთ შტოს არ ჰქონდეს სხვა შტოებზე უფრო მეტი უპირატესობა. იგი წერდა: „რომ არ იყოს ხელისუფლების ბოროტად გამოყენება", საჭიროა ისეთი წესრიგი, „რომლის დროსაც ხელისუფლების სხვადასხვა ნაწილი შეძლებდა ერთმანეთის ურთიერთშეკავებას.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი თვალსაჩინოდ იქნა რეალიზებული მსოფლიოს პირველ კონსტიტუციაში – ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციაში. მოცემული პრინციპი

დაედო საფუძვლად ამერიკის სახელმწიფო ხელისუფლებას, სადაც დასაწყისშივე იყო ჩადებული შეკავებისა და გაწონასწორების საკითხები, რამდენადაც მკვეთრადაა დადგენილი კონგრესის, პრეზიდენტის და უზენაესი სასამართლოს კომპეტენციების გამიჯვნა. ყოველ ზემოხსენებულ უმაღლეს ორგანოს ჰქონდა უფლება ემოქმედა დამოუკიდებლად, ხელისუფლების არც ერთ შტოს არ შეეძლო მეორეს ხარჯზე გაძლიერება, ყოველ მათგანს ჰქონდა სამართლებრივი სტატუსი. ხელისუფლების დანაწილებას აქვს ღრმა პრაქტიკული აზრი, რამდენადაც არ აძლევს საშუალებას ხელისუფლების არც ერთ შტოს იბატონოს: არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე ხელისუფლება იღებდეს კანონებს, იყენებდეს მას, შემდეგ კი, ახორციელებდეს მართლმსაჯულებას. ხელისუფლების ყოველი ცალკეული შტო სხვასთან მიმართებაში გამოდის ე.წ. ექსპერტის სახით. საკანონმდებლო ხელისუფლების ძალა კარგ კანონებშია. აღმასრულებელი ხელისუფლების ძალა – კვალიფიცირებულ აპარატში, ხოლო სასამართლო ხელისუფლების ძალა – მის მიუკერძოებლობაში. ასე, რომ ხელისუფლების ყოველ შტოს საქმიანობის თავისი

ფარგლები აქვს. თითოეულის მოქმედება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს მექანიზმს ანიჭებს ლეგიტიმურობას და იმავდროულად პასუხისმგებლობასაც. საზოგადოებას უჩნდება შესაძლებლობა უფრო აშკარად დაინახოს ამა თუ იმ შტოს არასრულყოფილება, სისუსტე და მიიღოს შესაბამისი ზომები მისი სრულყოფისათვის. ხელისუფლების დანაწილება ეს არის ერთგვარი შრომის დანაწილება სახელმწიფოს მართვაში, ერთგვარი სპეციალიზაცია, ყოველთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე არაპროფესიული მუშაობა. რასაკვირველია, ამდაგვარი შედარება ყოველთვის მეტად წარმატებულია.

სახელმწიფო ორგანოთა დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებად იძლევა შესაძლებლობას არსებითად შეეზღუდოთ, ზოგჯერ კი, აღვკვეთოთ კიდეც სამთავრობო, ადმინისტრაციული და სასამართლო თვითნებობები და სახელმწიფო ხელისუფლების კონცენტრირება, როგორც ზოგადსახელმწიფოებრივ პრობლემებზე, ისე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ხელისუფლების დანაწილება სა-

ზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას აკონტროლოს მათი ქმედებები, იმოქმედოს მათზე დემოკრატიული ინსტიტუტების (არჩევნების, რეფერენდუმის, საზოგადოებრივი მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების და ა.შ.) მეშვეობით. შეკავებისა და გაწონასწორების სისტემა საშუალებას იძლევა ხელისუფლების ყოველ შტოს ქმედების კონტროლისათვის. თუ აღმასრულებელი ხელისუფლება იწყებს მოქმედებას საზოგადოების ან/და მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, მაშინ მასზე ზეგავლენა შეიძლება საპარლამენტო პროცედურების (მთავრობის, ცალკეული სამინისტროს, დეპუტატის მოთხოვნის და ა.შ.) მეშვეობით. თუ საკანონმდებლო ხელისუფლება მოქმედებს არაეფექტურად ან საერთოდ ვერ ასრულებს თავის ფუნქციას – გათვალისწინებულია შესაძლებლობა (კონსტიტუციებში გათვალისწინებული) პარლამენტის დათხოვნა პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ, ახალი არჩევნების დანიშვნით და ა.შ). სასამართლო ხელისუფლება შედარებით დამოუკიდებელია და ეს მართე-ბულიცაა, რამდენადაც იგი არ უნდა ექვემდებარებოდეს სხვა შტოების გავლენის, უნდა მიიღოს ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი გადა-

წყვეტილებები. ამას გარდა, სამართლებრივ სახელმწიფოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არცოუ იშვიათად განიხილება სასამართლოებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების ამდაგვარი დაყოფა განმტკიცებულია „შეკავებისა და გაწონასწორების" განსაკუთრებული სისტემით, იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ მათ ურთიერთქმედებას, არამედ მათი უფლებამოსილებების ურთიერთშეზღუდვას და ურთიერთკონტროლს.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელდება აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ნიშანი, როგორიცაა საკუთრების ფორმათა მრავალგვარობა, სახელდობრ, კერძო საკუთრების არსებობა, მრავალპარტიულობა, შეხედულებათა და კონცეფციების პლურალიზმი, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალი გარანტიები, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების დამოუკიდებლობა და ა.შ. უდავოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილს აქვს დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივის დასახასიათებლად. მაროლაც, სახელმწიფოს

შეუძლებელია უწოდო სამართლებრივი, თუ მასში აკრძალულია კერძო საკუთრება ან არ დაიშვება მრავალპარტიულობა. მითუმეტეს, არ ჩაითვლება სამართლებრივად, თუ სახელმწიფოში არ არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების გარანტიები, ხოლო მასობრივ ინფორმაციათა საშუალებები თუ მხოლოდ მთავრობის პოზიციას გამოხატავენ.

ასევე უდავოა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა ხელისუფლების არადემოკრატიულობის რეჟიმში. მოცემული ნიშნების არსებობა ან არ არსებობა ახასიათებენ სახელმწიფოებრივ რეჟიმს, როგორც დემოკრატიულს ან/და ტოტალიტარულს, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურს. სწორედ ამიტომ, უპირველეს პირობას სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის წარმოადგენს ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ამასთან, ეს პროცესი უნდა იყოს როგორც ერთდროული, როცა თანდათანობით ყალიბდება დემოკრატიული სახელმწიფო, ისე სხვადასხვა დროის, როცა ჯერ მტკიცდება დემოკრატიული ინსტიტუტები და შემდეგ ხდება სამართლებრივი სახელმწიფოს ცალ-

კეული ნიშანი, შემდეგ კი ისინი მთლიანობაში ყალიბდება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქვეყნები, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას წინ უსწრებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

სამწუხაროდ, კანონმდებლობის არასრულყოფილება, „კანონთა ომი", კორუფცია, დანაშაულის მაღალი დონე, მოქალაქეთა სოციალური გარანტიების სისუსტე და ა.შ. ჩვენის აზრით, საქართველოს ვერ მიაკუთვნებს სამართლებრივ სახელმწიფოთა რიცხვს, თუმცაღა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობის დონე სამართლის ბატონობით, მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობით, მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტიებით, იძლევა საშუალებას, ჩვენს ქვეყანაში აშენდეს დემოკრატიული სახელმწიფო.

§ 3 მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი

სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არის მჭიდრო სამართლებრივი კავშირი, სახელმწიფო ვალდებულია გამოვიდეს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტად, ასევე პიროვნება ვალდებულია შეასრულოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესები.

სახელმწიფოში პიროვნების მდგომარეობის ერთერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საკითხი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის იურიდიული მექანიზმის შესახებ. ასეთი მექანიზმების აუცილებლობა განპირობებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ბუნებით, რომელშიც დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას ემსახურება ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრიორიტეტი და სახელმწიფოს ვალდებულება ამ უფლებების უპირობოდ დასაცავად.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და კონკრეტული სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში. უფლებები და თავისუფლებანი პირობითად იყოფა სამ ჯგუფად;

- სოციალურ-ეკონომიკური;
- პოლიტიკური და
- პირადი.

სოციალური-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები ადამიანს აძლევს შესაძლებლობას დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნები, ამ უფლებებს მიეკუთვნება:

- **საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება;**
- **შრომის უფლება.**

შრომის უფლება არის თითოეული ადამიანის უფლება უზრუნველყოს საკუთარი არსებობა სამუშაოთი, რომელსაც ის ირჩევს ან თანხმდება. შრომის თავისუფლება ნიშნავს ადამიანის მიერ საკუთარი შრომითი შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენებას, საქმიანობის სახისა და პროფესიის თავისუფლად არჩევას, ასევე იძულებითი მუშაობის აკრძალვას.

კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს შრომის თავისუფლების სოგიერთ სეზღუდვას, მაგალითად, განსაზღვრული განათლების დონის ან სპეციალური კვალიფიკაციების მოთხოვნას, ან გარკვეულ ასაკობრივ ცენზს საქმიანობის ცალკეული სფეროსათვის. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ შრომა თავისუფალია, ე.ი. ყველა შრომისუნარიან ადამი-ანს შეუძლია თავად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობა შრომით საქმიანობაში, სახელმწიფო არ იღებს შრომის დასაქმების ვალდებულებას;

➢ **გაფიცვის უფლება.**

მუშებსა და მომსახურეებს უფლება აქვთ კოლექტიურად შეწყვიტონ სამუშაო და სახელმწიფოს ან მეწარმეებს წაუყენონ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები. საერთაშორისო სამართლის მიხედვით არავინ იძულებით არ უნდა მიიღოს მონაწილეობა გაფიცვაში. გაფიცვა ითვლება კანონიერად, თუ იგი დაიწყო და ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო წესით იგი ცნობილი იქნება უკანონოდ, რაც გამო-

იწვევს მათში მონაწილე პირების იურიდიულ პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ დასაშვებია გაფიცვის სუბიექტთა გარკვეული შეზღუდვა კანონმდებლობით ან სახამართლოს მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების თავიდან ასაცილებლად. გაფიცვის უფლება არ გააჩნიათ სამხედრო მომსახურეებს, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და უშიშროების თანამშრომლებს, სახელმწიფო მოხელეებს;

➢ **სოციალური უზრუნველყოფის უფლება.**

ეს არის დახმარება მოხუცებულობის, დროებით ან მუდმივი შრომისუნარიანობის დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის ან სიღარიბის დროს. ასეთი დახმარების ოდენობა და პირობები განისაზღვრება კანონით. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სოციალური უზრუნველყოფის ორ ფორმას: სახელმწიფო დახმარებას და სოციალურ დაზღვევას.

➢ **ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების დაცვის უფლება.**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ჯანმრთელობას განსაზღვრავს, როგორც „ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. ეს უფლება ნიშნავს, რომ ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით ან იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ისარგებლოს სამედიცინო დახმარებით.

კითხვები მითმომზადებისათვის:

1.რა არის სამართლებრივი სახელმწიფო?

2. რა იგულისხმება სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანში – კანონის უზენაესობა?

3. როგორ ახსნით სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშანს –სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობას?

საშინაო დავალება:
გამოაქალიბეთ სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშანი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

თავი XI

სოციალური სახელმწიფო

თემა 11

სოციალური სახელმწიფო

თემის სტრუქტურა:

§ 1. სოციალური სახელმწიფოს ცნება

§ 2. სოციალური სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები

თემის მიზანი:

თემის მიზანია სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას თუ რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო, მისი ცნება, სახელმწიფოს საქმიანობა სოციალური სფეროს ფარგლებში, როგორია სოციალური სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები ანუ რა ძირითადი კომპონენტები ახასიათებს სოციალურ სახელმწიფოს. თემის მიზანია სტუდენტი ერკვეოდეს სოციალური სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშნებში.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მოცემული თემის არსი, მოკლედ უნდა შევეხოთ შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- ✓ გაეცნოთ სოციალური სახელმწიფოს ცნებაში;
- ✓ შევისწავლით მეცნიერთა შეხედულებებს სოციალური სახელმწიფოს შესახებ
- ✓ დავახასიათებთ სოციალური სახელმწიფოს ნიშნებს

თემის შესწავლის შედეგები.

სტუდენტს ეცოდინება:

სტუდენტს ეცოდინება რა იგულისხმება სოციალური სახელმწიფოს ცნების ქვეშ, როგორია მეცნიერთა შეხედულებანი სოციალურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. მათ შეეძლებათ გაეკვნენ ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში. სტუდენტებს ეცოდინებათ სოციალური სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები.

ეცოდინებათ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სოციალურ-ეკონომიკური სახეები და მათი რეალურად უზრუნველყოფა.

§ 1. სოციალური სახელმწიფოს ცნება

სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზების კვლევა უკვე დიდი ხანია რაც მიმდინარეობს. საქმე იმაშია, რომ სოციალური სახელმწიფოს საქმიანობა სწრაფი და შთამბეჭდავი არ ყოფილა. მრავალი სოციალური ღონისძიება, განსაკუთრებით ბურჟუაზიული სახელმწიფოსი, იძულებითი იყო ეს ღონისძიებანი, წარმოიშვა მკაცრი კლასობრივი ბრძოლების შედეგი, არსებითად ეს გამოწვეული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხალხის მასების და, პირველ რიგში, მუშათა კლასის ინტერესებისა და მოთხოვნების შედეგად. ისეთი სოციალური ზომები, როგორიცაა რვა საათიანი სამუშაო დღე, შრომის პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წარმოებაში უბედური შემთხვევების დაზღვევა, ხელფასების მომატება და ა.შ იყო მუშათა აჯანყებების, გაფიცვების და სხვა საპროტესტო აქციების შედეგი.

ხანგრძლივი დროის მანძილზე, სახელმწიფო, არც თუ ისე მონდომებით უკიდებოდა სოციალურ პრობლემებს, რაც ოპოზიციურ ძალებს აძლევს საბაბს არა მხოლოდ კრიტიკისათვის, არამედ რევოლუციური თეორიების წარმოშობისათვის, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნგრევისა და განადგურებისათვის (მაგალითად, როგორიცაა მარქსიზმისა და ანარქიზმის თეორიები). ამიტომ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ გატარებულ სო-ციალურ ღონისძიებებს რევოლუციური ძალების წარმომადგენლები თვლიდნენ მმართველი კლასის ეშმაკობებად, ხერხად, რადგან ისინი იძულებული იყვნენ დაეცვათ საკუთარი თავი და თავისი ინტერესები.. მაგალითად, ფ.ენგელსი წერდა: „კაპიტალისტების გაბატონებულ კლასს არ შეუძლია დაუსჯელად ასიამოვნოს თავის თავს და გაწიროს საკუთარი თავი მუშათა კლასის უპიდემიური დაავადებისათვის; შედეგები თვით კაპიტალისტების წინააღმდეგ, და სიკვდილის ანგელოზი მძვინვარებს მათ შორის ისევე უსარგებლოდ, როგორც მშრომელთა შორის“[98]. ვფიქრობთ, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ამდაგვარი მეცნიერული შეფასება მთლად ობიექტური არ არის.

ამ ღონისძიებებმა გააუმჯობესა მოსახლეობის უღარიბესი ფენების მდგომარეობა, კერძოდ, მათი

[98] Маркс К., Энгельс Ф., Соч. Т.18, с.228

სამედიცინო უზრუნველყოფა. იგივე შეიძლება ითქვას საბინაო, სადაზღვევო და ფაბრიკის კანონმდებლობის სხვა საკითხების შესახებ. ეს კანონები მიიღებოდა მშრომელთა მოთხოვნების გავლენით, მათი გაფიცვებით და სხვა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, გააუმჯობესეს მოსახლეობის ღარიბი ფენების მდგომარეობა, ხოლო სახელმწიფო სულ უფრო მეტად და მეტად იქნა ჩაბმული სოციალური ამოცანების ფადაჭრაში.

მაგალითად, ინგლისში, 1946 წელს მიღებული იქნა კანონი „ნაციონალური დაზღვევის" შესახებ, რომელმაც დაადგინა მინიმალური დახმარება, რაც საკმარისი იყო თითოეულის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ვისაც მოხუცებულობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზებით არ შეეძლო დროებით ან მუდმივად შეენახა საკუთარი თავი[99]. ზოგ ქვეყანას სოციალური სახელმწიფოს სტატუსი დაფიქსირებული აქვს კონსტიტუციაში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის მდგომარეობით ძირითადი კანონის მე-20 (1) მუხლში ჩაწერილია: „გერმანიის ფე-

[99] Харвей Д.,Вуд К., Британское государство., М., 1961, с.318

დერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო". და შემდეგ 28-ე (1) მუხლში: „მიწების კონსტიტუციური წყობა უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს"[100].

დღეისათვის, რამდენიმე ათეულმა სახელმწიფომ აღიარა ან ფაქტობრივად იყლიან თავს სოციალურ სახეებად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან, მაგალითად ავსტრია, დანია, ბელგია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, რუსეთი და სხვა.

სახელმწიფოს საქმიანობის შეცვლის მიზეზები ძირითადად, იყო შემდეგი: სერიოზული ეკონომიკური კრიზისები, მწვავე კლასობრივი შეჯახებები, რევოლუციური მოძრაობების ზრდა, საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა გააქტიურება და ა.შ.

[100] გფრ-ს 1949 წლის კონსტიტუცია.
http://www.univer5.ru/teoriya-gosudarstva-i-prava/vseobschaya-istoriya-prava-i-gosudarstva-grafskiy-v.-g.-276/Page-337.html

მაგალითად, იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციამ პირველივე მუხლში აღიარა უფლებათა შემდეგი პრინციპები: „იტალია – შრომაზე დამყარებული დემოკრატიული ხელისუფლებაა“[101]. მეორე მუხლში ვკითხულობთ, რომ რესპუბლიკა აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის ხელშეუვალ უფლებებს, მოითხოვს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სოლიდარობის ვალდებულებათა შესრულებას[102].

მესამე მუხლში გადმოცემულია, რომ „ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი საზოგადოებრივი ღირსება და ყველა თანასწორია კანონის წინაშე სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, პირადი და საზოგადოებრივი მდგომარეობის განურჩევლად[103].

კონსტიტუციის მეოთხე მუხლში საუბარია იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკა ცნობს მოქალაქეთა შრომის უფლებას და ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც ამ უფლებას რეალურს ხდიან. ყველა მოქალაქე თავისი ნებითა და შეძლებისამებრ ვალდებულია იღვაწოს საზოგადოების მატერიალური და სულიერი პროგრესის ხელშესაწყობად“[104].

[101] იხ. აეთანდილ დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბილისი გვ. 174.
[102] იხ. იქვე. გვ 174
[103] იხ. იქვე. გვ 174-175

მე-9 მუხლში ჩადებულია: „რესპუბლიკა ხელს უწყობს კულტურის, სამეცნიერო და ტექნიკური კვლევების განვითარებას, იცავს ქვეყნის ბუნებას, ერის ისტორიულ და მხატვრულ მემკვიდრეობას“[105].

იტალიის კონსტიტუციის 32-ე მუხლში ვკითხულობთ: „რესპუბლიკა იცავს ჯანმრთელობას, როგორც პიროვნების ძირითად უფლებას, გარანტიებს იძლევა არმქონეთა უფასოდ სამკურნალოდ“[106].

31-ე მუხლში გამახვილებულია ყურადღება, რომ "რესპუბლიკა მფარველობს დედებს, ახალშობილებსა და ახალგაზრდობას", ხოლო 36-ე მუხლში საუბარია იმაზე, რომ „მშრომელებს აქვთ უფლება ყოველკვირეული დასვენებისათვის და ყოველწლიური ანაზღა-

[104] იხ. იქვე. გვ 175
[105] იხ. იქვე
[106] იხ. იქვე. გვ 180-181

ურებადი შეებულებისა, რაზედაც არ შეუძლია უარი თქვას"[107].

სოციალური სახელმწიფოს დანიშნულების განხილვისას აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ისტორიული ტიპის სახელმწიფო, ამა თუ იმ სარისხით წყვეტდა ზოგიერთ სოციალურ ამოცანას, ე.ი. მოქმედებდა მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის და არა მხოლოდ იმ კლასის ინტერესებისათვის, რომლის იარაღსაც იგი წარმოადგენდა (ეს იყო, მაგალითად, ბრძოლა სტიქიურ უბედურებებთან, გზების მშენებლობა, კავშირგაბმულობის უზრუნველეოფა და სხვა ამოცანები). მაგალითად, რუსეთში, ეკატერინე II-ს დროს მისი ბრძანებულებით, ყველა გუბერნიაში შეიქმნა საზოგადოების მზრუნველობის ორგანოები, რომლებიც უსახლკაროთა და გაჭირვებულთა დახმარების საკითხებით იყო დაკავებული. ეკატერინე II-ის ბრძანებულებით გაიხსნა მოსკოვის აღმზრდელობითი სახლი ობოლი ბავშვებისათვის, ხოლო ინგლისში 1848 წელს იქნა მიღებული კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ.

[107] იხ. იქვე. გვ.182

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად შრომა თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, შემდეგ 31-ე მუხლში აღიარებულია, რომ „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის", ამავე მუხლში გამახვილებულია ყურადღება მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფად, კანონით გარკვეული შეღავათების დადგენის თაობაზე. კონსტიტუციის 32-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, აქვე მითითებულია, რომ საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობებსა და უმუშევრის სტატუსს განსაზღვრავს კანონი. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოში უმუშევართა რაოდენობა საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, ხოლო საარსებო მინიმუმი კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის საარსებოდ საკმარისი. როცა საარსებო მინიმუმზე დაბალია მოსახლეობის უმრავლესობის (მათ შორის პენსიონერების) მატერიალური შემოსავალი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმ-

წიფო ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში ჩაწერილია, რომ „ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით... და განსაზღვრულია უფასო სამედიცინო დახმარება“[108]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით, გადადგმულია წარმატებული ნაბიჯები, მაგრამ პრაქტიკაში ეს საკითხი, ჯერ კიდევ შორსაა სასურველ შედეგებამდე.

გერმანელი მეცნიერი ლორენც ფონ შტაინი, 1876 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში წერდა, რომ სოციალური სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას უფლებებში განსხვავებული საზოგადოებრივი კლასების თანასწორობა..., და ხელი შეუწყოს ყველა მოქალაქის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროგრესს, რადგან საბოლოო ჯამში ერთ-ერთის განვითარება განაპირობებს მეორის პირობას[109].

[108] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995 წლის 24 აგვისტოს შესაბამისი მუხლები

[109] იხ. Gegenwart Und Zukunft Der Rechts Und Staatswissenschaft Deutschlands (1876) Lorenz von Stein

სოციალური სახელმწიფოს ცნების გაანალიზებისას, ყურადღება უნდა მიექცეთ შემდეგ გარემოებებს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სოციალური სახელმწიფო წარმოიშობა საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე ინტეგრაციული ეკონომიკური პროცესების პირობებში, სხვანი მიიჩნევენ, რომ სოციალური სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკას, სოციალური პოლიტიკის ეფექტურად წარმართვისათვის შინაგანი პირობების შექმნას.

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) 25-ე მუხლის პირველ პუნქტში აღიარებულია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მის-

გან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში"[110]. თავის-თავად ცხადია, რომ გაეროს წევრი სახელმწიფოები მოვალენი არიან გაატარონ ისეთი სოციალური პო-ლიტიკა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის დებულებებს.

სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საერთაშორისო პაქტმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ"[111]. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კის-რულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ თითოეული ადამიანის უფლება:

- თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის

[110] იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული. ოფიციალური გამოცემა. №1, თბილისი, 1998 წ., გვ 6

[111] 1966 წლის 16 დეკემბერი, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული. ოფიციალური გამოცემა. №1, თბილისი, 1998 წ. გვ.26-32

შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირში;

- ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, მათ შორის: სამართლიანი ხელფასი და თანაბარი ანაზღაურება ტოლფასოვანი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე;
- სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით;
- თავისთვის და თავისი ოჯახისათვის ჰქონდეს ცხოვრების საკმარისი დონე, რომელიც მოიცავს საკმარის კვებას, ტანსაცმელსა და ბინას, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს;
- ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე;
- განათლებაზე და ა.შ.

ამ ამოცანების გადაწყვეტისას, სოციალური სახელმწიფო მოწოდებულია ზეგავლენა მოახდინოს როგორც საჯარო, ისე კერძო საკუთრებაზე, მშრომელებსა და მათ დამქირავებლებს შორის მოაწესრიგოს ურთიერ-

თობანი, ე.ი. იყოს ობიექტური და სამართლიანი არბიტრი რთულ და ზოგჯერ მეტად მწვავე სოციალურ ურთიერთობებში.

თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს საზოგადოებაში რეგულირების მხოლოდ საბაზრო მექანიზმებს, იგი ხდება იმ ურთიერთობათა აქტიურ მონაწილედ. სახელმწიფო კისრულობს ცხოვრების ფუნდამენტური საკითხების, როგორიცაა შრომა, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, განათლება გადაჭრას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ასკვნის, რომ სოციალური სახელმწიფო – სახელმწიფოს ისტორიული ტიპია, რომელიც განსხვავდება სხვა სახელმწიფოსაგან თავისი სოციალური ფუნქციების პრიორიტეტით და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრით.

თანამედროვე სახელმწიფოს და მისი სოციალური როლის დასავლეთის მკვლევარები სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის განვითარებისაგან მუქარას იმაში ხედავენ, რომ სახელმწიფო იტვირთავს მძიმე

ტვირთს – სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას. სახელმწიფოს მიმართ ხალხის მოთხოვნების მუდმივი ზრდა არჩევნებისათვის ხმების დაგროვების მიზნით პარტიებისა და მოძრაობების მხრიდან, სახელმწიფოსაგან მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას ცალკეული მოთხოვნების შესასრულებლად. ამით სახელმწიფო სუსტდება, რამდენადაც იგი, როგორც ე.ფორსტხოფი აღნიშნავს, გარდაიქმნება ე.წ. „მეწველ ძროხად", განიცდის რა მძლავრი საზოგადოებრივი ჯგუფების ზეწოლას[112], ხოლო ცნობილი მეცნიერები ფ.ხაიეკი და მ.ფრიდმენი, საერთოდ თვლიან, რომ დაუშვებელია საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევა სამართლიანობისა და თანასწორობის გამო. თანამედროვე სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული საფრთხე, როგორც დასავლეთის მკვლევარები აღნიშნავენ, პროფესიული კავშირებისგანაა წამოსული, ისინი სისტემატურად ახორციელებენ წნეხს სახელმწიფოზე, აიძულებენ მას იმოქმედოს მშრომელთა ინტერესებისათვის დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის საზიანოდ. როგორც ვხედავთ, თანამედროვე სა-

[112] Форстхофф Э., Государство и индустриальное общество, Мюнхен, 1971, წიგნში ტ. რადკო. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მოსკოვი, 2011 (რუსულ ენაზე). გვ 220

ხელმწიფოების სოციალურ საქმიანობას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგები.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის შინაარსზე შეხედულებებსა და შეფასებებზე ერთიანი აზრი არ არსებობს, ზოგნი სოციალურ სახელმწიფოში მოიაზრებენ ყველა სოციალურ ღონისძიებას, ზოგნი გამოყოფენ მხოლოდ განათლების, მეცნიერებების მთელ კომპლექსს, რაც დაკავშირებულია სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში ამოცანების გადაჭრასთან და რომელიც მიმართულია ადამიანის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

§ 2. სოციალური სახელმწიფოს ნიშნები

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს სოციალურ სახელმწიფოზე, უნდა განისაზღვროს მისი დამახასიათებელი ნიშნები. ასეთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს მიეკუთვნება:

- **სოციალური სახელმწიფო უცილობლად უნდა იყოს დემოკრატიული.**

ხალხს ასეთ სახელმ-წიფოში უნდა შეეძლოს დემოკრატიული ინსტი-ტუტების მეშვეობით ხელისუფლებაზე მოახდი-

ოს გავლენა, აიძულოს იგი ისეთი გადაწყვეტი-ლებები მიიღოს, რომლებიც მიმართული იქნება მოსახლეობის სოციალურად დაცვისაკენ; ადა-მიანთა ისეთი ბუნებრივი უფლებების დაცვა უზრუნველყოს, როგორიცაა სიცოცხლე, ჯანმრ-თელობა, კეთილდღეობა და ა.შ.; გადაჭრას სოციალური კონფლიქტები.

- **სოციალურ სახელმწიფოს ფუნქციებს უნდა აძლევდეთ სოციალური მიმართულებები;**

➢ სოციალურ სახელმწიფოში ორგანიზებული უნდა იყოს ეფექტური მმართველობა მოსახლეობის სოციალურად დასაცავად.

ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფოებრი-ვი, საზოგადოებრივი, მუნიციპალური ორგანო-ბი, რომელთა უშუალო დანიშნულებაა სახელმ-წიფოს საქმიანობა მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების რეალიზაციისათვის. სოციალურ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სოციალურად ორგანიზებული აპარატი, რომელსაც შეეძლება სახელმწიფოს წინაშე დასმული ამოცანების გა-დაჭრა მისი მიზნების რეალიზაციისათვის. გან-საკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკანონმდებ-ლო საქმიანობას. სოციალურ სახელმწიფოს აქვს სრულყოფილი კანონმდებლობა, ე.ი. მყარი სამართლებრივი საფუძველი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან სოციალური კანონების შესრულებისათვის;

➢ სოციალური სახელმწიფო ხასიათდება სხვადასხვაგვარი სოციალური პროგრამების არსებობით.

რომლებიც სახელმწიფოს ახასია-თებენ როგორც პუმანურს, რომლის უპირველეს-ი მიზანია – ადამიანზე ზრუნვა. პროგრამები მიიღება სოციალური საქმიანობის კონკრეტულ-ი მიმართულებებით:

- განათლების მოდერნიზაციის პროგრამა;
- ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროგრამა;
- ინვალიდებისა და პენსიონერების უზრუნველ-ყოფის პროგრამა,
- ოჯახის, დედობისა და ბავშვთა თანადგომის პროგრამა;
- მოსახლეობის შრომითი დასაქმების პროგრამა და სხვა.

ზემოხსენებულ ყველა პროგრამას აქვს ერთი მთავარი დანიშნულება – მოსახლეობის ისეთი ცხოვრების უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელს გახდიდა კომფორტულ პირობებს როგორც ახალგაზრდებისათ-

ვის, ისე მოხუცებისათვის, საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზაციისათვის.

სოციალურ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი როლი აქვს საჯარო საკუთრებას (როგორიცაა სახელმწიფო, ისე მუნიციპალური). კერძო საკუთრებას არ შესწევს უნარი უზრუნველყოს სოციალური სახელმწიფოს სრულად ჩამოყალიბება და არსებობა. გადასახადები, რომლებსაც კერძო მესაკუთრეები იხდიან, საკმარისი სულაც არ არის სოციალური ამოცანების გადასაჭრელად. გარდა ამისა, კერძო მესაკუთრეები, არც თუ ისე მონდომებითა და სურვილით ასრულებენ სოციალურ ფუნქციებს, თუმცა, მრავალი ქვეყნის კონსტიტუციებში გათვალისწინებულია ეს ფუნქციები.

საჯარო საკუთრების წარმართვა კი სოციალური ფუნქციების გადასაჭრელად ბევრად უფრო ადვილია, რამდენადაც იგი სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტებს ეკუთვნის.

- **სოციალური სახელმწიფო უნდა იღწოდეს მოსახლეობის სრულად დასაქმებისათვის.**

უმუშევრობისათვის დახმარების გაწევა ნების-მიერი სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი რეა-ქციაა;

- **სოციალური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანია მის მიერ აქტიური პოლიტიკის გატარება.**

რაც სახელმწიფოს საერთო პოლი-ტიკის ნაწილია, მაგრამ იგი ორიენტირებულია საზოგადოების საშინაო პრობლემებზე. სოცია-ლური პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ეკონომი-კასთან, სოციალურ პოლიტიკაში დადებითი შე-დეგების მიღწევა შეუძლებელია ეფექტური ეკო-ნომიკური პოლიტიკის გატარების გარეშე. ადა-მიანის მრავალი სოციალური უფლების რეალი-ზაცია შეიძლება მხოლოდ ეკონომიკურად ძლი-ერი სახელმწიფოს პირობებში, რომელსაც აქვს საკმარისი რესურსები ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებ-ლად (კარგი საპენსიო უზრუნველყოფა, ხარის-ხიანი საშუალებანი მომსახურება, განათლება, უმუშევრობისათვის

დახმარების კარგი დონე, შრომის საუკეთესო ანაზღაურება და ა.შ.).

- **სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის საბოლოო მიზანია ადამიანთა ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება, საზოგადოების უკონფლიქტოდ უზრუნველყოფა**

- **სოციალური სახელმწიფოს კიდევ ერთი ნიშანია მის მიერ სოციალურ საკითხებზე საერთაშორისო დოკუმენტების (კონვენციების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, პროგრამების) აღიარება.**

გაეროს წესდება, გაეროს სოციალური კომიტეტის რეზოლუციები სოციალური ნორმების დაცვის საკითხებზე, გაეროს კომისიის გადაწყვეტილებანი ადამიანის უფლებათა საკითხებზე; პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, პაქტი ეკო-ნომიკური და კულტურული უფლებების შესა-ხებ; გაეროს გენერალური ასამბლეის რეზო-

ლუციები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია და სხვა, სადაც საუბარია სოცია-ლურ დონისძიებებზე.

თუ სახელმწიფო თვლის, რომ იგი სოციალუ-რია ან მიიღწევის, რომ გახდეს სოციალური, იგი ვალდებულია გაატაროს სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ზემოხსენებული საერთაშორისო აქტების მიზნებისა და ამოცანების მიღწევისაკენ. ეს ძალიან რთულია, ამიტომ მსოფლიოში სოციალურ სახელმწიფოთა რაოდე-ნობა არც თუ ისე მრავალადაა.

სოციალური სახელმწიფოს ნიშნები

- უცილობლად უნდა იყოს დემოკრატიული.
- მის ფუნქციებს უნდა ჰქონდეთ სოციალური მიმართულებები;
- ორგანიზებული უნდა იყოს ეფექტური მმართველობა მოსახლეობის სოციალურად დასაცავად.
- ხასიათდება სხვადასხვაგვარი სოციალური პროგრამების არსებობით;
- უნდა იღწვოდეს მოსახლეობის სრულად დასაქმებისათვის.
- აქტიური პოლიტიკის გატარება,
- ადამიანთა ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება, საზოგადოების შკონფ-ლიქტოდ უზრუნველყოფა
- სოციალურ საკითხებზე საერთაშორისო დოკუმენტების (კონფერენციების, რეზოლუ-ციების, ხელშეკრულებების, პროგრამების) აღიარება.

კითხვები თვითმოსაზრებისათვის:

1.როგორია სოციალური სახელმწიფო?

2. რა იგულისხმება სოციალური სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანში – მოსახლეობის სრულად დასაქმება??

3. როგორ ახსნით სოციალური სახელმწიფოს ნიშანს –ადამიანთა ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება?

4. გადმოეცით საკუთარი პოზიცია ხაზოგადოების უკონფლიქტოდ უზრუნველყოფის შესახებ

საშინაო დავალება:

ჩამოაყალიბეთ რა სახის საერთაშორისო დოკუმენტებია თქვენთვის ცნობილი სოციალურ საკითხებზე?

გამოყენებული ლიტერატურა

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული. თბილისი, № 1, 1998 წ
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ჯიბის წიგნი ადამიანის უფლებათა შესახებ პოლიციის თანამშრომელთათვის –
- . 1966 წლის 16 დეკემბერი, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული. ოფიციალური გამოცემა. №1, თბილისი, 1998 წ. გვ26-32
- ადამიანის უფლებები და მათი დაცვა საერთაშორისო კანონმდებლობით, ბუკლეტი პოლიციის თანამშრომელთათვის. მომზადებულია რალფ ქროშოუს მიერ. ევროპის საბჭო. 2002 წლის მარტი
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული. ოფიციალური გამოცემა. №1, თბილისი, 1998 წ. გვ 6

- ადამიანის უფლებები პოლიციის მოღვაწეობაში. საინფორმაციო ხასიათის ბროშურა. ლ მარკ ტეილორი. სტრასბურგი, 2002 წ მარტი.
- თამარ ალფაიძე, შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2008 წ, გვ 33
- მიხეილ გოგატიშვილი. ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში. „მეცნიერება“, თბილისი, 2003
- ვ.პ. გურგენიძე. საქართველოს პოლიტიკური სისტემის ადაპტირება–ტრანსფორმირების კონცეფცია, თბილისი, 2004 წ.
- ავთანდილ დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბილისი გვ. 174.
- დემოკრატია და მოალაქეობა. გრიერ ბუროუსი და სხვები, თბილისი, 2011
- ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1957;

- თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი., თბილისი, 2003 წ
- გ.ინწკირველი.,სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია., თბილისი, 2003 წ
- დ. ლაბუჩიძე-ხოფერია. ფილოსოფია, დიალექტიკა, ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 2008 წელი გვ. 147
- გ.ლობჟანიძე., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი. 2003 წ გვ 77
- ვალერი ლორია, მანანა ბენდელიანი, ბაადურ გელაშვილი. ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი, 2004 წ.
- ვ.მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. გამომც. „მერიდიანი", თბილისი 2009 წელი
- ვ.მეტრეველი, გ.დავითაშვილი. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. ლექციების კურსი. „მერიდიანი", თბილ. 1999 წ.
- შ. მონტესკიე. კანონთა გონი, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, თბილისი, 1994, გვ 180

- მანანა მოსულიშვილი. სასამართლო ხელისუფლება, თბილისი, 2012
- მანანა მოსულიშვილი. სასამართლო ხელისუფლება. წიგნში: კრიმინოლოგია., თბილისი, 2008 წ. გვ.407-434
- ნ.ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები., თბილისი, 1932, ტ.II, გვ35
- გ.ნანეიშვილი. სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბილისი, 1992 წ. გვ 200.
- პოლიბიუსი მოღვაწეობდა ძველი სახელმწიფოების პერიოდში. (III საუკუნის დასასრულს ჩ.წ.ა-მდე და II საუკუნის სახეცვარში). „მსოფლიოს ისტორია". ვალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. ლექციების კურსი, თბილისი, 1999 წ, გვ 43
- პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია ვ.ს. ნერსესიანცის რედაქციით, მოსკოვი, ნორმა, 2001 წ (რუსულ ენაზე)
- პოლიციელის მეგზური. კანონთა კრებული, თბილისი 2003.

- საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტო
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ 1997 წლის 13 ივნისი, მუხლი 46.
- საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ. თბილისი, 1997 წლის 15 აპრილი
- სახალხო მოხელის სამაგიდო წიგნი, თბილისი 2008 წ
- ირ. სურგულაძე- ხელისუფლება და სამართალი,თბილისი, 2002 წ., გვ 55
- შოთა ფაფიაშვილი. შესავალი იურიდიულ ლიტერატურაში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილიუსი, 2006 წ
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, ნაკვეთი მეორე – მ-ჰ, თბილისი, 1990 წ., გვ.825
- ვაჟა შუბითიძე, ოთარ დაეთაშვილი. პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2002

- ა.ფ.ჩერდანცევის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მ.2002 წ., გვ 205 /რუსულ ენაზე/.
- რაინჰოლდ ციპელიუსი. იურიდიული მეთოდების მოძღვრება., მეათე გადამუშავებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006
- ძველი აღთქმა. გამოსვლა. 21,12; 21,24
- მ.წერეთელი. ერი და საზოგადოება, თსუ, თბილისი,1990,გვ.39
- გიორგი ხუბუა. ფედერალიზმი, როგორც სორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი 2000 წ
- გიორგი ხუბუა. სამართლის თეორია. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი 2004 წ
- Абдулаев М.И., Комаров С.А. Проблемы теории государства и права., СПБ.,Питер, 2003, с 144
- Авторский коллектив. Алексеев А.А. Теория государства и права., М. 2000
- Василев Л. Становление политической администрации. Народы Азии и Африки. 1980ю № 1, с.175

- Волосникова Л.М. О смешанной форме правления//государство и право на рубеже веков. Проблемы истории и теория, М., 2001, с. 189-193
- Гегель Г. Философия права., м. 1990, сю 269-285)
- Грушин Б.А. Очерки логики исторического исследования., М. Высш.шк.,1961., с.74
- Гумплович Л. Общее учение о государствею СПб, 1910 с254-256
- Данэм Б. Мыслители и казначеи. М.,1960.С 19,20
- Дёмин А.В. Теория госуларства и права. Москва 2002 г. стрю14) Румынина В.В.,Клименко А.В. Теория государства и права. Москва.2002г.
- Ильин И.А. О государственной форме// Государство и право, 1991 №11, с.138
- Ленин В.И. Государство и революция. Полн. собр. сочинений., Т.33
- Лесной В.В. Социалистическая революция и государственный аппарат. М., 1972. с. 124

- Луви-Стросс К. Первобытное мышление. М., Терра, 1999.
- Лунев А.Е.,Советский государственный аппарат.,М.,1972.,с.4-6
- Копейчиков В.В. Механизм советского государства, М, 1968, с. 52-83, 84-115
- Костлякоский Б.А. Социальные науки и право. М.1916
- Коркунов Н.М. Лекции по общей теории права. СПб.,1894. с.246
- Кудрявцев В.Н., О правопонимании законности, Государство и право. 1994., №3 с.7
- М.И.Марченко. Теория государства и права. Учебник, М: 2011
- Маркс К., Энгельс Ф. Соч. Т.18, с.228;Т 19, с.726 .Т 21
- В.С. Нерсесянц. Теория государства и праваю М. 2001—

- Общая теория права и государства /под ред. В.В.Лазарева.,М., 1999. с.369, 389., Общая теория государства и права, академический курс. Т1.,с.182
- Ожегов С,И. Словарь русского языка, М, 1978, с,621Ортега-и-Гассет Х. Спортивное происхождение государства. Философская и социологическая мысль. Киев., 1990. № 6.
- Политология Энциклопедический словарь. М.,1993
- Т.Н.Радько., Теория государства и права. Учебник, 2-е издание. изд.,,Прогресс,, М.2011г., с 90
- Т.Н.Радько. Хрестоматия по теории государства и права. 2-е издание. М,2009
- Раянов Ф.М. Проблемы теории государства и права . /Юриспруденции/, М 2003, с. 89-90 , იხ. წიგნში Т.Н. Радько, Теория государства и права., 2-ое издание, М. 2011, с 191
- Рябинин Н.А Преемственность государственности. Автореферат диссертасии кандидата юридических наук. Екатеринбург., 2001. с.10
- Спенсер Г. Позитивная политика. СПб, 1892, сю48
- Тард Г. Социальная логика. СПб., 1996.

- Теория государства и права/отв.ред. А.И.Денисов. М.,1980. с. 250
- Теория государства и права/ под ред. В.К.Бабаева. Ь.,199ю сю 108!109
- Теория государства и права. Хрестоматия в 2-х , т.1., М.,2001. с 478
- Тихомиров Ю.А. Государство на рубеже столентий// Государство и право, 1997 №2, с.24-32
- Форстхофф Э., Государство и индустриальное общество, Мюнхен, 1971, წიგნში ტ. რადკო. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია., მოსკოვი, 2011 (რუსულ ენაზე), გვ 220Харвей Д.,Вуд К., Британское государство., М., 1961, с.318
- Хропанюк В.Н. Теория государства и права, М. 1996
- А.Ф. Черданов. Теория государства и права.Учебник для вузов. М.,Юрист, 2002
- Чиркин В.Е. Элементы сравнительного государствоведения., М.,1994. с.16
- Шершеневич Г.Ф., Общая теория права, М. 1911, с.248

- Энгельс Ф. Происхождение семьи, частной собственности и государства. Эбзеев Б.С. Соблюдение и защита прав человека – обязанность государства. Теория государства и права, курс лекций (под ред. М.И. Матузова и А.В. Малько, с.229
- იხ. Ruthers, B.,Rechtstheone. Begriff, Geltung und Anwendung des Rechts, Munchen, 1919, S.15 წიგნში გ.ხუბუა სამართლის თეორია. გამომცემლობა. „მერიდიანი", თბ., 2004 წ., გვ.13)
- Gegenwart Und Zukunft Der Rechts Und Staatswissenschaft Deutschlands (1876) Lorenz von Stein
- Smid. St., Einfuhrung in die Philosophie des Rechis, Munchen,1991,S. 19
- გფრ-ს 1949 წლის კონსტიტუცია. http://www.univer5.ru/teoriya-gosudarstva-i-prava/vseobschaya-istoriya-prava-i-gosudarstva-grafskiy-v.-g.-276/Page-337.html

შენიშვნებისათვის:

შენიშვნებისათვის:

შენიშვნებისათვის:

ავტორთა შესახებ:

ქალბატონი მანანა მოსულიშვილი არის სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობს 2004 წლის 20 ოქტომბრიდან. 2011 წლამდე იყო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ ხარისხის სამსახურის უფროსი, ამჟამად სასწავლო დეპარტამენტის უფროსი და სამართლის სკოლის სრული პროფესორია.

ქ-ნი მანანა 28 წელი (1976 წლის 09 სექტემბრიდან 2004 წლის 01 ოქტომბრამდე)მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თა-ნამდებობებზე, არის შსს დამსახურებული მუშაკი.

1991 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის შვიდი მონოგრაფია და სა-

ხელმძღვანელო. ამჟამად მუშაობს არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო პროექტში, წინამდებარე ნაშრომი სახელმძღვანელოს კურსის „შესავალი სამართალმცოდნეობაში" პირველი წიგნია.

ქ-ნი მანანა მოსულიშვილი დღესაც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, არის ეროვნული კატეგორიის მსაჯი-მდივანი კალათბურთში (საბჭოთა პერიოდში მიღებული ჰქონდა კალათბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება), არის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წევრი; საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, პროფესიონალ ქალთა ასოციაცია „100 ქართველი ქალის" წევრი.

სახელმწიფოს წინაშე გაწეული საქმიანობისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის მიღებული აქვს ჯილდოები – მათ შორის: მედლები და ღირსების ორდენი, რომელიც მას გადაეცა „საქართველოში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში, სამართალდამცავი ორგანოებისათვის მაღალპროფესიული კადრების მომზადებასა და სასწავლო-

აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობის, თავდადებისა და სამშობლოს წინაშე მხედრული ვალის მოხდისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის"

მშობლიური ენის გარდა სრულყოფილად ფლობს რუსულ ენას, კარგად ინგლისურს, ელემენტარულად - სომხურსა და პოლონურს.

ჰყავს ვაჟი, ამირანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, რომელიც ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას და ამ სახელმძღვანელოს თანაავტორია.

ამირან მიხელიშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობისა და საქართველოს ღია სახწავლო უნივერსიტეტების სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი.

დაიბადა 1983 წლის 9 სექტემბერს ქ. თბილისში, ქართველი. წარჩინებით დაამთავრა ქ.თბილისის ანთიმოზ იველიელის სახელობის 166-ე საშუალო სკოლა და წითელ დიპლომზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით, იურისტის კვალიფიკაციით.დამთავრებული აქვს კემბრიჯის ცენტრის შეიდივე საფეხური (სერტიფიკატები).

2007 წელს ჩაირიცხა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. 2009 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემა-

ზე „ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები“. 2006 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2008 წელს მიენიჭა 30 საათიანი კურსის „კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში“ - სერტიფიკატი. აგრეთვე სერტიფიცირებულია დისციპლინაში „დემოკრატია და მოქალაქეობა“, ამავე ხაგანში სერთიფიცირებულია როგორც ტრეინერიც.

მონაწილეობა აქვს მიღებული ხუთ საერთაშორისო კონფერენციაში, მათ შორის საზღვარგარეთ.

არის ორი სამეცნიერო გრანტის მონაწილე – 2007 წელს „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ და 2009 წელს ტრეინერი „კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ“ ბრძოლის საკითხებში - სერტიფიკატები.

გამოქვეყნებული აქვს 15-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის ევროპის სამეცნიერო ჟურ-

ნალში. გამოცემული აქვს ოთხი მონოგრაფია (ხამი – თანაავტორობით), იგი წინამდებარე ხახულმძღვანელოს თანაავტორია.

მშობლიური ენის გარდა სრულყოფილად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

არის დასაოჯახებელი.